ISSN 1512-0597

იბერია - კოლხეთი

საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული

Iberia - Colchis



№ 1

2003

ძიებანი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური
კვლევის ცენტრის ჟურნალი
დამატებანი IX
Dziebani - The Journal of the Centre for Archaeological
Studies of the Georgian Academy of Sciences
Supplement IX

იბერია-კოლხეთი

საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული

Iberia-Colchis

Researches on the Archaeology of Georgia in the Classical Period

1

თბილისი 2003 Tbilisi

ISSN 1512-0597

სარედაქციო კოლეგია: ვ. ჯაფარიძე, დ. კაჭარავა,
ბ. მაისურაძე, გ. კვირკველია,
მ. ნიორაძე, რ. რამიშვილი,
ჯ. ამირანიშვილი

Editors of the Volume: **V. Japaridze, D. Kacharava, B. Maisuradze, G. Kvirkvelia, M. Nioradze, R. Ramishvili, G. Amiranashvili**

რედაქტორი: ისტ. მეცნ. დოქტორი - **გელა გამყრელიძე**

Editor: Doctor of historical sciences - **Gela Gamkrelidze**

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი - **ვახტანგ ნიკოლაიშვილი**

ისტ. მეცნ. კანდიდატი - **ზურაბ ბრაგვაძე**

საგამომცემლო-ტექნიკური სამუშაოები შეასრულეს - თინათინ ჭანიშვილმა
და მაია ჩარკვიანმა

© საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2003

შინაარსი

რედაქტორისაგან 6

ახვლედიანი დ. ლოდსატყორცნების ჭურვები ვანის ნაქალაქარიდან 7

გვეტაძე ჯ. ახალი მონაცემები კავთისხევის ციხიაგორის მიდამოებიდან (ძვ.წ.VI-IV სს.) 14

გვინჩიძე გ. მდ. ტეხურის აუზის ძვ.წ. IV - ახ.წ. VI სს-თა სამარხები 23

გიგოლაშვილი ელ. საწურები დასავლეთ საქართველოდან (წითელი შუქურის, ფიჭვნარისა და ვანის სამარხებიდან) 29

დუნდუა გ. კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა) 33

თოდუა თ. ამფორასამარხები ბიჭვინტიდან (პიტიუნტი) 50

კიღურაძე ნ. ლეგიონერის სამარხი (№ 345) პიტიუნტ-ბიჭვინტიდან 55

მათიაშვილი ნ. ოქროს თავსამკაულის ნაწილები ვანის ნაქალაქარიდან 59

რამიშვილი ქ.ი. სასანური პორტრეტი სართიჭალის საბეჭდავ-ბეჭედზე 62

რამიშვილი ქ.რ. მგლის გამოსახულებები მდ. არაგვის ხეობიდან 70

საგინაშვილი მ. მინის ჭურჭელი მცხეთის ახ.წ. I ს-ის აკლდამიდან 75

სულავა ნ. ერთწილადი რკალისებური ფიბულები ყაზბეგიდან (საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთი) 83

ფირცხალავა მ. საკრალური ინვენტარის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან.. 86

ფუთურიძე რ. ამფორების წარმოება კოლხეთში ძვ.წ. IV-I საუკუნეებში 98

ყიფიანი გ. მცხეთის სასოფლო-სამეურნეო უბანი (წიწამური) 110

შატბერაშვილი ვ. ძვ.წ. IV-III საუკუნეების საბრძოლო იარაღიანი სამარხები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან 118

ნიდან 130

ცუხიშვილი ი. აღმოსავლეთ რომის იმპერიის მონეტები საქართველოში (IV-V სს-ში) 136

ძიძიგური ლ. იბერიაში ძვ.წ. I ს.-ახ.წ. II ს. დათარიღებულ რიყიანების ველის სამაროვანზე გამოვლენილი ერთი სამიწათმოქმედო იარაღის შესახებ..... 147

ჭანიშვილი თ. ფარი კამარახევის სამაროვნის ერთ-ერთი სამარხიდან 153

ჭყონია ა. ოქროს საყურე ძეგვიდან (მცხეთის რ-ნი) 158

გამყრელიძე გ. ქალაქ ფასისის (Φᾶσις; Phasis) ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის 170

საქართველოს ანტიკური ხანის (იბერია-კოლხეთის) არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა 1990-2002 წწ. სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია 186

About the book 193

რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საქართველოს ანტიკური ხანის (იბერია-კოლხეთის) არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიები. ჩვენი სურვილია, რომ განყოფილების სამეცნიერო სტატიების კრებულის გამოცემას მიეცეს სისტემატური ხასიათი.

1989 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური დანაყოფის საფუძველზე საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილება ჩამოყალიბდა, რომელიც 1977 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ეგიდით აწარმოებს სამეცნიერო კვლევა-ძიებას. განყოფილების ყველა თაობის წვლილი და დამსახურებაა დღევანდელი ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების - საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიის - საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები. წლების განმავლობაში ანტიკური ხანის არქეოლოგიურ დანაყოფებს ხელმძღვანელობდნენ - აკად. ან. აფაქიძე, აკად. ოთ. ლორთქიფანიძე და პროფ. გ. დუნდუა. სწორედ მათი ძალისხმევა იმთავითვე აღინიშნა მნიშვნელოვანი აღმოჩენებით საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიაში. კერძოდ, არქეოლოგიური კვლევა-ძიება - მცხეთაში, ვანში, დაბლაგომში, ბაკურციხეში, ქუთაისში, ბიჭვინტაში, ურეკში, სოხუმში, ყულევში, ქობულეთში, ბორში, კლდეეთში და სხვ.

აღსანიშნავია და საყურადღებო ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1852 წელს საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრები ანტიკური ხანის ნაქალაქარ უფლისციხეში ჩატარდა. აქ გათხრებს აწარმოებდა ქართული არქეოლოგიის პიონერი დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი (1815-1878 წწ.).

დღესდღეობით საქართველოს ანტიკური ხანის (იბერია-კოლხეთის) არქეოლოგიის განყოფილებაში 21 მეცნიერი თანამშრომელია, აქედან 5 მეცნიერებათა დოქტორი, 10 მეცნიერებათა კანდიდატი, 5 მეცნიერი თანმშრომელი და 1 ლაბორანტი. 1997 წლიდან განყოფილების ხელმძღვანელია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გელა გამყრელიძე.

განყოფილების ექსპედიციები აბორიგენებენ ანტიკური ხანის ძეგლების საველე-არქეოლოგიურ კვლევას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღმოჩენილია და შესწავლილია მრავალი არქეოლოგიური ძეგლი (სამოსახლოები, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების კერები) და ხელოვნების უნიკალური ნიმუში. კერძოდ: ურეკში, ოჩამჩირეში, სულორში, სოფ. დაფნარში, სოფ. მთისძირში, ვანში, ქობულეთში, სოფ. დაბლაგომში, სოფ. საქორქიოში, ფარცხანაყანევში, თაგილონში, სოფ. შუამთაში, სოფ. მაღლაკში, სოფ. ქვიტორში, სოფ. გოდოგანში, სოფ. ბანოჯაში, ბიჭვინტაში, ფოთი-პალიასტომში, ანაკლიაში, ნასტაკისში, ციხიაგორაზე, კასპში, სარკინეში, სოფ. აღაიანში, ალგეთში, არაგვისპირში, ძალისაში, ეცოში და სხვ.

განყოფილების თანამშრომელთა ძირითადი სამეცნიერო კვლევის საგანია: საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური დახასიათება-კლასიფიკაცია; პალეოურბანისტიკის საკითხები; პოლიტოგენეზი საქართველოს ტერიტორიაზე (იბერია, კოლხეთი); არქეოლოგიური კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები; ურთიერთობები ანტიკურ და ირანულ სამყაროსთან; დაკრძალვის წესები ანტიკური ხანის საქართველოში; ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა; სამონეტო მიმოქცევა ანტიკური ხანის საქართველოში; ანტიკური იმპორტი კოლხეთსა და იბერიაში და სხვ.

განყოფილებაში მიმდინარეობს ცალკეული არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსური შესწავლა - ადგილობრივი და უცხოური კერამიკა; კერამიკული ტარა; ტორევტიკული და ტერაკოტული ნიმუშები; მინის ნაწარმი; ოქროს და ვერცხლის სამკაულები; შეიარაღება (შუბები, სატევრები, საბრძოლო ცულები, მშვილდ-ისრები, ქვის ყუმბარები, მუზარადები, ჯაჭვ-ჯავშნები, ფარები, ცხენის აღკაზმულობები); არქიტექტურა (სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები), მოზაიკა; გლიპტიკური და ნუმიზმატიკური ძეგლები და ა.შ.

განყოფილების თანმშრომლები მონაწილეობას იღებენ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მოთავეობით დაგეგმილ სამუშაოებში და ახალ პროექტებში. კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეულის, არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის, არქეოლოგიური ატლასის, არქეოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის, ბიბლიოგრაფიული ცნობარების, არქეოლოგიური არტეფაქტების საძიებო სისტემების შექმნაში. განყოფილებაში დაიგეგმა და მიმდინარეობს სამუშაოები „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის" შესადგენად.

კრებულის ბოლოში წარმოდგენილია საქართველოს ანტიკური ხანის (იბერია-კოლხეთის) არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია (1990-2002 წწ.)

გ. გამყრელიძე

დიმიტრი ახვლედიანი

ლოდსატყორცნების ჭურვები ვანის ნაქალაქარიდან

ლოდსატყორცნი მანქანები ფართოდ გამოიყენებოდნენ სამხედრო საქმეში ძვ.წ. IV საუკუნიდან მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში. ამ მოწყობილობათა ძირითადი ნაწილი ხისა და თოკებისაგან იყო დამზადებული. ამიტომ მათ შესახებ მონაცემები ძირითადად ანტიკურ ავტორთა ნაშრომებში არის დაცული. არქეოლოგიური მასალა, რომელიც ამ მანქანების გამოყენებაზე მიუთითებს, ძირითადად ქვის ჭურვებით არის წარმოდგენილი. ჩვენი ნაშრომის მიზანია ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ქვის ჭურვების განხილვა.

სადღეისოდ ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭურვები ზომისა და წონის მიხედვით ექვს ჯგუფად იყოფიან. ყველაზე უფრო დიდი ჭურვის დიამეტრი 30 სმ-ია, წონა - 25 კგ., ყველაზე უფრო მცირესი - 11-12 სმ., წონა - 1კგ. 710 გრ. გარდა ამისა გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ჭურვები ვანის ნაქალაქარის მახლობლად მდებარე კარიერებიდან მოპოვებული ბიოტიტური ტუფისაგან არიან დამზადებულნი და ადგილობრივ გარნიზონს ეკუთვნოდნენ, ვინაიდან მომხვდურს მათი დამზადების დრო არ უნდა ჰქონოდა [9, გვ. 33-34].

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გამოვლენილი კურტინა გაფართოებულია მითრიდატე VI-ის მიერ კოლხეთის მპყრობელობის ხანაში, რის შედეგადაც იგი 6,65 მ-ის სიგანის ხდება. ამ კედლებზე შეიძლება განლაგებულიყო ლოდსატყორცნები, რომლებიც 8,73 დაქტილის (16 სმ.) კალიბრის ქვის ჭურვებისათვის იყვნენ განკუთვნილნი, ანუ დაახლოებით იმ სიდიდის ჭურვებისათვის, რომლებიც გალავნის კედელში აღმოჩნდა (2,3-2,5 კგ., დიამეტრი - 0,12 მ) და ეკუთვნოდნენ ადგილობრივ გარნიზონს [13, გვ. 352-365].

ჩვენ შევისწავლეთ ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ქვის 23 ჭურვი, რომლებიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისის მუზეუმსა და ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ისინი ადგილობრივი ჯიშის ქვისაგან არიან დამზადებულნი, ზედაპირზე იარაღით დამუშავების კვალი ეტყობათ. ხშირ შემთხვევაში ასევე, ალბათ გამოიყენებოდა რიყის ქვებიც, მაგრამ მათ ვერ შევეხებით ვერც მასალის ტიპოლოგიური კლასიფიკაციისას და ვერც სხვა საკითხების განხილვისას, ვინაიდან შეცდომისაგან არ ვიქნებით დაზღვეულნი.

ჭურვებს რამდენიმე ასპექტით განვიხილავთ: პირველი - დავადგენთ მათ კალიბრს და ამის საფუძველზე განვსაზღვრავთ თუ რა ფართობი დასჭირდებოდა მათ შესაბამის ლოდსატყორცნებს თავდაცვით სისტემაში; მეორე - როგორც ცნობილია, ლოდსატყორცნები გამოიყენებოდა, როგორც მოალყეთა მიერ ქალაქის კედლების დასანგრევად, ასევე თავდაცვის მიზნით, ძირითადად მოწინააღმდეგის საალყო მანქანებისა და მოწყობილობების დასაზიანებლად. ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭურვები, ჩვენი აზრით უნდა განვიხილოთ ორივე თვალსაზრისით, როგორც მომხვდურთა, ასევე დამცველთა მოქმედების გასაანალიზებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ძალზე ძნელია იმის დადგენა ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ჭურვი - ქალაქის გარნიზონს თუ მოწინააღმდეგეს (თუმცა ხშირად ჭურვი ისეთ პირობებშია აღმოჩენილი, რომ აშკარაა - მისი გამოყენებით არის დანგრეული ნაგებობა). ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია იმ ტერიტორიების შემოფარგვლა, სადაც ეს მასალა არის ფიქსირებული. ვინაიდან თუ ისინი მოწინააღმდეგეს ეკუთვნის, მაშინ ძველი ქალაქის ეს ადგილი ყველაზე უფრო მისაწვდომელი იყო მოალყეთა ლოდსატყორცნებისათვის; ხოლო - თუ ადგილობრივ გარნიზონს, მაშინ ჭურვების კონცენტრაცია იმ ადგილებში არის სავარაუდო, სადაც თავდამცველთა ლოდსატყორცნების პოზიციები იყო განლაგებული, მოწინააღმდეგის საალყო დანადგარებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, და არა თავდაცვითი სისტემის მთელ პერიმეტრზე. ამ ვითარებაში, როგორც მოალყეთა, ასევე თავდამცველთა ჭურვების აღმოჩენის ადგილები დაახლოებით ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. მესამე - ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ყველა მასალის (როგორც სამხედრო საქმის, ასევე სხვა არქეოლოგიური ძეგლების) გათვალისწინებით შევეცდებით რეკონსტრუქცია მოვახდინოთ იმ ვითარებისა, რა პირობებშიც მოხდა ძველი

ვანის დანგრევა და აღება მოწინააღმდეგის მიერ.

ჭურვებზე მუშაობისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ე. შრამისა [14] და ა. ბოლდირევისა და ი. ბოროვსკის [8, გვ. 269-313] ნაშრომებს, სადაც თავმოყრილია ანტიკური ხანის, როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური წყაროები ბერძნულ-რომაული პოლიორკეტიკის შესახებ. პოლიორკეტიკის შესწავლის ძირითად წერილობით წყაროდ ფილონ ბიზანტიელის ნაშრომია მიჩნეული. მის მიხედვით ჭურვები რვა ჯგუფადაა დაყოფილი წონისა და კალიბრის მიხედვით:

10 მინა - 11 დაქტილი
15 მინა - 12 3/4 დაქტილი
20 მინა - 14 დაქტილი
30 მინა - 15 3/4 დაქტილი
50 მინა - 18 3/4 დაქტილი
1 ტალანტი - 20 დაქტილი
2 1/2 ტალანტი - 25 დაქტილი
5 ტალანტი - 27 დაქტილი

აქედან მხოლოდ პირველი ექვსი გამოიყენებოდა ლოდსატყორცნებისათვის. ბოლო ორი კალიბრის ჭურვი სპეციალური ღარების მეშვეობით იმართებოდა. ერთი ატიკური მინა 0,436 გრ-ია, ტალანტი - 26, 196 კგ.; ერთი დაქტილი - 0,01848 მ. ფართობი, რომელიც ლოდსატყორცნისათვის იყო საჭირო - სიგანით ჭურვის კალიბრს 13,5-ჯერ უნდა აღემატებოდეს, სიღრმით - 16-21-ჯერ, ანუ ყველაზე უფრო მსხვილკალიბრიანი (20 დაქტილი) ჭურვისათვის განკუთვნილი ლოდსატყორცნი საჭიროებდა 270 დაქტილი x 320 - 420 დაქტილი (5 მ x 5,90-7,70 მ) ფართობს.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული ჭურვების რაოდენობა, რომელთა გაზომვაც ჩვენ მოვახერხეთ სადღეისოდ 23 ცალს შეადგენს. მათი გაზომვისას უპირატესობას ვანიჭებთ დიამეტრის ზომას - წონასთან შედარებით. ვინაიდან ჭურვების გარკვეული რაოდენობა დაზიანებულია (ცხრ. I) და მათი აწონვა უზუსტობას გამოიწვევს. ამ ჭურვების დიამეტრი შეადგენს: 1) 0,10 მ - 1 ც.; 2) 0,145 მ - 1 ც.; 3) 0,165 მ - 3 ც.; 4) 0,19 მ - 1 ც.; 5) 0,195 მ - 1 ც.; 6) 0,20 მ - 1 ც.; 7) 0,21 მ - 4 ც.; 8) 0,22 მ - 2 ც.; 9) 0,225 მ - 1 ც.; 10) 0,24 მ - 2 ც.; 11) 0,245 მ - 2 ც.; 12) 0,26 მ - 2 ც.; 13) 0,27 მ - 1 ც.; 14) 0,28 მ - 1 ც.

თუ ამ მონაცემებს დაქტილებზე გადავიყვანთ მოვიღებთ: 1) 5,41 დაქტილი - 1 ც.; 2) 7,85 დაქტილი - 1 ც.; 3) 8,93 დაქტილი - 3 ც.; 4) 10,28 დაქტილი - 1 ც.; 5) 10,55 დაქტილი - 1 ც.; 6) 10,82 დაქტილი - 1 ც.; 7) 11,36 დაქტილი - 4 ც.; 8) 11,90 დაქტილი - 2 ც.; 9) 12,16 დაქტილი - 1 ც.; 10) 13 დაქტილი - 2 ც.; 11) 13,26 დაქტილი - 2 ც.; 12) 14,07 დაქტილი - 2 ც.; 13) 14,61 დაქტილი - 1 ც.; 14) 15,15 დაქტილი - 1 ც.

აქედან გამომდინარე ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭურვები ფილონის კლასიფიკაციის პირველ ოთხ ჯგუფში თავსდებიან მიახლოებით.

ყველაზე მცირე კალიბრის ჭურვის (0,10 მ) ლოდსატყორცნისათვის საჭირო ფართობია - 1,35 მ x 1,60 მ - 2,10 მ; ყველაზე უფრო დიდი კალიბრის ჭურვის (0,28 მ) ლოდსატყორცნისათვის - 3,78 მ x 4,48 მ - 5,78 მ.

ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი თავდაცვითი სისტემა შედგება რვაკუთხა კოშკისა და კურტინის ერთი მონაკვეთისაგან (ტაბ. III). კოშკის დიამეტრი დაახლოებით 13 მ-ია კედლების ჩათვლით. კედლების სისქე - 3,25 მ-ია, ხოლო შიდა ფართობის დიამეტრი 6,50 მ. ეს ფართობი (კოშკის შიდა ფართობი) საკმაოდ საკმარისია, რომ მასში განთავსებულიყო ყველაზე უფრო მსხვილი კალიბრის ლოდსატყორცნი, რომლის ჭურვიც კი არის აღმოჩენილი სადღეისოდ ვანის ნაქალაქარზე.

რაც შეეხება კურტინას იგი შედგება ძირითადი კედლისაგან (სიგანე - 1,70 მ) და ორი ტიხარისაგან (მესამე ტიხარი ბოლომდე არ არის გამოვლენილი). ერთი ტიხრის სიგრძე - 3,80 მ-ია, სიგანე - 1,70 მ; მეორე ტიხარის სიგრძე - 4,10 მ-ია, სიგანე - 1,70 მ. მანძილი ტიხრებს შორის 5,80 მ-ია. მათ შორის არსებული სივრცე ყვითელი თიხნარით არის შევსებული. თიხნარის ზედაპირი ფილაქტერიის იატაკს უნდა წარმოადგენდეს. მოყვანილი მონაცემების საფუძველზე კურტინის სიგანე 5,50-5,80 მ-ია. ხოლო სათავსო, სადაც ლოდსატყორცნები უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი სიგანით 5,80 მ-ია; სიღრმით - 3,80-4,10 მ (ტიხრების სიგრძე), ანუ უფრო ნაკლები, ვიდრე კოშკის შიდა ფართობის დიამეტრი და ამიტომ მასში მსხვილი კალიბრის ლოდსატყორცნები ვერ დაიდგმებოდა - მაქსიმუმ - 0,18 მ. დიამეტრისა (3,80 მ : 21). შემდგომ ხანაში მოხდა ერთი ტიხრის დაგრძელება 3 მ-ით, კურტინის გაფართოების მიზნით. გაფართოების შემდეგ კურტინის ლოდსატყორცნის პოზიცია 6,80-7,10 მ სიღრმის გახდა, რაც ჩვენი აზრით, უკვე მსხვილი კალიბრის ლოდსატყორცნებს დაიტევდა. ამდენად, ძველი ვანის თავდა-

ცვითი სისტემა სავსებით აკმაყოფილებდა აქ გამოვლენილი ჭურვების ლოდსატყორცნების მოთხოვნილებებს (ტაბ. I_2).

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს, არის იმ ადგილების ფიქსაცია, სადაც ჭურვები არიან აღმოჩენილნი. ასეთებია ქვედა და ზედა ტერასის სხვადასხვა უბნები. ესენია:

ქვედა ტერასა

1) ნაკვ. 70 თავდაცვითი კედლის შიდა მხარე - 4 ჭურვი, დიამეტრი - 0,18-0,2 მ. [6, გვ. 160].

2) ნაკვ. 70 თავდაცვითი კედლის შიდა მხარე, „ყაზარმასთან" - მრავალი ქვის ჭურვი [7, გვ. 176].

3) ნაკვ. 89 პოლიგონალური კოშკის იატაკზე აღმოჩნდა 2 ჭურვი [11, გვ. 46].

4) ნაკვ. 107-108 თავდაცვით კედელთან აღმოჩნდა ჭურვები [4, გვ. 133-134].

5) ნაკვ. 150 „დიდი ტაძრის" ჩრდილოდასავლეთ მხარეს გაჭრილ კართან დამწვარ ფენაში - ორი სხვადასხვა ზომის ჭურვი [2, გვ. 47].

6) ნაკვ. 150, 167 „დიდი ტაძრის" სამხრეთდასავლეთ მხარეს, ნაგებობის გარეთ, ნანგრევებში [10, გვ. 43].

7) „დიდი ტაძარი," ნაკვ. 167, კვ. h_{8-10}, i_{7-9}, k_{6-9}. „დერეფნის სივრცეში" ნანგრევების ქვეშ, კრამიტყრილში - ხუთი სხვადასხვა კალიბრის ჭურვი [3].

8) ნაკვ. 168, კვ. c_6-d_7 „დიდი ტაძრის" ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ნაგებობის გარეთ ნანგრევებში - სხვადასხვა კალიბრის ჭურვები [11, გვ. 66].

9) „დიდი ტაძრის" ჩრდილო-აღმოსავლეთით, ღარში - კრამიტყრილში ექვსი ჭურვი [3].

ზედა ტერასა

1) ჩრდილოეთ ფერდობთან გამოვლენილ თავდაცვით კედელთან, სხვადასხვა ადგილას - სამოცი ცალი ჭურვი. დიამეტრი 0,16-0,22 მ. [5, გვ. 88].

2) სამხრეთ ფერდობთან, ნაკვ. 221, კვ. i_{6-7} თავდაცვით კედელთან კრამიტყრილში ორი ჭურვი [1, გვ. 15], (იხ. ტაბ. II, ნაქალაქარის გენგეგმაზე პუნქტირით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც აღმოჩენილია ჭურვები, ისრებით ის პოზიციები, საიდანაც უნდა დაბომბილიყო ძველი ქალაქი, ხოლო შავად შეღებილია თავდაცვითი სისტემები).

ამრიგად, ჭურვების უმეტესობა აღმოჩენილია ნაქალაქარის ქვედა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებსა და ზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ თავდაცვით სისტემებში (კოშკი, კურტინა) სადღეისოდ გამოვლენილი არ არის არც ერთი ჭურვი. აქედან გამომდინარე ჭურვების უმეტესობა აღმოჩენილია იმ ადგილებში, სადაც მოწინააღმდეგისათვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი იყო ძველი ქალაქის კედლები, ხოლო ადგილობრივ გარნიზონს მოწინააღმდეგის საალყო მოწყობილობები უნდა გამოეყვანა მწყობრიდან. როგორც ცნობილია ანტიკურ ხანაში ლოდსატყორცნი ჭურვს ეფექტურად დაახლოებით 200 მ-ის მანძილზე ისროდა. გარდა ამისა, მათი პოზიცია განლაგებული უნდა ყოფილიყო იქ, სადაც ნაკლებად მოხვდებოდა მოწინააღმდეგის ლოდსატყორცნების მოქმედების არეში, ანუ შეძლებისდაგვარად რაც შეიძლება მაღლა მათ დონეზე. ვანის ნაქალაქარისთვის ასეთი პოზიციები იყო ქვედა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილები და ზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. სწორედ ორივე ადგილას არის ჭურვების უმეტესობა აღმოჩენილი. ქვედა ტერასა - „კარიბჭის კომპლექსი" და „დიდი ტაძარი" საქვაბიას ღელით გამოყოფილია მეორე გორისაგან, რომელზეც ბარათაშვილის ქუჩა გადის. ეს ორი გორა დაახლოებით ერთი სიმაღლისაა და ერთმანეთთან სწორედ ამ ადგილასაა ძალზე დაახლოებული. ზედა ტერასის ჩრდილოეთ ფერდობი უნაგირით არის გამოყოფილი „გიგოს გორისაგან." ეს უკანასკნელი უფრო მაღალიც არის და ახლოსაც მდებარეობს.

ამდენად, ძველი ვანის დაბომბვა მოწინააღმდეგის ლოდსატყორცნების ჭურვებით ორი მხრიდან განხორციელებულა: პირველი - ქვედა ტერასაზე აშენებული „კარიბჭის კომპლექსისა" და „დიდი ტაძარის" მოპირდაპირე მხრიდან, მეორე - ზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთით გამოვლენილი თავდაცვითი კედელის მიმართულებით.

მესამე საკითხი, რომელიც ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ჭურვებთან კავშირში უნდა განვიხილოთ, არის იმ ვითარების აღდგენა, რა პირობებშიც მოხდა ძველი ვანის დანგრევა და აღება მოწინააღმდეგის მიერ. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, საინტერესოა იმ კომპლექსების განხილვა, რომლებიც ძველი ქალაქის ისტორიის ბოლო პერიოდს ასახავენ. ყველა მათგანის ჩამოთვლა ერთ სტატიაში ვერ მოხერხდება. ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს კომპლექსები ორად შეიძ-

ლება გაიყოს: პირველში ერთიანდებიან ის ნაგებობები, რომლებშიც ხერხდება აღმოჩენილი კერამიკული მასალის ძირითადი მასის აღდგენა; მეორეში ის ნაგებობები, სადაც კერამიკა უმეტეს შემთხვევაში ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ნაქალაქარის კარიბჭე [6, გვ. 156-157] და „დიდი ტაძრის" მეორე სათავსო [11, გვ. 65]. ორივე ნაგებობა, როგორც ცნობილია, აგებულია ქვედა ტერასაზე (რაც შეეხება ზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთ თავდაცვით კედელს, იგი ძალზე იყო დაზიანებული გვიანდელ ხანაში).

ამდენად, ჰიპოთეზის სახით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ თავდაპირველად მოხდა მოწინააღმდეგის მიერ ქალაქის დაბომბვა. ამ დაბომბვის შედეგად დანგრეულმა ნაგებობებმა, თავის ქვეშ მოიყოლეს მათში დაცული კერამიკა, რომელიც მართალია დაიმსხვრა, მაგრამ მთლიანად შემოინახა. დანარჩენ უბნებზე მდგარი შენობები - კი სავარაუდოდ, ჯერ გაიძარცვა, ხოლო შემდეგ ხანძრით განადგურდა.

ლიტერატურა

1. **კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ.** არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.). - ვანი IV. თბ., 1979, გვ. 7-114.

2. **ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ლეჟავა გ., მათიაშვილი ნ., ჭყონია ა., კაჭარავა დ., მიწიშვილი მ., თოლორდავა გ., ლორთქიფანიძე გ., კიღურაძე ნ., გიგოლაშვილი ე.** ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. - საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს. თბ., 1974, გვ. 45-52.

3. **მათიაშვილი ნ.** ელინისტური ხანის კოლხეთის კულტურის ისტორიის საკითხები. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2002 (ხელნაწერის უფლებით).

4. **ფუთურიძე რ., ხოშტარია ნ., ჭყონია ა.** ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. - ვანი I. თბ., 1972, გვ. 111-134.

5. **ხოშტარია ნ.** ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. - ვანი I. თბ., 1972, გვ. 81-95.

6. **ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ლეჟავა გ.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს. - ვანი I. თბ., 1972, გვ. 147-174.

7. **ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს. - ვანი I. თბ., 1972, გვ. 175-185.

8. **Болдырев А.В., Боровский Я.М.** Техника военного дела. Эллинистическая техника. М.-Л., 1948, с. 269-319.

9. **Лордкипанидзе Г.** К истории древней Колхиды. Тб., 1970.

10. **Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Лежава Г., Матиашвили Н., Качарава Д., Гиголашвили Е., Пирцхалава М., Толордава В., Мицишвили М., Кипиани Г., Личели В., Гамкрелидзе Г.** Итоги работ Ванской археологической экспедиции. - ПАИ 1974 г., Тб., 1976, с. 41-46.

11. **Лордкипанидзе О.Д., Путуридзе Р.В., Лежава Г.И., Матиашвили Н.Н., Чкониа А.М., Толордава В.А., Качарава Д.Д., Мицишвили М.Н., Личели В.Т., Гамкрелидзе Г.А., Кипиани Г.Г., Пирцхалава М.С., Квирквелия Г.Т., Гиголашвили Е.Г.** Итоги работ Ванской археологической экспедиции. - ПАИ 1975 г., Тб., 1979, с. 64-75.

12. **Лордкипанидзе О.Д., Путуридзе Р.В., Личели В.Т., Ахвледиани Д.В., Матиашвили Н.Н., Чкониа А.М., Пирцхалава М.С., Качарава Д.Д., Толордава В.А.** Работы Ванской археологической экспедиции. - ПАИ 1982 г., Тб., 1985, с. 46-4.

13. **Толстиков В.П.** Эллинистические элементы в фортификационных системах Боспора. Причерноморье в эпоху эллинизма. - Материалы III Всесоюзного Симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., с. 352-365.

14. **Schramm E.** Poliorketik. - Heerwesen und Kriegfiihrung der Griechen und Rumer. Handbuch der Altertumswissenschaft. Mьn-chen, 1928, S. 209-245.



1



2

ᲒᲐᲑ. II



ტაბ. III



ჯემალ გვეტაძე

ახალი მონაცემები კავთისხევის ციხიაგორის მიდამოებიდან (ძვ.წ. VI-IV სს.)

ციხიაგორა კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში, ერთ-ერთი უბნის (ყოფ. სოფლის) ქვემო ჩოჩეთის NO მხარეს მდებარეობს. კავთისხევის რკინიგზის სადგურიდან კავთისხევისაკენ მიმავალი გზატკეცილის მე-3 კმ-ზე O მხარეს 400 მ-ის დაშორებით. დამხრობილია WO მიმართულებით. მისი თავდაპირველი სიმაღლე 6 მ. ყოფილა. ამჟამად ატმოსფერული და კულტურული ფენების დალექვის შედეგად 12 მ. აღწევს. ფართობი დაახლოებით 0,5 ჰექტარია.

ციხიაგორას ბორცვი გეოგრაფიულად ისეთ ადგილზეა აღმოცენებული, რომ აქედან თვალი გაედევნება ბორცვის ირგვლივ, როგორც მიკრო, ისე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. ბორცვს S მხრიდან (20-25 მ) შემოსაზღვრავს პატარა ღელე შავწყალა (მას ბალების ხევსაც უწოდებენ). იგი მდ. კავთურას მარცხენა შენაკადია. NW და NO მხრიდან აკრავს შესაბამისად საყარაულო სერისა და სამძივის მიწები, მათ ერთმანეთისაგან მიჯნავს ტოპონიმი „დაჭრილები." ბორცვს O მხრიდან 200 მ-ზე ჩამოუდის მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი მდ. კავთურა. ჩვენს მიერ შემოსაზღვრული ეს ტერიტორია დაახლოებით 15 ჰექტარს აღწევს და იგი სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს (ტაბ. I, სურ. 1-2).

ძეგლის აღმოჩენისა და ქრონოლოგიის შესახებ [15, გვ. 6-7, 64-75; 7, გვ. 1-112; 16, გვ. 169-171; 3, გვ. 25-26; 2, გვ. 313-314; 4, გვ. 15-16]. აღსანიშნავია, რომ ციხიაგორაზე ცხოვრება წყდება ადრე შუასაუკუნეების საწყის ეტაპზე, რასაც ადასტურებს ციხიაგორა III ფენის № 2 სათავსოს თავზე კედლის საძირკვლებისა და ამავე ხანის ქვევრების აღმოჩენის ფაქტი.

ბორცვის პარალელურად შეისწავლებოდა: საყარაულოსერის, დაჭრილების, სამძივის, ქასრაანთ მიწების, ლოდებისა და ოქრომიწების სამაროვნები. ამათგან ჩვენ შევეხებით ციხიაგორას ნასოფლარს.

ნასოფლარი ციხიაგორას O მხარეზე 25-30 მ-ზე მდებარეობს. იგი ვაკე ადგილს წარმოადგენს. დამხრობილია N-დან SO მიმართულებით. ფართობი 3 ჰექტარი. საკონტროლო თხრილი გაივლო N-S მიმართულებით (სიგრძე 30 მ, სიგანე 8 მ). 320 კვ.მ. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ 20-25 სმ. მიწის სიღრმეზე დაფიქსირდა მიმოფანტული და ერთმანეთზე მიყრილი თიხის ჭურჭლის ნატეხები. დაფიქსირდა კედლის საძირკვლის ქვები, იმდენად უწესრიგოდ, რომ სათავსოთა გეგმარების დადგენა ვერ მოხერხდა. ნასახლარი განადგურებულია ცეცხლის შედეგად. იატაკი თიხატკეპნილი ყოფილა. შეინიშნება 3 მოლესილობა 3-4 სმ. სისქისა.

ნასახლარზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელი, ნატეხებითაა წარმოდგენილი, მაგრამ ფორმები იკითხება. იგი ორი სახითაა წარმოდგენილი:

ა) მოწითალოდ (მოვარდისფროდ, მოჩალისფროდ, მოყვითალოდ, მოყავისფროდ) გამომწვარ კეციანი, სადა და რიგ შემთხვევაში მოყვითალო-მოყავისფრო საღებავით მოხატული.

ბ) მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, სადა ან იშვიათად ამონაკაწრი და რელიეფური ორნამენტით შემკული. ნასოფლარიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი დამზადების ტექნიკით, ფორმებითა და შემკულობით მსგავსია ციხიაგორა III-ფენის კერამიკული ნაწარმისა და იგი შესაბამისად ძვ.წ. III ს-ით უნდა დათარიღდეს [17, გვ. 119].

ნასოფლარის I ფენის მოხსნის შემდეგ, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 50-60 სმ. მიწის სიღრმეზე აღმოჩნდა 10 სმ. სისქის ნაცროვანი ფენა, რომელშიც ჩანდა ნიადაგიდან ამოშვერილი თიხის ნატეხები. ნაცროვანი ფენის ქვემოთ ახალი კულტურული ფენა დადასტურდა 25 სმ. სისქისა. იგი დაფარული იყო თიხის ჭურჭლის ნატეხებით. აქ არ დადასტურებულა კედლის საძირკვლის ქვები. იატაკი მოლესილი ყოფილა ღორღნარევი თიხით. თხრილის SW კუთხიდან - O მხარეზე N მიმართულებით ერთ მწკრივში 4 მ-ის მანძილზე დადასტურდა ხუთი 15/16 სმ-ის დიამეტრის მქონე ორმო. პირველი ორმოდან მეორე ორმომდე 4 მ-ია. მეორედან - მესამე ორმომდე 3 მ, 80 სმ, მესამედან - მეოთ-

ხემდე 3,40 სმ. ხოლო მეოთხედან - მეხუთე ორმომდე 4 მ, 40 სმ. ორმოთა სიმაღლე იატაკიდან 25-30 სმ-ია. ამის შემდეგ ორმოები არ გაგრძელებულა. ყოველ ორმოში დაფიქსირდა კლდის ან მდინარის ბრტყელი ქვა. № 3 ორმოში შემორჩენილი იყო ხის (ძელის) დამპალ - დანახშირებული მრგვალი ფორმის ძირი, ხოლო დანახშირებული ხის ძელი გადატეხილი იდო იქვე კერამიკის გროვაზე. ნამოსახლარზე სათავსოთა გეგმარება არ მოხერხდა. ჩანს ნაგებობას ბრტყელი გადახურვა ჰქონია, ხოლო ორმოში ჩადებული ქვები შენობის ბაზებს (ფუძეს) წარმოადგენდნენ. ნასოფლარის II ფენაც განადგურებულია. ცეცხლის კვალი დასტურდება, მაგრამ არა ისეთი ძლიერი, როგორიც I-ფენის შემთხვევაში. აქ აღმოჩნდა ქვის მრგვალი ბირთვი (ჭურვი) 5 კგ. წონისა. O მხარეს დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის ძლიერ დაზიანებული ქურის ნაშთი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ადგილი ნასოფლარზე კერამიკულ წარმოებასთან ან მეთუნეთა სავაჭრო დაწესებულებასთან იყოს დაკავშირებული (ტაბ. I, სურ 3).

ნამოსახლარიდან მომდინარე კერამიკული ნაწარმი თავისი ფორმებითა და დამზადების ტექნიკით, გარეგნული იერით საშუალებას იძლევა მასში გამოიყოს: სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების ნივთები.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი:

I. ქვევრები (5 ცალი), ინვ. № 15, 42, 63, 64, 117 გამომწვარია მოწითალო-მოაგურისფროდ.

II. ქილები (5 ცალი), ინვ. № 5, 10, 76 გამომწვარია მოჩალისფროდ, ხოლო ინვ. № 59 მოვარდისფრო-მოწითალოდ. ინვ. № 11 გამომწვარია მოყავისფროდ.

III. დერგები (12 ცალი), ინვ. № 40, 48, 59, 94, 107, 109, გამომწვარია მოვარდისფროდ. ინვ. № 10, 100, 106 გამომწვარია ლეგა მოშავოდ. ხოლო ინვ. № 49 გამომწვარია წითლად და შეღებილია წითლად.

IV. კოკა (1 ცალი), ინვ. № 38 გამომწვარია მოწითალოდ, შეღებილია წითლად.

V. ლანგარი (6 ცალი), ინვ. № 13, 17, 45, 110 გამომწვარია მოვარდისფროდ, ინვ. № 98, 169 მოჩალისფროდ.

VI. დოქი (10 ცალი), ინვ. № 34, 74 გამომწვარია თეთრად, შეღებილია წითელი მბზინვარე ფერით. ინვ. № 37, 39, 43 გამომწვარია წითლად და შეღებილია წითლად. ინვ. № 54 გამომწვარია მოყავისფროდ. ინვ. № 19, 19 ლეგა მოშავოდ, ხოლო ინვ. № 20, 45 მოჩალისფრო-მოვარდისფროდ.

VII. ხელადები (12 ცალი), ინვ. № 1, 3, 20, 41, 41_1, 41_2, 41_8, 4_2 გამომწვარია მოვარდისფრო-მოწითალოდ № 41_5, 41_6 გამომწვარია მოვარდისფროდ, ხოლო ინვ. № 467 გამომწვარია მონაცრისფროდ.

VIII. ჭინჭილა (1 ცალი), ინვ. № 28 გამომწვარია მოაგურისფროდ.

IX. კოჭობი (1 ცალი) ინვ. № 20 გამომწვარია მოვარდისფროდ, შეღებილია წითლად.

X. კოჭების ძირები (4 ცალი), ინვ. № 53, 53_1, 53_2, 53_3 წითლად გამომწვარი.

XI. ჯამები - პირმოყრილი (33 ცალი), ინვ. № 30, 66, 111, 122 გამომწვარია ლეგა მოშავოდ. ინვ. № 8, 15, 29, 34, 39, 103, 103_1, 115 გამომწვარია მოჩალისფროდ. ინვ. № 15 გამომწვარია მოჩალისფროდ, შეღებილია წითლად. ინვ. № 13, 32, 33, 48, 95, 111 გამომწვარია წითლად, შეღებილია წითლად. ინვ. № 6, 22, 31, 103, 107 გამომწვარია მოვარდისფროდ, შეღებილია წითლად. ინვ. № 14, 16, 97, 113 გამომწვარია მოწითალოდ. ინვ. № 3, 15, 20, 78 მოყავისფროდ არის გამომწვარი.

XII. ჯამები - პირგადაშლილი, მხარწიბოიანები (62 ცალი), ინვ. № 3_2, 8, 8_1, 8_2, 8_3, 9, 9_1, 9_2, 13, 16, 16_1, 16_2, 20, 21, 55, 64, 66, 92, 105, 105_1, 107, 109 გამომწვარია წითლად, შეღებილია მოწითალოდ. ინვ. № 49, 92, 125 გამომწვარია მოყავისფროდ. ინვ. № 1_3, 7, 13, 13_1, 13^2, 22, 23 გამომწვარია ლეგა მონაცრისფროდ. ინვ. № 52, 104, 104_1, 104_2, 104_3, 107_4, 107_5, 107_6, 107_7 გამომწვარია მოვარდისფრო-მოჩალისფროდ. ინვ. № 5, 6, 6_1, 6_2, 37, 37_1, 44, 45 რუხად, მოშავო. ინვ. № 73, 78, 78_1, 78_2, 113 გამომწვარია მოვარდისფროდ.

სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი:

XIII. ქოთნები (33 ცალი) მათ შორის 28 ცალი შავად გამომწვარია. ინვ. № 33-58, 115 მოყავისფრო კეციანი. ინვ. № 17 მოვარდისფროდ გამომწვარი, შეღებილი წითლად, ხოლო ინვ. № 17 მოვარდისფრო კეციანია, წითლად შეღებილი.

XIV. სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი (37 ცალი) - ქოთნები და ქვაბ-ქოთნები. აქედან 30 ნიმუში შავად გა-

მომწვარია, ხოლო ინვ. № 25, 55, 58 გამომწვარია მოჩალისფროდ, წითლად შეღებილი, ხოლო ინვ. № 21, 32, 56, 58 გამომწვარია მოვარდისფროდ შეღებილია წითლად. ინვ. № 40 გამომწვარია მოყავისფროდ.

ციხიაგორას II-ფენის თიხის ჭურჭელი დამზადების წესით ორი ჯგუფითაა წარმოდგენილი: ა) წითელკეციანი და ბ) მოშავო - მონაცრისფროდ გამომწვარი. წითელკეციან თიხის ჭურჭლებში ჩნდება უცხო ფორმის ჭურჭელიც: ქვევრები, ყელზე მაღალ რელიეფური, ჰორიზონტალურად, დაგრეხილი თოკისებრ სარტყლიანი, მაღალტანიანი, ვიწროტანიანი ქილები, პირგადაშლილი თხელკეციანი დერგები, პირმოყრილი და პირგადაშლილი მხარწიბოიანი ჯამები და ჩაიდნისებურმილიანი ხელადები.

ქვევრი (ტაბ. II, სურ. 1) ცილინდრისებური ფორმის ყელიანი, მხრისა და ყელის გადაბმის ადგილზე ჰორიზონტალურად შემოუყვება მაღალრელიეფური ირიბი ნაჭდევი სარტყელი. ამ ქვევრს ზუსტი პარალელი ვერ მოვუძებნეთ, მაგრამ იგი ჩანს ხოვლე III და ხოვლე II-ზე [12, ტაბ. LIV_{523-5}, LVII_{1080-5}]. იგი ყელზე დაგრეხილი თოკისებრ ორნამენტიანი ქვევრების ერთ-ერთ სახეობას უნდა წარმოადგენდეს. ქვევრის ნატეხს (ტაბ. II, სურ. 2), რომელსაც ჰორიზონტალურად შემოუყვება, მაღალრელიეფური სარტყელი, მასზე დატანილი დაკეჭნილი ორნამენტით, პარალელი ციხიაგორა IV-ფენის B დონეზე [9, ტაბ. V_{26}] ეძებნებათ. ხოლო ქვევრის ნატეხს (ტაბ. II, სურ. 3) ჰორიზონტალურად შემოუყვება რელიეფურად, ოვალური ფორმის ერთმანეთზე მიჯრილი სარტყელი. მასაც ანალოგი ციხიაგორა IV ფენის B დონეზე ეძებნება [9, ტაბ. VI_{29-32}] და ციხიაგორა IV-ფენის C დონეზე [9, ტაბ. V_{25}].

ქილები I ტიპი (ტაბ. II, სურ 4-5) ყელგამოყვანილი, ცილინდრული ფორმის ყელით. მსგავსი ქილები აღმოჩენილია ხოვლე III [12, გვ. 91, ტაბ. $LV_{1860-5, 859-9}$, ტაბ. LV_{1388}] და ხოვლე II [12, ტაბ. $LVII_{1017-5, 1239-5}$] და IV ფენაში [9, ტაბ. VI_{13-17}].

ტიპი II (ტაბ. II, სურ. 6) ყელგამოყვანილი სწორყელიანი, მხრები მკვეთრად დავიწროებული. ანალოგი ეძებნებათ ხოვლე III ფენაში [12, ტაბ. LV_{1732-5}].

დერგები ტიპი I (ტაბ. II, სურ. 7-8) პირგადაშლილი, ფართო პირიანი, თხელკეციანი. ანალოგს პოულობს მცირე ზომის ფართოპირიან ქვევრებთან [22, გვ. 15, სურ. 14, 57].

კოკა (ტაბ. II, სურ. 9) ფართო ყელიანი, ოვალურ განივკვეთიანი ყური მიერთებული აქვს პირზე და მხარზე. ყურის პირთან მიერთების ადგილზე აქვს მრგვალი დაბრტყელებული წიბო. ანალოგი ეძებნება ხოვლე II ფენაში [12, ტაბ. $LVI-109_6-5$].

დოქები ტიპი I (ტაბ. II, სურ. 10-11) ყელიდან პირისაკენ ექვს რიგად დატანილი აქვს წერტილოვანი ორნამენტი. აქაც პარალელი ეძებნებათ ხოვლე II [12, ტაბ. LVII_{857-5}] და ნარეკკავზე [5, ტაბ. LVI_{1390}]. აგრეთვე ციხიაგორა IV ფენა C დონეზე [9, ტაბ. VI_{33}].

ტიპი II (ტაბ II, სურ. 12-13) ტუჩიან დოქებს ანალოგი ეძებნებათ ხოვლე III [12, ტაბ. LVI_{1390}] და ციხიაგორა IV ფენა C დონეზე.

ლანგარი (ტაბ. II, სურ. 14).

ხელადები, ტიპი I (ტაბ. II, სურ. 15-18) ჩაიდნისმილისებური, ერთ-ერთ მათგანს (ტაბ. II, სურ. 16) მილის გარშემო შემოუყვება წერტილოვანი ორნამენტი. მსგავსი ხელადები აღმოჩენილია ციხიაგორა IV ფენა B და C დონეზე - ორმო № 5 [9, ტაბ. IV_{36}, V_{33}].

ჯამები ტიპი I. პირმოყრილი, მრგვალპირბაკოიანები (ტაბ. IV_{19}). მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ხოვლე III-ში [12, ტაბ. $LIII-706_a-5$, 708-5, 722_a-5, 711-5] ჯამებთან.

ჯამები ტიპი II (ტაბ. IV_{20}) პირგადაშლილი, მხარწიბოიანები, გვხვდება, როგორც მრგვალპირბაკოიანი, ისე ბრტყელპირბაკოიანები. მსგავსი ფორმის ჯამები გვხვდება ხოვლე II [12, ტაბ. $LIII-701_a-5$, 545-5, 705_a-5, 857-5; LVIII-410-5], აგრეთვე ციხიაგორა IV ფენაში [9, ტაბ. $V_{5, 6}$; $VII_{6, 7}$].

სამზარეულო ჭურჭელი:

ქოთნები - დამზადების წესი უცვლელია. ისინი მსხვილმარცვლოვანი. ქვიშანარევი თიხისაგანაა დამზადებული. ცვლილებას განიცდის ძირი., იგი უფრო ფართო და მდგრადი ხდება. გვხვდება შემკობის ტრადიციული სადა, ტალღური, რომბისებური ორნამენტიანები.

ნამოსახლარიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი ადგილობრივი წარმოებისაა - მეტეხი II და მეტეხი III თიხებით [11, გვ. 56-59]. ეს საბადო ციხიაგორიდან 13-14 კმ-ზე მდებარეობს. არ არის გამორიცხული

ციხიაგორელები იყენებდნენ ციხიაგორიდან O მხარეზე - 3 კმ-ის დაშორებით მდებარე „ლიბა-ლიბების“ თიხის საბადოსაც. ტოპონიმი „ლიბა-ლიბები“ სემიტური (ასურულ-ბაბილონური) სიტყვაა, რაც ქართულად „თიხა-თიხებს“ შეესატყვისება. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ეს თიხები კარგად იმჭლეოდა და მას იყენებდნენ თიხის ჭურჭლის დასამზადებლად. ციხიაგორის ნასოფლარის II ფენიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი თავისი დამზადების ტექნიკით, ასევე ფორმებით სრულიად შეესაბამება და სინქრონულია ციხიაგორა IV ფენის ABC დონის კერამიკული ნაწარმისა და იგი ძვ.წ. VI-IV საუკუნით თარიღდება.

წითელკეციანი უცხო ფორმის თიხის ჭურჭლის წარმომავლობის, აღმოჩენებისა და დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული [22, გვ. 3].

სიახლე შეიტანა მცხეთის რაიონში სოფ. ნადიკვარის გორანამოსახლარებისა და მათი სინქრონული სამაროვნების შესწავლამ. აქ ნამოსახლარის I სამშენებლო ჰორიზონტის სინქრონულ სამაროვანზე (სამარხი № 32) აღმოჩნდა ნაცრისფერკეციანი სამტუჩა ხელადა [5, გვ. 94, ტაბ. LXXXVIII, სურ. 1]. იგი ძვ.წ. VI ს-ის მიწურულისა და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისით თარიღდება. როგორც ჩანს დღეს ეს თარიღი მისაღებია მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის რეგიონებისათვის (წითელკეციანი კერამიკა ზემოაღნიშნულ რეგიონში ამ ხანაში დადასტურებული არ არის). რაც შეეხება ქვემო ქართლსა და შიდა ქართლის გაღმა მხარეში (მდ. მტკვარსა და თრიალეთის ქედს შორის მოქცეული ტერიტორია) აქ, წითელკეციანი თიხის ჭურჭლის გაჩენა გარკვეულად წინ უსწრებს უცხო ფორმის თიხის ჭურჭლის გაჩენას. ამ მიმართებით ყურადღებას გავამახვილებთ დღემდე შესწავლილ სამ ნამოსახლარზე. ესენია: ხოვლე IX სამშენებლო ჰორიზონტის (ძვ.წ. IX-VII სს.) უკანასკნელი ფაზა [12, გვ.38], ღრმახევისთავის ნამოსახლარი, რკინის ფართო ათვისების უკანასკნელი საფეხური - ძვ.წ. VI ს. [1, გვ. 23-24], ციხიაგორა IV ფენა ძეგლის NO კუთხეში ელინისტური ხანის ოთხკუთხა კოშკის მშენებლობის დროს ჩაჭრილი ძვ.წ. VI ს-ის მასალა (ტაბ. $IV_{21, 22, 23, 24}$), აგრეთვე ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის III ფენის № 1 სათავსოს იატაკის ქვეშ გამოვლენილ მასალები.

სამივე ძეგლი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს და მოიცავს საქართველოს ისტორიულ ოლქებს ქვემო ქართლსა და შიდა ქართლის გაღმა მხარეს.

სამივე ძეგლზე საკვლევი კერამიკის თითო-ოროლა ნიმუშია აღმოჩენილი, მრავალრიცხოვან, ადგილობრივი ტრადიციული წესით დამზადებულ მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარ თიხის ჭურჭელთან ერთად. მათი კეცი მსხვილმარცვლოვანი უხეშკეციანია, აქვს ხაოიანი ზედაპირი, რაც უცხოა ურარტული სამეთუნეო ცენტრებიდან თუ ხოვლე III და ხოვლე II სამშენებლო ჰორიზონტებიდან მომდინარე წითელკეციანი კერამიკისათვის. განსხვავებაა შემკულობაშიც. წითელკეციანი თიხის ჭურჭლის ნიმუშები - ხოვლე IV [12, ტაბ. $XLVII\text{-}2276_{12}$, $XIX\text{-}2288_{15}\text{-}2288_{6}$] შემკულია ირიბი დაკეჭნილი ორნამენტებით [12, ტაბ. XLIX_{23274}]. ჭურჭლის გვერდზე ორი ამოღარული სალტეა, რომელშიც ორი ამონაკაწრი ორნამენტია ერთმანეთის პარალელურად ჯვრისა და ირიბი ფორმისა. ხოლო ნატეხს [12, ტაბ. XLIX_{1823}] შემოუყვება ორ-ორი ჰორიზონტალური ამოღარული ტალღისებური ორნამენტი. ჭურჭლის შემკობის ყველა ეს წესი დამახასიათებელია ადგილობრივი, წინამორბედი ხანის თიხის ჭურჭლებისათვის. ასეთივე სურათი გვაქვს ღრმახევისთავის ნამოსახლარზეც, სადაც 100-მდე ლეგა-მონაცრისფრო თიხის ჭურჭელთან, მხოლოდ სამი ცალი წითელკეციანი ჭურჭლის ნატეხია დაფიქსირებული [1, გვ. 96, 100, ნახ. 74, სურ. 30-36, ნახ. 75, სურ. 82]. მათ შორის ერთი (სურ. 36) შემკულია ამოღარული ჰორიზონტალური კონცენტრული ხაზებითა და ირიბი ნაჭდევი ორნამენტებით. ციხიაგორას ბორცვის NO კუთხე III ფენის (ძვ.წ. IV ს-ის მიწურული - III ს.) კუთვნილი ოთხკუთხა კოშკის მიერ ჩაჭრილ (2x2მ) ფენაში მრავალრიცხოვან მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარ თიხის ჭურჭელთან აღმოჩნდა 2 ცალი პირგადაშლილი, მხარწიბოიანი ჯამი (ტაბ. III, სურ. 21, 22). მათ შორის ერთი შავად გამომწვარი. ისინი დაფიქსირდა ლეგად გამომწვარ მრგვალ პირბაკოიან მხარზე დატანილ ტალღისებურ ორნამენტიან ჯამთან [17, გვ. 192] და ჭრაქთან (ტაბ. III, სურ 23-24). ძვ.წ. VI ს-ის ფენაში. ასეთივე ჭრაქი აღმოჩენილი იქნა ციხია-

გორა IV ფენის C დონეზე. სატრაპეზოს ელინისტური ხანის ფენის ქვეშ (10x4) [9, ტაბ. VII_8].

საგულისხმოა, რომ წითელკეციანი თიხის ჭურჭლების ამ თითო-ოროლა ნიმუშებთან არსად არ დადასტურებულა წითელკეციანი უცხო ფორმის თიხის ჭურჭელი. აღნიშნული ეს სამი მომენტი გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ წითელკეციანი თიხის ჭურჭლის ეს ნიმუშები ადგილობრივ მეთუნეობაში მომხდარი ცვლილებების I ეტაპად განვიხილოთ და მათი წარმომავლობა ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაში მომხდარ პროგრესულ განვითარებას დავუკავშიროთ. თუმც არ გამოვრიცხავთ, კულტურულ დინებას სამხრეთიდან, რამაც შესაძლოა წითელკეციანი ჭურჭლის წითლად შელებვაში ჰპოვა ასახვა.

ცვლილებების II ეტაპი აღნიშნული უცხო ფორმის თიხის ჭურჭლების გაჩენით უნდა აიხსნას და იგი ურარტული სამყაროდან ემიგრირებული მოსახლეობის შემოხიზვნის გამოვლენაა ქვემო ქართლსა და შიდა ქართლის გაღმა მხარეში. მაგრამ აქ საუბარი არაა საკუთრივ ურარტულბიაინილის ხალხის განსახლებაზე (რომლის ენობრივი დანაშრევი ძალზე მცირეა) ან ექსპანსიაზე, არამედ აქ ძირითადად ვგულისხმობთ ურარტუს სამეფოს ჩრდილოეთ პროვინციებში ურარტული კულტურის დანაშრევში მოხვედრილ ქართველურ მოსახლეობას [12, გვ. 90; 10, გვ. 359; 21, გვ. 15, 268; 25, გვ. 365].

აქემენიდური ირანის, კერძოდ, დარიოს I-ის (ძვ.წ. 522-485 წწ.) დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მისი სამხრეთი ნაწილი, ჩართული ჩანს აქემენიდური ირანის კულტურულ-ეკონომიკურ სივრცეში, სადაც სასაქონლო ხასიათი შეიძინა ღვინომ, რამაც წინ წასწია მევენახეობის დაწინაურება, რომლის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წითლად გამომწვარი ქვევრი განსაზღვრავს.

მილიანი ხელადების გაჩენას, მის ფუნქციონირებას ადგილობრივ მეთუნეობაში ტექნოლოგიური და მეურნეობითი ცვლილებები არ გამოუწვევია. მისი გავრცელების ქვედა ზღვარი ცნობილია (ძვ.წ. IV ს-ის მიწურული - III ს.). ისინი არ გვხვდება ციხიაგორა III ფენაში, და არც „დაჭრილების" სამაროვანზე. მაგრამ ამ საკითხზე მოვიშველიებთ ციხიაგორა III ფენის № 1 სათავსოს ქვედა ფენაში მოპოვებულ მასალებს.

ციხიაგორა III ფენის № 1 სათავსოს იატაკის ქვეშ 20-25 სმ. მიწის სიღრმეზე O მხრიდან გამოდიოდა ორი N და S კედელი. კედლის საძირკვლის სიმაღლე 25-40 სმ., სიგანე 0,40 სმ. კედელი ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით და თიხის ხსნარით. S კედელსა და № 1 სათავსოს O მხარეზე არსებულ სარკმელს შორის, იატაკიდან 30 სმ. მიწის სიღრმეზე შემორჩენილი იყო იატაკის ფრაგმენტები, რომელსაც ციხიაგორა IV ფენის I დონე ეწოდა, ხოლო III ფენის სათავსოს იატაკის დონიდან 55-65 სმ. მიწის სიღრმეზე აღმოჩენილ იატაკის ფრაგმენტებს ციხიაგორა IV ფენის II დონე. ამის შემდეგ ამ მონაკვეთში, დაღრმავება არ მომხდარა. ციხიაგორა IV ფენა I დონეზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის მოხატულიც. ხოლო ციხიაგორა IV ფენა II დონეზე, აღმოჩნდა დიდი ზომის ჩაიდნისებურმილიანი ხელადის პირყელისა და გვერდის ნაწილი (ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში). მასთან ერთად აღმოჩნდა მსხვილმარცვლოვანი, სფერულტანიანი, რომბისებური ორნამენტით შემკული, მოყავისფრო-მოწითალოდ (შეიძლება მეორადი გამოწვაც) გამომწვარი დერგი (ტაბ. III, სურ. 25). საინტერესო გარემოებად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მონაცემები დადასტურდა ციხიაგორა IV ფენის B დონეზე ტაძრის ეზოში [9, გვ. 50, ტაბ. IV_2, V_{39}], სადაც დაფიქსირდა ჩაიდნისებურმილიანი მილები.

აღნიშნული სახის ხელადები ჩანს ძვ.წ. III ათასწლეულში. იგი გავრცელებული იყო მთელს შუამდინარეთში, მათ შორის ელამის ტერიტორიაზე, სადაც ძვ.წ. VIII-VII სს. განსახლებულმა ირანულმა ტომებმა, სხვა ადგილობრივი კულტურის მიღწევებთან ერთად გაითავისეს ამ სახის ჭურჭლების დამზადება [12, გვ. 9-10]. ჩვენში კი ის შემოდის ირანის გზით ციხიაგორა IV ფენის II დონეზე -შესაბამისად ციხიაგორა IV ფენის B დონეზე.

ამ ჭურჭლის ფუნქციონირებამ ციხიაგორა IV ფენა II დონე, სხვა ირანული კულტურის ელემენტებთან (არქიტექტურა, საკულტო, ხელოსნობა და სხვა) საფუძველი მოგვცა გვეფიქრა, ქართლის, კერძოდ, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის გაღმა მხარის აქემენიდური ირანის პოლიტიკურ სივრცეში მოქცევისა არტაქსერქსე I-ის (ძვ.წ. 464 -424 წწ.) ზეობის

ხანიდან ამ სახელმწიფოს დაცემამდე [2, გვ. 313-314; 3, გვ. 25-26; 14, გვ. 16].

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი რ.** ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

2. **გვეტაძე ჯ.** წითელკეციანი კერამიკის გაჩენის შესახებ საქართველოში. - საისტორიო კრებული VII, თბ., 1977.

3. **გვეტაძე ჯ.** კავთისხევის ციხიაგორაზე აღმოჩენილი ზიარსხეულიანი ხარების სემანტიკური გაგებისათვის. - ძეგლის მეგობარი, № 54, 1980.

4. **გვეტაძე ჯ.** საყარაულო სერის ნამოსახლარი. - ძეგლის მეგობარი, № 40, თბ., 1979.

5. **დავლიანიძე რ., სადრაძე ვ.** ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ., 1993.

6. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

7. **კახელიშვილი თ.** შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები ციხიაგორაზე (პრეპრინტი), თბ., 1990.

8. **მახარაძე ზ.** ციხიაგორას მტკვარარაქსული ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ., 1994.

9. **მახარაძე ზ., ნარიმანიშვილი გ.** ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. - ძიებანი, № 7, 2001.

10. **მელიქიშვილი გ.** ურარტუ, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.

11. **მორჩაძე თ.** შიდა ქართლის ანტიკური ხანის კერამიკა, თბ., 1979.

12. **მუსხელიშვილი დ.** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

13. **მუსხელიშვილი დ.** ხოვლეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა. - ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, 1964 მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1964.

14. **ქართლის ცხოვრება.** თბ., 1955. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

15. **შატბერაშვილი ზ.** კასპის რაიონში 1968 წელს ჩატარებული საველე მუშაობის მოკლე ანგარიში. - იაე ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, თბ., 19

16. **ცქიტიშვილი გ.** ციხიაგორა. - სიკძა V, თბ., 1990.

17. **ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე II, თბ., 1970.

18. **Гветадзе Дж.** Взаимоотношения грузинских племен с ближним востоком в середине I тысячелетия до н.э., по археологическим материалам (керамика). - Автореферат диссертации по соискание ученной степени кандидата исторических наук, Тб., 1983.

19. **Гветадзе Дж.** и другие... Поселение. Итоги работ Кавтисхевской Археологической экспедиции. - ПАИ, 1976.

20. **Дьяконов И.М.** История Мидии, М.-Л., 1956.

21. **Меликишвили Г.А.** Наири-Урарту, Тб., 1954.

22. **Нариманишвили Г.К.** Керамика Картли VI-I вв. до н.э.

23. **Мусхелишвили Д.Л.** К вопросу о распространения красноглиняной керамики на территории восточной Грузии в раннеантичную эпоху (по материалам раскопки Ховлегора). - СА. 1978.

24. **Цкитишвили Г.Г.** Результаты работ на "Цихия-гора" (1971-1974). Краткие сообщения 151. Античние памятники Колхиды и Иберии, М., 1977.

25. Хрестоматия по истории древнего востока, М., 1963.

26. **Colonen A.** History Die Hausgeräte der osten Messopotamier Gefässe, Hellsink, 1966.

ტაბ. I



1



2

ციხიაბორას ნასახლარი (აკვთისხევი)



3


7
6
8
5
4
1
2
3
9
15
10
11
18
14
16
17
12
13


0 5 10
19
20
0 10 20
21
22
25
23
24
0 10 20

გიორგი გვინჩიძე

მდ. ტეხურის აუზის ძვ.წ. IV - ახ.წ. VI სს-თა სამარხები

ნოქალაქევი. სენაკის რ-ნის სოფ. ნოქალაქევში სამაროვანი [1; 13; 10, გვ. 63-70; 9, გვ. 107-109; 6, გვ. 81-82; 7, გვ. 60; 11, გვ. 89-90; 5, გვ. 211-234; 8, გვ. 8] მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან რამდენიმე ათეული მ-ის დაშორებით, ძველი ნაქალაქარის ქვედა ნაწილის აღმოსავლეთ მონაკვეთსა და აღმოსავლეთიდან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. უკავია დაახლოებით 5000 კვმ ფართობი. აღმოაჩინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ექსპედისიამ (ხელმძღ. პ. ზაქარაია). შეიცავს 100-ზე მეტ სამარხს. თავსდება ძვ.წ. IV-ახ.წ. VI (არ არის გამორიცხული VII) სს-თა ქრონოლოგიურ ჩარჩოში. სამარხები ჩაჭრილია წინა პერიოდების - დაწყებული წინარეანტიკური ხანიდან - კულტურულ ფენებში.

სამაროვანზე წარმოდგენილია ორი ტიპის სამარხები - ორმოსამარხები და ქვევრსამარხები. დაკრძალვის წესია ინჰუმაცია. ჩონჩხების დაცულობა სხვადასხვაგვარია, ძირითადად საშუალო. ორმოსამარხები იყოფა სამ ჯგუფად: I ჯგ. ორმოსამარხები ძლიერმოკუნტული მიცვალებულებით; II ჯგ. ორმოსამარხები სუსტადმოკუნტული მიცვალებულებით; III ჯგ. ორმოსამარხები ზურგზე გაშოტილი მიცვალებულებით.

ორმოსამარხები ძლიერმოკუნტული მიცვალებულებით. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ, ან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ინვენტარის ტიპიური განლაგება: თავთან - თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ზარაკი და საყურეები, ვერცხლის მონეტა (კოლხური ნახევარდრაქმა); კისრის და გულ-მკერდის არეში - მინისა და მინისებური პასტის მძივები; ხელებზე - ბრინჯაოს სამაჯურები და ბეჭდები. სამარხთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. IV ს - III ს-ის შუახანები. ნიმუშისათვის:

ორმოსამარხი ძლიერმოკუნტული მიცვალებულით № 2:81. ჩონჩხი ძლიერაა დაზიანებული. მიცვალებული დასვენებულია მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ. ინვენტარი: (ტაბ. I) თავთან - ქუსლგამოყვანილი ქოთანი მასში 2 კოლხური ნახევარდრაქმით; ზოგადად სამარხში - მაღალყელიანი დოქი, 2 პირგადაშლილი კოჭობი, შავლაკიანი სამარილე, 22 მრგვალი და ოდნავ წაგრძელებული მძივი, ზურგშეზნექილი სამაჯური, 3 ოვალურფარაკიანი საბეჭდავიბეჭედი. თარიღი: ძვ.წ. IV ს - III ს-ის შუახანები.

ქვევრსამარხები. სამარხი ქვევრები დაფლულია ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ, იშვიათად - ჩრდილოაღმოსავლეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, ან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მონიშვნის მიზნით ზემოდან ადევთ ლოდები, მდგრადობისათვის ქვები აქვთ შემოწყობილი. სამარხი ქვევრის ზემოთკენ მიმართული გვერდი ამომტვრეულია მიცვალებულის ჩასასვენებლად, ხოლო ამომტვრეული ფრაგმენტები მიცვალებულს აფარია. ცალკეულ შემთხვევებში სამარხი ქვევრი: გახერხილია სიგრძეზე; გვერდამოხერხილია და ძირმოხერხილი. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან ძლიერმოკუნტულად, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ (ძირითადად). არის წყვილადი დაკრძალვის, აგრეთვე სამარხი ქვევრის გარეთ როგორც ადამიანის, ისე ფრინველის თანადამარხვის (?) შემთხვევები. ინვენტარი მოთავსებულია სამარხ ქვევრშიც და მის გარეთაც (თიხის ჭურჭელი). სამარხ ქვევრში ინვენტარის ტიპიური განლაგება: თავთან - ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები; პირში - ვერცხლის მონეტა (კოლხური ნახევარდრაქმა); ყელისა და გულ-მკერდის არეში - მინის მძივები და მძივსაკიდები; ხელებზე - ვერცხლის და ბრინჯაოს სამაჯურები, რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდები; ზოგადად სამარხ ქვევრში - თიხის ჭურჭელი, ცალკეულ შემთხვევებში - რკინის ხელშუბისპირი, ოქროს ფირფიტა - ტანისამოსის შესამკობი, საღებავი. სამარხთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. III ს-ის შუახანები - II ს-ის ბოლო. ნიმუშისათვის:

ქვევრსამარხი № 4:74. სამარხი ქვევრი

დაფლულია პირით დასავლეთისაკენ. ზემოდან ადევს 3 ლოდი, ასევე ლოდები აქვს შემოწყობილი დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა გვერდზე. ინვენტარი: (ტაბ. I_2) სამარხი ქვევრის გარეთ: სამარხი ქვევრის ძირთან - ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრის ქვედა ნაწილი, იმპორტული შავლაკიანი კანთაროსი, ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები ქათმის ძვლებით; სამარხ ქვევრში: მიცვალებულის პირში - ძლიერ გაცვეთილი II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა; მარჯვენა ხელზე - ბრინჯაოს წრიულფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭედი ხელში აღმართული ფიალით ორ კვიპაროსს შორის უზურგო ტახტზე მჯდომი მამაკაცის ფიგურის გამოსახულებით, 2 ზურგსწორი და ზურგშეზნექილი 7-ბურცობიანი სამაჯური; ქვევრის პირთან ჭურჭლის კედლის ბზარში - რკინის მასრაგახსნილი ხელშუბისპირი; ზოგადად ქვევრში - წყვილი ბრინჯაოს ბოლოებგაწვრილებული საყურე-რგოლი, დაახლოებით ერთი მუჭა კომპაქტურად მოთავსებული მინერალური საღებავი ოქრა. არასამარხ ქვევრთან, სამხრეთის მხრიდან - ზურგზე გაშოტილად, თავით დასავლეთისაკენ და სახეშებრუნებით ჩრდილოეთისაკენ (ე.ი. სამარხი ქვევრისაკენ) დასვენებული უინვენტარო მიცვალებული (მსხვერპლად შეწირული?). თარიღი: ძვ.წ. II ს-ის შუახანები.

ორმოსამარხები სუსტადმოკუნტული მიცვალებულებით. მიცვალებულები ქვებით არიან შემორაგულნი. ცალკეულ შემთხვევებში: სამარხის ძირი ქვაყრილითაა დაფარული; მიცვალებულის თავქვეშ დადებულია „ბალიშის" დანიშნულების ქვა. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, იშვიათად - მარჯვენა გვერდზე, თვით დასავლეთისაკენ, ან ზურგზე, თვით სამხრეთისაკენ. არის წყვილადი დამარხვაც. ინვენტარის ტიპიური განლაგება: თავთან - თიხის ჭურჭელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები; ყელისა და გულ-მკერდის არეში - ქვისა და მინის მძივები; ხელებზე - რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, რკინის ბეჭდები; წელთან - რკინის დანა (ერთეული შემთხვევა); ფერხთით - თიხის ჭურჭელი. სამარხთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. II ს-ის ბოლო - I ს-ის ბოლო. ნიმუშისათვის:

ორმოსამარხი სუსტადმოკუნტული მიცვალებულით № 1:76. მიცვალებული ქვებითაა შემორაგული, ასევნია მარცხენა გვერდზე, თავი აღმოსავლეთისაკენ აქვს მიმართული და „ბალიშზე", ქვაზე მოთავსებული. ინვენტარი: (ტაბ. II_1) თავთან - მოხატული დეკორატიული ამფორა; ხელზე - 4 ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯური თანდათან გამსხვილებული, დაწახნაგებული და ჩამოჭრილი ბოლოებით. თარიღი: ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი.

ორმოსამარხები ზურგზე გაშოტილი მიცვალებულებით. ცალკეულ შემთხვევაში სამარხი ორმოს ძირზე დაფენილია სოლენები. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან თავით დასავლეთისაკენ. ინვენტარის ტიპიური განლაგება: თავთან - თიხის ჭურჭელი, ოქროსა და ბრინჯაოს საყურეები; ყელისა და გულ-მკერდის არეში - თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, საკინძები და რგოლი, ქვისა და მინის მძივები; მინის საბეჭდავი (ერთეული შემთხვევა); ხელზე - ბრინჯაოს ბეჭდები; ზოგადად სამარხში - რკინის დანა, ბალთა (ერთეული შემთხვევები) და რგოლი. სამარხთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოა IV-VI (არ არის გამორიცხული VII) სს. ნიმუშისათვის:

ორმოსამარხი ზურგზე გაშოტილი მიცვალებულით № 6:75. მიცვალებული დასვენებულია თავით დასავლეთისაკენ. ინვენტარი: (ტაბ. II_2) თავთან - წყვილი ოქროს ყუნწიანი რგოლოვანი საყურე, წყვილი ბრინჯაოს ბურთულათავიანი საკინძი, ბეჭდისთვალისებრი ყავისფერი მინა. თარიღი: VI ს.

ნოქალაქევში სამარხი გამოვლინდა ძველი ნაქალაქარის ზედა ციხის შუა ეზოშიც, სადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია) აღმოაჩინა ქვევრსამარხი [3, გვ. 23-24; 1, გვ. 23-24].

სამარხი ქვევრი დაფლულია ჰორიზონტალურად, გადაფარულია კირხსნარით. მიცვალებული დაკრძალულია მეორადად. ინვენტარი: ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯური. თარიღი: ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი.

<u>ნანეფიშ ჭალე.</u> სენაკის რ-ნის სოფ. ახალსოფელთან, ადგილ ნანეფიშ ჭალეში, სამაროვანი [2, გვ. 249-257] მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, უშუალოდ მდინარის პირას. შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ტეხურის ფლატეში. გაითხარა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების მიერ. შეიცავს სამ სამარხს. თავსდება ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს-თა ქრონოლოგიურ ჩარჩოში. დასახლება, რომელსაც ეკუთვნის, მიკვლეული არ არის.

სამაროვანზე წარმოდგენილია ორი ტიპის სამარხები - ორმოსამარხები (ერთი მათგანი დარღვეულია) და ქვევრსამარხი. დაკრძალვის წესია ინჰუმაცია. ჩონჩხების ფაქტობრივად მხოლოდ კვალი შემორჩა. მიცვალებული დარღვეულ ორმოსამარხში დასვენებული უნდა ყოფილიყო თავით დასავლეთისაკენ.

დარღვეული ორმოსამარხი. ინვენტარი: თიხის ცალყურა ქოთანი, II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა. თარიღი: ძვ.წ. IV ს - III ს-ის შუახანები.

ქვევრსამარხი. სამარხი ქვევრი დაფლულია ჰორიზონტალურად, პირით ჩრდილოეთისაკენ. ინვენტარი: სამარხ ქვევრში: ბრინჯაოს ბეჭედი ამობურცულზედაპირიანი ვიწრო ფარაკით, 2 ზურგშეზნექილი 5-ცილინდრულწანაზარდიანი სამაჯური, მინის 50 არასწორი მსხლისებრი, თითისტარისებრი და სფეროსებრი მძივი, 2 კოლხური ნახევარდრაქმა. თარიღი: ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის შუახანები.

დაურღვეველი ორმოსამარხი. ინვენტარი: ოქროს ბოლოებდაბრტყელებულ რკალზე თვალბუდედარჩილული 4-ბურთულიანი ბეჭედი, წყვილი რგოლოვანი საყურე ვარდულებასხმული ღერძაკით. თარიღი: III ს-ის შუახანები - IV ს.

ოფაჩაფუ. სენაკის რ-ნის სოფ. ისულას და მდ. აბაშის მდ. ტეხურთან შესართავის სამხრეთით, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს ადგილ ნაოჩუს ცენტრალურ ნაწილ ოფაჩაფუში სამაროვანი [2, გვ. 257-264] გაითხარა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (ხელმძღვანელი გ. ელიავა) მიერ. შეიცავს სამ სამარხს, რომელთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. III ს-ის შუახანები - II ს. დასახლება, რომელსაც ეკუთვნის, მიკვლეული არ არის.

სამარხთა ტიპია ქვევრსამარხი. სამარხი ქვევრები დაფლულია ჰორიზონტალურად. ჩონჩხების დაცულობა საშუალოა. არის სამარხი ქვევრის გარეთ ადამიანთა თანადამარხვის (?) შემთხვევა. ინვენტარის ტიპიური განლაგება: ყელისა და გულ-მკერდის არეში - ბრინჯაოს, თიხისა და მინის მძივები; ხელებზე - ბრინჯაოს ბეჭდები და სამაჯურები; ზოგადად სამარხ ქვევრში - ვერცხლის საყურე-რგოლები, მინის მძივსაკიდები, ვერცხლის მონეტები (კოლხური ნახევარდრაქმები). ნიმუშისათვის:

ქვევრსამარხი № 3. ინვენტარი: ბრინჯაოს 2 სამაჯური - ზურგშეზნექილი 5 ოთხწახნაგა პრიზმისმაგვარი წანაზარდით, და ბოლოებბურცობიანი ზურგში ჩართულ წრიულ ფარაკზე ამოჭრილი მარჯვენა ხელში რაღაც საგნით მდგომი მამაკაცის ფიგურით; მძივები და კოლხური ნახევარდრაქმები დაუდგენელი რაოდენობით. სამარხი ქვევრის ორ მხარეს - ადამიანთა (მსხვერპლად შეწირულთა?) ძვლები რკინის შუბისდა ხანჯლისპირებთან ერთად. თარიღი: ძვ.წ. III ს-ის შუახანები - II ს.

კოდორე. აბაშის რ-ნის სოფ. ზანათთან, ისულეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. აბაშის მდ. ტეხურთან შესართავს ქვევით, ტურაკელის ჭალის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან ველ კოდორეზე, ქვევრსამარხი [2, გვ. 264-265] შემთხვევით იქნა აღმოჩენილი. შეისწავლა მარტვილის მუზეუმის ექსპედიციამ (გ. ელიავას ხელმძღვანელობით). დასახლება, რომელსაც ეკუთვნის, მიკვლეული არ არის.

სამარხი ქვევრი დაფლულია ჰორიზონტალურად. ინვენტარი: ბეჭდები დაუდგენელი რაოდენობით, ერთ-ერთი - ბრინჯაოს წრიულფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭედი ფრთებგაშლილი ფრინველის გამოსახულებით; ასევე დაუდგენელი რაოდენობით - სამაჯურები, მძივები, კოლხური ნახევარდრაქმები. თარიღი: ძვ.წ. III ს-ის შუახანები - II ს.

ბატნაოხორუ. ქ. სენაკის სამხრეთ გარეუბანში, ე.წ. საკალანდარიშვილოს სასაფლაოდან 300 მ-ით აღმოსავლეთით შემორჩენილი შუა საუკუნეების „ჯიხა"-ს ნანგრევებიდან სამხრეთისაკენ 150 მ-ით დაშორებულ ადგილ ბატნაოხორუში, მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე სამაროვანი [4, გვ. 31-33; 2, გვ. 265-268] გათხარა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო - არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია). შეიცავს ორ ფიქსირებულ სამარხს, რომელთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. III ს - II ს-ის მიწურული. დასახლება, რომელსაც ეკუთვნის, მიკვლეული არ არის.

სამარხთა ტიპია ქვევრსამარხი. სამარხი ქვევრები დაფლულია ჰორიზონტალურად. ჩონჩხები არ შემოინახა. ინვენტარი: თიხის

ჭურჭელი; ბრინჯაოს სამაჯურები, საყურე-რგოლები; რკინის სამაჯურები; მინის მძივები და მძივსაკიდები. ნიმუშისათვის:

ქვევრსამარხი № 2. ინვენტარი: (ტაბ. II_3) თიხის 2 ჭურჭელი, ერთი მათგანი ყურიანი; ბრინჯაოს გველისთავებიანი სამაჯური, მძივწამოცმული საყურე-რგოლი; მოოქრული, თეთრსარტყლიანი და წვრილი მინის მძივები. თარიღი: ძვ.წ. II ს-ის მიწურული.

ბანძა. მარტვილის რ-ნის სოფ. ბანძასთან, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე, ქვევრსამარხი [12, გვ. 182-186; 2, გვ. 268-271] შემთხვევით იქნა აღმოჩენილი აბაშის ფლატეში. სამარხის ნაშთი შეისწავლა ს. მაკალათიამ. დასახლება, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს, მიკვლეული არ არის.

სამარხი ქვევრი დაფლულია ჰორიზონტალურად, პირით დასავლეთისაკენ. ჩონჩხი შემოინახა. ინვენტარი: თიხის ორყურა ქოთანი; ვერცხლის თასი, ქამრის 2 წყვილი რგოლი; რკინის ორლესული მახვილი, ფოთლისებრი მასრაშეკრული შუბისპირი, მოხრილი დანა; ანტონინე პიუსის ვერცხლის მონეტა. თარიღი: II ს-ის მეორე ნახევარი.

ამრიგად, მდ. ტეხურის აუზში ძვ.წ. IV - ახ.წ. VI სს-თა სამარხეული ძეგლები მიკვლეულია 6 პუნქტში: ნოქალაქევში - ძვ.წ. IV-I და ახ.წ. IV-VI სს-თა, ნანეფიშ ჭალეში - ძვ.წ. IV-II და ახ.წ. III-IV სს-თა, ოფაჩაფუში - ძვ.წ. III-II სს-თა, კოდორეში - ძვ.წ. III-II სს-თა, ბატნაოხორუში - ძვ.წ. III-II სს-თა, ბანძაში - II ს-ის. ე.ი., მდ. ტეხურის აუზში დადასტურებულია ძვ.წ. IV - ახ.წ. VI სს-თა პერიოდში შემავალი ყველა საუკუნის, გარდა I -ისა, სამარხეული ძეგლი. ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მონაცემებს მდ. ტეხურის აუზის მოსახლეობის ისტორიისათვის ძვ.წ. IV - ახ.წ. VI სს-ში.

ლიტერატურა

1. **გვინჩიძე გ.** ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1988.

2. **გვინჩიძე გ.** ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები, - ნოქალაქევი - არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1978-1982, თბილისი, 1987.

3. **გრიგოლია გ., ოქროპირიძე ნ., ჯაფარიძე ვ., წირღვავა ვ., ჩართოლანი შ.** დასავლეთ საქართველოს სამიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. - არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბილისი, 1972.

4. **გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ.** დასავლეთ საქართველოს სამიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები - მსკა, V, 1973.

5. **ზამთარაძე მ.** ნოქალაქევში 1981-82 წლებში აღმოჩენილი სამარხები, - ნოქალაქევი - არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1978-1982, თბილისი, 1987.

6. **ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.** ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976-1977 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. - სსმაე, VI, 1978.

7. **ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., კაპანაძე თ.** ნოქალაქევის ექსპედიციის 1978-1979 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში. - სსმაე, VII, 1980.

8. **ზაქარაია პ., ლომოური ნ.,** ციხე-გოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი, თბილისი, 1988.

9. **ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.,** ნოქალაქევის ექსპედიციის 1974-1975 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში. - სსმაე, V, 1977.

10. **ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.** ციხე-გოჯი - ნოქალაქევი, თბილისი, 1984.

11. **ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., იაშვილი მ., ზამთარაძე მ., კაპანაძე თ.** ნოქალაქევის ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში. - სსმაე, VIII, 1986.

12. **მაკალათია ს.** 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. - სმმ, IV, 1928.

13. **Гвинчидзе Г.** Нововыявленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-Годжи - Археополиса. Экспресс-информация. Тбилиси, 1978.



1



2



1



2

3

ელენე გიგოლაშვილი

საწურები დასავლეთ საქართველოდან (წითელი შუქურის, ფიჭვნარისა და ვანის სამარხებიდან)

საწური (ბერძნ. ἠθμός) - ლითონისაგან დამზადებული ჭურჭელია, რომელსაც ღვინის გასაწურად ხმარობდნენ. იგი ფართოდ გავრცელდა მთელს ანტიკურ სამყაროში - საბერძნეთში, მაკედონიაში, ბულგარეთში, იტალიაში, მცირე აზიაში, სამხრეთ რუსეთში და სხვ. სხვადასხვაგვარი ფორმის საწურები ხშირად ჩნდება სამარხეულ კომპლექსებში, სადაც ისინი უმეტესად ჩამჩებთან ერთად არის დაფიქსირებული. საწურის ფართო მოხმარებაზე მეტყველებს აგრეთვე ატიკური წითელფიგურული ვაზებისა და ეტრუსკული სახლების კედლის მოხატულობა, რომელიც კარგად უჩვენებს ჩამჩისა და საწურის ხშირად და სწორედ ერთად გამოყენებას [14, გვ. 203; 18, გვ. 44-45] (სურ. 1).

ანტიკური ხანის კოლხეთის სხვადასხვა პუნქტებში ბრინჯაოსგან დამზადებული საწურების ოთხი ნიმუში აღმოჩნდა. ერთი აფხაზეთში, სოხუმთან „წითელი შუქურის" სამაროვნის № 1 სამარხში. ორი ნიმუში - ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული მოსახლეობის სამაროვანზე № 1 და № 15 სამარხებში, ერთიც - ვანის № 6 სამარხში [11A, გვ. 41-59, სურ. 12].

საწური, ბრინჯაო („წითელი შუქურა", სამარხი № 1) შედგება არაღრმა ჯამისგან, რომლის ცენტრში მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული მორკალული სხივებით შექმნილი ვარდული. თითოეული სხივი მთელ სიგრძეზე ნახვრეტებითაა დაფარული. ვარდული დამაგრებულია საწურის ჯამზე მანჭვლებით (ნახაზის მიხედვით 6 მანჭვალია). საწურის ტარი გრძელია, ბრტყელი და თავდება უკან გადაწეული კაუჭით, რომლის ბოლო წარმოადგენს სკულპტურულად შესრულებულ იხვის (თუ გედის?) თავის გამოსახულებას. ტარისა და საწურის ჯამის შეერთების ადგილზე, გარეთა მხრიდან, ჭურჭელი შემკულია ვოლუტებიანი პალმეტით. მ. ტრაპშის თანახმად ჭურჭლის ზომებია: ჯამის დიამეტრი - 13,8 სმ., თვით საწურის დიამეტრი - 10 სმ., ტარის სიგრძე - 20 სმ., სისქე - 0,5 სმ [10, გვ. 270, ტაბ. XXXVI_4] (ტაბ. I_1).

ამ ტიპის საწურებს ზ. ბილიმოვიჩი ეტრუსკული წარმოშობის ძეგლებად მიიჩნევს. იგი აჯგუფებს საწურებს ტარის ფორმის მიხედვით და გამოჰყოფს მათ სამ ტიპს: 1. საწური მოგრძო, ბრტყელტარიანი, დაბოლოებული კაუჭით, რომელიც იხვის (გედის?) თავის სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს ფასში; 2. საწური მოგრძო, რვიანისებური ფიგურებიანი ტარით; 3. საწური მოგრძო, ბრტყელტარიანი, დაბოლოებული იხვის (გედის?) თავის სკულპტურული გამოსახულებით პროფილში (თავი ტართან ერთ სიბრტყეშია გამოსახული). ზ. ბილიმოვიჩი თვლის, რომ დამახასიათებელი ფორმა, ორნამენტის ელემენტები, მისი კომპოზიციური გადაწყვეტა და ბოლოს დამზადების ტექნიკური ხერხები ძალზე ახლოვებს ამ ტიპის საწურებს სხვადასხვაგვარ ბრინჯაოს ნაწარმთან, რომელიც უდავოდ ეტრუსკული წარმოშობისაა [3, გვ. 26 და დასახელებული ლიტ.].

სოხუმთან, „წითელი შუქურის" სამაროვანზე აღმოჩენილი საწური ზ. ბილიმოვიჩის მიერ გამოყოფილი სამი ტიპიდან - პირველს განეკუთვნება. მისი მსგავსია ვულჩის აკლდამის საწური [15, გვ. 192, სურ. B.7.36], ნიმფეონის სამაროვანზე ნაპოვნი საწური [9, გვ. 64], ჩერკასკის ოლქის სოფ. ჟუროვკასთან № 401 ყორღანის გათხრისას გამოვლენილი საწური [10, გვ. 27], ოლბიაში ნაპოვნი რამდენიმე საწური [6, გვ. 75; 9, გვ. 65; 10, გვ. 27], ამავე ჯგუფთან იჩენს მსგავსებას მარიცინის ხუტორის ყორღანში (ოლბიასთან) აღმოჩენილი საწური [16, გვ. 12] და დნეპროპეტროვსკის ოლქის ალექსანდროპოლისის ყორღანის საწური [8, გვ. 22]. ამავე ტიპისაა ათენში, ბენაკის მუზეუმში დაცული საწურები, რომლებიც იტალიკურ ნაწარმად არის მიჩნეული [12, გვ. 71]. ყველა ეს ჭურჭელი ტარის ფორმით ერთი ტიპისაა, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისინი თვით საწურზე დატანილი ნახვრეტების განლაგებით, აგრეთვე ტარისა და საწურის ჯამის შეერთების ადგილზე დატანილი ორნამენტით და ტარის შემკულობით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საწური ნაპოვნი იყო „წითელი შუქურის" სამაროვნის ე.წ. „უმცროსი ჯგუფის" № 1 სამარხში, რომელიც მ. ტრაპშის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. V საუკუნით. ასევე თარიღდება ჩვენი საწურის ანალოგიური, ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშები - ძვ.წ. V საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულითა და მეორე მეოთხედის დასაწყისით - შუა წლებით [10, გვ. 29].

საწური, ბრინჯაო (ფიჭვნარის სამაროვანი, სამარხი № 15), საწურის ჯამი ღრმა არ არის, პირის კიდე დაბრტყელებულია და გარედან სამი წვრილი ღარი შემოუყვება. ტარი წარმოადგენს ტალღოვანი მავთულით შექმნილ რვიანისებური ფორმის ფიგურებს. ყურის მოპირდაპირე მხარეს მიმაგრებულია ყულფი. ტარისა და ყულფის ბოლოები ჯამთან მიერთების ადგილს იმგვარად არის დაბრტყელებული რომ გველის თავის სტილიზებულ გამოსახულებას

მოგვაგონებს. საწურის დიამეტრი - 5,8 სმ., ჯამის დიამეტრი - 12 სმ., ტარის სიგრძე - 12,2 სმ. [11A, გვ. 46, სურ. 2] (ტაბ. I_4).

ასეთი ტიპის საწურებს (რვიანისებური ფორმის ტარით) ზ. ბილიმოვიჩი, მის მიერ გამოყოფილი საწურის ტიპებიდან მეორეში აერთიანებს. ფიჭვნარის საწურის ანალოგიურია საწურები სოფ. ჟუროვკიდან, ოლბიიდან [6 გვ. 76; 10, გვ. 29-30; 11, გვ. 30, ტაბ. XIII_{2-3}], კრივორუკოვსკის ყორღანიდან [8, გვ. 30], ჩიგირინის მპხრის CD III ყორღანიდან [4, გვ. 23], იენის ანტიკური კოლექციიდან - განსაზღვრულია, როგორც ეტრუსკული [15, გვ. 129, სურ. B.7.37], რომის ნაციონალური მუზეუმიდან - აღმოჩენილია ვულჩის 47-ე სამარხში [17, გვ. 138, სურ. 155]. ამ ტიპის საწურების წარმოებას ზ. ბილიმოვიჩი ეტრურიას უკავშირებს. საწურები თარიღდება ზოგადად ძვ.წ. V საუკუნით [10, გვ. 30]. ფიჭვნარის საწურის თარიღია ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევარი, ფიჭვნარის ბერძენი მოსახლეობის სამაროვნის თარიღის თანახმად [1, გვ. 90-91].

საწური, ბრინჯაო (ფიჭვნარის სამაროვანი, სამარხი № 1), საწურის ჯამი ღრმა არ არის, დაბალია, პირის კიდე ფართოა, ზემოდან დაბრტყელებული. ტარი მოგრძოა, ბრტყელი, ბოლოვდება იხვის (გედის?) თავის სკულპტურული გამოსახულებით. ტარის ზედაპირი წაგრძელებული „კრემლის" ფორმის გამოსახულებითაა შემკული. ჯამზე ტარის მოპირდაპირე მხარეს სამკუთხა ფორმის მარყუჟია მიმაგრებული. იხვს თავი გვერდზე აქვს მიბრუნებული ისე, რომ ტართან ერთ სიბრტყეშია წარმოსახული. საწურის საერთო სიგრძეა - 26,5 სმ., ტარის სიგრძე - 13,4 სმ., პირის დიამეტრი - 12,3 სმ. [1, გვ. 27-28, ტაბ. XI; 11A, გვ. 46-48, სურ. 3] (ტაბ. I_2).

ფიჭვნარის ეს საწური ზ. ბილიმოვიჩის მიერ გამოყოფილი საწურების მესამე ტიპს მიეკუთვნება (იხვის თავი გვერდზეა მიბრუნებული) [10, გვ. 26] და მკვლევარის აზრით უდავოდ ეტრუსკული წარმოშობისაა. აღსანიშნავია აგრეთვე იხვის თავზე ბუმბულის გადმოცემის ხერხი - ქერცლის სახით. თითოეული ამ ქერცლთაგანი გამოსახულია გაჭწვრივი ზოლით, რომლითაც შექმნილია წიწვისებური ორნამენტი. მსგავსი ხერხით შესაბამისი დეტალების აღნიშვნა დადასტურებულია ბოლონიაში, ჩერტოზის სამაროვნის ბრინჯაოს ნივთებზე [10, გვ. 26, 28].

ანალოგიური საწურები ნაპოვნია მეორე და მეექვსე „ჰემიბრატნის" ყორღანებში [10, გვ. 30], კრივორუკოვსკის ყორღანში [8, გვ.30], მაგრამ ყველაზე მეტ მსგავსებას ფიჭვნარის ეს საწური სოლოხას ყორღანში მოპოვებულ საწურთან ამჟღავნებს. ორივეს „წვეთის" ფორმის შემკულობა აქვს ტარზე, ორივეს მარყუჟი აქვს ტარის მოპირდაპირე მხარეს. ორივე საწურზე იხვის თავი პროფილშია გამოსახული [შდრ. 7, გვ. 102, სურ. 77]. ამ ტიპის საწურების წარმოების თარიღად ზ. ბილიმოვიჩს ძვ.წ. V-IV სს. მიაჩნია [10, გვ. 31], ა. კახიძე ფიჭვნარის საწურს დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს [1, გვ. 27, 29].

საწურის ტარი, ბრინჯაო (ვანი, სამარხი № 6). ტარი ზემოთკენ შევიწროვებულია, უკან გადახრილია და ბოლოვდება კაუჭით, რომელიც იხვის თავის სკულპტურული გამოსახულებით არის გაფორმებული. ტარის ქვედა ნაწილში, იქ სადაც ტარი საწურის ჯამს უნდა შეუერთდეს - ლომის თავის რელიეფური გამოსახულებაა. ტარი მთელ სიგრძეზე შემკულია „წვეთის" ფორმის ორნამენტით. ზედა ნაწილში ტარს განზე გაზიდული ვოლუტები ამშვენებს, რომელთა შორის გრავირებით შესრულებულია შვიდფურცლიანი პალმეტი. ტარის ქვედა ნაწილშიც, ლომის თავის ზემოთ, მის მარჯვნივ და მარცხნივ ვოლუტებია მოთავსებული. ვოლუტებს ზევიდან ეკვრის დეზების ფორმის გამონაშვერები, რომლებიც შესაძლოა, სტილიზებული ფრთებია. ვოლუტების ხვიებიც გრავირებით არის შესრულებული. გრავირებით არის დატანილი აგრეთვე პატარა სამკუთხედები, რომლებიც საწურის ტარის ქვედა მომრგვალებულ კიდეს ამკობენ. ლომს შუბლი შეჭმუხნილი აქვს, რაც ვერტიკალური, ღრმა ღარებით გადმოიცემა, თვალები საკმაოდ დიდია ნუშისებური, ქუთუთოები ნათლად ჩანს, ყურები პატარაა, მომრგვალებული, ფაფარი არა აქვს. ტარის საერთო სიგრძეა - 18,4 სმ., სიგანე - 6,2 სმ და 2,5 სმ. (ტაბ. I_3).

ვანის საწურის ანალოგიურია ათენის აკროპოლისზე აღმოჩენილი საწური, რომელიც ბერძნული ხელოვნების ნიმუშად არის მიჩნეული. ზედა ნაწილში მასაც გრავირებული პალმეტი ამკობს, ქვემოთ კი ვოლუტები და ლომის თავის რელიეფური გამოსახულება [20, გვ. 74-75, № 226; შდრ.: იქვე, გვ. 75-76, №№ 227, 229]. ამ ტიპის კიდევ ერთი ტარი დაცულია ბოსტონის ხელოვნების მუზეუმში [13, გვ. 493, № 451A].

ვანის საწური ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ № 6 მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა. ათენის აკროპოლისის ტარი ძვ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება, ბოსტონის მუზეუმის ტარი 450-350 წწ.

წარმოების ტექნიკური ხერხების მიხედვით საწურის ტარები ჩამოსხმულია ან გამოჭედილი. სოხუმის ფიჭვნარის იხვისთავიანი და ვანის საწურების ტარები ჩამოსხმულია, ფიჭვნარის რვიანისებური ფიგურებიანი ტარი - გამოჭედილი. ტარი შეერთებულია ჯამთან ან დამოქლონვით ან მირჩილულია, სხვა შემთხვევაში კი ტარი ერთ მთლიანობაშია ჯამთან, ერთად არის გამოჭედილი. რვიანისებური ფიგურებიანი საწურის ტარი დამოქლონილია, სოხუმის და ვანის - მირჩილული, ხოლო ფიჭვნარის იხვისთავიანი საწური



სურ. 1

ტარი ჯამთან ერთად არის გამოჭედილი [10, გვ. 32-33].

ამგვარად, ზემოთ აღწერილი ოთხი საწურიდან სამი ეტრუსკული ნაწარმია, ხოლო რაც შეეხება მეოთხე, ვანის საწურის ტარს, იგი მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდება ეტრუსკული წარმოების ამ ჯგუფის ჭურჭლისაგან და იმდენად ჰგავს ათენის აკროპოლისის მონაპოვარს, რომ მისი აღიარება ბერძნულ პროდუქციად ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამ დროისათვის, ძვ.წ. VI-IV სს-ში ეტრუსკულ ქალაქებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. განვითარდა რკინის მეტალურგია. რკინასთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ბრინჯაოც - ჭურჭლის და სამკაულის დასამზადებლად. ბრინჯაოს ეტრუსკული ტორევტიკის ნიმუშები გამოირჩეოდა ტექნიკური და მხატვრული სრულყოფით. ეტრუსკელი ოსტატების ხელიდან გამოსული ბრინჯაოს ნივთები განთქმული იყო შესანიშნავი ჩამოსხმით და დამუშავებით, უჩვეულო ფორმებით, თავისებური, მშვენიერი მორთულობით. ამ თვისებების გამო ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საბერძნეთშიც, სიამოვნებით იყენებდნენ ეტრუსკული წარმოშობის ბრინჯაოს ჭურჭელს, კანდელაბრებს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს [10, გვ. 33]. ათენში ბრინჯაოს ნაკეთობანი საკმაოდ ძვირად ფასობდა [19, გვ. 194]. ეტრუსკული ლითონის ჭურჭელი ნაპოვნია ბალკანეთში, მცირე აზიაში, სირიაშიც კი [5, გვ. 56-58], ისე რომ, თუ ზ. ბილიმოვიჩის მოსაზრებას დავეყრდნობით, საესებით შესაძლებელია დავუშვათ, რომ სოხუმის და ფიჭვნარის ბრინჯაოს საწურები ან ეტრურიიდან პირდაპირ იყო შემოტანილი, ანდა ათენი აქ შუამავალ რგოლს წარმოადგენდა და ეტრუსკული ნივთების იმპორტი ათენიდან ხდებოდა [შდრ. 2, გვ. 49].

ოთხი საწურიდან სამი - ვანისა და ფიჭვნარის საწურები სამარხებში აღმოჩენილია ჩამჩებთან ერთად. გამონაკლისია მხოლოდ სოხუმის საწური, „წითელი შუქურის" სამაროვნის № 1 სამარხში ჩამჩა არ იყო დაფიქსირებული.

ლიტერატურა:

1. **კახიძე ა.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები. ბათ., 1975.

2. **კახიძე ა.** ანტიკური ტორევტიკის ნიმუშები ფიჭვნარიდან. - სდსძ, XVI, 1987, გვ. 47-50.

3. **Билимович З.А.** Этрусские бронзовые ситечки найденные в Северном Причерноморье. - Сб.: Из истории Северного Причерноморья в античную эпоху. Л., 1979, с. 26-36.

4. **ИАК,** 14, 1905.

5. История древнего Рима. М., 1971.

6. **Козуб Ю.** Некрополь Ольвіі V-IV ст. до н.е., Київ, 1974.

7. **Манцевич А.Н.** Курган Солоха, Л., 1987.

8. **Онайко Н.А.** Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV в. до н.э. - Археология СССР. Свод археологических источников, вып. Д1-27, М., 1970.

9. **Силантьева Л.Ф.** Некрополь Нимфея. - МИА, 69, 1959, с. 5-107.

10. **Трапш М.М.** Труды II, Сухуми, 1969.

11A. **Kakhidze A.** Specimens of Classical Bronze Toreutics from Pichvnari, TAAANTA, XXXII-XXXIII (2000-2001), p. 41-60, 12 fig.

12. A klasszikus Athén, Corvina, Bemporad Marzocco, Firenze, 1966.

13. **Comstock M., Vermeule C.** Greek, Etruscan and Roman Bronzes (in the Museum of Fine Arts Boston), New-York, 1971.

14. **Crosby M.** A silver Ladle and Strainer. – AJA, 47, 1943, p. 209-216.

15. Die Welt die Etrusker. – Archäologische Denkmäler aus Museum der sozialistischen Länder. Berlin, 1988.

16. **Ebert M.** Ausgrabungen auf dem Gute Maritzyn Gouv. Cherson, II. Teil, Sonderabdruck aus Praehistorische Zeitschrift, V, 1913, S. 1-80.

17. Gli Etruschi e L'Europa. Paris-Milani, 1992.

18. **Hill D.K.** Wine ladles and strainers from ancient Times. – The Journal of the Walters Art Gallery, vol. 1, 1938, p. 41-55.

19. **Richter G.M.A.** Greek Bronzes resently acquired by the Metropolitan Museum of Art. – AJA, XLIII, 1939, p. 189-196.

20. **Ridder A.** Catalogue des Bronzes sur l'Acropole d'Athenes, Paris, 1896.


1
2
3
4
0 1 2 3

გიორგი დუნდუა

კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა)

კოლხური თეთრის პრობლემა არა მარტო ქართული ნუმიზმატიკის, არამედ, საზოგადოდ, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, დღეისათვის მასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. კოლხური თეთრის ემიტენტის დადგენის საკითხი თითქოს უახლოვდება თავის ლოგიკურ დასასრულს). ეს უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია კოლხური თეთრის ანეპიგრაფიკული ხასიათით. მეორეც, წერილობითი წყაროები არაფერს გვაუწყებენ კოლხეთის სამონეტო საქმის შესახებ. და ბოლოს, კოლხური თეთრის ემისიის პრეტენდენტებად თანაბარი უფლებებით შეიძლება ჩაითვალოს კოლხეთის სამეფო და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქები მაგ., ფასისი (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ მონეტების სამეფო ხელისუფლებისათვის მიკუთვნების აპოლოგეტთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. ამ დებულებას უკვე ისინიც აღარ უჭერენ მხარს, ვინც მას ათეული წლების მანძილზე ყველაზე აქტიურად იცავდა [39, გვ. 33; 14, გვ. 69; 15, გვ. 47], მაგრამ ეს, ცხადია, საკითხს არ ხსნის). ნათქვამი ცხადჰყოფს, რომ კოლხური თეთრის პრობლემა შორს სცილდება ერთი სამონეტო ჯგუფის ატრიბუციის ფარგლებს და მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხეთში სახელმწიფოს კონსოლიდაციისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის საკითხებთან.

კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალია ჩვენამდე მოღწეული. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მათ შორის უდიდესია ე.წ. ტეტრადრაქმა. მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი - დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ.

ზურგი - ჩაჭდეულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ფრთოსანი რაშის პროტომა (ტაბ. I, III, სურ. 1).

ეს მონეტა ჯერ კიდევ 1907 წ. იყო გამოქვეყნებული და გამომცემლის მიერ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, დაკავშირებული კუნძულ ლესბოსთან. ამჟამად ეს ცალი ინახება ჰაგის მუზეუმში [49, გვ. 142, ტაბ. IV, № 35].

1949 წ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილი იდენტური მონეტა გამოსცა დ. კაპანაძემ, როგორც უნიკალური [9, გვ. 85; 33, გვ. 195; 10, გვ. 26; 34, გვ. 33]. შემდგომში მან ეს ხერვეზი გაასწორა [11, გვ. 32; 12, გვ. 29].

1957 წ. ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი) დაცული ანალოგიური ცალი ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა გამოაქვეყნა [57, გვ. 138].

სამივე მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამისა, დ. კაპანაძემ სტილისტური ანალიზის საფუძველზე, ისინი კოლხური მონეტების ჯგუფს მიაკუთვნა [9, გვ. 85; 33, გვ. 195; 10, გვ. 26; 34, გვ. 33; 12, გვ. 29]. უფრო სარწმუნო არგუმენტის მოტანა ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ ჭირს. დ. კაპანაძის აზრი საყოველთაოდ გაზიარებულია და დღესდღეობით მას სადაოდ არავინ ხდის [იხ. მაგ. 57, გვ. 138; 56, გვ. 9 და სხვ.]. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ე.წ. ტეტრადრაქმის საკითხი ზოგიერთ საძნელის წინაშე მაინც დგას. ცხადია, მე არ ვუარყოფ საინტერესო მონეტის ტიპოლოგიურ, სტილისტურ და ფაქტურულ მსგავსებას კოლხეთის ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, განსაკუთრებით მწოლიარე ლომის გამოსახულებიან დიდრაქმებთან. ეს მსგავსება სრულიად აშკარაა, როდესაც ამ მონეტების შუბლის გამოსახულებებს (ლომებს) ვუდარებთ ერთმანეთს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ „ტეტრადრაქმის" რევერსის გამოსახულება (ფრთოსანი რაშის პროტომა) ანალოგიის გარეშეა. ხაზგასმით უნდა შევნიშნო, რომ, მიუხედავად გარკვეული ეჭვისა, ამ მონეტების ამოღება კოლხური თეთრის სერიიდან თითქმის გამორიცხულია, მათ იმდენი საერთო აქვთ ამ უკანასკნელთან. მით უმეტეს, რომ ასევე შეუძლებელია მათი მიკუთვნება რომელიმე სხვა ქვეყნის, თუ ქალაქის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობისათვის.

დაუპირისპირა რა ამ მონეტის წონა კოლხური თეთრის სხვა ნომინალების წონას, დ. კაპანაძემ ამ ცალს ტეტრადრაქმა უწოდა [იხ. მაგ. 34, გვ. 33]. მაგრამ საქმე ისაა, რომ ავტორმა ამ მონეტის წონა (დაახლოებით 13 გრ.) მხოლოდ ბოლოს გამოსულ მონოგრაფიაში დაასახელა ზუსტად [12, გვ. 29]. უფრო ადრეულ ნაშრომში, მათ შორის მოსკოვში გამოცემულ მონოგრაფიაში, ამ მონეტების წონად იგი 13,80 გრ-ს მიიჩნევდა [34, გვ. 33]. ამან გამოიწვია ის, რომ მის კვალდაკვალ დ. ლანგმა და ეგგ. პოხიტონოვმა, რომელთა განკარგულებაში უფრო მსუბუქი ცალები იყო (ბრიტანეთის მუზეუმის ცალი იწონის 12,72 გრ-ს, ხოლო ჰააგის - 10,40 გრ-ს [57, გვ. 138-139; 60, გვ. 68]), გაიმეორეს დ. კაპანაძის აზრი.

კოლხური დიდრაქმის საშუალო წონა მერყეობს 8,99-9,90 გრამებში [33, გვ. 195]. ტეტრადრაქმა დიდრაქმაზე ორჯერ მეტია. რა თქმა უნდა, აბსოლუტური სიზუსტე თითქმის გამორიცხულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მიახლოებითი შეფარდებაც დარღვეულია. უფრო მეტიც: ზოგიერთი დიდრაქმის წონა ე.წ. ტეტრადრაქმის წონას აღემატება. ასე მაგ., მწოლიარე ლომის გამოსახულებანი რიგი დიდრაქმებისა იწონის 11, 34, ან 11, 355 გრ-ს [19, გვ. 425-426]. ჰააგის მუზეუმის კუთვნილი „ტეტრადრაქმის" წონა კი 10,40 გრ-ს უდრის! ამ უკანასკნელს წონით, II ტიპის დიდრაქმებიც უახლოვდებიან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულია ადამიანის თავის გამოსახულებიანი დიდრაქმები, რომელთა წონა უდრის 10,35 გრ-ს (განძების ფონდი - შემდეგში გ.ფ. - № 4809), 10,36 (ქართული მონეტების ფონდი - შემდეგში ქ.ფ. - № 1630) და 10, 41 გრ-ს (ქ.ფ. № 2849). ქუთაისის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური მონეტა, რომელიც თავის დროზე ა. ზოგრაფმა კოლხეთის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას მიაკუთვნა [29, გვ. 36, ტაბ. I, № 4], ხოლო თვით დ. კაპანაძემ განსაზღვრა როგორც დრაქმა, იწონის 5,52 გრ-ს [34, გვ. 33]. თეორიულად ტეტრადრაქმა ოთხჯერ მეტია დრაქმაზე, მაგრამ პრაქტიკულად სამჯერ მეტი მაინც ხომ უნდა იყოს? ცხადია, ზემოთქმული ახსნას საჭიროებს. ან აქ საქმე გვაქვს სხვა სამონეტო სისტემის მიხედვით მოჭრილ ნიმუშთან, ან ჩვენთვის საინტერესო მონეტა უფრო **დიდრაქმაა**, ვიდრე ტეტრადრაქმა. კოლხური მონეტების ნომინალური სისტემის ახლებურ გაგებას შეეცადა თ. დუნდუა [8, გვ. 5-8], თუმცა საკითხი ჯერ კიდევ შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

დ. კაპანაძე მათ ზოგადად ძვ.წ. VI ს-ით ათარიღებს [34, გვ. 33]. დ. ლანგი ძვ.წ. 400 წლის ახლო ხანებით [57, გვ. 138]. თ. დუნდუა - ძვ.წ. VI ს-ის II ნახევრით [7, გვ. 231]. სამივე თარიღი დამყარებულლია ფაქტურულ, სტილისტურ და ტიპოლოგიურ ანალიზზე. სხვა კრიტერიუმი მათი დათარიღებისათვის, სამწუხაროდ, მეცნიერებას არ გააჩნია. მონეტებს აშკარად არქაულობის ბეჭედი აზის, მაგრამ დამატებითი მასალების გარეშე, მათი მიკუთვნება მაინცდამაინც ძვ.წ. VI, ან მაინცდამაინც ძვ.წ. V საუკუნისათვის გაჭირდება. ჩემი სუბიექტური აზრით, რომელიც ამ მონეტების შედარებას ემყარება არქაულ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, მისაღები უნდა იყოს შემდეგი ქრონოლოგიური ჩარჩოები - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი.

შემდეგ მოდის დიდრაქმების რიგი, რომელთა შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი მონეტა. მათი მსოფლიო მარაგი 9 ცალით განისაზღვრება. სამი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ორი - ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი), თითო-თითო ცალი - ქუთაისის, ბერლინის, ბრიტანეთისა და ბოსტონის მუზეუმებში [3, გვ. 58-59, აქვეა სათანადო ლიტერატურა; 28, გვ. 11; 59, გვ. 54]. ყველა მათგანის აღწერის საშუალება ამჟამად არ გვაქვს, ეს კი აუცილებელია იმის გამო, რომ მონეტები სხვადასხვა სიქითაა მოჭრილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, იძლევა მკვეთრ ვარიანტულ სახეცვლილებებს (სათითაოდ მათი აღწერა იხ. [3, გვ. 59-61], თუმცა ძირითადი სქემა ერთია [28, გვ. 13]. ამის გამო ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას (ტაბ. I, III, სურ. 2):

შუბლი - მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის (ხვადის ფაფარითა და ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ, რომელსაც თავი მარცხნივ აქვს მობრუნებული.

ზურგი - ჩაჭდეული სწორკუთხედში მოთავსებული, მუხლმოდრეკილი ხარის თავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა და, საერთოდ, სხვა ატრიბუტებიც - გავა, თეძო, ტანის ლამაზი კონფიგურაცია) ფიგურა მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ, გამოსახულება კოხტაა, ტანწვრილი. ყელთ-

ან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი? ნიღაბი?) [34, გვ. 32, № 1; 3, გვ. 59, № 1; 50, გვ. 54, ტაბ. № 1; 14, გვ. 66, სურ. 1; 59, გვ. 87, ტაბ. 8, აქვე ტაბ. 7-ზე მოთავსებულია დღემდე ცნობილი ყველა ცხრა მონეტის ფოტო]. შემდეგში გამოსახულება უხეშდება და, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ვარიანტულ სახეცვლილებებს იძლევა.

I ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე გამოსახული ფანტასტიკური არსების სემანტიკური მნიშვნელობის ახსნა მრავალმა მეცნიერმა სცადა (ბიბლიოგრაფია იხ. მაგ. [14, გვ. 67]). ყველაზე საინტერესო მათ შორის არის უკანასკნელ ხანებში ოთ. ლორთქიფანიძის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც აქ საქმე უნდა გვქონდეს მდინარე-ღვთაება ფასისის იკონოგრაფიასთან [14, გვ. 66-72; 59, გვ. 81-90]. ამასთან დაკავშირებით ოთ. ლორთქიფანიძე, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს დაამტკიცოს, რომ I ტიპის კოლხური დიდრაქმის რევერსზე გამოსახული „... ტანშიშველი ფიგურა აშკარად მამაკაცისაა, ჭაბუკის, არქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მუსკულატურით. ამას გარდა, კარგადაა ცნობილი, რომ არქაული და კლასიკური ხანის ბერძნული ხელოვნება (ვიდრე პრაქსიტელემდე) არასოდეს წარმოსახავდა ქალს შიშველი ტანით“ [14, გვ. 67-68].

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ხელოვნების ძეგლების მიმართებით გამოთქმული ზოგადი კანონზომიერებების გავრცელება ნუმიზმატიკურ ძეგლებზე, მითუმეტეს პერიფერიაში მოჭრილ მონეტებზე, თითქმის არასოდეს არ იძლევა სასურველ შედეგს. მეორეც, თვით ოთ. ლორთქიფანიძის მიერ გამოქვეყნებული I ტიპის კოლხური დიდრაქმის ერთ-ერთი ნიმუშის მიხედვით [იხ. 14, გვ. 66, სურ. 1; 59, ტაბ. 8, № 1] ვერავინ დაამტკიცებს, რომ აქ მამაკაცია გამოსახული, მიუხედავად „მუსკულატურისა.“ შემდეგი დაბრკოლება გახლავთ ის, რომ მდინარე-ღვთაება ფასისის აღწერილობა, რომელიც წერილობით წყაროებშია დაცული, არ ემთხვევა I ტიპის კოლხური დიდრაქმის რევერსის იკონოგრაფიას. „შენ ხედავ - წერს III ს-ის ბერძენი მწერალი ფილოსტრატე IV უმცროსი - თვითონ მდინარეს (ღმერთს) ლერწნარის სიღრმეში მწოლიარეს, საშინელი შესახედაობისას: თმა მას ხშირი და ყალყზე შემდგარი აქვს, ხოლო ნიკაპი საზარელი, თვალები კი ბრწყინვალე, (წყლის) ნაკადი თავისი სიმრავლით იღვრება არა თასიდან, როგორც ჩვეულებრივ (გამოსახავენ), არამედ მთლიანად (ღმერთისაგან) მოედინება, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ თუ რა ძალით ეშვება პონტოში“ [21, გვ. 450-451; 14, გვ. 71]. ვიმეორებ, ოთ. ლორთქიფანიძის მიერ წამოყენებული მოსაზრება I ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგის იკონოგრაფიასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ჯერჯერობით ჰიპოთეზის ფარგლებს არ სცილდება.

რაც შეეხება მონეტის ავერსზე გამოსახულ მწოლიარე ლომს, როგორც ეს არა ერთგზისაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. მაგ. [36, გვ. 59-60]), იგი ყველა დეტალში იმეორებს კრეზის ეპოქის (ძვ.წ. 560-546 წწ.) მილეტურ მონეტებზე ამოკვეთილ ლომს (შესადარებლად იხ. [62, № 312]; ჩვენთან ტაბ. II, IV, სურ. 4-5). ამრიგად, კრეზის (კროისოსის) ეპოქა გახლავთ I ტიპის კოლხური დიდრაქმის ემისიის terminus ante quem non. როგორც მილეტში, ასევე კოლხეთშიც, ლომის გამოსახულება აპოლონის კულტთანაა დაკავშირებული (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. [3, გვ. 69-71]).

რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ I ტიპის დიდრაქმა კოლხურ სამყაროს დავუკავშიროთ?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ ზემოთმოხსენებულ ცხრა მონეტიდან ხუთი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი, ხოლო ხუთიდან სამი აღმოჩენილია ფოთისა [43, გვ. 37, № 9; 41, გვ. 7] და ახალსოფლის [19, გვ. 425-428] კოლხური მონეტების განძებში (ფოთის განძთან დაკავშირებით ოთ. ლორთქიფანიძე წერს: „დღევანდელ ფოთში ძვ.წ. VI-V სს-ის მონეტების განძის აღმოჩენა ძალზე საეჭვოა, რადგან ამ დროს ქალაქის ტერიტორია ზღვით უნდა ყოფილიყო დაფარული. თუმცა არაა გამორიცხული, რომ ხსენებული განძი, სადღაც ფოთის მახლობლად იყოს აღმოჩენილი“ [14, გვ. 66, სქ. 1]. სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად ასეა მითითებული: „... განძი აღმოჩენილია ფოთის მიდამოებში“ [43, გვ. 37, № 9], ან: „...ფოთის მაახლობლად“ [41, გვ. 7]). გარდა ამისა, ნუმიზმატთა მიერ ერთხმად იქნა აღიარებული I ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე გამოსახული დაჩოქილი ადამიანის თავის აშკარა მსგავსება კოლხურ ნახევარდრაქმებზე გამოსახულ ხარის თავ-

თან [61, გვ. 260; 52, გვ. 88; 41, გვ. 7]. ე. პახომოვი პირდაპირ წერს: „... ხარის თავიანი ფიგურა ზუსტად ისეთივეა, როგორც წვრილ კოლხურებზე“ [41, გვ. 7]. ამ ჯგუფის მონეტების კოლხურ წარმომავლობას გეოგრაფიული თვალსაზრისით კი ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს.

ბ. ჰედმა I ტიპის კოლხური დიდრაქმა ძვ.წ. 500 წლით დაათარიღა [55, გვ. 495]. მილეტური ანალოგიების საფუძველზე ა. ზოგრაფი მათ ძვ.წ. VI ს-ის დასასრულით, ან V ს-ის დასაწყისით, ხოლო ბ. კუფტინი ძვ.წ. VI ს-ის ახლო ხანებით ათარიღებდნენ [29, გვ. 37; 36, გვ. 60]. ს. მაკალათია და დ. კაპანაძე ამ მონეტებს ზოგადად ძვ.წ. VI ს-ში მოჭრილად თვლიან [19, გვ. 428; 34, გვ. 32]. დ. ლანგი საინტერესო დიდრაქმების ემისიის დროდ მიიჩნევს ძვ.წ. 500 წელს, ან უფრო მოგვიანო ხანას [57, გვ. 137]. მ. ინაძე თვლის, ისინი ძვ.წ. VI ს-ის I ნახევრით უნდა დათარიღდეს [31, გვ. 168], ხოლო თ. დუნდუა მათ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ძვ.წ. VI ს-ის II ნახევრითა და ძვ.წ. V ს-ით შემოსაზღვრავს [7, გვ. 231].

I ტიპის კოლხური დიდრაქმების ქრონოლოგიის შესახებ 1972 წელს მე ვწერდი: „სამწუხაროდ, I ტიპის დიდრაქმის დასათარიღებლად მეცნიერებას **მტკიცე კრიტერიუმი არ გააჩნია,** მაგრამ ანალოგიების, სტილისტური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით შეიძლება ითქვას... რომ ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს მათი მიკუთვნება ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედისათვის“ [3, გვ. 64]. ამასთან დაკავშირებით ოთ. ლორთქიფანიძე, არც თუ ირონიის გარეშე, შენიშნავს: „ასეთი დათარიღების საფუძვლად ასახელებენ რაღაც „სტილისტურ თავისებურებებს“ ან „ფაქტურას“ [14, გვ. 72]. თავად ავტორი ამ მონეტების ემისიის ხანად მიიჩნევს ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარს. ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ არგუმენტი, რომელსაც ეს თარიღი (სხვათაშორის, არც თუ ისე ახალი) ემყარება, ასევე ზოგადია. აი ისიც: „თუ გავითვალისწინებთ მდინარე-ღვთაების იკონოგრაფიის განვითარებას, კერძოდ იმას, რომ ანთროპომორფიზებული ხარის ნიშნებიანი გამოსახულება **თეატრის გავლენით იქმნებოდა** (ხაზი ჩემია - გ.დ.), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხარისთავიანი, ტანშიშველი, მუხლმოდრეკილი მამაკაცის ე.ი. მდინარე-ღვთაება ფასისის გამოსახულებიანი დიდრაქმები იჭრებოდა ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარში [14, გვ. 72]. არა მგონია ეს არგუმენტი უფრო სარწმუნო იყოს, ვიდრე მონეტის სტილი და ფაქტურა, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ **ეჭვმიუტანელად** უნდა დავამტკიცოთ, რომ I ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე ნამდვილად მამაკაცი, მდინარე-ღვთაებაა გამოსახული და შემდეგ ვისაუბროთ „თეატრის გავლენაზე.“ მე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჯერჯერობით ამ მონეტების დასათარიღებლად მეცნიერების განკარგულებაში ურყევი საბუთი არ არსებობს. ისინი არასოდეს აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში, ან ასევე კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან ერთად განძებში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი ემისიის მიახლოებითი დრო არ განისაზღვროს. მე უკვე აღვნიშნე, რომ I ტიპის კოლხური დიდრაქმის შუბლზე გამოსახულ მწოლიარე ლომს, ყველა მკვლევარი ერთხმად, კრეზის ეპოქის (ძვ.წ. 560-546 წწ.) მილეტურ ნუმიზმატიკიდან ნასესხებ მოტივად მიიჩნევს. ეს უკვე, გარკვეული აზრით, თარიღია და სწორედ ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედისაკენ მიუთითებს, შესაძლებელია, მის დასასრულისაკენაც კი. ამ მოსაზრებას ამაგრებს მათი შედარება (სტილისტური, ფაქტურული, მოჭრის ტექნიკის თვალსაზრისით) ძველი მსოფლიოს არქაული პერიოდის მონეტებთან (რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ გამორიცხავს, სათანადო არგუმენტაციის შემთხვევაში, მათ დათარიღებას ძვ.წ. V ს-ის დასაწყისით).

გადავდივართ II ტიპის კოლხური დიდრაქმის აღწერილობაზე. მას ასეთი სახე აქვს (ტაბ. I, III, სურ. 3):

შუბლი - ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ.

ზურგი - ჩაჭდეულ კვადრატში ერთმანეთის საპირისპიროდ მოთავსებული ადამიანის თითქმის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული [34, გვ. 32, № 2, ტაბ. I, № 2; 11, გვ. 28, № 2, ტაბ. I, № 2; 50, გვ. 54, ტაბ. № 3; 15, გვ. 45, სურ. 1; 59, გვ. 79, სურ. 12-13].

დღეისათვის ამ მონეტების მსოფლიო მარაგი 22 ცალით განისაზღვრება [28, გვ. 166, შენიშ. 5; 3, გვ. 64, სქ. 54; 15, გვ. 45]. აქედან 7 დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისში - 2, ერმიტაჟში - 1, დოქტორ რობინზონის კოლექციაში (აშშ) - 1, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში - 1, ბრიტანეთის მუზეუმში - 1,

ჯეიმსონის კოლექციაში - 1, ოქსფორდში აშმოლის მუზეუმში - 1, დანარჩენი ლიტერატურაშია მოხსენიებული. მითითებული რაოდენობიდან 3 აღმოჩენილია ახალსოფლის, ხოლო დაახლოებით 6 (?) ეგზემპლარი ფოთის განძებში [28, გვ. 166, შენიშ. 5; 3, გვ. 64, სქ. 54; 15, გვ. 45, სქ. 1].

ამ მონეტების კოლხური წარმოშობის საკითხი საეჭვოდ არავის გაუხდია. ტიპოლოგიურად ისინი ძალიან ახლოს დგანან II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმებთან, რომლებიც ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს საზღვრებში. მათზე გამოსახული ადამიანის თავების პროფილი თითქმის იდენტურია (ვგულისხმობ საერთო სქემას და მათში ჩადებულ იდეას). გარდა ამისა, II ტიპის დიდრაქმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოჩენილია სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად, ახალსოფლისა და ფოთის განძებში.

ა. ზოგრაფი არ თვლიდა შესაძლებლად ძვ.წ. V ს-ზე ადრეული ხანა მიჩნეულიყო მათი ემისიის თარიღად [29, გვ. 37]. ამავე აზრს იზიარებდა დ. კაპანაძეც [12, გვ. 28]. ს. მაკალათია II ტიპის დიდრაქმებს ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებდა [18, გვ. 196], დ. ლანგი ძვ.წ. 400 წლით [56, გვ. 7], თ. დუნდუა ზოგადად ძვ.წ. V ს-ით [7, გვ. 231].

სამწუხაროდ, ისევე როგორც I ტიპის კოლხური დიდრაქმა, არც ეს მონეტებია აღმოჩენილი კარგად დათარიღებულ არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ კომპლექსებში. ამიტომ მათი ზუსტი დათარიღება ჭირს. ისევ და ისევ უნდა დავეყრდნოთ მათ შედარებას სხვა ქვეყნებისა თუ ქალაქების არქაული ხანის ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, სტილსა და ფაქტურას. ამ ნიშნების მიხედვით, ჩემი აზრით, მათი ემისიის პერიოდად, შესაძლებელია, ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი მივიჩნიოთ.

ს. მაკალათია II ტიპის კოლხური დიდრაქმის შუბლის გამოსახულებას არტემიდედალისთან აკავშირებდა [18, გვ. 199]. ე. პახომოვის აზრით, მონეტის ავერსზე „დამოუკიდებელი ადგილობრივი ღვთაებაა“ ამოტვიფრული [41, გვ. 8]. ზოგიერთი მას ჰერასთან აიგივებდა [45, გვ. 239], ზოგი რეა-კიბელასთან [22, გვ. 80] და სამთავიან ჰეკატესთან, რომელიც მონეტაზე მოთავსებული სამი ერთნაირი გამოსახულების მიხედვით, მთვარის სამ ფაზას ანსახიერებს [35, გვ. 161; შდრ. 8, გვ. 3]. ა. ბოლტუნოვა თვლიდა, რომ ჰეკატეს ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ადგილობრივი ფასიანელი ღვთაება [23, გვ. 104, შენიშ. 89]. საინტერესო საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ინგლისელმა ისტორიკოსმა ჯონ ჰაინდმა. მისი მტკიცებით, ამ მონეტების შუბლზე გამოსახულია ფრიქსე, ხოლო ზურგზე - მისი ორი ვაჟი [54, გვ. 207-208].

სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა ოთ. ლორთქიფანიძემ. მას მიაჩნია, რომ II ტიპის კოლხური დიდრაქმის ავერსსა და რევერსზე გამოსახული ადამიანის თავები ერთნაირი არ არის, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, „განსაკუთრებით თმის ვარცხნილობით,“ ამიტომ „... ერთ მონეტაზე გამოსახული ადამიანის თავები ქმნიან რაღაც გარკვეულ სამეულს (ტრიადას), რომელიც ერთიანი იდეით არის გაერთიანებული. შესაძლებელია რომ ეს იყოს ე.წ. აპოლინარული ტრიადა... გამოსახულება მონეტის შუბლზე უნდა იყოს დიდი ქალღვთაება, ლეტო, ხოლო ზურგზე - მისი ტყუპი შვილები აპოლონი (მარჯვენა პროფილში) და არტემიდა (მარცხენა პროფილში) [15, გვ. 45-46]. ჩემთვის პირადად სრულიად გაუგებარია როგორ უნდა გაარჩიო მონეტის ზურგზე გამოსახულ თავებს შორის რომელია მამაკაცის პროფილი და რომელი ქალის? ამავე დროს ავტორი სხვა ადგილას შენიშნავს: „მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ავერსზე აპოლონის თავია გამოსახული“ [39, გვ. 33].

მე მიჭირს ამ მოსაზრების გაზიარება. ჯერ ერთი, არც ერთ პროფესიონალ ნუმიზმატს **არასოდეს** არ გამოუთქვამს ვარაუდი, რომ II ტიპის კოლხური დიდრაქმის შუბლსა და ზურგზე მოთავსებული გამოსახულებები **მნიშვნელოვნად** განსხვავდებიან ურთიერთისაგან. მეორეც, II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების (რომლებიც ათასობითაა ცნობილი) ავერსზე ისეთივე (ან თითქმის ისეთივე) ადამიანის თავია გამოსახული, როგორიც II ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე და **თმის ვარცხნილობისა და სხვა დეტალების მიხედვითა აქ ათეულობით** (მეტი რომ არ ვთქვათ) **ვარიანტი გამოიყოფა.** ამის საფუძველზე ხომ არ შეიძლება ერთი საერთო ნახაზით შესრულებულ იკონოგრაფიაში **ათეულობით სხვადასხვა ღვთაება დავინახოთ?!** განა თვით ავტორი I ტიპის კოლხური დიდრაქმის რევერსის გამოსახულებასთან დაკავშირებით არ აღნიშნავდა, რომ: „შეიძლება ითქვას, ჩვენამდე მოღწეული ცხრა ნიმუშიდან თითქმის **არც ერთი არაა ერთმა-**

ნეთის იდენტური“ (ხაზი ჩემია - გ.დ.) [14, გვ. 67]. მიუხედავად ამისა, ხარისთავიანი, დაჩოქილი ადამიანის ფიგურა მან ერთ ღვთაებად მდინარე-ღვთაება-ფასისის იკონოგრაფიად მიიჩნია. გარდა ამისა, ჯერ არავის დაუმტკიცებია (და საეჭვოა, რომ ეს ვინმემ ოდესმე დაამტკიცოს), რომ II ტიპის კოლხურ დიდრაქმის შუბლზე მაინცადამაინც ქალია გამოსახული. ამას თვით ოთ. ლორთქიფანიძეც არ უარყოფს, როცა შენიშნავს: „ძალზე ძნელია დაბეჯითებით თქმა მონეტის შუბლზე გამოსახული თავი მამაკაცისაა თუ ქალის“ [15, გვ. 46, სქ. 4]. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ აპოლინარული ტრიადა არაა გამოსახული არქაულ, კლასიკურ და ელინისტური ხანის სამყაროს არც ერთი პუნქტის მონეტებზე. იგი გვხვდება მხოლოდ რომაელი იმპერატორების კომოდუსისა (180-192 წწ.) და სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) დროინდელ ქ. მეგარის ფულებზე [39, გვ. 33; 15, გვ. 46]. და ბოლოს გასათვალისწინებელია აგრეთვე III ტიპის კოლხური დიდრაქმის იკონოგრაფიაც.

1959 წ. ჩეხმა მეცნიერმა ევგ. პოხიტონოვმა გამოაქვეყნა კოლხური დიდრაქმის ახალი ტიპი, რომელიც თურმე ფოთის განძის შემადგენლობაში შედიოდა. მას ასეთი სახე აქვს:

შუბლი - ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე როგორც II ტიპის დიდრაქმაზე).

ზურგი - ორი ხარის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ჩაჭდეულ კვადრატებში (ხარები ისეთივეა როგორც II ტიპის ნახევარდრაქმის რევერსზეა მოთავსებული [60, გვ. 68].

ამრიგად, II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული ადამიანის თავების ნაცვლად III ტიპის დიდრაქმის ზურგზე ორი ხარის თავია ერთმანეთის საპირისპიროდ. ეს მონაცვლეობა არ უნდა ატარებდეს სპორადულ ხასიათს და, ცხადია, მიუთითებს ამ გამოსახულებათა შინაარსის იდენტურობაზე. ამ შემთხვევაში შეუძლებელია ორი ხარის თავის გამოსახულებაში ლეტოს შვილები ვიგულისხმოთ.

III ტიპის კოლხური დიდრაქმა ამჟამად დაკარგულია [12, გვ. 28]. ე. პოხიტონოვს შემორჩენილი ჰქონდა მისი ჩანახატი, რომელიც მან დ. კაპანაძეს გამოუგზავნა (მე იგი პირადად მინახავს). ე. პოხიტონოვი ამ მონეტას II ტიპის კოლხური დიდრაქმის სინქრონულად მიიჩნევდა. ჩემი აზრით, იგ ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით უნდა დათარ იღდეს.

შემდეგი ნომინალია დრაქმა, ერთ ცალ დაა ცნობილი. ის ქუთაისის მუზეუმის კუთ ვნილებაა. მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი - ლომის თავი an face.

ზურგი - ჩაჭდეულ კვადრატში მოთავ სებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავ (ტაბ. II, IV, სურ. 6).

წონა - 5,52 გრ.

მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამ სა, ა. ზოგრაფმა ტიპოლოგიური მსგავსებ საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნია მის შეტანა კოლხეთის ნუმიზმატიკური ძეგლ ბის რიცხვში [29, გვ. 36]. ეს აზრი ამჟამად დამკვიდრებულად ითვლება სამეცნიერო ლი ტერატურაში [33, გვ. 193; 34, გვ. 33; 56 გვ. 9 და სხვ.]. ძნელია მსჯელობა იმ შესახებ, თუ რამდენად მართებულია ერთ დერთი და ისიც უპასპორტო მონეტის მი კუთვნება ამა თუ იმ ქვეყნის ნუმიზმატი კურ მემკვიდრეობისათვის მარტოოდენ ტი პოლოგიური მსგავსების საფუძველზე. მი უმეტეს, რომ ე.წ. დრაქმაზე ამოტვიფრულ ლომის თავი an face პარალელს ვერ პოუ ლობს დანარჩენ კოლხურ მონეტებს შო რის. ამავე დროს, იგი საოცარ მსგავსებ ამჟღავნებს რეგიუმისა და მესანის მონე ტებთან [47, I, ტაბ. LXXI, №№ 9, 11; II ტაბ. LXXII, № 9). მაგრამ ასევე ძნელია ა ზოგრაფის ავტორიტეტის წინააღმდე ბრძოლა. მიუხედავად ამისა, გარკვეულ სკეპსისი მაინც მაქვს ამ მონეტის კოლხუ რობასთან დაკავშირებით. მონეტის ნომინ ალის დადგენა და დათარიღება ძვ.წ. V ს ით (quadratum incusum-ის მიხედვით) ეკუთვ ნის დ. კაპანაძეს [34, გვ. 33]. ზოგად მო საზრებაზეა დამყარებული ასევე თ. დუნ დუას თარიღი ძვ.წ. VI ს-ის I ნახევარი - V საუკუნე [7, გვ. 230].

გარდა მსხვილი ნომინალებისა, იჭრებოდ აგრეთვე კოლხური თეთრის მცირე ნომინა ლებიც, კერძოდ, ნახევარდრაქმები ან ტრიობოლები. ისინი ორ ჯგუფად იყოფ პირველი ტიპის ნახევარდრაქმები ძალია იშვიათია. მათი მსოფლიო მარაგი ოთხ ცალით განისაზღვრება. ამასთანავე ყველ მათგანი საქართველოშია მიკვლეული ახალსოფელსა ([19, გვ. 425-428]. ახალ სოფლის განძში აღმოჩენილი I ტიპ კოლხური ნახევარდრაქმები დაცულია საქ ართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკ

განყოფილებაში, გ.ფ. №№ 4810, 4811, 10587. წონა - 2,60, 2,21, 2,22. ზ. - 11/13, 11/12, 12/13) და ქობულეთში ([12, გვ. 29], წ. 1,66; ამჟამად ეს ცალიც იმავე საცავშია დაცული). I ტიპის კოლხური ტრიობოლების აღწერილობა ასეთია (ტაბ. II, IV, სურ. 7):

შუბლი - დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი (ქობულეთში აღმოჩენილ მონეტაზე ლომის თავი მარცხნივაა მიმართული).

ზურგი - ჩაჭდეულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა (დ. კაპანაძე მას „გაურკვეველი ცხოველის" წინა ნაწილს უწოდებს [12, გვ. 29, № 4]).

ს. მაკალათია ლიდიური პარალელების საფუძველზე, მათ ძვ.წ. VI-V სს. ათარიღებს [19, გვ. 426], ხოლო ა. ზოგრაფი, დ. კაპანაძე და თ. დუნდუა - ძვ.წ. V ს-ით [29, გვ. 37; 34, გვ. 33; 7, გვ. 231]. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიაც სხვა კრიტერიუმი, გარდა ზოგადი არგუმენტებისა, მეცნიერებას I ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების დასათარიღებლად არ გააჩნია.

კოლხურ მონეტებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეობას II ტიპის ნახევარდრაქმა წარმოადგენს. იგი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ტერმინი „კოლხური თეთრი" თავდაპირველად სწორედ ამ მონეტებს აღნიშნავდა. ვიძლევით მათ ზოგად აღწერილობას (ტაბ. II, IV, სურ. 8):

შუბლი - ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ (ზოგიერთ შემთხვევაში მარცხნივ) მიმართული ადამიანის თავი (თითქმის ისეთივე როგორიც II ტიპის დიდრაქმის შუბლზეა გამოსახული).

ზურგი - ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული [12, გვ. 29, № 6; 3, გვ. 66; 28, გვ. 16].

ამ მონეტების წონითი რემედიუმი საგრძნობ გადახრებს იძლევა - 1,2-2,6 გრ. [12, გვ. 30].

მონეტის ეს ტიპი იჭრებოდა უამრავი ვარიანტული სახელცვლილებებით. ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთი შესანიშნავი სპეციალისტი ე. პახომოვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ვარიანტების არაჩვეულებრივი სიმრავლე გვაძლევს ყველა საფეხურს შშვენივრად დამზადებულ ცალებიდან, უხეშად შესრულებულ ტიპებამდე, ამავე დროს ისინი მოჭრილია სხვადასხვა სინჯის ვერცხლისაგან, რაც მიუთითებს მათი ემისიის ხანგრძლივობაზე" [42, გვ. 6-8; 44, გვ. 10]. ისევე როგორც II ტიპის დიდრაქმის იკონოგრაფიასთან მიმართებით აღვნიშნავდით, ამ შემთხვევაშიც ძნელია (თუ შეუძლებელი არა) იმის ზუსტი დეფინიცია მონეტაზე ქალის თავია გამოსახული, თუ მამაკაცის. არის ცალები, რომლებზედაც ქალის ხატია მოცემული, რასაც, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ადასტურებს გამოსახულების გრძელი, გაშლილი თმები და სახის ნაკვთები (იხ. მაგ., გ.ფ. №№ 1229, 1415, 1417, 1418, 1424, 1429, 1435, 1438-1439, 1442, 1446. 1456, 1457, 1459, 1462, 1472, 1474, 1477, 1478-1479, 1494, 1497, 1509, 1512, 1524, 1531, 1634, 1563, 1542, 1543, 1546, 1572, 1573, 1586, 1594, 1595, 1601, 1603, 1605 და სხვ.), მაგრამ არის ისე უხეშად შესრულებული ეგზემპლარები, რომ ძნელდება იმის გარკვევა, ვისი გამოსახვა სურდა ოსტატს ქალისა, თუ მამაკაცისა. მიუხედავად ამისა, სრულებით უდავოა რომ II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმები საუკუნეების მანძილზე ერთი შემუშავებული სქემის მიხედვით იჭრებოდა [32, გვ. 93].

კოლხური ნახევარდრაქმების მსოფლიო მარაგი დღეისათვის დაახლოებით 5500 ცალით განისაზღვრება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია, მაგრამ უმნიშვნელო ნაწილზე შემდეგი ბერძნული ასო-ნიშნები გვხვდება: MO|ΣO? (ცნობილია 114 ცალი), A(9), O? (11), Φ (2), E? (1), Π(2), Δ(1), სულ - 7 [28, გვ. 22-23]. მე მას სამონეტო მაგისტრატებს ვაკუთნებ [6, წერილი პირველი, გვ. 58-60; 28, გვ. 22-26].

II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების დათარიღების საკითხში ერთსულოვნება არ სუფევს. ე. ბაბელონი [47, II, 1534-1535, ტაბ. CLXXV, №№ 22-29], ვ. ვროსი [64, ტაბ. I, №№ 9-10], ბ. ჰედი [55, გვ. 495-6], ე. პახომოვი [42, გვ. 7-8], ს. მაკალათია [19, გვ. 426], ა. ზოგრაფი [29, გვ. 37], დ. ლანგი [56, გვ. 6-7; 57, გვ. 138-139] და დ. კაპანაძე თავის ადრეულ ნაშრომში (იხ. მაგ. [34, გვ. 34]) მათ ძვ.წ. IV-II სს. ათარიღებდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ XIX ს-ის 80-იან წლებში ა. ორეშნიკოვმა გამოთქვა მოსაზრება მათი ძვ.წ. V ს-ით დათარიღების სასარგებლოდ. იგი წერდა: „მონეტის სტილი ძალიან არქაულია, საეჭვოა, რომ იგი ქრ.დ. V საუკუნეზე უფრო გვიანდელი იყოს" [40, გვ. 73]. ეყრდნო-

ბოდა რა კოლხური ნახევარდრაქმების სტილს, ძვ.წ. 500-470 წლებით ათარიღებდა მათ ს. გროსი [53, გვ. 2]. ნ. ხოშტარიამ, დაბლაგომის არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, 1941 წ. კოლხური ნახევარდრაქმების ზოგიერთი ვარიანტი ძვ.წ. VI-V სს. მიაკუთვნა [46, გვ. 11], ხოლო უფრო მოგვიანებით ისინი ძვ.წ. VI ს-ით დაათარიღა [20, გვ. 227, 243]. იმავე დაბლაგომის არქეოლოგიურ კომპლექსებზე და ერთ-ერთ მონეტაზე მოთავსებული ბერძნული ასო „Φ"-ს პალეოგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით, ბ. კუფტინმა, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, მოხაზა ამ მონეტების ემისიისა და ცირკულაციის დრო: არა უადრეს ძვ.წ. V ს-ისა და არა უგვიანეს ძვ.წ. III ს-ისა [36, გვ. 58]; ამავე თარიღებს იზიარებს თ. დუნდუაც [7, გვ. 231]. და ბოლოს, გამოიყენეს რა კოლხური ნახევარდრაქმების აღმოჩენის შემთხვევები კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან და არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, ფაქტობრივად, იმავე დასკვნამდე მივიდნენ კ. გოლენკო და დ. კაპანაძე - საინტერესო მონეტების მოჭრის თარიღად მათ მიიჩნიეს ძვ.წ. V-IV სს. [25, გვ. 37, 47], ხოლო ცირკულაციის გვიანდელ პერიოდად - ძვ.წ. III ს. [12, გვ. 31]. ამ მონეტებს ძვ.წ. V ს-ით და მის შემდგომ პერიოდით ვათარიღებდი მეც [28, გვ. 16].

მაგრამ ბოლო ხანებში გაჩნდა ტენდენცია დაბლაგომის ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული სამარხების, ძვ.წ. II ს-ით გადათარიღებისა [1, გვ. 40-41]. ამის საფუძველი გახდა ნოქალაქევის სამარხეული ინვენტარის, კონკრეტულად № 4 ქვევრსამარხის მასალის შედარება დაბლაგომის არქეოლოგიურ კომპლექსებთან [1, გვ. 40-41]. ამ ქვევრსამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ძლიერ გაცვეთილი, „ქარონის ობოლად" გამოყენებული, II ტიპის ნახევარდრაქმა [1, გვ. 35]. მონეტა იპოვნეს ასევე ნოქალაქევის № 3 ქვევრსამარხშიც, რომელიც „იმდენად არის გაცვეთილი, რომ მასზე გამოსახულება სრულიად აღარ შეინიშნება," მაგრამ მეტროლოგიური მონაცემები მაინც „აფიქრებინებს" ძეგლის გამთხრელს, რომ მონეტა „წარმოადგენს კოლხურ ნახევარდრაქმას" [1, გვ. 47]. ზემოთქმულის გამო, წამოყენებულია მოსაზრება, რომ კოლხური „მონეტის მიმოქცევიდან გასვლის დროდ მივიჩნიოთ ძვ.წ. II ს-ის ბოლო" [1, გვ. 73]. ასეთივე აზრი, ვანის არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, გამოთქვა ნ. მათიაშვილმაც [17, გვ. 23].

გარდა ამისა, იმისათვის, რომ უფრო სარწმუნო გახადონ II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმის მიმოქცევის ფაქტი ძვ.წ. II ს-ში, მოჰყავთ ასეთი არგუმენტი: კოლხეთის ბაზარს თურმე აუცილებლად ესაჭიროებოდა ყოველდღიურ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის ხურდა ფული [1, გვ. 73]. ამიტომ კოლხური თეთრი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ცირკულაციაში ძვ.წ. II ს-ში, რომლის ადგილსაც შემდეგ მითრიდატეს ეპოქის სპილენძის მონეტები იკავებს [1, გვ. 73]. ეს არგუმენტი კრიტიკას ვერ უძლებს. რა, ძვ.წ. II ს-ის შემდგომ პერიოდში, საუკუნეების მანძილზე, კოლხეთის საშინაო ბაზარს უკვე აღარ ჭირდებოდა ხურდა ფული? მერედა სადაა ასეთი ფულადი ერთეული? რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ ასეთ ფუნქციას მითრიდატეს ეპოქის სპილენძის მონეტები ასრულებდა, უნდა კატეგორიულად ითქვას, რომ მათ არასოდეს შეუსრულებია ასეთი როლი კოლხეთის **საშინაო ბაზარზე**. ეს მონეტები აღმოჩენილია მხოლოდ და მხოლოდ იმ პუნქტებში, სადაც მითრიდატე VI ევპატორის გარნიზონი იდგა (ვანი, ეშერა, დიოსკურია) და ემსახურებოდა ჯარისკაცების საჭიროებას. ეს მათი ფულადი მეურნეობაა და არავითარი კავშირი არა აქვს კოლხეთის საშინაო ბაზართან (დაწვრილებით იხ. [4, გვ. 123; 27, გვ. 14]). სპილენძის მონეტების ინტენსიური ტრიალი არაა დამახასიათებელი კოლხეთის ფულადი მეურნეობისათვის მისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე. საკმარისია ითქვას, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს. სპილენძის მონეტების არც ერთი განძი. უფრო მეტიც: არ აღმოჩენილა სპილენძის არც ერთი მონეტა მოჭრილი მითრიდატე ევპატორის ეპოქის წინარე და მომდევნო ხანებში (აქ არ იგულისხმება სანაპირო ზოლის ქალაქები) [4, გვ. 123; 27, გვ. 14; 26, გვ. 28]. აქედან დასკვნა: სპილენძის მონეტებს არ შეეძლოთ და არც თამაშობდნენ ხურდა ფულის როლს კოლხეთის საშინაო ბაზარზე.

ზემოთქმული მაიძულებს ისევ მივუბრუნდე II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების ქრონოლოგიის საკითხს და ამ მიზნით გამოვიყენო მათი აღმოჩენის ფაქტები კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან ერთად, რასაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში

მე უფრო მეტად ვენდობი. აი, ეს ჩამონათვალიც:

1. 1856 წ. სურამის მიდამოებში აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები აქემენიდურ სიკლოსთან ერთად [43, გვ. 36, № 2; 29, გვ. 56, № 24]. ეს უკანასკნელი ა. ზოგრაფის მიერ ზოგადად დათარიღებულია ძვ.წ. VI ს-ის დასასრულით და IV ს-ით. გასაგებია, რომ ასეთი ზოგადი თარიღი ვერ გადაწყვეტს კოლხური ტრიობოლების ემისიის დაწყების კონკრეტულ დროს.

2. 1948 წ. ფიჭვნარში აღმოჩნდა განძი, რომლის საერთო წონა 6-8 კგ-ს აღწევდა. განძის მონეტები გაიფანტა. გადარჩა 102 სინოპური დრაქმა და 38 II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა. სინოპური მონეტების ემისიის ხანა კ. გოლენკომ მოაქცია ძვ.წ. 360-345 წწ. ჩარჩოებში [24, გვ. 42]. ეს სამონეტო კომპლექსი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმიტომ, რომ აქ კარგად დათარიღებული უცხოური მონეტების თითო ნიმუში კი არ შედის, არამედ 100-ზე მეტი (ამასთანავე, სრულიად აშკარაა, რომ სინოპური დრაქმების რიცხვი განძში უფრო მეტი იქნებოდა, ვინაიდან დატაცების თვალსაზრისით ისინი მოსახლეობისათვის უფრო სახარბიელო ლუკმაა როგორც მეტროლოგიურად, ასევე ესთეტიკურად) და სავსებით ნათლად **ათარიღებს კოლხურ ნახევარდრაქმებს ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით.**

3. 1952 წ. ქობულეთში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭელში მოთავსებული კოლხური ნახევარდრაქმების განძი. მათთან ერთად ჭურჭელში მოთავსებული იყო ელექტრიუმის სამი საყურე და ერთი ქიზიკური სტატერი [25, გვ. 34-35]. კ. გოლენკომ და დ. კაპანაძემ, სხვადასხვა ავტორების დამოწმებით, ბრინჯაოს ჭურჭელი ძვ.წ. V ს-ის ნიმუშად მიიჩნიეს, საყურეები კი ძვ.წ. VI-V სს. რაც შეეხება ქიზიკურ მონეტას, იგი ზუსტად თარიღდება ძვ.წ. 500-460 წწ. [25, გვ. 34-35]. ჩემს მიერ დასახელებული არც ერთი კომპონენტი არ გამოდგება კოლხური თეთრის ემისიის დაწყების დასათარიღებლად. განა არ შეიძლება ძვ.წ. V ს-ში დამზადებულ ჭურჭელში განძი IV ს-ში მოეთავსებიათ, ან იმავე ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული საყურეები (მემკვიდრეობით რომ გადადის ოჯახის წევრებზე) უფრო გვიან მოხვედრილიყო განძის შემადგენლობაში? ქიზიკური სტატერი კი მით უმეტეს არ არის მტკიცე საბუთი კოლხური ნახევარდრაქმების მოჭრის თარიღის დასადგენად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განძში ერთადერთი ქიზიკური მონეტის აღმოჩენას არ შეუძლია მისი დაფლობის დროის განსაზღვრა. მაგრამ ანგარიშგასაწევია ერთი გარემოება: ქიზიკურ სტატერებს მოპოვებული ჰქონდათ ინტერლოკალური ფულადი ერთეულის სახელი როგორც მცირე აზიაში, ასევე მთელ საბერძნეთში. ისინი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმოიქცეოდნენ საერთაშორისო არენაზე, ვიდრე მათ ალექსანდრე მაკედონელის სტატერები არ გამოდევნიან ფულადი ცირკულაციიდან [30, გვ. 41].

4. 1940-იანი წლების ბოლოს ფიჭვნარში იპოვნეს ორი კოლხური ნახევარდრაქმა და ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სტატერი (ეს მონეტები დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში, გ.ფ. №№ 8700, 8701, 8705).

5. 1965 წ. ფიჭვნარში, ალ. რამიშვილის მიერ გათხრილი № 14 სამარხში, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის სინოპურ ჰემიდრაქმასთან ერთად ოთხი კოლხური ტრიობოლიც იყო [2, გვ. 146-147].

6. 1990 წ. ვანის რ-ნის სოფ. სულორში აღმოჩნდა II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების (დაახლოებით 700 ცალი) განძი, რომლის შემადგენლობაშიც ვერცხლის სამი უცხოური არქაული მონეტაც ერია [5, გვ. 82-83; 58, გვ. 155-158; 16, გვ. 206-207].

ვიძლევით მათ სიას და ჩვენეულ ატრიბუციას: პირველი მონეტა ჩვეულებრივი ტიპის „დარიკია" (სიკლოსი), დარიოს I-ს (ძვ.წ. 521-486 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს და მოჭრილია სარდესში. ოთ. ლორთქიფანიძე მას ძვ.წ. 490 წლის ახლო ხანებით ათარიღებს [16, გვ. 206]. დანარჩენი ორი მონეტის აღწერილობა ასეთია:

1. შუბლი - ერთმანეთის საპირისპიროდ დაღრენილ ლომისა და ხარის თავების გამოსახულება, ზურგი - ორი quadratum incusum-ი. მონეტის ამ ტიპს ტრადიციულად ლიდიას მიაკუთვნებენ და კრეზის ეპოქით ათარიღებენ [63, გვ. 60, ტაბ. VI, 2, 3; 51, გვ. 166-167, ტაბ. 60, № 1063]. მაგრამ ბოლო ხანებში მათ ზოგადად ძვ.წ. VI საუკუნეს მიაკუთვნებენ და მიაჩნიათ, რომ მათი ემისია კრეზის ეპოქის შემდეგაც გრძელდებოდა. ოთ. ლორთქიფანიძის მიხედვით, ეს მონეტა დარიოს I-ის მიერ უნდა იყოს მოჭრილი დაახლოებით ძვ.წ. 500 წელს [16, გვ. 206]; 2. შუბლი - მარჯვნივ მიმართული, დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება,

ზურგი - quadratum incusum-ი, რომელშიც თითქოს ვარსკვლავის მსგავსი ფიგურა, ან, ოთ. ლორთქიფანიძის განმარტებით, ლოტოსის ოთხი ყვავილის გამოსახულებაა მოთავსებული. ამ მონეტას, სამეცნიერო ლიტერატურაში, კარიას აკუთვნებენ და აღნიშნავენ, რომ ის კრეზის ეპოქის მონეტებთან ერთად გვხვდება განძებში. შესაბამისად, მათი ემისიის თარიღიც ძვ.წ. VI საუკუნეა (სამივე მონეტის შესახებ იხ. [48, გვ. 73-93, ტაბ. X-XIII]). ოთ. ლორთქიფანიძე ამ მონეტას მილეტურ ობოლად მიიჩნევს და მისი ემისიის თარიღად ძვ.წ. 540-530 წწ. შორის პერიოდს ასახელებს [16, გვ. 206]. მიუხედავად განსხვავებისა ატრიბუციაში, სრულიად უდავოა, რომ სულორის კოლხური მონეტების განძში შედის ძვ.წ. VI-V სს. სამი უცხოური მონეტა. ამის საფუძველზე, ოთ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ კოლხური ნახევარდრაქმების მიმოქცევა უკვე ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს ან V ს-ის სულ დასაწყისში იწყება. გარდა ამისა, ავტორს დამატებით არგუმენტად მოაქვს ის, რომ ქუთაისში „გაბაშვილების გორაზე" წარმოებული გათხრებისას კოლხური თეთრი აღმოჩენილია ძვ.წ. VI-V სს-ის კულტურულ ფენაში [16, გვ. 207, სქ. 247]. გამოდის, რომ II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმები სულორის განძის არქაული მონეტების სინქრონულია, გამოდის, რომ სამონეტო მოჭრის ტექნიკის თვალსაზრისით კოლხეთმა გაუსწრო მცირე აზიას, ვინაიდან კოლხურ ტრიობოლზე არაა მოთავსებული არქაულობის მაჩვენებელი ისეთი უტყუარი დეტალი, როგორიცაა quadratum incusum-ი (ნათქვამის საილუსტრაციოდ შესადარებლად იხ. კოლხური ნახევარდრაქმებისა და სულორის განძის უცხოური მონეტების ფოტოები ლ. ლებანიძისა და ოთ. ლორთქიფანიძის პუბლიკაციებში [58, გვ. 156; 16, გვ. 206-207, სურ. 178-179]. მეტიც: გამოდის, რომ II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმები დიდრაქმებზე უადრესია. ამის მტკიცება, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია. გარდა ამისა, II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების ემისიის თარიღის დადგენისას, უნდა დავეყრდნოთ მასობრივ მასალას (როგორიცაა, ვთქვათ, ფიჭვნარში 1948 წ. აღმოჩენილი შერეული განძი) და არა თითო-ოროლა უცხოურ მონეტას.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, აგრეთვე ფიჭვნარის სამაროვნის სამარხეული კომპლექსების თარიღებს [13, გვ. 79, სქ. 1], რაც სანდოდაა მიჩნეული არქეოლოგიურ ლიტერატურაში, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების ემისია ძვ.წ. V ს-ში დაიწყო, მაგრამ არა პირველ ნახევარში [25, გვ. 37], არამედ მეორეში. მათი ემისიის შეწყვეტის პერიოდად და მიზეზად მიჩნეულია ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სახელით მოჭრილი სტატერების მასობრივი გავრცელება კოლხეთის ფარგლებში [24, გვ. 51]. თეორიული ასპექტით ეს სავსებით სწორი მოსაზრებაა, მაგრამ პრაქტიკულად კოლხური თეთრი ჩნდება ძვ.წ. III ს-ის უცხოურ მონეტებთან ერთად და სინქრონულ არქეოლოგიურ კომპლექსებში. ძნელია სათქმელია მათი მოჭრა ამ საუკუნეშიაც გრძელდებოდა, თუ ისინი უბრალოდ ცირკულაციაში შემორჩენილი ცალებია. ის კი არა, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ზოგიერთი მკვლევარი მათ მიმოქცევას ძვ.წ. II ს-შიც ვარაუდობს [1, გვ. 73; 17, გვ. 23]. რა თქმა უნდა, კოლხური ტრიობოლების ერთეული ეგზემპლარები შეიძლება შემორჩენილიყო ძვ.წ. II ს-ში, მაგრამ მათი ინტენსიური ცირკულაცია ამ პერიოდში საეჭვოა. ამ თეზის დასამტკიცებლად მეტი მასალაა საჭირო და არა თითოოროლა „ქარონის ობოლი."

და კიდევ ერთი საკითხი II ტიპის კოლხური ტრიობოლების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით: კ. გოლენკომ და დ. კაპანაძე ამ მონეტების ცალკეული ჯგუფები დაათარიღეს წლების (?!) მიხედვით, იმისდა მიუხედავად, რომ უცნობია გამოსავალი წერტილი, მათი ემისიის დაწყების წელი. ამ პოზიციის გაზიარება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ძნელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჯერად არა მაქვს საშუალება მისი სრული კრიტიკისა.

როგორც ჩანს იჭრებოდა კოლხური თეთრის კიდევ უფრო მცირე ნომინალიც.

1968 წ. ფიჭვნარში არქეოლოგიური გათხრების დროს, ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრის № 12 სამარხში (სამარხის ინვენტარისა და მისი თარიღის შესახებ იხ. [6, გაგრძელება, გვ. 66-69], მიაკვლიეს სა ერთტიპიურ ვერცხლის წვრილ მონეტას, რომელთა გაზომვა პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. ისინი ჭურჭელში რო არ ყოფილიყვნენ მოთავსებული, ალბათ სამუდამოდ დაიკარგებოდნენ მეცნიერებისათვის, რადგან მათი პოვნა თუნდაც უაღრესად სკრუპულოზური პრეპარაციის დრო

ძნელი წარმოსადგენია. მათ ასეთი სახე აქვთ (ტაბ. II, IV, სურ. 9):

შუბლი - მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (თითქმის ისეთივე როგორც II ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი - მარჯვნივ მიმართული, მაღალ ფეხებზე მდგარი რომელიღაც ფრინველი [6, გაგრძელება, გვ. 66].

ამ მონეტას მე კოლხურ მონეტათა რიცხვს ვაკუთნებ. გარდა შუბლის გამოსახულების დიდი მსგავსებისა II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმის შუბლის იკონოგრაფიასთან, ამაზე მიუთითებს მათი სტილი, ფაქტურა და უნიკალობაც. ვერც ერთ პუბლიკაციაში ანალოგიები ვერ დავძებნეთ. ამრიგად, ჩემი აზრით, ფიჭვნარში აღმოჩნდა კოლხური თეთრის ახალი ტიპი და ახალი ნომინალიც. მათი წონა უდრის 0,150, 0,111 და 0,110 გრ-ს. ე.ი. ეს ნომინალი დრაქმის 1/24 ნაწილზე (ტეტარტემორიონზე) უკნესია და, შესაძლებელია, პირობით ჰემიტეტარტემორიონი ვუწოდოთ [6, გაგრძელება, გვ. 70].

ასეთია ე.წ. კოლხური თეთრის ყველა სამონეტო ტიპის ზოგადი აღწერილობა და ქრონოლოგია.

კოლხური თეთრის შესწავლას მრავალი ასპექტი აქვს. აქედან ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ემიტენტის დადგენაა. ადრე ზემოთაღწერილ მონეტებს მეცნიერთა უმრავლესობა კოლხეთის სამეფოს უკავშირებდა [29, გვ. 38; 32, გვ. 88-95; 12, გვ. 27 და სხვ.]. ამ დებულების სასარგებლოდ მათ საბუთების მთელი სერია მოჰყავთ, რომელთა შორის უმთავრესია კოლხური მონეტების გავრცელების არეალი. ეს მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში და უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა არ გადის მის ფარგლებს გარეთ (ამ საკითხის შესახებ იხ. [3, გვ. 67, სქ. 74; 28, გვ. 167]). ერთი შეხედვით ეს მართლაც ძლიერი არგუმენტია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. განა იმავე არგუმენტით (და არა ნაკლები წარმატებით) არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ მონეტებს ჭრიდა ქ. ფასისი ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭროდ? ასე რომ, კოლხური თეთრის გავრცელების ტოპოგრაფია არაფერს იძლევა მათი გენეზისის ასახსნელად. დანარჩენი არგუმენტები არც თუ ისე ანგარიშგასაწევია და მათი კრიტიკული განხილვა სხვა ადგილას მაქვს მოცემული [3, გვ. 67-68; 28, გვ. 17-18].

30 წელზე მეტია, რაც მე წამოვაყენე (და განსხვავებით სხვა ავტორებისაგან სათანადოდ დავასაბუთე), რომ ამ სამონეტო ჯგუფის ემიტენტი ქ. ფასისია. ამ ხნის განმავლობაში ამ დებულების წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებდა ოთ. ლორთქიფანიძე (იხ. მაგ. [37, გვ. 14 და სხვ.; 38, გვ. 101-102 და სხვ.]). მისი არგუმენტები უპასუხოდ არ დამიტოვებია [6, წერილი პირველი, გვ. 51-53], თუმცა ამჯერად მან უკვე დაკარგა აქტუალობა. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ავტორმა კოლხური დიდრაქმების იკონოგრაფიის შესწავლას მოჰკიდა ხელი, მისთვის ცხადი გახდა, რომ მის მიერ შემოთავაზებული სემანტიკური ახსნა დიდრაქმებზე გამოსახული ღვთაებებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს დამაჯერებლობას თუ ამ მონეტების ემისიას ფასისი ახორციელებდა. ამიტომ მან უარი თქვა იმ დებულებაზე, რომელსაც ათეული წლები იცავდა და აღიარა, რომ I ტიპის დიდრაქმის მოჭრა „...ფასისში ასე თუ ისე მოსალოდნელია (შესაძლებია)" [39, გვ. 33]. სხვა ადგილას იგი წერს: „გამოთქმულია მოსაზრება და საკმაოდ დამაჯერებლადაც **არგუმენტირებული** (აქ ჩემს ნაშრომს უთითებს იხ. [3] - გ.დ.), რომ I „ტიპის" **კოლხური დიდრაქმა იჭრებოდა ქალაქ ფასისში** (ხაზი ჩემია - გ.დ.), რომელიც მილეტელების დაარსებულ აპოიკიას წარმოადგენდა" [14, გვ. 69]. იგი ასევე შესაძლებლად თვლის II ტიპის დიდრაქმის ემისიას ქ. ფასისში [15, გვ. 47]. ეს ყველაფერი მანთავისუფლებს მოვალეობისაგან გავიმეორო ის არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც კოლხური მონეტების ემისიასთან დაკავშირებით უპირატესობას ფასისს ვანიჭებ (გაშლილი სახით ეს არგუმენტაცია იხ. [3, გვ. 66-71; 6 (წერილი პირველი), გვ. 48-61; 6 (გაგრძელება), გვ. 66-73; 28, გვ. 17-30]). ამასთანავე, უფლებას ვიტოვებ უახლეს მომავალში დაწვრილებით განვიხილო კოლხური თეთრის (საზოგადოდ და არა მარტო დიდრაქმების) იკონოგრაფიისა და მათი სემანტიკის საკითხები.

დასასრულ კიდევ ერთი საკითხი: თუ საბოლოოდ გადაიჭრება კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემა, დადგინდება, რომ ემიტენტი არის ქ. ფასისი, უნდა მოჰყვეს ამას (თუ არ უნდა მოჰყვეს) ტერმინოლოგიური ცვლილება? შეიძლება თუ არა ამ მონეტებს ვუწოდოთ ფასისური თეთრი, ფასისური დიდრაქმა, ფასისური ნახევარდრაქმა

და ა.შ.? თუ მათ აღსანიშნავად ორმაგი სახელწოდება ვიხმაროთ? ეს მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არ გახლავთ. ტერმინი „კოლხური თეთრი" ისე ღრმადაა დაფუძნებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ მისი შეცვლა ძალიან რთული იქნება. მითუმეტეს, რომ ტრადიციის გარდა, იგი რეალური შინაარსის მატარებელიცაა, რადგან ეს მონეტები ფართოდ მიმოიქცეოდა მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე. მაგრამ, მეორეს მხრივ, აქ არ ფიგურირებს **ემიტენტი** - ორგანო, რომელიც ახორციელებდა მათ ემისიას. ამიტომ იქნებ უმჯობესია ხმარებაში დავამკვიდროთ ორმაგი სახელწოდება, მაგ., ასეთი: კოლხური (ფასისური) თეთრი, I ტიპის კოლხური (ფასისური) დიდრაქმა და ა.შ. ამჯერად, მხოლოდ საკითხის დასმის წესით ვიფარგლებით, მაგრამ ტერმინოლოგიური ნოვაცია, რომ აუცილებელია, თითქოს ეს სადავო არ უნდა იყოს.

ლიტერატურა:

1. **გვინჩიძე გ.** ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ., 1988.

2. **დუნდუა გ.** საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები. - მაცნე, ისტორიის ... სერია, № 1, 1971.

3. **დუნდუა გ.** ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის. - მაცნე, ისტორიის ... სერია, № 1, 1972.

4. **დუნდუა გ.,** ლორთქიფანიძე გ. მონეტები ვანიდან. - ვანი III, თბ., 1977.

5. **დუნდუა გ.** ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს.). - კრ. გურია, II, 1997.

6. **დუნდუა გ., კახიძე ა.** კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. - მაცნე, ისტორიის ... სერია, № 4, 1978 (წერილი პირველი); მაცნე, ისტორიის... სერია, № 2, 1979 (გაგრძელება).

7. **დუნდუა თ.** ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997.

8. **დუნდუა თ.** კოლხური თეთრი და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2002.

9. **კაპანაძე დ.** შენიშვნები ძველი კოლხეთის ნუმიზმატიკის შესახებ. - სსმმ, ტ. XV-B, 1949.

10. **კაპანაძე დ.** ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950.

11. **კაპანაძე დ.** წარსულის მაცნეები, თბ., 1965.

12. **კაპანაძე დ.** ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969

13. **კახიძე ა.** ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-68 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. - მაცნე, ისტორიის ... სერია, № 3, 1974.

14. **ლორთქიფანიძე ოთ.** მდინარე-ღვთაება ფასისი („კოლხური დიდრაქმების" I ტიპის იკონოგრაფიისათვის). - ძიებანი, № 1, თბ., 1998.

15. **ლორთქიფანიძე ოთ.** „კოლხური დიდრაქმის" II ტიპის იკონოგრაფიისათვის. - ძიებანი, № 3, თბ., 1999.

16. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

17. **მათიაშვილი ნ.** ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის პრობლემები (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის ავტორეფერატი), თბ., 2002.

18. **მაკალათია ს.** კოლხური დიდრაქმა. - სსმმ, ტ. VII, 1933.

19. **მაკალათია ს.** ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა. - სსმმ, ტ. XIV-B, 1947.

20. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

21. **ურუშაძე ა.** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

22. **Амиранашвили Ш.Я.** История грузинского искусства, Тб., 1950.

23. **Болтунова А.И.** Колхидки. - ВДИ, № 4, 1973.

24. **Голенко К.В.** Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948 г). - ВДИ, № 1, 1961.

25. **Голенко К.В., Капанадзе Д.Г.** Четыре клада колхидок. - НЭ, VI, 1966.

26. **Дундуа Г.Ф.** Монетное дело и монетное обращение в Грузии в античную эпоху (VI в. до н.э. - IV в. н.э.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1982.

27. **Дундуа Г.Ф., Лордкипанидзе Г.А.** Денежное обращение центральной Колхиды в V-I вв. до н.э. (по материалам Ванского городища), Тб., 1983.

28. **Дундуа Г.Ф.** Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.

29. Зограф А.Н. Распространение находок античных монет на Кавказе. - ТОНГЭ, I, 1945.

30. Зограф А.Н. Античные монеты, М.-Л., 1951.

31. Инадзе М.П. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968.

32. Капандадзе Д.Г., Голенко К.В. К вопросу о происхождении колхидок. - ВДИ, № 4, 1957.

33. Капанадзе Д.Г. Заметки по нумизматике древней Колхиды. - ВДИ, № 3, 1950.

34. Капанадзе Д.Г. Грузинская нумизматика, М., 1955.

35. Капанадзе Д.Г., Шенгелия И.Г. Триморфная Геката с колхидской дидрахмы V в. до н.э. - АИКСП, Л., 1968.

36. Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950.

37. Лордкипанидзе О.Д. Античный мир и Восточное Причерноморье (Колхида, Иберия). - Всесоюзная конференция "Античные, Византийские и местные традиции в городах Восточного черноморья," Тб., 1975.

38. Лордкипанидзе О.Д. К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды). - Материалы симпозиума в Цхалтубо, 1977.

39. Лордкипанидзе О.Д. Божества города Фасиса (Аполлон или Аполлинарная Триада?). - ВДИ, № 1, 1997.

40. Орешников А. Каталог собрания древности графа Алексея Сергеевича Уварова, М., 1887.

41. Пахомов Е.А. Несколько словъ о происхождении рисунка "Колхидокъ," Батумъ, 1910.

42. Пахомов Е.А. Монеты Грузии, С-П., 1910.

43. Пахомов Е.А. Монетные клады Азербайджана и Закавказья, I. (Труды О-ва обследования и изучения Азербайджана, вып. 3), Баку, 1926.

44. Пахомов Е.А. Монеты Грузии, Тб., 1970.

45. Скуднова В.М. Находки колхидских монет и пифосов в Нимфее. - ВДИ, № 2, 1952.

46. Хоштария Н.В. Древнее поселения в Даблагоми, тезисы канд. диссертаций,Тб., 1941.

47. Babelon E. Traite, I-II.

48. Carradice J. Coinage and Administation in the Athenien and Persian Empires. The ninth Oxford Symposium on Coinage and Monetary History. BAR International Series, 343, 1987.

49. Dompierre de Chaufepie. Quelques monnaies grecques de la Collection Six acquise parla Cabinet rayal de Numismatiquede la Hage. Revue de Numismatique, Bruxelles, 1907.

50. Doundoua G. Les Kolkhidkas. Dialogues d'histoire ancienne, N 8, 1982.

51. Göbl R. Antike Numismatik, München, Band 2, 1978.

52. Greenwelle M.A. Rare Greek Coins, "The Numismatic Chronicle," Part II, Third Series, Nr. 50, 1893.

53. Grose S.M. Catalogue of the McCleen Collection of Greek Coins, Cambridge, 1929, vol. III.

54. Hind T. The Types on the Earliest Silver Coins of the Phasians – Kolchidki – Sur les traces des Argonautes (Actes du 6e Symposium de Vani, 22-29 Sept. 1990), Paris, 1996.

55. Head B. Historia Numorum, Oxford, 1911.

56. Lang D.M. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New-York, 1955.

57. Lang D.M. Notes on Caucasian Numismatics. The Numismatic Chronicle, vol. XVII, 1957.

58. Lebanidze L. Le Trèsor Monetaire de Sulori. Actes du VIIe Symposium de Vani, Paris, 1999.

59. Lordkipanidze O. Phasis. The River and City in Colchis. – Geographica Historica, Band 15, Franz Steiner Verlag GMBH, Stuttgart, 2000.

60. Pochitonov Eug. Poznamky a doplňky Knejstaršim ražbam Kolchidy, Numismatickě Listy, XIV, 1959.

61. Prokesch-Osten. Inedita meiner Sammlung, 1870, "Numismatische Zeitschrift," 1870, II, Wien.

62. Richter, Gisela M.G. Archaic Greeck Art. – Oxford University Press, New-York, 1949.

63. Seltman Ch. Greek Coins, L., 1955.

64. Wroth W. Catalogue of Greek Coins. Pontus, Paphlagonia, Bithynia and the Kingdom of Bosporus, L., 1889.



1



2



3

4

5



6



7



8



9



1

2

3

4

5



6



7

8

9

თემურ თოდუა

ამფორასამარხები ბიჭვინტიდან (პიტიუნტი)

ბერძენ-რომაელი ავტორების „პიტიუს-პიტიუნტი," ქართული წერილობითი წყაროების „ბიჭვინტა" მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, ქ. გაგრიდან 20 კმ-ზე, ბიჭვინტის კონცხზე, მდ. ბზიფის შესართავთან. წერილობით წყაროებში ბიჭვინტა პირველად ძვ.წ. II-I სს. ბერძენ გეოგრაფოსთან - არტემიდორე ეფესელთან იხსენიება „დიდი პიტიუნტის" სახელით (Strabo, XI, II, 14).

სამწუხაროდ, „დიდი პიტიუნტის" კვალი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. არქეოლოგიური გათხრებისას მხოლოდ II-VI სს. ნაქალაქარია აღმოჩენილი. ნაქალაქარი ორი ნაწილისაგან - ციხესიმაგრისა (კასტელუმი) და სამოქალაქო დასახლებისაგან („კანაბე") შედგება. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია საფორტიფიკაციო, სამეურნეო, საცხოვრებელი, საკულტო, სამხედრო (პრეტორია, პრინციპია) ნაგებობები, აბანოს კომპლექსი, მრავალრიცხოვანი კერამიკა, იარაღი, მინის ჭურჭელი, მონეტები და სხვ.

ციხე-ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ნაქალაქარის თანადროული სამაროვანი (ტაბ. I_1). მთლიანად სამაროვანზე გაითხარა 510 სამარხზე მეტი, გამოიყო რვა ტიპი: ორმოსამარხები კირხსნარიანისამარხები, კრამიტსამარხები, ამფორასამარხები, აგურსამარხები, კონგლომერატითა და ლოდებით ნაგები ჭასამარხები, კონგლომერატის კვადრებით ნაშენი სამარხები, კრემაციული სამარხები.

ამჯერად, ჩვენ სამარხთა ერთ-ერთ საინტერესო ტიპზე - ამფორასამარხებზე შევჩერდებით. სამაროვანზე დღისათვის 65 ამფორასამარხია (იხ. ცხრილი I) გამოვლენილი [10, გვ. 55-60]. ამათგან მხოლოდ ერთია ინვენტარიანი. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

სამარხი № 14. კვ. C_5, სიღრმე - 45 სმ. ამფორა ყავისფერკეციანია, წელშეზნექილი. ამფორა შუაზეა გადატეხილი, პირი და თავი არა აქვს. ჩადგმულია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხი ბავშვისაა, უინვენტარო. ამფორის მიხედვით სამარხი III-IV სს. თარიღდება.

სამარხი № 98. კვ. D_{11}, სიღრმე - 55 სმ. ამფორა დაშლილია. ამფორის კედლების ნამტვრევებს შორის აღმოჩნდა ბავშვის ძვლები. ამფორა სქელკედლიანია, თიხა კი იასამნისფერი. იმპორტული, სინოპური წარმოებისა, უინვენტარო, III ს-ით თარიღდება.

სამარხი № 183. კვ. C11, სიღრმე - 45 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი, ყავისფერკეციანი. ამფორაში ჩასვენებული იყო ბავშვი, რომლის თავის ქალა კარგადაა შენახული (ტაბ. I_2). ინვენტარი: 1. მონეტა სპილენძისა, თავთან. ცუდად დაცული (ტაბ. I_3); .2. სანელსაცხებლე მინისა, ვიწრო, მაღალყელიანი, წელში გამოყვანილი, ზარისებურტანიანი (ტაბ. I_4). ამფორასამარხი ახ.წ. III-IV სს. თარიღდება.

სამარხი № 247. კვ. 2, სიღრმე - 40 სმ. ამფორა შედარებით კარგადაა შემონახული. ზედა ნაწილი ჩალეწილია და მისი ფრაგმენტები in situ მდგომარეობაში იქვე დაფიქსირდა. ამფორა ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია ჩაწვენილი, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამფორაში აღმოჩნდა ბავშვის დაშლილი ძვლები. ამფორა წელშეზნექილია. ყელი მკვეთრად შევიწროებულია, შედარებით დაბალი, პირვიწრო. კეცი მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა სუფთად განლექილი, კარგად გამომწვარი, წვრილმინარევებიანი. განივკვეთში ბრტყელი ყურები მიძერწილია ყელისა და მხრების არეში. ამფორა სამოსურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება და ახ.წ. IV ს. თარიღდება. უინვენტაროა.

სამარხი № 296. კვ. E_1, სიღრმე - 40 სმ. ამფორა წელზემოთ ნაკლული. შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი. ამფორა ადგილობრივია, ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი. ამფორა მიწაში ჩადგმულია ვერტიკალურად. ამფორაში აღმოჩნდა ბავშვის ფრაგმენტული ძვლები. უინვენტაროა. სამარხი III-IV სს. თარიღდება.

ბიჭვინტური ამფორასამარხები საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური სინამდვილისათვის უნიკალური შემთხვევა არ არის. დაკრძალვის ეს წესი აღმოსავ-

ცხრილი I

რაოდენობა	ინვენტარიანი	უინვენტარო	დამხრობა								
65	1	64	ჩრდ.	სამხ.	დასავ.	აღმოს.	ჩ. ა.	ჩ. დ.	ს. ა.	ს. დ.	შენიშვნა
			7	6	11	5	2	6	1	2	ორიენტაცია 10 ამფორასამარხისა არ დადგინდა

ლეთ შავიზღვისპირეთში, ჯერ კიდევ ადრეანტიკური ხანიდან დასტურდება. ამ პერიოდის ამფორასამარხები ჯერჯერობით ციხისძირის სამაროვანზეა დაფიქსირებული. დასაკრძალავად გამოყენებული იყო ქიოსური ამფორები, რომლებიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება [8, გვ. 92].

ელინისტური ხანის ერთადერთი ამფორასამარხი ცნობილია სოფ. ეშერიდან. ამფორაში აღმოჩნდა ფერფლი და ბრინჯაოს სამაჯურები, რომლებიც გრავირებული სტილიზებული ცხოველის თავით ბოლოვდებოდა. რაც შეეხება თვით ამფორას, იგი კოსის ნაწარმთა წრეს განეკუთვნება და ძვ.წ. III-II სს. თარიღდება [13, გვ. 33]. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კლასიკური და ელინისტური ხანის ამფორასამარხები მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი, მაშინ როცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღნიშნული ეპოქის ამფორასამარხები საკმაოდ მრავლად გვხვდება. ელინისტური ხანის დასასრულს კი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და საერთოდ, მთელ ანტიკურ სამყაროში მათი რიცხვი მცირდება [12, გვ. 50].

ახ.წ. I საუკუნიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა [12, გვ. 51] და ხმელთაშუაზღვისპირეთში [18, გვ. 86] ამფორასამარხთა რაოდენობა მკვეთრად იზრდება. ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თუმცა აქ რომაული ხანის ამფორასამარხები ბიჭვინტის გარდა, ჯერჯერობით ციხისძირსა და გონიო-აფსაროსშია დადასტურებული. ციხიძირის სამაროვანზე დღეისათვის შვიდი [8, გვ. 93], ხოლო აფსაროსში მხოლოდ ერთი ამფორასამარხია [9, გვ. 47] გამოვლენილი. ყველა მათგანში, ისევე როგორც ბიჭვინტის ამფორასამარხებში ჩვილი ბავშვებია დაკრძალული. ამფორების მიწაში ჩადგმის დონეც ზომებში თითქმის ერთია - 40-65 სმ-მდე მერყეობს.

ბიჭვინტის ამფორასამარხები, ასევე ციხისძირისა და აფსაროსის ამფორასამარხებიც მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩადგმული. გამონაკლისს წარმოადგენს ბიჭვინტის ზემოთ აღწერილი № 296 ამფორასამარხი, რომელიც ვერტიკალურ მდგომარეობაში ჩანს ჩადგმული. რაც შეეხება ბიჭვინტის ამფორასამარხთა დამხრობას, მათ შორის არაკანონზომიერება შეიმჩნევა. ამფორების გარკვეული ნაწილი ჩადგმულია პირით დასავლეთისაკენ. ზოგიერთი მათგანი კი ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ თუ ჩრდილოაღმოსავლეთით. ყველაზე უფრო ხშირია აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ორიენტირებული ამფორასამარხები. ამფორათა ერთი კატეგორია შუაზეა გადატეხილი, ძირი და თავი არა აქვს. ზოგი კი პირისა და ძირის არეშია გადატეხილი ან გადახერხილი. ამფორების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი წარმოებისაა (ტაბ. I_5). ესენია ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორები, რომელთა შორის ორი ქრონოლოგიური ვარიანტი გამოიყოფა: ადრეული ვარიანტის ამფორები, რომლებიც ახ.წ. III-IV სს. თარიღდება, ყელწიბოიანია, ხასიათდება დიდი ზომებით, სქელკედლიანი და სადა ზედაპირიანია. გვიანდელი ვარიანტის ამფორები კი V-VIII სს. განისაზღვრება. ამ ვარიანტის ამფორებს აქვთ პროფილირებული პირი, ცილინდრული ყელი, პატარა ბრტყელი ყურები, ქვედა ნაწილში შეზნექილი კორპუსი და კონუსური ძირი.

ადგილობრივი ამფორების გარდა, გვხვდე-

ბა იმპორტული ცალებიც. ბიჭვინტის სამაროვანზე ოთხიოდე ასეთი სამარხად გამოყენებული ამფორაა წარმოდგენილი. ოთხივე ფრაგმენტულია. ერთი მათგანი შედარებით კარგადაა შემონახული. დამზადებულია მოვარდისფროდ გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისაგან (ტაბ. I_6), სიმაღლე - 95 სმ., კეცის სისქე - 1 სმ. ამფორა სამოსურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება და IV ს-ით თარიღდება [10, გვ. 148]. ამგვარი ამფორები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ბიჭვინტის ნაქალაქარზე [3, გვ. 275]. გვხვდება, ასევე სოხუმში [1, გვ. 113]; ფოთში [4, გვ. 96]; გუდავაში [6, გვ. 72]. მეორე ამფორა ძირბრტყელია, ცენტრისკენ შეზნექილი, მისი მხრების არე და გვერდები დაფარულია მოწითალო-მოყავისფრო საღებავით. ჭურჭლის ზედაპირი ანგობირებულია, ანგობი ღია ჩალისფერი, თიხა მოიასამნისფრო (ტაბ. I_8), ძირის დმ - 10,7 სმ.; კეცის სისქე - 0,7 სმ. ამფორა სინოპური წარმოებისაა და ახ.წ. III ს-ით თარიღდება.

სინოპური თიხისაგან ჩანს დამზადებული № 98 სამარხის ამფორა, რომელიც ძალზე დაშლილია. იგი სქელკედლიანია, თიხა კი იასამნისფერი. ამფორის შერჩენილი სიმაღლე - 50 სმ.; კეცის სისქე - 1,5 სმ. აღწერილი ამფორის ფრაგმენტიც ახ.წ. III ს. უნდა განისაზღვროს.

ბიჭვინტის გარდა, სინოპური ამფორები აღმოჩენილია, ასევე სოხუმში [1, გვ. 119]. მეოთხე ამფორაც ძალზე დაზიანებულია. მოწითალო თიხისაა, ძირშეზნექილი, დაღარულტანიანი (ტაბ. I_7). შემორჩენილი ნაწილის სიგრძე - 45 სმ. ამგვარი ამფორები ბიჭვინტის ნაქალაქარის ტერიტორიაზეც არის დადასტურებული. ანალოგიური ამფორები აღმოჩენილია, აგრეთვე აფსაროსში [5, გვ. 75]. მკვლევართა აზრით, ასეთი ტიპის ამფორები არაერთგან მზადდებოდა და მათ შორის ხერსონესშიც. ვფიქრობთ, აღნიშნული ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდანაა შემოტანილი [11, გვ. 123] და პარალელური მასალებით ამფორა ახ.წ. III ს. უნდა დათარიღდეს [3, გვ. 265].

ამფორებში დაკრძალული მიცვალებულების პოზა თითქმის არ იკითხება, რადგანაც ჩვილი ბავშვების ჩონჩხი ძალზე დაშლილია. ამიტომაც ძვლები უწესრიგოდ არის მიმოფანტული ამფორებში. ზოგიერთ შემთხვევაში კი თითო-ოროლა ძვლის ფრაგმენტია მხოლოდ დაფიქსირებული. გამონაკლისს წარმოადგენს № 183 და 251 ამფორასამარხები, რომლებიც შედარებით უკეთაა შენახული.

№ 183 ამფორასამარხში აღმოჩნდა კარგად შენახული ბავშვის თავის ქალა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ იგი დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. № 251 ამფორასამარხში კი შემორჩენილი იყო თავის ქალა და ქვედა კიდურების ნაწილი. მიცვალებული დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ.

ბიჭვინტის, ისევე როგორც ციხისძირის აღწერილი ამფორასამარხებიდან, მხოლოდ ციხისძირის № 17 და პიტიუნტის № 183 ამფორასამარხებია ინვენტარიანი. ციხისძირის № 17 ამფორასამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბუდეაბმული, ჯვრისებური მშვილდსაკინძი. ანალოგიური მშვილდსაკინძები დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ახ.წ. V-VII სს. ციხისძირის ამფორასამარხიდან მომდინარე ფიბულა, ზომებითა და მშვილდის მოყვანილობით ემსგავსება ნოქალაქევისა [14, გვ. 145-146] და სამთავროს სამაროვანზე [2, გვ. 14-15] აღმოჩენილ მშვილდსაკინძებს, რომლებიც ახ.წ. V ს. თარიღდება.

ბიჭვინტის № 183 ამფორასამარხის ინვენტარი მონეტისა და მინის სანელსაცხებლისაგან შედგებოდა. მონეტა სპილენძისაა, ძვ.წ. I ს-ის, სამხრეთ პონტოს ერთ-ერთ ქალაქში მოჭრილი [10, გვ. 147]. მინის სანელსაცხებლე ხასიათდება ვიწრო მაღალი ყელით, წელში გამოყვანილი, ზარისებურტანიანი და ძირშეღრმავებულია. იდენტური ტიპის ფლაკონები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ნაქალაქარის ტერიტორიაზეც და ახ.წ. III-IV სს. თარიღდება. ამ ხანით უნდა დათარიღდეს № 183 ამფორასამარხიც. აღნიშნულ ხანასვე განეკუთვნება, ასევე პიტიუნტისა და ციხისძირის ამფორასამარხთა აბსოლუტური უმრავლესობა, ხოლო ზოგიერთი მათგანი V-VI სს. თარიღდება [10, გვ. 150; 8, გვ. 97].

ბიჭვინტისა და ციხისძირის ამფორასამარხების ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ისინი სამოქალაქო მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს უკავშირდება. რაც შეეხება ამფორასამარხების ეთნოკულტურულ ატრიბუციას, დაკრძალვის ამგვარი წესი ბერძნული ეთნოსისათვის არის დამახასიათებელი. ძველ საბერძნეთში დაკრ-

ძალვის ეს წესი არქაული ხანიდან იყო ცნობილი [17, გვ. 99]. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული წესი, საერთოდ არ დასტურდება დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონებში და ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომაც, განხილული ამფორასამარხები შეიძლება დავუკავშიროთ ეშერის, ციხისძირისა და პიტიუნტის საქალაქო მოსახლეობის ბერძნულ ეთნოსს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ქალაქებში ბერძნულენოვანი მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს, აგრეთვე ბიჭვინტის სამაროვანზე აღმოჩენილი კრამიტსამარხები, კერამიკულფილიანი სამარხები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის არ არის დამახასიათებელი. ბერძნულ სამყაროში კი დაკრძალვის ამგვარი წესი, ადრეანტიკური ხანიდანაა დადასტურებული [16, გვ. 235]. ბერძნულ-რომაული დაკრძალვის წესის პარალელურად, პიტიუნტის სამაროვანზე დასტურდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი სამარხები.

ამრიგად, ბიჭვინტის ამფორასამარხები ბერძნული დაკრძალვის წესს უკავშირდება და შესაბამისად, ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ, მცირე ნაწილს ალბათ ბერძნული ეთნოსი შეადგენდა.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ.** მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. - მაცნე, ისტორიის... სერია, № 3, 1965.

2. **აფხაზავა ნ.** ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979.

3. **ბერძენიშვილი ნ., ფუთურიძე რ.** ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები. - დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975.

4. **გამყრელიძე გ.** კოლხოლოგიური ნარკვევები, თბ., 2001.

5. **გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ.** რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. - სდსძ, I, თბ., 1964.

6. **ზამთარაძე მ.** გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი. - სსმმ, XXXIV, 1979.

7. **თოდუა თ.** საქართველოს შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახ.წ. *II-IV* სს-ის სამარხეული ძეგლების მიხედვით. - საისტორიო ძიებანი, III, თბ., 2000.

8. **ინაიშვილი ნ.** ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.

9. **კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ.** 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. - გონიო-აფსაროსი, III, თბ., 2002.

10. **ლორთქიფანიძე გ.** ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.

11. **Зеест И.Б.** Керамическая тара Боспора. - МИА, 83, М., 1960.

12. **Зубарь В.М.** Некрополь Херсонеса Таврического I-IV вв. н.э., Киев, 1982.

13. **Куфтин Б.А.** Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949.

14. **Леквинадзе В.А., Хведелидзе Л.И.** Массовые археологические находки из раскопок Археополиса. - ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., 1981.

15. **Лордкипанидзе Г.А., Кигурадзе Н.Ш., Тодуа Т.Т.** Раскопки пицундского городища и некрополья. - ПАИ в 1984-1985 гг., Тб., 1987.

16. **Шелов Д.Б.** Некрополь Танаиса, М., 1961.

17. **Kurz P.S., Bordman J.** Greek burial customs, L., 1971.

18. **Testini P.** Archaeologia Gristiana, Roma-Parici-New York, 1958.

ტაბ. I



1



2

3

4



5



6



7



8

ნინო კიღურაძე

ლეგიონერის სამარხი (№ 345) პიტიუნტ-ბიჭვინტიდან

სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ დაბანაკებულნი რომაელი ლეგიონერები, ისინი ყოველთვის რომაული ცივილიზაციის ორგანულ შემადგენელ ნაწილებად მოიაზრებოდნენ [12, გვ. 197]. ამ მხრივ არც პიტიუნტის გარნიზონი წარმოადგენდა გამონაკლისს, რომელიც პროვინცია კაპადოკიის ჩრდილო-დასავლეთ შორეულ მისდგომებს იცავდა. დოკუმენტურად არის დამტკიცებული, რომ ბიჭვინტის კონცხზე ახ.წ. I ს. ბოლოსა და III ს. დისლოცირებული ყოფილა XV აპოლონისეული ლეგიონის ცალკეული შენაერთები, რომლებიც იმპერიის საზღვრებს იცავდნენ და საზღვაო კომუნიკაციებსაც აკონტროლებდნენ [12, გვ. 91; 7, გვ. 88]. არქეოლოგიური გათხრების პროცესში გამოვლენილ იქნა რომაული ციხე-ქალაქი და თანადროული ახ.წ. II-IV სს. დათარიღებული ნეკროპოლი, რომლის ფართობი 3,5 ჰექტარს აღწევს. ის უკავშირდება რომაელ ლეგიონერებს, ჯარისკაცებს, მათ ოჯახის წევრებს, ბავშვებსა და ქალებს.

სამაროვანზე დადასტურებულია სამარხთა შვიდი ტიპი. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე.წ. კირხსნარიანი ორმოსამარხები, რაც გამოვლენილ სამარხთა 29% შეადგენს. ხის ყუთში ჩასვენებულ მიცვალებულს ნაწილობრივ ან მთლიანად ფარავდნენ კირხსნარით. ამ ტიპის სამარხები თავისებურ სარკოფაგებს წარმოადგენდნენ - ცხედარი საიმედოთ იზოლირებულია მიწისა და ნესტისაგან.

სამარხი № 345 (სურ. 1) აღმოჩნდა სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში, კასტელუმის დასავლეთ კარიბჭიდან 380 მ-ის დაშორებით. ბიჭვინტის ახალი ე.წ. შემოსასვლელი გზის გაყვანის დროს სანიაღვრო თხრილში. სამარხი მშენებლებს ნაწილობრივ დაუზიანებიათ. სამარხი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 0,80 მ. სიღრმეზე, სამარხეული ორმოს ზომებია: სიგრძე 2,30 მ, სიგანე 0,80 მ, ხსნარის სისქე 0,30 მ. სამარხი მამაკაცისაა. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, ზურგზე, თავით დასავლეთისაკენ. ჩონჩხის სიგრძე 1,80 მ. ჩონჩხი ნაწილობრივ დაზიანებულია. შემორჩენილი მარცხენა ზედა კიდურის ხელის მტევნის ფალანგები აღმოჩნდა მენჯის ძვლის არეში (ასევითვე პოზაში, თავით დასავლეთისაკენ იკრძალებოდნენ რომაელი ლეგიონერები ინგლისში, ვინჩესტერის სამაროვანზე [10, გვ. 337], მარჯვენა ზედა კიდურის იდაყვის ქვემო ნაწილი არ დაფიქსირდა (შესაძლებელია, მარჯვენა ხელი ლეგიონერს ბრძოლაში ჰქონდა დაკარგული). ე.წ. კირხსნარიან სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულებს შედარებით მაღალი სოციალური მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ, რადგან მათი მოწყობა შრომატევად სამუშაოებს და შესაბამისად დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. № 345 სამარხში დაკრძალული მიცვალებული გარკვეული საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენელი, შესაძლოა, ვეტერანის სტატუსის მქონე რომის მოქალაქე ყოფილიყო. მისი სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია სამადსამი ვერცხლის ნივთით: სამკლაურით, ფიბულით, საქამრე ბალთით. გარდა ამისა 12 სმ. სიგრძის სალესი ქვა დაფიქსირდა მიცვალებულის მარცხენა მხარეს, გვერდის არეში. ქვედა კიდურებთან აღმოჩნდა რკინის ორი მრგვალქუდიანი ნაჭედი ლურსმანი, ჭრილში ოთხკუთხა, ისინი ხის ყუთის, კუბოს მოჭედილობას უნდა მივაკუთვნოთ. რომის იმპერიაში ლეგიონერების რკინით მოჭედილ ყუთებში დაკრძალვა საყოველთაო წესად იქცა, მას შემდეგ, რაც ახ.წ. II ს. კრემაცია შეიცვალა ინჰუმაციით [10, გვ. 3-332; გვ. 48, ტაბ. 35-36; 13, გვ. 210] ნიშანდობლივია, რომ ბიჭვინტის სამაროვანზე გათხრილი 465 სამარხიდან მხოლოდ 7-ია კრემაციული.

1. მშვილდსაკინძი (ტაბ. I, სურ. 2) ვერცხლის, საკმაოდ ნატიფი ნახელავია, ზომიერად მორკალური სამკუთხაგანივკვეთიანი მშვილდით, რომლის ერთ ბოლოზე - ბუდესთან სიმეტრიულად განლაგებულია სამი კოპი. მეორე ბოლოში - სამი ბურთულაა მირჩილული მრგვალგანივკვეთიან ღერაკზე. მის ცენტრალურ ნაწილში შერჩენილია ენის მოძრავი რგოლი. აკლია ენა და ბუდის წვერი. ძნელია განსაზღვრო მისი ტიპი ე.წ. ჭვინტიან მშვილდსაკინძეებს ეკუთვნის ის თუ

პროვინციულ რომაულ ლათინურ „T“ მაგვარ ფიბულებს. მსგავსი მშვილდსაკინძები ახ.წ. III ს. თარიღდებიან [4, გვ. 74, ტაბ. 13_3; 13, ტაბ. XVI_2, XXVI_1]. ფიბულა აღმოჩნდა მარცხენა ლავიწის ძვლის არეში. მისი აღმოჩენის ადგილის მიხედვით მიცვალებული შესაძლოა რომაულ წამოსასხამში (Sagum-ში) დაუკრძალავთ [6, გვ. 24].

2. ვერცხლის შედგენილი საქამრე ბალთა-აბზინდა (ტაბ. I, სურ. 3), საქამრე მორთულობა შედგება ორი ერთნაირი ოდნავ ტრაპეციის ფორმის ნაწილისაგან (მათი საერთო სიგრძე 14 სმ-ია), რომლებიც უკავშირდებიან ერთმანეთს მრგვალგანივკვეთიან ღეროზე მოძრავი მარყუჟის მეშვეობით. ერთი მათგანი წარმოადგენს ორად მოკეცილ ბრტყელ ფირფიტას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მანჭვლების მეშვეობით (თავსა და ბოლოში), მისი სიგრძეა 7,1 სმ. მოკეცვის ადგილი მყარად არის დამაგრებული მრგვალგანივკვეთიან ღეროზე. მეორე ნაწილი წარმოადგენს იგივე ფორმის ბრტყელ ფირფიტას. მისი სიგრძე 6,9 სმ-ს უდრის. ორივე ნაწილი გრავირებულ-ზედაპირიანია. მოკეცილი ფირფიტა ორნამენტირებულია შვეული ერთმანეთზე გადაბმული წრეებით და მცირე ზომის სამკუთხედებით. მეორე ფირფიტაზე კი შვეულ ხაზებს შორის მოთავსებულია ერთმანეთზე გადაბმული სამკუთხედები. ბალთა განეკუთვნება ტიპიურ რომაულ ტყავის ქამრის აბზინდას [9, გვ. 46, 60, 68, სურ. 35, 49, 57]. აბზინდა აღმოჩნდა დაკრძალულის მარჯვენა ქვედა კიდურის მუხლის ძვალთან.

3. სამკლაური ვერცხლისაა, კარგად შემონახული (ტაბ. I, სურ. 1), მასივური, რკალშეკრული. მისი დმ 9,3 სმ., ჩამოსხმულია (წონა - 66 გრ.) მაღალი სინჯის ვერცხლისაგან. სამკლაური ზედაპირწახნაგიანია, შედგება 19 თანაბარი ზომის ოთხკუთხა ფორმის წახნაგისაგან (1,4 სმ - 1,4 სმ). ცენტრალურ ნაწილში ფართოვდება და ქმნის 5,8 სმ. მრგვალ სიბრტყეს, რომელზეც შემდგომ ასეთივე ფორმის და ზომის ვერცხლის მედალიონი-ფალარი მიურჩილავთ. მას შემოუყვება ბურცობებით „მარგალიტებით“ შემაღლებული რკალი - ჩარჩო. ფალარის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ფეხზე მდგომი, მთელი ტანით, ბერძნულ-რომაული სიუხვის, ნაყოფიერების, ბედ-იღბლის ღვთაება ტიხე-ფორტუნა, მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკით. მარჯვენა ხელით ფორტუნა ეყრდ-



სურ. 1

ნობა საჭეს, ხოლო მარცხენაში სიუხვის ყანწი უჭირავს. შემოსილია გრძელი გამჭვირვალე ქიტონით, რომელსაც ზემოდან მოსასხამი აქვს შემოხვეული, მისი ბოლო მარცხენა ხელზე აქვს გადაგდებული: ქალღმერთის სახე პროფილშია გადმოცემული, მარჯვნივ მობრუნებული. ქალღმერთი დგას კონტრაპოსტში, მომცრო კვარცხლბეკზე. გამოსახულება შესრულებულია შტამპით, წნეხვის ტექნიკით. სამკლაური აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ზედა კიდურის მკლავის ძვლის შუა ნაწილში. როგორც აღვნიშნეთ, სამკლაური რკალშეკრულია, აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ მას სპეციალური დაკვეთით წინასწარ აღებული ზომების მიხედვით ამზადებდნენ.

ტიხე-ფორტუნას გვიან რომაულ ხანაში განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ხმელთაშუაზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში. ხშირად ამ ღვთაების ქანდაკებებს აღმართავდნენ სამხედრო ბანაკებში [5, გვ. 374], მისი მრავალფეროვანი გამოსახულებები კარგად

არის ცნობილი რომის იმპერიაში. ეს ბედიღბლის გამგებელი არც კოლხეთისათვის ყოფილა უცხო, რადგან მის გამოსახულებებს ეხედავთ არისტარქე კოლხიდელის ვერცხლის ძვ.წ. I ს-ის შუახნის მონეტებზე.

თავდაპირველად აღნიშნული სამკლაური გაზრებული იქნა, როგორც ჩვეულებრივი სამკაული [2, გვ. 8-12]. შემდგომი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ის ტიპური რომაელი ლეგიონერის სამხედრო წარჩინების სპეციალური ოფიციალური ნიშანია, ჯილდო ჯარისკაცის პირადული მამაცობისათვის (armillae). მას ატარებდნენ გამოსაჩენ ადგილას, შიშველ მკლავზე [11, გვ. 175, 244, 245; 5, გვ. 90; 8, გვ. 162]. აღნიშნული გარემოება, სამკლაურის მდებარეობა № 345 სამარხში გვაფიქრებინებს, რომ აქ ლეგიონერი დაუკრძალავთ მოკლესახელოებიან ჯარისკაცის ქამარშემორტყმულ პერანგში, ტუნიკაში (tunica) ამგვარი სამკლაურებით, რომლებიც შემკული ყოფილა სხვადასხვა ღმერთების და იმპერატორების გამოსახულებებით, რომლითაც საჯაროდ აჯილდოვებდნენ მამაც ლეგიონერებს, რაც სამხედრო სამსახურში დაწინაურებისა და წახალისების საშუალება იყო [6, გვ. 40]. ამ მოვლენას ჩვეულებრივ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ახ.წ. III ს-ის პიტიუნტში დაუკრძალავთ სიმამაცით გამორჩეული ჯარისკაცი, რომელიც შესაძლოა მტრებთან ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა. ის გარემოება, რომ სამარხეულ კომპლექსში არ აღმოჩნდა პირადი საბრძოლო იარაღი, გვაფიქრებინებს, რომ მას უფრთხილდებოდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ. აღნიშნული წესი დამახასიათებელია ახ.წ. I-IV სს-ის რომაული სამაროვნებისათვის. გამონაკლისს არც ბიჭვინტა წარმოადგენს, სადაც მხოლოდ ერთ სამარხში დაფიქსირდა რკინის შუბისპირი.

როგორც ჩანს, რომაული სამყაროს გავლენით საქართველოში ვრცელდება სამხედრო მამაცობისათვის ვერცხლის სამკლაურით დაჯილდოვების წესი. ჟინვალის სამაროვანზეც ახ.წ. II ს. დათარიღებულ მეომრის სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის სამკლაური [3, გვ. 58-68, ტაბ. VII].

ლიტერატურა

1. **ლორთქიფანიძე გ.** ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.

2. **თოდუა თ.** ვერცხლის სამკლაური ბიჭვინთის სამაროვნიდან. - ხელოვნება, № 2-3, თბ., გვ. 8-12.

3. **ჩიხლაძე გ.** ჟინვალის სამაროვნის ყორეკედლიანი სამარხები. - კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. VI, თბ., გვ. 58-68.

4. **Амброз А. К.** Фибулы Юга Европейской части СССР II в. до.н.э.-IV в.н.э. М., 1966.

5. **Боэк Я. Л.** Римская армия эпохи ранней империи, М., 2001.

6. **Гомыженков И., Пархаев О.** Армия императорского Рима I-II вв. н.э. М., 2000.

7. **Кигурадзе Н., Лордкипанидзе Г., Тодуа Т.** Клейма XV Легиона из Пицундского городища. - ВДИ, № 2, 1987, с. 88-92.

8. **Сангурский И. В.** Римские древности М., 1995.

9. **Bishop M.C., Covlston J.C.** Roman Military Equipment, 1989.

10. **Clarke G.** Pre Roman and Roman Winchester II Roman Cemdersy at Lankchils Oxford, 1979.

11. **Connolly P.** Greeke and Rome at war, London, 1981.

12. **James P.** Roman Civilization, 2000.

13. **Kraskovska Z.** Gerulata Rusovce. Rimske pohrbesko. I Bratislave, 1974.

1



2

3

ნანა მათიაშვილი

ოქროს თავსამკაულის ნაწილები ვანის ნაქალაქარიდან

ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, დიდი სატაძრო კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადის გაყოლებაზე გამოვლენილ ნაგებობათა ნგრევის შედეგად წარმოქმნილ ქვაყრილში აღმოჩნდა ოქროს ერთი წრიული და ერთი სწორკუთხა ფირფიტა.

სწორკუთხა ფირფიტა, რომლის ზომებია 0,062მx0,029მ, მუქი ყვითელი ფერისაა, შედარებით სქელფურცლოვანი, სადა, კიდეები ოთხივე მხარეს გადაკეცილი და მცირე ზომის ნახვრეტებითა აქვს დაფარული. ერთ-ერთ ნახვრეტში პაწაწინა ლურსმანი ჰქონდა შემორჩენილი. როგორც ჩანს, იგი მაგარი მასალისაგან დამზადებულ თხელ ფირფიტაზე იყო გადაკრული და რთული სამკაულის ნაწილს წარმოადგენდა. ფირფიტა ოქროს ხარისხით უახლოვდება ადგილობრივად განსაზღვრულ ნივთებს, სავარაუდოა, რომ ისიც ადგილობრივაა დამზადებული (ადგილობრივი ოქროს სამკაულის შესახ. იხ. [3, გვ. 7-9]).

წრიული ფირფიტა ორნამენტითაა დაფარული. იგი ნაკლულია: ერთი მხარე და კიდეები ნაწილობრივ ჩამოტეხილი, ხოლ ზედაპირი ოდნავ დაჭეჭყილი აქვს. კიდის გადარჩენილ ნაწილებზე შერჩენილი აქვს პაწია სამაგრებისაგან დატოვებული წვრილი ნახვრეტები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი, ისევე როგორც სწორკუთხა ფირფიტა, რთული ნივთის შემადგენელი იყო და მაგარ საგანზე იყო დამაგრებული. დამზადებულია ღია ყვითელი ფერის ძალიან თხელი ფირფიტისაგან.

ორნამენტი, მიუხედავად გარკვეული დაზიანებისა, საკმაოდ ნათლად გაირჩევა. ფირფიტის ცენტრში, „ოვებით", ექვსფურცლიანი ვარდულებითა და აკანთოსის სტილიზებული ფოთლებით შედგენილი სარტყლებით შემოჩარჩოებულ 0,04 მ დმ-ის მქონე მედალიონია გამოყოფილი. მასში დიადემითა და სუროს გვირგვინით შემკული დემონური გამომეტყველების ხარის თავია გამოსახული. ხარს მკვეთრად მორკალული სქელი წარბები, ღრმად ჩამჯდარი ნუშის ფორმის თვალები და რვიანისებური მასივური დრუნჩი აქვს. დიადემა რქებს შორის მოქცეული წვრილი ღარითაა აღნიშნული, სუროს გვირგვინი კი მარცხენა თვალზე ჩამოცურებული ფოთლითა და მარჯვენა ყურს ქვემოთ დატანილი სანახევროდ გაშლილი ყვავილითაა მინიშნებული. გამოსახულება, რომელიც გამოირჩევა ნატიფი და დახვეწილი შესრულებით, ქვემოდანაა ამოჭედილი, სარტყლების შემავსებელი ორეამენტი ტვიფრითა ჩანს დატანილი (ტაბ. I_3).

გამოსახულებას უშუალო პარალელი არ ეძებნება, მაგრამ ორნამენტის ხასიათით უახლოვდება ადრეელინისტური ხანის ნიმუშებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მედალიონის ირგვლივ შემოწერილ სარტყლებში დატანილი "ოვების", ვარდულების და აკანთოსის გამოსახულებები. მსგავსი ორნამენტი დადასტურებულია ადრეელინისტური ხანის ბერძნული საიუველირო ხელოვნების ნიმუშებზე [14, გვ. 177-179]. ანალოგიური მცენარეული ორნამენტით შემკული ტანსაცმელზე დასაკერებელი ფირფიტები, რომელთა ნაწილს ა. ჭყონია ზოგადად ადრეელინისტური ხანით ათარიღებს და საყოველთაოდ გავრცელებული ელინისტური მოტივების მიხედვით დამზადებულ ადგილობრივ ნაწარმად განსაზღვრავს, ვანშიცაა აღმოჩენილი [3, გვ. 85, 126, № 191-193; ადგილობრივი ოქრომჭედლობის შესახ. იხ. აგრეთვე 1, გვ. 353-401].

ყოველივე ზემოთქმულისა და აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით, წრიული ფირფიტა ზოგადად ელინისტური ხანით შეიძლება დათარიღდეს, ხოლო შესრულებისათვის დამახასიათებელი სინატიფისა და ადგილობრივი ნაწარმისაგან განსხვავებული ოქროს შეფერილობის მიხედვით, იმპორტულ ნაწარმად განისაზღვროს.

ძვირფასი ლითონის სწორკუთხა და წრიული ფირფიტები ელინისტური სამყაროს მრავალ პუნქტშია აღმოჩენილი. მათ ნაწილს ვოტივებად, ნაწილს კი ქურუმის გვირგვინის ან საზეიმო ჭურლის ფსკერის შესამკობ დეტალებად განსაზღვრავენ.

ვოტივებად განსაზღვრული ფირფიტები, რომელთაგან ერთზე დედიკატორის სახელია შემორჩენილი, ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზეა აღმოჩენილი [2, გვ. 78, სურ. 58]. მოოქრული ჭედური ფირფიტებით შემკული ვერცხლის თასები გამოვლენილა ჩრდილოეთ იტალიაში, ქერჩსა და როგოზენში [14, გვ. 126, ტაბ. 107(d); 4, გვ. 25, 26; 7, №4, 32]. გორგიპიაში აღმოჩენილი ჰელიოსის გამოსახულებით შემკული წრიული ფირფიტა კი ბ. ნეევროვის მიერ ქურუმის გვირგვინის ნაწილადაა განსაზღვრული [4, გვ. 140, 50].

ფირფიტების ერთი ნაწილის ქურუმის გვირგვინთან დაკავშირების შესაძლებლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე რომის კაპიტოლიუმის მუზეუმის რელიეფი, რომელზედაც წრიული და სწორკუთხა ორნამენტირებული ფირფიტებით შედგენილი გვირგვინით თავშემკული არხიგალია გამოსახული [11, გვ. 107, სურ. 10].

აღნიშნული გარემოება გარკვეულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ქვედა ტერასაზე ამოჩენილი ოქროს ფირფიტებიც ქურუმის გვირგვინის შემადგენელ ნაწილებად იქნეს განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გამოვლენილ რიტუალურ სამარხებში "დაკრძალული", როგორც ჩანს, ქურუმთა ბრინჯაოსა და რკინის გამოსახულებები, რომელთაგან ორს თავი შემკული აქვს წრიული ფირფიტებით შექმნილი გვირგვინით (ტაბ. I_2).

გამოთქმულია ვარაუდი აღნიშნული ფიგურების "გარდაცვლილი" ღვთაების დატირების რიტუალთან დაკავშირების შესახებ [6, გვ. 107; 1, გვ. 23], რაც ცხადია, არ გამორიცხავს მათი ქურუმთა გამოსახულებებად განსაზღვრის შესაძლებლობას. ფიგურების ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს კი მათი შემკულობის ელემენტის - ხატისუღლის არსებობა იძლევა, რომელიც, როგორც ცნობილია, ქურუმის აუცილებელ ატრიბუტადაა მიჩნეული. ხატისუღლით გამოსახავდნენ მაგალითად ატისს, როგორც კიბელას ქურუმს, აგრეთვე დიონისეს სარიტუალო მსვლელობის წინამძღოლ ქურუმს. იგივე დეტალი დასტურდება არხიგალის გამოსახულებაზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ რომის კეისრებიც, როგორც Pontiffex maxsimus-ები ხატისუღლებს ატარებდნენ.

რაც შეეხება გამოსახულების სემანტიკას, ხარი, ისევე როგორც ბუკრანიუმი, ბერძნულ მითოლოგიაში დიონისეს კულტთანაა დაკავშირებული: დიონისეს ხშირად ხარად, ან ხარის რქების მქონედ მოიხსენიებდნენ, ორფიკულ მოძღვრებაში კი ბუკრანიუმი დიონისე - ზაგრეოსის, სამყაროს შემქმნელისა და აღმდგენელის, მომაკვდავი და აღორძინებული ვეგეტაციური სამყაროსა და გარდაცვლილთა მფარველი ღვთაების სიმბოლოდ იყო მიჩნეული [12, გვ. 245; 8, გვ. 101-102; 9, გვ.75].

ფირფიტაზე არსებული გამოსახულების დიონისესთან კავშირს, აღნიშნულს გარდა, ხარის თავის დემონური ნიღბის სახით გამოსახვის ფაქტიც ადასტურებს, რადგანაც სწორედ დემონური ნიღაბი ითვლებოდა დიონისეს კულტის დამახასიათებელ თავისებურებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ აღნიშნული თავსვმკული დიონისური დღესასწაულების დროს გამოიყენებოდა.

ქვაყრილში, რომელშიც განხილული ფირფიტები იქნა აღმოჩენილი, პროფილირებულკიდიანი ფილებიც იქნა გამოვლენილი. ამ უკანასკნელთ ზედაპირზე შემორჩენილი ლითონის გადასაბმელებისათვის განკუთვნილი ფოსოების მიხედვითა გაირკვა, რომ ისინი მიეკუთვნებიან 1,25 მ სიგრძისა და 0,6 მ სიგანის ქვის ყუთს, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირული პარალელების გათვალისწინებით, ყუთ-საკურთხევლად (ფავისად) შეიძლება განისაზღვროს [შეად. 15, გვ. 50, 62].

ფილებით შედგენილი ამგვარი ყუთი-საკურთხევლები, რომელთა ზომები ზოგჯერ რამოდენიმე მეტრს აღწევს, ტაძრის კუთვნილი საგანძურის "საუნჯედ" გამოიყენებოდა [12, Favisa; 10, გვ. 109; 5, გვ. 24]. სავარაუდოა, რომ სატაძრო კომპლექსთან აღმოჩენილი ფილებით შედგენილი ყუთიც ანალოგიურ დანიშნულებას ასრულებდა და ოქროს ფირფიტები მასში მოთავსებული განძიდანაა შემორჩენილი.

ლიტერატურა:

1. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანი, "ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი (პარალელური გერმანული ტექსტით), Jarhbuch des Römisch-Germanischer Zentralmuseums Mainz, 42, 1995 (1996), S. 353-401.

2. **ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-81 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არე). - ვანი VIII, თბ., 1986.

3. **ჭყონია ა.** ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან. - ვანი VI, თბ., 1981.

4. Античное художественное серебро, Каталог выставки. Составители: Н.Л. Грач, Л.И. Давыидова, В.Н. Залесская, О.Я. Неверов. - Государственный Эрмитаж, 1985.

5. **Русяева А.С.** Культ Аполона и календарь в Ольвии. Исследования по античной археологии северного Причерноморья, Киев, 1980.

6. **Лордкипанидзе Г. К** истории древней Колхиды, Тб., 1970.

7. **Николов Б.** Фракийский клад из Рагозины, Типография "Болкан", 1986.

8. **Русяева А.С.** Орфизм и культ Диониса в Ольвии. - ВДИ, № 1, 1978, с. 87-105.

9. **Русяева А.С.** Земледельческие культы в Олвии догетского времени, Киев, 1979.

10. **Сокольский Н.И.** Таманский толос и резиденция Хрисалиска, М., 1976.

11. **Фермазерен М.И.** Аттис Карпофор. Проблемы античной культуры, М., 1986.

12. **Daramberg C., Saglio E.** Dictionnaire des antiquités grecques et romaines, 1877-1919.

13. **James E.O.** History of Religions, N.Y. 1957.

14. **Richter G.** Handbook of the Greek Collection, Cambridge, 1953.

15. **Yavis C.G.** Greek Altars, S.Louis, 1949.

ᲒᲐᲑ. I



1

2



3

ქეთევან ილიას ას რამიშვილი

სასანური პორტრეტი სარმიჭალის საბეჭდავ-ბეჭედზე

სასანური ირანის ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გავრცელებული თემა არის პორტრეტული გამოსახულება. პორტრეტები გვხვდება სასანური ხელოვნების სხვადასხვა სახის ძეგლებზე: კლდის რელიეფებზე, ტორევტიკულ ნაწარმზე, ნუმიზმატიკურ და გლიპტიკურ ძეგლებზე, სასანიანთა სახელმწიფოს დაარსების ხანიდან მის უკანასკნელ დღეებამდე. პორტრეტისადმი ინტერესი ირანის ხელოვნებაში უფრო ადრეულ ხანაშიც კარგად არის ცნობილი, აქემენიდური ხანიდან მოყოლებული, სელევკიდურ და პართულ ხელოვნებაშიც [25, გვ. 66], მაგრამ განსაკუთრებით ფართო გავრცელებას იგი პოულობს სწორედ სასანურ ხანაში. იმის გამო, რომ სასანური ხელოვნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან, მის იდეოლოგიასთან, მისი მიზანი იყო მეფეთა და მათ ახლობელთა ძლიერების განმტკიცება, მათი ღვთაებრივი წარმომავლობის წარმოჩენა, მათ მიმართ განუხრელი მორჩილების დანერგვა. ყველაზე მეტად სასანური ხელოვნების ოფიციალური ხასიათი სწორედ პორტრეტულ გამოსახულებებში ვლინდება, რადგან ისინი ხშირად მეფეთა, დიდგვაროვანთა, მაღალი რანგის მოხელეთა და სასულიერო პირთა პორტრეტებს ასახავდნენ [8, გვ. 13]. გარდა ამისა, სასანური ირანი წარმოადგენდა უზარმაზარ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ორგანიზაციას, სადაც უამრავი სხვადასხვა ფუნქციის მქონე მოხელე და მსახური იყო დასაქმებული. ყველა მათგანს თავისი უფლებების გამოსავლენად და განსამტკიცებლად ჭირდებოდა საბეჭდავი, რომელიც იმ დროისათვის პირადი ხელმოწერის როლს ასრულებდა და უნდა ყოფილიყო გამორჩეული, ყოველ ცალკე შემთხვევაში [18, გვ. 47].

ამდენად, სასაუნრი პორტრეტის შესწავლა გარკვეულ შუქს ფენს, ერთის მხრივ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, რადგან ხშირად ისტორიულ პიროვნებებს - მეფეებს, მათ უახლოეს ქვეშევრდომებს და ოჯახის წევრებს წარმოაჩენს და მეორე მხრივ, სოციალურ ვითარებას, რადგანაც სხვადასხვა სოციალური ფენის, სხვადასხვა ეკონომიკური მდგომარეობის და სხვადასხვა ფუნქციების შემსრულებელ ადამიანებს გვიჩვენებს. დიდ ინტერესს წარმოადგენს კვლევისთვის აგრეთვე ე.წ. „ოჯახური პორტრეტი," რომელიც ადრეულ ხანაშივე ჩნდება რელიეფებზე, მონეტებზე, ტორევტიკაში და, რომელიც მკვლევარებს რომაული წყვილი და ჯგუფური პორტრეტების მიბაძვად მიაჩნიათ [6, გვ. 112-113]. ამასთან ერთად, სასანური პორტრეტის შესწავლა საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ რა დიდი იყო იმდროინდელი ოსტატების ინტერესი ადამიანის სახის, მისი ბუნების შესწავლისადმი. თუმცა სასანური პორტრეტი, ხელოვნების კანონიკური ბუნების გამო, გარკვეულ ჩარჩოებში ვითარდებოდა და ვერ მიაღწია განვითარების ისეთ მაღალ დონეს, როგორსაც რომაულმა პორტრეტმა, თავისი ბრწყინველე რეალისტური სახეებით, მაგრამ მან მაინც ძალზე თვითმყობადი და საინტერესო სტილი ჩამოაყალიბა და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა არა მხოლოდ სასანურ, არამედ მთელ ძველ აღმოსავლურ ხელოვნებაში.

ხელოვნების არცერთ ძეგლს არ მოუცია სასანური პორტრეტის სახეთა ისეთი დახვეწილი და მრავალფეროვანი ნიმუშები, როგორიც გლიპტიკურმა ძეგლებმა. ნუმიზმატიკური მასალა, ცხადია, მდიდარია პორტრეტული გამოსახულებებით, მაგრამ აქ მაინც წარმოჩენილ პირთა წრე შემოფარგლულია მეფეთა და იშვიათად, მათი ოჯახის წევრების გამოსახულებებით. თანაც მხატვრული თვალსაზრისით მხოლოდ საწყისი პერიოდის (III-IV სს.) მონეტებია ღირებული; მოგვიანებით გამოსახულებები სქემატური და უხეში ხდება [12, გვ. 260; 272]. მკვლევარებს შესწავლილი და დახასიათებული აქვთ პორტრეტულ გამოსახულებათა ცალკეული ჯგუფები. სპეციალური გამოკვლევები აქვთ მიძღვნილი ცალკეულ პორტრეტთა შესწავლისათვის [9; 14; 23; 26]. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე.წ. ოფიციალური პორტრეტების ჯგუფი. მათზე ყველაზე მკაცრად აისახა სასანური ხელოვნების კანონიკური ხასიათი. მეფეთა, დიდგვაროვანთა და დიდ მოხელეთა

პორტრეტებზე ზუსტად არის დაცული დეტალების გადმოცემის დადგენილი წესი, განსაზღვრულია პოზა - თავი პროფილში მარჯვნივ, მხრები კი პირდაპირ, რასაც, როგორც ე. ჰერცფელდი აღნიშნავდა, საბეჭდავებზე მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა [26, თავი V, გვ. 74-75]. ასევე სამოსის და სამკაულის ყოველი დეტალის გადმოცემას განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: იქნება ეს თავსაბურავის ფორმა, მასზე მოთავსებული ნიშნები, თუ დიადემა, თმის ვარცხნილი და მასზე მიმაგრებული ბაფთები, მდიდრული ყელსაბამი, საყურე, თუ თვალმარგალიტით შემკული სამოსი. ყოველი ახალი მონარქის ტახტზე ასვლის შემთხვევაში, თუ ძალაუფლების ამსახველ ინსიგნიებს რაიმე ახალი დეტალი ემატებოდა, ეს მაშინვე აისახებოდა ოფიციალური პორტრეტის იკონოგრაფიაში. ასე ჩნდება ვარაჰრან II-ის თავსაბურავზე ფრინველის ფრთები, შაპურ II-ის თავსაბურავზე ვერძის რქები, ხოლო ქუშანის სამეფოს შემოერთების შემდეგ, აუცილებელი ელემენტი მმართველთა თავსაბურავებზე ხდება მითრას სიმბოლო, ლოტოსის ყვავილი [6, გვ. 96, 133, 177]. პორტრეტების პარადულ იერს ხშირ შემთხვევაში ხაზს უსვამს მათი შემკობა მცენარეული ორნამენტით [16, გამ. AD 1, 2; 8, გამ. 46, 47; 19, გამ. 3.30; 20, გამ. 122], ან მათი ჩასმა გაშლილი ფრთების [16, გამ. AD 8, 9, 10; 8, გამ. 51; 19, გამ. 4.23; 20, გვ. 20-13], ან აყვავებული რტოებისაგან შედგენილ მოჩარჩოებაში [16, გამ. AE 1; 8, გამ. 16, 41; 19, გამ. 4.14]. ამ ტრადიციას ზოგი მკვლევარი რომაული სამყაროდან შეღწეულად მიიჩნევს, ზოგი კი ძველ აღმოსავლურ ფესვებს უკავშირებს [25, გვ. 68].

ოფიციალური პორტრეტები შესრულების დონითაც ყოველთვის გამოირჩევიან განსაკუთრებული დახვეწილობით, დეტალების ფაქიზი დამუშავებით, კვეთის ტექნიკის მაღალი დონით. უმეტეს შემთხვევაში მათთვის დამახასიათებელია სახეების იდეალიზაცია, სადაც ინდივიდუალური ნიშნები საგრძნობლად შერბილებულია [7, გვ. 43; 24, გამ. 60, 102]. მხატვრის მიზანია ღვთაებრივად ლამაზი სახის შექმნა. ნაკლებად წარჩინებულ პირთა (საშუალო რანგის მოხელეთა, სასამართლოს და რელიგიის მსახურთა) პორტრეტები სტილისტურად განსხვავებულია. აქაც შემუშავებულია გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები. ეს არის ტენდენცია სქემატიზაციისაკენ, სახის ნაკვთების, თმის ვარცხნილის, სამოსის ნაოჭების ერთგვარი პირობითი გადმოცემა, სამკაულის სიმწირე, უმრავლეს შემთხვევაში თავსაბურავის არ არსებობა [20, გამ. 20.10, 20.11; 16, გამ. AC 1, 2; AE 3, 4]. და მაიმნც, ამ კატეგორიის პორტრეტებში მეტი მრავალფეროვნება შეინიშნება, ზოგჯერ ინდივიდუალური ნიშნებიც არის ხაზგასმული. მაგ. კეხიანი ცხვირი, ან წინ წამოწეული ნიკაპი, წამომჯდარი თვალი და სხვ. [16, გამ. AC 16; AE 5, 8; 8, გამ. 49, 66, 52]. ამ ჯგუფის პორტრეტებისათვის ზოგჯერ შესამჩნევია დასავლური - რომაულ-ბიზანტიური გამოსახულებების სტილის კვალი: თმის ვარცხნილში, სამოსის გადმოცემაში და სხვ. [8, გამ. 35, 69, 70; 16, გამ. AC 12, 13, 20, 21].

საქართველოში აღმოჩენილ სასანურ მასალაში ჭრილა-ქვებზე სწორედ ამ კატეგორიის რამდენიმე პორტრეტია გამოსახული [3, გამ. 1, 22, 53], და მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდის „ფარაკზე" ვხვდებით ისეთ გამოსახულებას, რომელზეც ოფიციალური სასანური პორტრეტისათვის დამახასიათებელი დეტალებია წარმოჩენილი (ქვემო ალევის სამაროვანზე, № 35 ხის სარკოფაგიან ორმოსამარხში აღმოჩენილი ქარვის საბეჭდავის გამოსახულება აგრეთვე წარჩინებული პირის პორტრეტი უნდა ყოფილიყო ნ. აფხაზავას აღწერილობის მიხედვით, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ნივთი სამარხიდან ამოღების შემდეგ დაზიანებულა და ახლა გამოსახულების მხოლოდ ჩანახატიღა არის შემორჩენილი [1, გვ. 110, ტაბ. XVIII, გამ. 30]).

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ბრინჯაოს საბეჭდავის გამოსახულებაზე შევაჩერებთ ყურადღებას (აქვე განვიხილავთ უფლისციხის ბულაზე შემორჩენილ პორტრეტულ გამოსახულებას, რომელიც რიგი ნიშნებით უახლოვდება ზემოთ დასახელებულ ნივთს).

სოფ. სართიჭალაში, თბილისის მახლობლად, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი. ბეჭდის „ფარაკი" - ინტალიო ოვალური ფორმისაა, პირამობურცული. პირზე გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი, თავით პროფილში მარჯვნივ, მხრებით - პირდაპირ (ტაბ. I). მამაკაცს მაღალი თავსაბურავი, სასანური ყულახი ხურავს, რომელსაც შუბლის გაყოლებაზე და ზემოთ, ქუდის კიდეზე, მარგალიტის რიგი

შემოუყვება. თავსაბურავის ქვედა ნაწილზე, კეფასთან მიმაგრებულია ტრადიციული სამეფო ბაფთები, რომელთა ბოლოები მსუბუქად გაფრიალებულია თმის ზემოთ. თმა სამი გრეხილი კულულის სახით ერთიმეორეზე პარალელურად არის დალაგებული, კეფის ზემოთ. თავსაბურავი ბოლოში წაწვეტებულია, წინ გადმოხრილი და მტაცებელი ფრინველის (ვარანგის) თავით არის დაბოლოებული. მკაფიოდ ჩანს მოკაუჭებული ნისკარტი და მრგვალი თვალი. მამაკაცის სახის ნაკვთები მკაფიოდ, საკმაოდ დახვეწილად არის გამოყვანილი. მოსქო წარბი რკალად აკრავს დიდი ზომის შებერილქუთუთოებიან თვალს. მამაკაცს სწორი, მომსხო ცხვირი, თხელი ტუჩები და მომრგვალებული, მასიური ნიკაპი აქვს (შესაძლოა, მოკლე წვერით დაფარული). არ შეინიშნება ულვაში, რაც სახეს უფრო ახალგაზრდა კაცის იერს აძლევს. ყურზე მცირე მარგალიტის საყურე ჩანს, ყელის გასწვრივ, გულისპირზე ნაქარგი ორნამენტის კვალი შეინიშნება. სამოსის ამოღებული პირის ქვემოთ, მკერდს მსხვილი მარგალიტის მძივების ასხმა უმშვენებს (ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მარგალიტი ზოგ შემთხვევაში ძაფზეა ასხმული, ზოგჯერ კი, ყელის გაყოლებაზე ქსოვილზე სიმეტრიულად დაკერებულია. ორივე სახის მორთულობა ჩანს გემებზე, როგორც ადრეულ, ისე უფრო გვიანდელ ხანაში). კლდის რელიეფებზე კი ადრეულ ძეგლებზე უფრო ხშირად მსხვილი მძივების ერთი ასხმაა დამახასიათებელი. მამაკაცის მხრები ოდნავ არის მინიშნებული, სამაგიეროდ მკაფიოდ არის გამოყვანილი მარჯვენა მკლავი, რომელიც ბიუსტს ქვემოდან შემოუყვება და სახის წინ თაყვანისცემის გამომხატველი მოძრაობით არის აღმართული. ყურადღებას იქცევს მამაკაცის სამოსი კაბის გრძელი სახელო, რომელიც გულმოდგინედ არის დამუშავებული. სამოსის ქვეშ მკლავის კუნთებიც არის მსუბუქად მინიშნებული. სახელო მაჯაზე ვიწრო სალტით, თუ სამაჯურით არის გადაჭერილი. ასეთივე სალტით (სამკლაურით) არის შემკული მკლავი კიდევ ორგან, ზემოთ. მათ შორის ქსოვილზე კი ორნამენტი, თუ ნაქარგობა მცირე რგოლით არის ასახული. შესაძლებელია მნათობის, ან ვარდულის გამოსახულება იყოს, რაც მეფეთა და დიდგვაროვანთა სამოსზე გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი იყო [21, გამ. 116; 22, გვ. 218, გამ. 259, 270]. განსაკუთრებულად დახვეწილად არის გამოყვანილი ხელის მტევანი, რომლის თითები გრაციოზულად გაღუნული და სახის მოპირდაპირე მხარეს გაზნექილია.

საბეჭდავი ნაწილის კიდეზე შემოვლებულია ღრმა ღარი, რომელიც მთლიანად დაკეჭნილია, მედალიონის მოჩარჩოებას ქმნის და ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ბრინჯაოს ბეჭედში ლითონისავე თვალია ჩასმული (სურ. 1). გამოსახულება საკმაოდ სუფთად, წმინდა ხაზებით არის ამოკვეთილი. ანაბეჭდზე დაბალ, მაგრამ მკაფიო რელიეფს იძლევა. ლითონის ზედაპირი რბილად, ტალღოვანად არის დამუშავებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ კვეთა დაზგაზეა შესრულებული. ბეჭედი შედგება შიგნიდან ბრტყელი, გარედან ოდნავ ამობურცული, მხრებისაკენ განზიდული რკალისა და ოვალური ფორმის საბეჭდავი ნაწილისაგან. რკალი მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება და მკვეთრი კუთხით გადადის დაქანებულ მხრებში, რომლებიც მკვეთრი წახნაგებით სამ ნაწილად არის დაყოფილი (ზომები: ინტ. პირი - 16x12 მმ; ბეჭდის სიმაღლე - 21 მმ), (ტაბ. I_2).

საბეჭდავზე გამოსახული პირი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ირანის წარჩინებული წრის წარმომადგენელია. ამას ადასტურებს ყველა იმ ელემენტის არსებობა, რაც დამახასიათებელია სასანური ოფიციალური პორტრეტისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საბეჭდავი გამოცემული აქვს მ. ლორთქიფანიძეს, გლიპტიკური ძეგლების კორპუსში და მოთავსებული აქვს იგი V თავის Დ ქვეთავში, სადაც ადგილობრივ ოსტატთა ნახელავი ნივთებია მოთავსებული [2, გვ. 147, გამ. 141]. თუმცა მკვლევარი აღნიშნავს ამ გამოსახულების დიდ მსგავსებას სასანურ ძეგლებთან, მაინც ადგილობრივი ოსტატის ნახელავად მიიჩნევს მას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა იმან, რომ ლითონის საბეჭდავთან გვაქვს საქმე და არა ჭრილა-ქვასთან (აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მუზეუმების კოლექციებში სასანური პორტრეტები ძირითადად ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვების ინტალიოებზე გვხვდება).

ცხოველების, ან ფანტასტიურ არსებათა თავებით თავსაბურავის დაგვირგვინება, მარგალიტის რიგით მისი შემკობა, მარგალიტის საყურე, მდიდრული ყელსაბამი და ბოლოს, ხელის მოძრაობა - Hbmbz (თაყვანისცემა) არის აუცილებელი ნიშნები ოფიციალური

პორტრეტისა. ხელის ასეთი მოძრაობა გამოხატავს თაყვანისცემას უზენაესი ღვთაების, ან უმაღლესი ხელისუფლის - გაღმერთებული მეფის მიმართ [17, გვ. 51]. ასეთი ადორაციის ჟესტი ყველაზე ხშირად სასანურ კლდის რელიეფებზე გვხვდება, სადაც, ხან შაჰები გამოხატავენ თაყვანისცემას აჰურა-მაზდას მიმართ, ხან კი, სამეფო კარის დიდებულები ამავე ჟესტით არიან მიმართულნი შაჰისაკენ მორჩილების და თაყვანისცემის ნიშნად. ამ ტრადიციული ჟესტის არსის ამსახველი მკაფიო მაგალითებია ნაყშ-ი რუსთამის რელიეფი შაპურ I-ის ტრიუმფის სცენით, სადაც მის უკან მდგომი მაგუპატი კარტირი თაყვანს სცემს შაჰს [22, გამ. 205], ნაყშ-ი რაჯაბის შაპურის რელიეფი, სადაც ისევ კარტირია გამოსახული მსგავსი ჟესტით [21, გამ. 97] და არდაშირ I-ის რელიეფი ნაყშ-ი რუსთამიდან, სადაც უკვე შაჰი გამოხატავს თაყვანისცემას ღვთაების მიმართ [21, გამ. 98]. სართიჭალის საბეჭდავზე ხელის მოძრაობა უდაოდ ამავე შინაარსის მატარებელია, ოღონდ კლდის რელიეფების გამოსახულებებისაგან განსხვავებით, სადაც უფრო ხშირად მხოლოდ საჩვენებელი თითია წინ მიმართული, დანარჩენი ოთხი კი მოხრილი, აქ ხუთივე თითი ოდნავ მოხრილი და წინ მიმართულია [22, გამ. 212].

სართიჭალის გამოსახულება ძლიერ ეხმიანება არმაზისხევის პიტიახშის თასის გამოსახულებას, რომელიც სასანური პორტრეტის ერთ-ერთ უმშვენიერეს ნიმუშს წარმოადგენს [10, გვ. 106-116, გამ. 41]. აქ მსგავსება არა მხოლოდ მკლავის მოძრაობასა და ჟესტშია, არამედ თავსაბურავის მორთულობაში, თმის ვარცხნილში, სამკაულში (საყურე, მძივები); განსაკუთრებით კი მკლავზე სამოსის დეტალების გამოსახვაში - სალტისებურად გადაჭერილი მაჯა და მკლავი, და ნაქარგობის ამსახველი მცირე რგოლები (ტაბ. I_4). თუმცა არმაზისხევის თასზე დიდგვაროვანს ხელში ყვავილი უჭირავს და მისი ხელის მტევანი საბეჭდავზე ხელის მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს არის მიმართული, მაინც, თითების მოხდენილ მოძრაობაში, და საერთოდ ჟესტის გადმოცემის სტილში, მსგავსება აშკარაა და სასანური მონუმენტური ძეგლების გამოსახულებებს ეხმიანება. სწორედ ადრეული ხანის (III-IV სს.) კლდის რელიეფებმა ჩამოაყალიბეს გამოსაუხლებათა სტილის მკაცრი კანონიკა (რაც იკონოგრაფიული დეტალების გადმოცემის ზუსტ წესებს გულისხმობდა), რომელიც შემდეგ უკვე დამკვიდრდა მცირე ხელოვნების ძეგლებზე. დიდგვაროვანთა ხელში ყვავილი, ხშირად იმავე შინაარსის მატარებელი იყო, ე.ი. თაყვანისცემისა, და ამასთან ერთად, ყვავილის ბოძება ქვეშევრდომისათვის, ან უბრალოდ რომელიმე დიდებულისათვის, მის მიმართ კეთილგანწყობის, ზოგჯერ კი, გარკვეული პრივილეგიების მინიჭების ნიშანიც იყო [17, გვ. 51; 13, გვ. 256-270]. არმაზისხევის თასის გარდა მსგავსი შინაარსის მქონე გამოსახულებები სხვა სასანურ ჭურჭელზეც გვხვდება. ამათგან მხატვრული თვალსაზრისით გამოირჩევა სარგვეშის თასი (კილიკი), სადაც ვარაჰრან II ანალოგიური ჟესტით არის გამოსახული [10, გამ. 43] (ტაბ. I_6). სხვა შემთხვევებში კი გამოსახულებები შესრულების დონით გაცილებით ნაკლებია და უფრო გვიანდელი ხანისაა [11, გამ. 33, გვ. 95, გამ. 90]. გამონაკლისს წარმოადგენს ვერცხლის თასი თეირანის მუზეუმიდან, სადაც სასანელი დედოფალი არის წარმოდგენილი მდიდრულ თავსაბურავსა და სამკაულში, და ხელში ჩვეული მოძრაობით, ყვავილი უჭირავს [11, გვ. 53 გამ. 12]. რამდენადაც ხშირია მსგავსი ჟესტის ამსახველი გამოსახულებები კლდის რელიეფებზე, იმდენად გლიპტიკურ ძეგლებზე პორტრეტები ხელის მსგავსი მოძრაობით (უბრალოდ აღმართულნი სახის წინ, ან სახესთან მიტანილი ყვავილით) არც თუ ისე ხშირია და თითქმის ყველა შემთხვევაში მოძრაობა არ არის ისე დახვეწილად გადმოცემული, როგორც ჩვენს ბეჭედზე. ზოგ შემთხვევაში მკლავი უხერხულად არის მოხრილი, მოძრაობა არაბუნებრივია, პროპორციები დარღვეულია [24, გამ. 103; 8, გამ. 23; 25, გამ. D.48, D.105]. შედარებით დახვეწილია ერმიტაჟის ქალცედონის ინტალიო, სადაც მამაკაცს მსგავსი მოძრაობით უჭირავს ყვავილი, მაგრამ თვითონ პორტრეტი სრულიად სხვა სტილისაა, ე.წ. არაოფიციალურ პორტრეტთა რიგს განეკუთვნება და გაცილებით გვიანდელია (V-VI სს.) [8, გამ. 23]. ასევე გამოირჩევა კვეთის დახვეწილობით ბრიტანეთის მუზეუმის ქალცედონის ელიფსოიდის გამოსახულება, სადაც წარჩინებული მანდილოსანი, მდიდრულ დიადემასა და სამკაულში, ვედრების გამომხატველად ხელაპყრობილია. მიუხედავად მკაფიო და დახვეწილი კვეთისა, ხელის მოძრაობა აქაც საკმაოდ არაბუნებრივია (სურ. 2), [16, გამ. BA6].

სურ. 1

როგორც აღვნიშნეთ, სართიჭალის საბეჭდავზე გამოსახული მამაკაცი ახალგაზრდა უნდა იყოს. მსგავსი, ცხოველების, მტაცებელი ფრინველის, ან გრიფონის თავით დაბოლოებული მუზარადები ვარაჰრან II-ის ხანიდან დამკვიდრდა და უკავშირდება მაგუპატ კარტირის მიერ ჩატარებულ რელიგიურ რეფორმას [15, გვ.301-303], რომლის შედეგად გაჩნდა ძირითად ზოროასტრულ ღვთაებათა ცხოველური იპოსტასები [11, გვ. 26]. არსებობს მოსაზრება, რომ მსგავსი თავსაბურავები ეხურათ ტახტის მემკვიდრე უფლისწულებს [7, გამ. 58], (ამის ადრეული მაგალითია ფირუზაბადის შაპურ I-ის რელიეფი, სადაც იგი, ჯერ უფლისწული, ლომის პროტომით დაბოლოებულ თავსაბურავშია [6, გვ. 187]), ან ირანის შემადგენლობაში შემავალი რომელიმე შახრის გამგებელთა მემკვიდრე უფლისწულებს. ბუნებრივია, რომ ისინი უფრო ხშირად ახალგაზრდა ასაკისანი იყვნენ, როგორადაც არის წარმოდგენილი ვარაჰრან II-ის უწვერ-ულვაშო ტახტის მემკვიდრე, მის მონეტებზე და სარგვეშის თასზე [6, გვ. 112, გამ. 22] (ტაბ. I_5). შეიძლება ვივარაუდოთ რომ სართიჭალის საბეჭდავზეც ერთ-ერთი ასეთი უფლისწულია გამოსახული. ამ მოსაზრებას ამაგრებს კიდევ ერთი დაკვირვება - ოფიციალურ პორტრეტებზე თმის ვარცხნილობა მეტწილად ხუთი-შვიდი, ზოგჯერ ოთხი ხვიით არის წარმოდგენილი. მხოლოდ სარგვეშის თასზე და ჩვენს საბეჭდავზე გამოსახულ ახალგაზრდა პირებს სრულიად მკაფიოდ მხოლოდ სამი მკვრივი ხვია აქვთ ჩაშვებული კეფის ქვემოთ.

საბეჭდავის თარიღის დასაზუსტებლად ისევ გამოსახულების ცალკეულ დეტალს უნდა მიექცეს ყურადღება. ერთი მძივისაგან შედგენილი საყურე, თავსაბურავის შემკობა ერთი რიგი მარგალიტის მძივით, განსაკუთრებით კი, ყელზე ერთი აცმა მსხვილი მძივები, სწორედ ადრეული ხანის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი (იხ. ადრეული კლდის რელიეფები [22, გამ. 205, 209, 212]). IV ს-დან სამკაული უფრო რთულდება, ხშირია ორნაწილადი საყურე, ორ ან მეტ რიგად მოთავსებული ყელსაბამი; ჩნდება მედალიონი, ან რამდენიმე მსხვილი მძივი, მიკიდებული ყელსაბამის შუა ნაწილზე [16, გამ. AD 1: 24, გამ. 100; 8, გამ. 47]. ცხოველის (ფრინველის) თავიანი თავსაბურავები, როგორც ითქვა, კარტირის ხანიდან (III ს.) ჩნდება. მსგავსება არმაზისხევის თასთან - ხელის მოძრაობა, თავსაბურავის, სახელოს მორთულობა, სიახლოვე ადრეული ხანის კლდის რელიეფების გამოსახულებებთან, ყველაფერი ეს გვაძლევს მყარ საფუძველს, რომ სართიჭალის საბეჭდავი-ბეჭედი ადრეული ხანით, III ს-ით, ან IV ს-ის დასაწყისით დათარიღდეს.

განხილული საბეჭდავის გარდა სასანური პორტრეტის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია უფლისციხეში, ყათნალიხევის ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ბულა, რომლის პირზე შემორჩენილია სასანური საბეჭდავის ანაბეჭდი (ანაბეჭდის ზომებია 20x16 მმ). ანაბეჭდის ბრტყელ პირზე გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი, თავით პროფილში მარჯვნივ, მხრებით პირდაპირ (ტაბ. I_3). მამაკაცს თავზე მაღალი თავსაბურავი ხურავს, რომელიც ვეფხვის პროტომით არის დაბოლოებული. თავსაბურავს ქვემოთ, შუბლის არეში დიადემა აქვს შემოკრული, რომელზეც მარგალიტების რიგია მოთავსებული და რომლის ბაფთები კეფაზეა გრძლად ჩაშვებული. სახის არეში ბულა დაზიანებულია, ისე რომ ნაკვთები არ ჩანს. დიადემის ქვეშ, კეფაზე, თმის ტრადიციული ხვიები ოთხ მკვრივ კულულად არის ჩახვეული. ყურზე მამაკაცს მსხვილი მარგალიტის საყურე ჰკიდია; ორნაწილადი უნდა იყოს: ზემოთ მომცრო და ქვემოთ მსხვილი მარგალიტის მძივებისაგან შედგენილი. სამოსი კაბის ყელი მრგვალად ამოღებულია და მის გასწვრივ, ორ რიგად მდიდრული გულსაკიდი უმშვენებს მკერდს. გულსაკიდი შედგება მარგალიტის ორი წყებისაგან, ცენტრში ოვალური მედალიონით, რომლის ქვედა კიდეზე ორი მსხლისებური ფორმის მარგალიტია მიკიდებული. გულსაკიდის ქვემოთ სამოსი ნაქარგი ორნამენტით არის შემკული. „ვარსკვლავების" რიგს გავს, მაგრამ შესაძლოა სტილიზებული მცენარეული მოტივი იყოს, კერძოდ, პალმეტების რიგი. გემებზე, დახვეწილ ეგზემპლარებზე მკაფიოდ ჩანს, რომ ეს მცენარეებია, კერძოდ,

სურ. 2

პალმეტები [16, გამ. AD 1; 8, გამ. 46, 47], უფრო დაუდევრად შესრულებულ ცალებზე კი გამოსახულია და რამდენიმე ქიმიან „ვარსკვლავს“ გავს [20, გამ. 20. 2; 20.4; 19, გამ. 3.20, 3.21]. პორტრეტის ირგვლივ ფალაური წარწერაა მოთავსებული.

უფლისციხის ბულაზე გამოსახული პიროვნება აშკარად სასანიანთა დიდგვაროვანი წრის წარმომადგენელია. ამის დამადასტურებელია მდიდრული თავსაბურავი (ვეფხვის პროტომიანი მუზარადი), ბაფთებით და მარგალიტით შემკული დიადემა, თმის ვარცხნილი (ხვიების სახით წარმოდგენილი თმის ვარცხნილი ძირითადად ოფიციალური პორტრეტისათვის არის დამახასიათებელი [25, გვ. 67], ძვირფასი სამკაული, სამოსის მორთულობა. სავსებით დასაშვებია ის ვარაუდი, რომელიც დ. ხახუტაიშვილმა გამოთქვა, იმის შესახებ, რომ შესაძლოა სამეფო ოჯახის წარმომადგენელიც იყოს [5, გვ. 83]. უნდა აღინიშნოს, რომ უფლისციხის ბულა შეისწავლა ფრანგმა მეცნიერმა ფილიპ ჟინიომ და მის მიერ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნა ამ ძეგლის ძალზე დიდი მნიშვნელობა [4, გვ. 9]. მასაც მიაჩნია, რომ ბულაზე წარჩინებული პირია გამოსახული, მხოლოდ სახის არეში დაზიანების გამო ეჭვს გამოთქვამს მამაკაცია გამოსახული, თუ ქალი. უნდა ითქვას, რომ თმის ვარცხნილი - კეფაზე მხრებამდე დაშვებული ხვიები, თავსაბურავი და გულ-მკერდის აგებულება თავისთავად გამორიცხავენ ამ გამოსახულების ქალის პორტრეტად მიჩნევას, მაგრამ დაზიანებული ნაწილის დაკვირვებით დათვალიერების შემდეგ შეინიშნება, რომ ქვედა ყბის შემორჩენილ კიდეზე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს წვერის აღმნიშვნელი მოკლე ჭდეები. ამდენად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ბულაზე გამოსახული პირი დიდგვაროვანი მამაკაცია. საომარი თავსაბურავის მიხედვით აქაც ალბათ, რომელიმე მხარის (სამეფოს) მმართველი, ან უფლისწული უნდა იყოს გამოსახული (გავიხსენოთ ზემოთ ნახსენები შაპურ I-ის მუზარადი, ლომის თავით, მაშინ როდესაც იგი ჯერ ტახტის მემკვიდრე იყო). ფ. ჟინიომ წაიკითხა ფალაური წარწერა, რომელიც ნაწილობრივ დაზიანებულია დანალექი მარილებისაგან. მიუხედავად ამისა, მან შეძლო შემდეგი წაკითხვის მოცემა: „Jazdgird - Pзrфz ძე Vin(dad?)-ისა. თუ რამდენად უკავშირდება ეს სახელი იეზდიგერდ I-ს (399-421 წწ.) და მის შვილს პეროზს, ძნელი სათქმელია. მსგავსი, პატრონიმის შემცველი წარწერები სასანურ გემებზე ხშირად გვხვდება [8, გვ. 49; 16, გამ. ZS1].

ბულაზე გამოსახული პორტრეტის დასათარიღებლად უნდა კვლავ იკონოგრაფიის დეტალები გავითვალისწინოთ. მსგავსი თავსაბურავი, თმის ვარცხნილი, როგორც დავინახეთ, ძირითადად ადრეულ ძეგლებზე გვხვდება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ვრცელდება გვიანდელი ხანის ოფიციალურ პორტრეტებზეც [16, გამ. AD 1; 24, გამ. 60]. ისეთი დეტალი კი, როგორიც არის ორნაწილადი საყურე - ორი მარგალიტისაგან შედგენილი ან ლითონის რგოლზე შეკიდული მარგალიტი, მხოლოდ IV ს-ის შემდეგ ხდება დამახასიათებელი [25, გვ. 67]. იგივე ითქმის გართულებული ყელსაბამის, მასზე მიკიდებული მედალიონის და მსხვილი მძივების შესახებ, რაც საერთოდ გვიან ხანაში სამკაულით გადატვირთვის ტენდენციაზე მიანიშნებს [16, გამ. AD 1; 8, გამ. 47; 24, გამ. 100]. ამავე ხანიდან ლითონის ჭურჭელზე, როგორც აუცილებელი ელემენტი, ჩნდება აპეზაკით გულ-მკერდის შემკობა [11, გამ. 8, 20, 22; 21, გამ. 117]. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოსზე, ბიუსტის ქვედა ნაწილში გამოსახულ ორნამენტს. მკვლევართა ნაწილი მათ პირობითად „ვარსკვლავებს“ უწოდებს [20, გვ. 165-166], უმრავლესობა კი მცენარეული მოტივის, სტილიზებული პალმეტების გამოსახულებად მიიჩნევს და მის გაჩენას მოგვიანო ხანას (IV-V სს.) მიაკუთვნებს [8, გვ. 17; 25, გვ. 68]. ამ დეტალების არსებობა ჩვენს ბულაზე, კერძოდ, გართულებული და გამრავალფეროვნებული სამკაული და მცენარეული მოტივი მიუთითებს, რომ საბეჭდავი, რომლიდანაც არის მიღებული ეს ანაბეჭდი შედარებით გვიანდელ ხანაშია დამზადებული ე.ი. IV ს-ის II ნახევარზე უფრო ადრეული არ უნდა იყოს.

ამდენად, სართიჭალის საბეჭდავი-ბეჭდის და უფლისციხის ბულის შესწავლამ საშუალება მოგვცა გარკვეულად გაგვეერმავებინა,

ქართულ მასალაზე დაყრდნობით, სასანურ გლიპტიკაში ფართოდ გავრცელებული თემის, სასანური ოფიციალური პორტრეტის კვლევა, რაც თავისთავად სასანური ირანის ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, და გარკვეულწილად, მისი განმსაზღვრელი თემა იყო. ქართულ-ირანული ურთიერთობის თვალსაზრისით კი ეს ნივთები კიდევ ერთ დადასტურებას იძლევიან იმისა, თუ რა მჭიდრო ურთიერთობა ქონდათ სასანური ირანის წარჩინებული წრის წარმომადგენლებს იმდროინდელი ქართლის საზოგადოებასთან, კერძოდ, სავარაუდოდ, მის მაღალ წრეებთან.

ლიტერატურა

1. **აფხაზავა ნ.** ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბ., 1988.

2. **ლორთქიფანიძე მ.** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969.

3. **რამიშვილი ქ.** სასანური გემები საქართველოში, თბ., 1979.

4. **ჟინიო ფ.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სასანური ბულა. - სსმმ XXXV-Bბ თბ., 1981, გვ. 89-91.

5. **ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე, I, თბ., 1964.

6. **Луконин В.Г.** Культура сасанидского Ирана, М., 1969.

7. **Луконин В.Г.** Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961.

8. **Луконин В.Г.** Сасанидские геммы, Л., 1963.

9. **Луконин В.Г.** Резной аметист с портретом царицы цариц Денак. - Сборник в честь 70-летия академика И.А. Орбели, М.-Л., 1960, с.

10. **Мачабели К.Г.** Позднеантичная торевтика Грузии, Тб., 1976.

11. **Тревер К.В., Луконин В.Г.** Сасанидское серебро. - Сб. государственного Эрмитажа, М., 1987.

12. **Тревер К.В.** Художественное значение сасанидских монет. - ТОВЭ, I, Л., 1940, с. 256-285.

13. **Тревер К.В.** Новое "сасанидское" блюдце Эрмитажа. - Сборник в честь 70-летия академика И.А. Орбели, М.-Л., 1960, с. 256-270.

14. **Тревер К.В.** Резной аметист из собрания Эрмитажа. - Сообщение ГАИМК, М., 1931, с. 10-23.

15. **Фрай Р.** Наследие Ирана, М., 1972.

16. **Bivar A.D.H.** Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum, stamp seals, II, London, 1969.

17. **Brunner Chr. J.** Sasanian Stamp Seals in the Metropolitan Museum of Art. New-York, 1978.

18. **Frye R.** Inscriptions and Monograms on the Sealings. Sasanian Remains from Quasr-i Abu Nasz, Cambridge-Massachusetts, 1973, p. 47-57.

19. **Gignoux Ph.** Catalogue des Seaux, Ca-mées et Bulles Sassanides, II, Paris, 1978.

20. **Gignoux Ph., Gyselen R.** Bulles et sceaux Sassanides de diverses collections. – Studia Iranica, Cahier 4, Paris, 1987.

21. **Godard A.** The Art of Iran. London, 1961.

22. **Ghirshman R.** Iran Parthians and Sa-s-sa-nians, Printed in France, 1962.

23. **Ghirshman R.** Quelque intailles du mu-sée de Calcutta. – Archaeologica Orientalia in Memoriam Ernst Herzfeld, New-York, 1952, p. 102-115.

24. **Lukonin V.** Iran, Des Seleucides aux Sassanides, II. – Archaeologia Mundi, Ge-nève, 1967.

25. **Harper Pr. O.** Representational Motifs on the Sealings. Sasanian Remains from Quasr-i Abu Nasr. Edi-ted by Richard N. Frye, Cambridge-Mas-sa-chusetts, 1973, p. 66-87.

26. **Herzfeld E. Paikuli.** The Monument and Inscriptions on the Early History of Sa-sanian Empir. I-II, Berlin, 1924.

ᲡᲣᲠ. I

1



2

3

4

5

6

ქეთევან რამინის ას რამიშვილი

მგლის გამოსახულებები მდ. არაგვის ხეობიდან

არაგვის აუზში, არქეოლოგების მიერ მოპოვებულია ზოომორფული გამოსახულებების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი, რომელშიც ირმის, ჯიხვის, ვერძის, ცხენის, მგელ-ძაღლისა თუ სხვა ცხოველთა მინიატურული ფიგურები ან მათი თავებია გაერთიანებული.

არაგვის აუზის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცხოველსახოვან გამოსახულებათა სიუხვით გამოირჩევა ნეძიხის, ბადრიანების, ჟინვალისა და წიფრანისძირის სამაროვნები. აქ აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ზოომორფულ ფიგურათა შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ფშავის არაგვის ხეობაში ბადრიანების სამაროვანზე მოპოვებულმა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულმა აბზინდის მსგავსმა ნაკეთობამ, რომელზეც მგლისა თუ ძაღლის სამი მინიატურულ-სკულპტურული თავია წარმოდგენილი. ნივთი, თანმხლები მასალების მიხედვით, დათარიღებულია ახ.წ. III-IV საუკუნეებით [10].

„აბზინდის" რკალის ფუძე ოვალური, ბრტყელი და სრულიად სადაა (სურ. 1), მისი ზედაპირი კი ამობურცული და წიბოიანია, ხოლო გარშემო ირიბი ნაჭდევი ხაზებით შემკული კანტი შემოუყვება. რკალის გახსნილ თავებზე მოთავსებულია ერთიმეორის მაცქერალი და პირებმიბჯენილი მგლისა თუ ძაღლის ორი თავი, მესამე თავი ოვალის შუა ნაწილიდან გამოდის, აქვს შედარებით მოკლე კისერი და დრუნჩით პირველი ორი მგელ-ძაღლის პირებს ებჯინება. კომპოზიცია მთლიანობაში სიბრტყობრივ-მოცულობითია. დაბალ რელიეფში შესრულებული სამივე თავი „აბზინდის" რკალის საერთო სიბრტყიდან არ გამოდის (არ არღვევს სიბრტყეს). კომპოზიციურად თითოეული თავი აგებულია სამკუთხედზე, ასევე სამკუთხედს ქმნის მათი ერთმანეთის მიმართ განლაგებაც, ამასთანავე, თავები რკალის ოვალის შიდა სივრცეს ვერ ავსებენ, ამდენად, რკალის ოვალსა და თავებს შორის იქმნება ცარიელი ადგილები, რაც ამსუბუქებს ნივთს და ერთგვარად ჭვირულ იერსახეს ანიჭებს მას. პროფილიდან (სურ. 2) მგელ-ძაღლებს დაღრენილი პირები შეღებული აქვთ (თითქოს რაღაც საგანზე არიან ჩაფრენილები), რაც ექსპრესიულ ხასიათს ქმნის, აცოცხლებს და მეტად გამომსახველს ხდის მათ. მგელ-ძაღლის თავების გარშემომწერი ხაზი, როგორც სათითაოდ, ასევე მთლიანობაში, მეტად მოძრავი და დენადია, რაც თავებს შინაგან დინამიზმს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ სამივე თავი სრულიად ერთგვაროვანია, საკმაოდ რეალისტურადაა მოდელირებული, ამასთან ზომიერადაა შერწყმული სტილიზაციის ელემენტებიც, თუმცა ფოთლისებრი, დაღარული ყურების, წერტილოვანი, რელიეფური თვალებისა და შემსხვილებული დრუნჩების წრიულად რითმული მონაცვლეობა ორნამენტულ ხასიათს ქმნის და ნაკეთობას დეკორატიულ იერს ანიჭებს.



სურ. 1



სურ. 2

წინარექრისტიანულ მცირე პლასტიკაში მგელ-ძაღლის მხატვრული სახე მეტად პოპულარული იყო, რასაც მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი ადასტურებს. ამ მხრივ საყურადღებოა ზემოთგანხილული „აბზინდის" თანადროული ბრინჯაოს საყბეური, რომელზეც მგელ-ძაღლის თავის გამოსახულებაა წარმოდგენილი და რომელიც ჟინვალის სამაროვანზეა აღმოჩენილი.

ფორმითა და შესრულების მანერით, საყბეურზე მოთავსებული მგელ-ძაღლის თავი „აბზინდის" ოვალურ წრეზე არსებული სამი თავის მსგავსია. ცხოველს აქვს დაცქვეტი-

ლი ყურები, მგლისათვის დამახასიათებელი განიერი ყბები, წაგრძელებული დრუნჩი და ღრმად ჩამჯდარი წერტილოვანი თვალები. საყბეური მთლიანობაში საკმაოდ დახვეწილი ნამუშევარია და რეალისტურ-დეკორატიული ხასიათისაა.

ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული, რაზეც არქეოლოგიურ მასალებთან ერთად მდიდარი ეთნოლოგიური მასალებიც მეტყველებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის აღიარებულია, რომ მრავალი ხალხის ტრადიციაში, და მათ შორის ქართულშიც, მგელი და ძაღლი ერთ სახეში ერთიანდება [1, გვ. 56-57]. ადამიანების სამსახურში მყოფ ცხოველებს შორის ძაღლი ერთ-ერთი უძველესთაგანია. სავარაუდოდ, ადამიანმა ის საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე დაიახლოვა, როდესაც მონადირეობა მეურნეობრიობის უმთავრეს საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ძაღლის როლი ადამიანთა ყოფაში მესაქონლეობის განვითარების შესაბამისად კიდევ უნდა გაზრდილიყო, რაც ქართულ მითორიტუალურ სისტემაში ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის სახის უფრო მყარად დამკვიდრებას უდაოდ ხელს შეუწყობდა. ალბათ ძაღლი (მგელ-ძაღლი) ამ დროიდან ნაყოფიერებისა და გამრავლების ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა [4, გვ. 72]. ქართველური ტომებით დასახლებულ სივრცეში ძაღლის რიტუალურ პროცესებში მონაწილეობას, სოფ. ანაგასთან ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 2 ყორღანში აღმოჩენილი „მწევრის" სამარხი ადასტურებს (კ. ფიცხელაურის ცნობა). ასეთ ადრეულ ხანაში ადამიანის გვერდით „მწევრის" სამარხის არსებობა მიუთითებს, რომ ძაღლი არა მხოლოდ ადამიანის შემწე (მწევარი) და სამეურნეო ყოფაში უაღრესად საჭირო არსება, არამედ დაკრძალვის რიტუალში მონაწილე წმინდა ცხოველიც იყო.

კიდევ ერთი უძველესი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მგელ-ძაღლზე საუბრის საშუალებას იძლევა, არის თრიალეთის ვერცხლის ორფრიზიანი თასი, ძვ.წ. II ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ქართული ტორევტიკული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში [21, გვ. 82-90]. ხელოვნების ამ უნიკალურ ძეგლს მრავალი მკვლევარი შეეხო და მასთან დაკავშირებით მრავალი განსხვავებული მოსაზრებაა გამოქვეყნებული [25, გვ. 111-115; 2, გვ. 31-36; 18, გვ. 153-157; 19, გვ. 104-105; 5, გვ. 181-190; 16, გვ. 11-22; 24, გვ. 61-71; 15, გვ. 40-44; 3, გვ. 133-153 და სხვ.]. მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს, რომ თასზე რიტუალური სცენაა გამოსახული. თასის ზედა ფრიზის კომპოზიციაში ტახტზე აღზევებული ფიგურისაკენ 26 კაციანი პროცესია მიემართება, რომლებსაც სახეზე ნიღბები აქვთ აფარებული და მგლის კუდებით არიან შემკულნი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ რიტუალურ მსვლელობაში მყოფ ადამიანებს სახეზე მართლაც მგლის ნიღბები აქვთ [2; 3], ხოლო ნაწილს მიაჩნია, რომ ზედა ფრიზზე ადამიანის სტილიზებული პროფილებია გადმოცემული [21; 5; 16], რაც შეეხება კუდს, ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ აქ სახეზეა მგლისა თუ მგელ-ძაღლის ატრიბუტი. რა თქმა უნდა, გასაზიარებელია ის თვალსაზრისი, რომ კავკასიურ და ძველაღმოსავლურ მასალებში თრიალეთის თასს ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება. თრიალეთის თასის ზოგადი მსგავსება მახლობელი აღმოსავლეთის მასალებთან, ძირითადად, თემატური, კომპოზიციური ან იკონოგრაფიული ხასიათისაა [16, გვ. 21].

მართალია იკონოგრაფიული თუ სტილური ნიშნებით თრიალეთის თასთან ურუქში აღმოჩენილი ალებასტრის ჭურჭელი დგას, მაგრამ მათ შორის 5 საუკუნოვანი განსხვავება (ურუქის ჭურჭელი თარიღდება ძვ.წ. XXIII საუკუნით), ვფიქრობთ, გენეტიკური ურთიერთობებისათვის ნაკლებად გამოსადეგია.

არანაკლებ საყურადღებოა მ. ბერიაშვილისა და ზ. სხირტლაძის მსჯელობა, სადაც თრიალეთის თასის ხეთურ-ხურიტულ მასალებთან თემატურ მსგავსებაზეა საუბარი. ამ მონაცემების მიხედვით, ხეთურ-ხურიტულ რიტუალებში სხვადასხვა ცხოველთა ნიღბების მქონე ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებსაც შესაბამისად „ძაღლის," „მგლის," „ლომის" თუ სხვა ცხოველთა „ხალხები" ეწოდებათ. ამ ანალოგიის მიხედვით, დასახელებული მკვლევარები თრიალეთის თასის ზედა ფრიზზე გამოსახული მგლის ნიღბიან და კუდიან ადამიანებს „მგლის" ხალხად მიიჩნევენ. ყოველივე ეს სამხრეთ კავკასიაში ძაღლის (მგელ-ძაღლის) კულტის ფართო გავრცელებაზე აშკარად მიუთითებს.

ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის ბრინჯაოს ფიგურები საკმაოდ უხვადაა აღმოჩენილი შილდის სამლოცველოზე, სადაც ხატისთვის შესაწირავ, სახელდახელოდ დამზადებულ გამოსახულებათა შორის, ამ ცხოველის რამ-

დენიმე ჯიში გამოირჩევა [7, გვ. 18-19]. შილ-დის მასალებში ვერძის ქანდაკებების იშვიათობა და ძაღლის ფიგურათა თვალსაჩინო სიმრავლე შუაბრინჯაოს ხანის II ნახევრისათვის ალაზნის აუზში სამომთაბარო მეცხვარეობის შედარებით მოკრძალებულ ხვედრით წონაზე და მონადირეობის, როგორც მეურნეობრიობის ერთ-ერთი დარგის განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს.

მგელ-ძაღლის როლი კულტმსახურებაში და სამეურნეო ყოფაში გვიანბრინჯაოს ხანიდან კიდევ უფრო ძლიერდება, რაც კავკასიის ამ რეგიონში სამომთაბარო მეცხვარეობის მზარდ აღმავლობას უნდა გამოეწვია. ქართულ სახვით ხელოვნებაში ძაღლის ფიგურები და გრაფიკული გამოსახულებებით შემკული ნივთები სწორედ ამ დროიდან მრავლდება.

მგელი (მგელ-ძაღლი), თავისი შეუპოვრობის, ამტანობისა და შეუდრეკელი ბრძოლისუნარიანობის გამო, როგორც მრავალი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში, ასევე საქართველოში, სამხედრო ძლიერების სიმბოლოდაც ითვლებოდა, ხოლო მგლის გამოსახულებით დამშვენებული საბრძოლო იარაღი კი - ყოვლისშემძლედ. ამის თვალსაჩინო მაგალითია კასპის რაიონის სოფ. რენეში აღმოჩენილი ბრინჯაოსტარიანი, გრავირებული ჩუგლუგი, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული. ამ ცულზე წარმოდგენილი მგლის ფიგურა თავით მტრისკენაა მიმართული [26, გვ. 146]. მეომრის რწმენით, მგლის გამოსახულება ჩუგლუგს საომარ ძალას მატებდა. საყურადღებოა, რომ მოხუცი სვანების მტკიცებით, საომარი დროშა „ლემი" სინამდვილეში არა ლომს, არამედ მგელს გამოხატავდა, როგორც ლომთან გათანაბრებული, უძლეველობისა და სიმტკიცის სიმბოლო [19, გვ. 44].

ძაღლის (მგელ-ძაღლის) სამეურნეო ყოფაში გამოყენების შესანიშნავ არქეოლოგიურ ფაქტს წარმოადგენს, სოფ. გამდლისწყაროში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს რთული კომპოზიცია, სადაც ტაძრის ეზოში შესაწირად მიყვანილ ჭედილებს მეცხვარის ძაღლი იცავს [12, გვ. 22-40].

საგანგებო ყურადღებას იქცევს ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეების კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ნივთებზე და გრავირებულ სარტყლებზე გამოსახული ფანტასტიკური ცხოველები, რომლებიც მკვლევართა მიერ ძაღლის, წყლის ძაღლისა ან მგელ-ძაღლის სიმბოლოებადაა მიჩნეული [24, ტაბ. XII; 13, გვ. 77-78; 14, ტაბ. XVXVI; 1, გვ. 56-78].

მნიშვნელოვანი მასალებია მოპოვებული თლიას სამაროვანზეც, სადაც მყეფარე მგელ-ძაღლის რამდენიმე ფიგურაა ნაპოვნი [22, ტაბ. 62-6, გვ. 28; ტაბ. 59-5; ტაბ. 58, ნახ. 2-1; ტაბ. 39-5]. ყველა გამოსახულებას ზურგზე საკიდი რგოლი აქვს და აგრესიულ პოზაშია გამოქანდაკებული. ერთგვარად შეიმჩნევა ამ ფიგურათა მოდელირების სტილური სიახლოვე კოლხურ ცულებსა და ცენტრალურ კავკასიურ სარტყლებზე გამოსახულ ფანტასტიკურ ცხოველებთან, რომლებიც მრავალი მკვლევარის მიერ მგელ-ძაღლებადაა მიჩნეული.

ძაღლისა და მგელ-ძაღლის კულტი შემდგომაც განაგრძობდა არსებობას, მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით თავი იჩინა ჭვირული აბზინდების სიუჟეტებში, სადაც, სხვადასხვა ცხოველთა შორის, ძაღლის ფიგურებს რაოდენობრივად მესამე ადგილი უჭირავს (მ. ხიდაშელის C ელემენტი). გვიანრომაულ ხანაში ძველი ტრადიცია, როგორც ჩანს, გრძელდებოდა, რაც არქეოლოგიურად დასტურდება. კერძოდ, ახალ ჟინვალში, № 1 სამაროვანზე, იქ სადაც აღმოჩენილია არმაზისხევის ტიპის მდიდრული სამარხი, მე-19 სამარხში ორი ძაღლი დიდი პატივით იყო დაკრძალული [9, გვ. 100, ტაბ. $XLII_{1, 2}$]. ამათგან ერთი, ოსტეოლოგიური განსაზღვრით მწევარი, გართხმული ფეხებითა და მარჯვნივ მიბრუნებული თავით იწვა. ძვლოვანი მასალის მიხედვით, ის დიდი ტანის მონადირე ძაღლი უნდა ყოფილიყო. მეორე ინდივიდი შედარებით მომცრო ტანისა ჩანდა. ინვენტარი ამ სამარხში არ აღმოჩნდა, მაგრამ ორივე ძაღლი ყველა წესის დაცვით, ორმოს შუა ნაწილში გამართული სათანადო ქვაყრილით იყო დაკრძალული.

აქვე უნდა გავიხსენოთ სოფ. ხახმატში არსებული მწევრის საფლავი, სადაც საგანგებო რიტუალი სრულდებოდა. ეს საფლავი დღესაც დაცულია და იქ ტრადიციული რიტუალი კვლავაც სრულდება.

საყურადღებოა ძაღლის ქანდაკების აღმოჩენის ფაქტი კლდეეთის სამაროვანზე [6, სურ. 14, ტაბ. VIII; 10, გვ. 86-87]. ესაა მინიატურული მთლიანადსხმული ფიგურა, რომელსაც სქემატური თავი, დაცქვეტილი მოკლე ყურები, ტლანქად გამოყვანილი ფეხები და მოკლე კუდი აქვს. ზურგზე სხეულთან შედარებით მოზრდილი საკიდი რგოლი ადგას, ხოლო პირში ლეკვი უჭირავს.

არქეოლოგიური კომპლექსები, სადაც

მგლისა და ძაღლის გამოსახულებებია მიკვლეული, მოტანილი მაგალითებით არ ამოიწურება, მაგრამ ის რაც დავასახელეთ, ვფიქრობთ, ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის კულტისადმი ქართველ წინაპართა დამოკიდებულებას ნათლად გვიჩვენებს.

საყურადღებოა, რომ ძაღლის გამოსახულებები თავს იჩენს ადრექრისტიანული ხანის ხელოვნებაშიც, სადაც ის კატაკომბებსა და საფლავის ქვებზე მწყემსთან (ქრისტესთან) ერთადაა გამოსახული. იქ წარმოდგენილ ძაღლებს კისერზე ყოველთვის საყელური უკეთიათ, რაც იმის მანიშნებელია, რომ ისინი მტაცებელი მგლისაგან განსხვავდებიან და მწყემსს ცხვრის ფარის (ანუ ახლადმოქცეული ქრისტიანების) მოვლაში ეხმარებიან. ამ შემთხვევაში ძაღლი, როგორც ვარაუდობენ, ქრისტიანული რწმენის ამღიარებელი და ჭეშმარიტი ქრისტიანის სიმბოლოა [23, გვ. 187].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნადირობისა და ცხოველთა გამრავლების ღვთაების ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს, ისტორიული განვითარების გარკვეული დროიდან მაინც, ძაღლი წარმოადგენდა [4, გვ. 72]. მიჩნეულია, რომ ძაღლი (მგელ-ძაღლი) მონადირეს ქალ-ღვთაების ნებასურვილის მიხედვით ემსახურებოდა. ქალ-ღვთაება კი იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა მისი მოკვდავი სექსუალური პარტნიორი, მონადირის მიმართ ხან კეთილად, ხან კი მრისხანებით განეწყობოდა. ამიტომ, ქართულ მითოლოგიაში, ზეპირსიტყვიერების მასალებსა და სიმღერებში, მონადირისა და მწყემსის თანმდევი მგელ-ძაღლი ორბუნებოვანი ჩანს. იგი კეთილიცაა და ბოროტიც. მითოლოგიური ძაღლი, არსებულ თქმულებათა თანახმად, ორბისა ან ზღაპრული ფასკუნჯის შვილადაა მიჩნეული [1, გვ. 60].

ქართული მასალების მიხედვით, მონადირის თანმხლები ძაღლის ყველაზე გავრცელებული სახელია ყურშა. ზოგი თქმულებით, ფრთოსან ძაღლს საცრისოდენა თვალები, ნიჩბისოდენა კბილები, კალოსოდენა თვალები, უზარმაზარი ნახტომი და ოქროს ყურტუჩი აქვს. მისი ყეფა ზეცის ქუხილის შესადარია. ერთი სიტყვით, იგი შემზარავი ძაღლია, რომელზეც მონადირის წარმატებაა დამოკიდებული. ამ ცხოველის მრისხანე სახე, რომელიც ქართული ტომების მითოლოგიასა და ყოფაში შემუშავდა და დაიხვეწა, მკვლევართა ვარაუდით, სახვით ხელოვნებაშიც აღიბეჭდა, განსაკუთრებით მკაფიოდ - გრავირებულ სარტყლებზე, კოლხურ ცულებსა და თანადროულ ბრინჯაოს სხვადასხვა საგანზე [4; 17; 20; 14; 24; 11].

ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყოველ ასტრალურ ღვთაებას თავისი დამხმარე, ნებასურვილის აღმსრულებელი ყავდა. მაგ. მორიგე ღმერთისა და მზექალის დამხმარე მგელი იყო. სხვა ღვთაებათა დამხმარეებად გველი და ძაღლი გვევლინება და ა.შ. [19, გვ. 47-53].

სავარაუდოდ, ძაღლი (მწევარი), როგორც შესაბამისი ღვთაების ინკარნაცია, რთული (ორბუნებოვანი) თვისებების მქონე იყო, რაც ეთნოგრაფიული ფაქტებიდანაც კარგად ჩანს. კერძოდ, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში შეკრებილი მასალების მიხედვით, ბეთქილისა და ივანეს დღეობებში, ფერხულის დროს ყურშასადმი მიძღვნილი ჰიმნი სრულდებოდა, რომლის მიზანი ამინდის შენარჩუნება ან მყისიერი შეცვლა იყო [1, გვ. 72-75]. ფრთოსანი ყურშას ამინდის შესაცვლელად გამიზნულ კულტმსახურებაში ჩართვა, ნ. აბაკელიას თვალსაზრისით, მის რთულსა და მრავალსახეობრივ ბუნებაზე მიუთითებს.

ბადრიანების სამაროვანზე მგელ-ძაღლების თავებით შემკული „აბზინდის" აღმოჩენა, ჟინვალის სამაროვანზე მწევრის სამარხების არსებობა და ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხახმატში „მწევრის საფლავის" დადასტურება ნათლად გვიჩვენებს, რომ აღმ. საქართველოს მთისწინეთსა და მთაში ძაღლის (მგელ-ძაღლის, მწევრის) კულტი არა თუ გვიანრომაულ ხანაში, არამედ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც პოპულარობით სარგებლობდა. ამ ფონზე სავარაუდოა, რომ ძველად, ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის კულტისადმი მიძღვნილი (მსგავსად ხახმატის ქვედა ხატისა, სადაც „მწევრის საფლავი" მდებარეობს), საგანგებო სალოცავები სხვაგანაც არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი სალოცავი ხევში, გერგეტში შეიძლება ვიგულისხმოთ. ამ ვარაუდის დაშვების საფუძველს გვიქმნის ტოპონიმ გერგეტის ფუძეში დაცული მგლის ზანური სახელწოდება გერ-ი. გამორიცხული არ არის, რომ ქრისტიანული ტაძრის აგებამდე, სტეფანწმინდის მოპირდაპირე მთაზე მგლის (მგელ-ძაღლის) კულტთან დაკავშირებული სამლოცველო ყოფილიყო. ამ კონტექსტში უაღრესად საყურადღებოა პოლუქსოსის „ონომასტიკონში" დაცული ერთი ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „იბერიაში, სადაც ორთროსს უწოდებენ გარგეთელს, ამ ძაღლის (იგულისხმება

ძაღლ-ვარსკვლავი - ქ.რ.) სახელზე სამლოცველო იყო აგებული" [8, გვ. 119]. წიგნის სარედაქციო კოლეგიის განმარტებით, ტოპონიმი გარგეთელი შესაძლებელია დაუკავშირდეს ქართულ გერგეტს, სადაც მგელ-ძაღლის სამლოცველოს არსებობა ჩვენ უკვე ვიგულისხმეთ.

ამრიგად, არაგვის აუზში აღმოჩენილი მგლის (მგელ-ძაღლის) გამოსახულებები ცხოველ-სიმბოლოებს წარმოადგენდა, რომელიც თავისი გენეზისით უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ის ნადირობის ღვთაების ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი ან მისი სახეცვლილება იყო. მითოლოგიური ძაღლი (მგელ-ძაღლი) მოგვიანებით, მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, მჭიდროდ დაუკავშირდა შინაური პირუტყვის მფარველ ღვთაებრივ ძალებს. უშუალოდ წინაქრისტიანულ ხანაში აღნიშნული სიმბოლოები ინერციით კვლავ განაგრძობდა არსებობას, თუმცა ამ გამოსახულებათა მოთავსება სამკაულებსა და ყოფით ნივთებზე, მარტოოდენ კულტთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამდენად, აბზინდისებრი ოვალური ნივთი მგლისა თუ მგელ-ძაღლების თავების გამოსახულებით და მგლისთავიანი საყბეური უფრო სამკაულის სფეროშია განსახილველი.

ლიტერატურა

1. **აბაკელია ნ.** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, გვ. 56-78.

2. **ამირანაშვილი შ.** ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 31-36.

3. **ბერიაშვილი მ., სხირტლაძე ზ.** თრიალეთის ვერცხლის თასის სიუჟეტურ გამოსახულებათა გაგებისათვის. - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI, 1971, გვ. 133-153.

4. **ვირსალაძე ე.** ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 72.

5. **კიკვიძე ი.** მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 181-190.

6. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 86-87, ტაბ. VIII, სურ. 14.

7. **მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ.** შილდის სამლოცველო (კატალოგი), თბ., 1984, გვ. 18-19.

8. **პოლუქსოსი „ონომასტიკონი"**, V, 46. მითითებულია წიგნიდან „ბერძნული მითების სამყარო", თბ., 1998, გვ. 119.

9. **რამიშვილი რ.** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-73 წწ. განათხარის მიხედვით. - ჟინვალი I, 1983, გვ. 81-130.

10. **რობაქიძე ც.** ნეძიხის რაზმის 1985-1989 წლების საველე მუშაობის ანგარიშები (ინახება დუშეთის არქეოლოგიური ბაზის არქივში).

11. **ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988.

12. **ქორიძე დ.** დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. - ძეგლის მეგობარი, 15, 1968, თბ., გვ. 22-40.

13. **ხიდაშელი მ.** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულ-გამოსახულებიანი ბალთები), გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1972, გვ. 77-78.

14. **ხიდაშელი მ.** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები), თბ., 1982, ტაბ. XXXVI.

15. **ჯავახიშვილი გ.** ანტროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. თბ., 1984, გვ. 40-44.

16. **ჯაფარიძე ნ.** ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თბ., 1981, გვ. 11-22.

17. **ჯაფარიძე ო.** კოლხური ცული. - სსმ, XVI-B, თბ., 1950, გვ. 35-107.

18. **Амиранашвили Ш.Я.** Серебряный кубок из Триалети. - ВДИ, № 2, 1947, с. 153-157.

19. **Бардавелидзе В.В.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 44, 104-105.

20. **Вирсаладзе Е.** Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.

21. **Куфтин Б.** Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, с. 82-90.

22. **Техов Б**. Тлийский могильник (комплексы XVI-X вв. до н.э.), Тб., 1980.

23. **Уваров А**. Христианская символика, часть первая. Символика древнехристианского периода. М., 1908, с. 187.

24. **Урушадзе Н.** Древнегрузинское пластическое искусство, Тб., 1988, с. 61-71.

25. **Ушаков П.** Хеттская проблема. К вопросу о генезисе и взаимоотношениях индоевропейских и картвельских языков. - Труды ТГУ, XVII, Тб., с. 111-115.

26. **Georgien**, Schätze aus dem Land des Goldenen Vlies, Bochum, 2001, S. 146.

მარიამ საგინაშვილი

მინის ჭურჭელი მცხეთის ახ.წ. I ს-ის აკლდამიდან

ქალაქ მცხეთაში, რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთით, 300-ოდე მეტრის მანძილზე, მთის ძირას გაითხარა მავზოლეუმის ტიპის აკლდამა.

აკლდამა ჩაუდგამთ არმაზის ქედის ჩრდილო კალთის ძირას საგანგებოდ ამოჭრილ თხრილში (ფართობი - 50 კვ.მ., სიღრმე - 1,6-2 მ). მას უჭირავს თხრილის დასავლეთი ნაწილი, ოციოდე კვ.მ. აკლდამა სწორკუთხაა; მისი სიგრძე 2,33-2,37 მ-ია, სიგანე - 1,75 მ, სიმაღლე - 1,90 მ; კედლები აგებულია ქვითკირით და შემოსილია ქვიშაქვის დიდრონი თლილი, ერთიმეორეზე მჭიდროდ მორგებული ფილებით. იატაკად დაგებულია სხვადასხვა ზომის სწორკუთხოვანი ფილაქვები. ჩრდილო, სამხრეთი და დასავლეთი ფასადები უშუალოდ ებჯინება თხრილის კედლებს. აღმოსავლეთ კედელს კი აქვს ძალზე მოხდენილი პერანგი, რომელიც შედგება მოყვითალო-თეთრი ქვიშაქვის თლილი ფილებისაგან. მასში დატანებულია ვიწრო დაბალი კარი, რომელიც დაკრძალვისთანავე გადაუკეტავთ ფილაქვით. სახურავი ორკალთიანია და გადახურულია გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით, რომელზედაც გამოწვამდე ამოჭრილია ხელოსნის ნიშნები. სამარხში იდგა ხის სარკოფაგი, რომელშიც აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლები. ვარაუდობენ, რომ აკლდამაში დაკრძალული ყოფილან დედა-შვილი, რომლებიც ეკუთვნიან ახ.წ. I ს-ის ქართლის (იბერიის) სამეფოს მმართველს და წარჩინებულ წრეს [1; 2, გვ. 646-647].

მიუხედავად იმისა, რომ აკლდამა გაძარცული აღმოჩნდა, მასში, მაინც მრავლად იყო ძვირფასი ნივთები, ოქროსა და ვერცხლის მონეტები და სხვა მრავალი ნივთი.

აკლდამაში აღმოჩნდა მინის ცხრამეტი ჭურჭელი, რომელთაგან ოთხი უნიკალურია.

აკლდამის მინის ჭურჭელი დამზადების ტექნიკის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: 1-ფორმაში ჩამოსხმა-ჩაწნეხვით და 2-თავისუფალი ბერვით მიღებული ჭურჭელი. თავდაპირველად განვიხილავთ პირველი ხერხით დამზადებულ ჭურჭელს, რომელშიც სამი ტიპი გამოიყო.

ტიპი I. თეფში მუქი ლურჯი ფერის ნახევრადგამჭვირვალე მაღალი ხარისხის მინისა, სქელკედლიანი; დაბალი, სწორი გვერდებით; ტუჩმომრგვალებული პირითა და ბრტყელი, ქუსლიანი ძირით; პირს გარედან ირგვლივ ღარი აქვს შემოვლებული; თეფშის ფსკერზე გამოყვანილია რელიეფური წრე, რომლის ცენტრში კოპი ზის; ძირზე სამი ღარია მოცემული; თეფში მსუბუქადაა ირიზებული; სიმაღლე - 2,4 სმ-ია; პირის დმ - 16,9 სმ.; ქუსლის დმ - 14,1 სმ. (ტაბ. I_1) (თეფშის საველე ნომერია 49; იხ. საველე დავთარი № 1. თეფში, აკლდამაში აღმოჩენილი კოლბისებური სანელსაცხებლეები და მინიატურული სანელსაცხებლეები ინახება მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე). აკლდამაში აღმოჩენილია მეორე თეფშიც, რომელიც ზუსტად მსგავსია აღწერილი თეფშისა. ისინი ერთმანეთს ემთხვევა ზომებითაც. მეორე თეფშს პირის ცალი მხარე ჩამომტვრეული აქვს (ტაბ. I_2) (თეფშის საველე ნომერია 50. თეფში გამოფენილია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური მასალის საექსპოზიციო დარბაზში; ვიტრინა XLII). ორივე თეფში ჩამოსხმული უნდა იყოს ორი ნაწილისაგან შედგენილ ფორმაში. ამაზე მიუთითებს ის კონცენტრული წრეები, რომლებითაც დაფარულია თეფშების როგორც გარე, ასევე შიდა-პირი. როგორც ჩანს, კონცენტრული წრეები უნდა ჰქონოდა თვით ფორმას; როდესაც ფორმის ქვედა ნაწილში ჩაასხეს მინის ცხელი მასა და მეორე ნაწილით ჩაწნეხეს, მინაზე დარჩენილა ფორმის კონცენტრული წრეების ანაბეჭდი.

ვფიქრობთ, აღნიშნული ხერხით უნდა იყოს დამზადებული ჩვენთვის ცნობილი აკლდამის თეფშების მსგავსი ყველა ჭურჭელი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კორნინგის მინის მუზეუმში დაცული მოლურჯო-მომწვანო ფერის ნახევრადგამჭვირვალე მინის თეფში, რომელიც აკლდამის თეფშების ზუსტ ანალოგად მიგვაჩნია. მას იტალიურ პროდუქციად მიიჩნევენ და ათარიღებენ ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით [21, გვ. 47, № 23]. ჩვენ ჭურჭელთან ახლოს უნდა იყოს ნახევრადგამჭვირვალე მწვანე ფერის მინის თეფში, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. მასაც იტალიურ ნაწარმად თვლიან და ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებენ [21, გვ. 45, № 21]. ჩვენი თეფშების ანალოგიური ჩანს კორნინგის მინის მუზეუმში დაცული კიდევ ერთი თეფში [20, გვ. 255, ნახ. 137]. აქვე უნდა ითქვას, რომ ფორმით აკლდამის თეფშები მსგავსია ერმიტაჟში დაცული თეფში-

სა, რომელიც ახ.წ. 40-70 წწ. თარიღდება და აღმოსავლეთხმელთაშუაზღვისპირეთის ან იტალიურ ნაწარმად ითვლება [16, გვ. 260, № 63]. აკლდამის თეფშებიც, მსგავსად ჩვენ მიერ მოტანილი ანალოგებისა, ალბათ, ჩრდილო იტალიური ნაწარმი უნდა იყოს და ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ტიპი II. ფიალა მუქი ლურჯი ფერის მაღალი ხარისხის ნახევრადგამჭვირვალე მინისა; სქელკედლიანი, პირგადაშლილი; მას შიგნიდან გარშემოუყვება ვიწრო კონცენტრული ღარი; ასევე ვიწრო კონცენტრული ღარია გარშემოვლებული ზედაპირზეც, მხარზე; აქვს დაქანებული გვერდები და დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი; ძირის შუა ნაწილზე, გარედან, გამოყვანილია პატარა კონცენტრული წრე ცენტრში რელიეფური წერტილით; ორივე პირი, მსგავსად თეფშებისა, კონცენტრული წრეებითაა დაფარული და გაპრიალებულია; ირიზებულია მსუბუქად; სიმაღლე - 3,0 სმ.; პირის დმ - 8,0 სმ.; ქუსლის დმ - 5,2 სმ.; ქუსლის სიმაღლე - 0,3 სმ. (ტაბ. I_3) (ფიალის საველე ნომერია 51, გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური მასალის საექსპოზიციო დარბაზში - ვიტრინა XLII).

ფიალაც, მსგავსად თეფშებისა, ორი ნაწილისაგან შედგენილ ფორმაშია ჩამოსხმული. იგი ზუსტად ისეთივე ხარისხისა და ფერის მინისაგან არის დამზადებული და ისევეა ირიზებული, როგორც თეფშები. ამიტომ, ვფიქრობთ, ანალოგებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, თავისუფლად შეგვიძლია ფიალაც ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით დავათარიღოთ და მივიჩნიოთ ჩრდ. იტალიურ ნაწარმად. რაც შეეხება ანალოგებს, ჩვენი ფიალის მსგავსია კორნინგის მინის მუზეუმის ცალი, რომელიც ახ.წ. I ს-ის ადრეული პერიოდით არის დათარიღებული [20, გვ. 255, ნახ. 138]. აკლდამის ფიალის ახლო ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს ს. ოპენლენდერის კოლექციაში დაცული ჭურჭელიც, რომელიც ჩრდ. იტალიურ ნაწარმად არის მიჩნეული და თარიღდება ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეებით [24, გვ. 108, № 292]. აღნიშნულ ჭურჭელს ჩვენ ვუწოდეთ ფიალა, შეიძლებოდა გვეწოდებინა სამარილეც, მაგრამ იგი, ალბათ, არც ფიალად გამოდგებოდა და არც სამარილედ. უფრო საფიქრებელია, რომ იგი ნელსაცხებლისათვის იყო განკუთვნილი. ფიალის დანიშნულების გარკვევაში გვეხმარება ტამანის ნახევარკუნძულზე ბოსფორის ქ. კეპის სამაროვანზე ანალოგიური ჭურჭლის აღმოჩენის ვითარება; როგორც ნ. სოროკინა წერს, ჭურჭელი იდო ხის ლანგარზე მინის სანელსაცხებლეებთან, ვარდისფერ საღებავთან და ქალის ტუალეტის სხვა ნივთებთან ერთად [19, გვ. 142]. ასე რომ, აკლდამის ფიალაც, ვფიქრობთ, ნელსაცხებელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ტიპი III. ზემოთ აღნიშნული ხერხით არის დამზადებული, აგრეთვე, აკლდამის სასმისიც, რომელიც თეთრი (უფერული) გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; მას აქვს გადაშლილი ფართე პირი; მაღალი ტანი, რომელიც ძირისკენ თანდათან ვიწროვდება და დაბალი, ქუსლიანი ძირით თავდება; პირს ირგვლივ გარშემოუყვება რელიეფური ზოლი; ტანი შემკულია რელიეფურორნამენტიანი ორი სარტყლით; სარტყლები ორ კონცენტრულ ზოლს შორისაა მოქცეული; სარტყლებზე მოცემულია ერთმანეთში წვერებით ჩასმული ნუშის გულის ფორმის ღრმულები. ქვედა სარტყლის ღრმულები შედარებით მოზრდილია; ტანის ზედა, ქვედა და სარტყლებს შორის მოქცეული სივრცე სადაა; ძირზე გარედან ბრტყელთავიანი კოპია გამოყვანილი; სასმისი აღდგენილია, ნაწილები აკლია; ირიზებულია; სიმაღლე - 12,9 სმ.; პირის დმ - 8,2 სმ.; ძირის დმ - 3,3 სმ.; ქუსლის სიმაღლე - 0,2 სმ. (ტაბ. I_4) (სასმისის საველე ნომერია 34. გამოფენილია საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური მასალის საექსპოზიციო დარბაზში, ვიტრინა XLII).

აკლდამის სასმისის ზუსტი ანალოგი ჩვენთვის ცნობილი არ არის. ვარაუდობენ, რომ მსგავსი ფორმის სასმისების დამზადება და გამოყენება დაიწყეს ახ.წ. I ს-ის დასასრულიდან [22, გვ. 37-38, ნახ. 21]. დათარიღებული ნიმუშები მიეკუთვნება ახ.წ. I ს-ის ბოლოს ან II ს-ის დასაწყისს (ადრეული II ს.). რაც შეეხება სასმისების დამზადების ცენტრებს, მიაჩნიათ, რომ ისინი მზადდებოდა ეგვიპტეში ან სირიაში [22, გვ. 37-38]. ვფიქრობთ, რომ აკლდამის სასმისი ახ.წ. I ს-ის დასასრულით უნდა დათარიღდეს და სირიული პროდუქცია უნდა იყოს.

როგორც დავინახეთ, ფორმაში ჩამოსხმაჩაწნეხვით არის დამზადებული აკლდამაში აღმოჩენილი ზემოთ აღწერილი სამივე ტიპის ჭურჭელი, რომელთა მსგავსი საქართველოში ჯერჯერობით არსად აღმოჩენილა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ აკლდამაში აღმოჩენილია თავისუფლადნაბერი მინის ჭურჭელიც. თავდაპირველად შევჩერდებით მინიატურულ სანელსაცხებლეებზე ანუ როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ „საცრემლეებზე." სამარხში სულ რვა ერთეული ყოფილა აღმოჩენილი. დღეს სახეზეა მხოლოდ ექვსი (ტაბ.II_6).

ტიპი IV. 1. მოყვითალო მინის სანელსაც-

ხებლე მაღალი ცილინდრული ყელით; დაბალი მსხლისებრი ტანით, რომელიც ძირისკენ მომრგვალებულია და თავდება პატარა, ბრტყელი ძირით; პირის დიდი ნაწილი ბრტყელია (ტუჩიანი); ყელი ტანისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი; ირიზებულია - თითქმის მთლიანად არის დაფარული რუხი ფერის ირიზაციის სქელი ფენით; სიმაღლე - 4,2 მ; პირის დმ - 1,1 სმ; ძირის დმ - 0,8 სმ (საველე ნომერია 41).

2. სანელსაცხებლე მოთეთრო (უფერული) მინისა; გადაშლილი, შიგნით ჩაკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის მაღალ, მსხლის ფორმის ტანში; ძირი მომცროა და ბრტყელი; ცალი მხარე ჩამოტეხილია; მსუბუქადაა ირიზებული; სიმაღლე - 3,5 სმ.; პირის დმ - 1,3 სმ.; ძირის დმ - 0,9 სმ. (საველე ნომერია 43).

3. სანელსაცხებლე მწვანე ფერის გაუმჭვირვალე მინისა; ცალ მხარეს შიგნით ჩაკეცილი გადაშლილი პირით; მაღალი ყელით, რომელიც ტანისკენ ვიწროვდება და მკვეთრად არის გამოყოფილი გვერდებდაქანებული, ძირისკენ მომრგვალებული კონუსური ტანისაგან; ძირი მომცროა და ბრტყელი; ძლიერაა ირიზებული - დაფარულია მოყვითალო ფერის ირიზაციის სქელი ფენით; სიმაღლე - 2,9 სმ.; პირის დიამეტრი - 1,1 სმ; ძირის დმ - 0,6 სმ (საველე ნომერია 44).

4. სანელსაცხებლე მომწვანო ფერის გაუმჭვირვალე მინისა; ბრტყლადჩაკეცილი გადაშლილი პირით, მაღალი ყელით, რომელიც ტანისკენ ვიწროვდება და მისგან მკვეთრად გამოიყოფა; ტანი მსხლისებრია და ბრტყელი ძირით თავდება; ირიზებულია - მთლიანად დაფარულია მოყვითალო-მონაცრისფრო ირიზაციის სქელი ფენით; სიმაღლე - 3,5 სმ; ძირის დმ - 0,6 სმ; პირის დმ - 1,4 სმ (საველე ნომერია 45).

5. სანელსცხებლე ლურჯი ფერის გაუმჭვირვალე მინისა; ცალ მხარეს ჩაკეცილი გადაშლილი პირით; მაღალი ყელით, რომელიც ტანისკენ ვიწროვდება და მკვეთრად გამოიყოფა მსხლის ფორმის ტანისაგან; ძირი მომცროა და ბრტყელი. ძლიერ ირიზებული - დაფარულია რუხი ფერის ირიზაციით; სიმაღლე - 3,7 სმ; პირის დმ - 1,1 სმ; ძირის დმ - 0,6 სმ (საველე ნომერია 46).

6. სანელსაცხებლე მოთეთრო-მოიისფრო გამჭვირვალე მინისა; პირი გადაშლილია და შიგნით ჩაკეცილი, ძლიერ დეფორმირებული; აქვს მაღალი ცილინდრული ყელი, რომელიც უშუალოდ გადადის გვერდებდაქანებულ დაბალ ტანში; ძირი მომცროა და ბრტყელი; პირს ქვემოთ, შიგნიდან მინის ძაფია გაბმული, რაც გარედანაც შესამჩნევია; სანელსაცხებლე დაუდევრად არის გამობერილი; ირიზებულია; სიმაღლე - 3,2 სმ; პირის დმ - 1,2 სმ; ძირის დმ - 0,7 სმ (საველე ნომერია 47).

საქართველოში მინიატურული სანელსაცხებლეები მცხეთის აკლდამის გარდა აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [14, გვ. 184, №№ 24-25, გვ. 186. № 63, სურ. 163-164], ზემო ავჭალაში [4, გვ. 176, ტაბ. IX_2], კავთისხევში, საყარაულო სერის სამაროვანზე [11, ტაბ. XLII_{6-7}, ტაბ. XLIX_3], აღაიანში - რიყიანების ველისა [5, გვ. 72, I, ნახ. 7] და ჟინვალის სამაროვნებზე [9, გვ. 186, 5]. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ისინი გვხვდება ურბნისში - გვიანანტიკური ხანის სამაროვანსა (23 ერთეული) [6, №№ 18-41] და ნაქალაქარზე [10, გვ. 51, სურ. 27, 2-3].

მინიატურული სანელსაცხებლეებისათვის დამახასიათებელია გადაშლილი, შიგნით ჩაკეცილი პირი (ხშირად უთანაბროდ); ძირითადად, მაღალი ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი ცილინდრული ყელი (ნაკლებად გვხვდება სანელსაცხებლეები დაბალი ყელით, რომელიც გადადის ძირისკენ გაფართოებულ ტანში); მსხლისებრი, ზოგჯერ კონუსური ან სფერული ტანი და უმეტესწილად, ბრტყელი ძირი. ისინი, ძირითადად, ფერადი მინისაა - ჭარბობს მოლურჯო, მომწვანო, მოცისფრო; მას მოსდევს მოიისფრო, მოთეთრო-მოყვითალო ფერისა; გვხვდება უფერული-მოთეთრო მინისაც. მინა, ძირითადად, გაუმჭვირვალეა, არც თუ იშვიათად, გამჭვირვალეც; ირიზებული. მათი სიმაღლე 2,3 სმ-დან - 4,1 სმ-მდე აღწევს.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მინიატურული სანელსაცხებლის შემცველი სამარხეული კომპლექსის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ისინი ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში უკვე არსებობენ. ვფიქრობთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მინიატურული სანელსაცხებლეები ჩნდება ახ.წ. I ს-ის დასაწყისშივე და იხმარება საუკუნის დასასრულამდე. საყურადღებოა, რომ მ. ივაშჩენკომ სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ მინის ჭურჭელს შორის ყველაზე ადრეულ სანელსაცხებლეებად მიიჩნია მინიატურული სანელსაცხებლეები და ისინი ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით დაათარიღა [14, გვ. 184]. ასევე ათარიღებს მათ ს. მაკალათიაც [4, გვ. 176].

ჩვენთვის ცნობილ ყველა პუბლიკაციაში მინიატურული სანელსაცხებლეების თარიღად მიჩნეულია ახ.წ. I საუკუნე (იხ. [12, გვ. 98, სურ. 56,6; 18, გვ. 218, სურ. 1,6; 16, გვ. 324, № 359; 17, გვ. 170, სურ. 11, 16; 25, გვ. 97, სურ. 79; 26, ტაბ. VII_{47}]). განსა-

კუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პომპეის გათხრების დროსაც არის ნაპოვნი მსგავსი სანელსაცხებლე, რაც, უდაოდ, მიუთითებს იმაზე, რომ სანელსაცხებლე არსებობდა ქ. პომპეის დაღუპვამდე, ე.ი. 79 წლამდე. ამგვარად, ეს აღმოჩენა მინიატურული სანელსაცხებლეებისათვის გვაძლევს საკმაოდ ზუსტ თარიღს [23, გვ. 120, სურ. 15]. მინიატურული სანელსაცხებლეების რიცხვმა საქართველოში 45 ერთეულს გადააჭარბა, ეს მაშინ, როცა კავკასიაში ისინი ჯერჯერობით არსად ჩანს, ჩრდილო შავიზღვისპირეთში კი სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი. საერთოდ, ბევრად ნაკლებია ნაპოვნი სხვაგანაც. ეს გარემოება, თითქოს, გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ისინი საქართველოში მზადდებოდა, კერძოდ, ურბნისში, რადგანაც ყველაზე მრავლად მინიატურული სანელსაცხებლეები სწორედ ურბნისშია აღმოჩენილი. მინის ბევრი მკვლევარი ხშირ შემთხვევაში ასე უდგება ასეთ პრობლემას. მაგრამ მათი მინის ხარისხი და ფერი, უმეტესწილად, იმდენად მსგავსია ჩრდ. იტალიური ნაწარმისა, რომ ძნელია ასეთი დასკვნის გამოტანა. საქართველოში სანელსაცხებლეების მრავლად აღმოჩენა, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ისინი კარგად მოერგო ჩვენს სამგლოვიარო რიტუალს. ჯერჯერობით სხვა დასკვნას ვერ გავაკეთებთ.

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცხეთის აკლდამის მინიატურულ სანელსაცხებლეებს ვათარიღებთ ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით და ჩრდ. იტალიურ პროდუქციად მივიჩნევთ მათ (მცხეთის აკლდამის მინიატურული სანელსაცხებლეები გამოქვეყნებულია, ისინი ახ.წ.I ს-ით არის დათარიღებული [8, ტაბ. 11]).

აკლდამაში აღმოჩენილია თავისუფლადნაბერი მინის ჭურჭლის კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო სახეობა - კოლბისებური სანელსაცხებლეები - ტიპი V. მასში გამოიყო სამი ვარიანტის ჭურჭელი. ვარიანტი I - კონუსურტანიანი სანელსაცხებლე. იგი მუქი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; შიგნით ჩაკეცილი ბრტყელი პირით; მაღალი ცილინდრული ყელით, რომელიც მკვეთრად არის გამოყოფილი ტანისაგან საკმაოდ შესამჩნევი ვიწრო ღარით; ტანი კონუსურია, ძირი ბრტყელი და საკმაოდ ფართე; ირიზებულია - ჭურჭლის მთელი ზედაპირი დაფარულია მონაცრისფრო ირიზაციის სქელი ფენით; სიმაღლე - 11,6 სმ.; პირის დმ - 2,9 სმ.; ძირის დმ - 4,0 სმ (საველე № 37) (ტაბ. II_4). კონუსურტანიანი ჭურჭელი კოლბისებური სანელსაცხებლეების ყველაზე გავრცელებული ფორმაა მთელ ანტიკურ სამყაროში. საკმაოდ მრავლად ისინი აღმოჩენილია საქართველოშიც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ურბნისში გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე გათხრილ მასალაში. ისინი შესწავლილია და დათარიღებულია ახ.წ. I ს-ით [6, № 61-78]. ურბნისში შემთხვევით გათხრილ სამარხში აღმოჩენილი კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები კი დათარიღდა უფრო კონკრეტულად, ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით [7, გვ. 165, ტაბ. $XII_{12, 13}$]. ასევე ვათარიღებთ აკლდამის სანელსაცხებლესაც.

მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები ეგვიპტური ნაწარმია. შეისწავლეს რა ბოსფორის კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები, ნ. კუნინა და ნ. სოროკინაც მათ ეგვიპტურ ნაწარმად მიიჩნევენ [17, გვ. 157]. ისინი ემყარებიან მინის ცნობილ მკვლევარს ჰარდენს, რომელსაც მიაჩნია რომ, აღნიშნული სანელსაცხებლეები ნელსაცხებელთან ერთად აღმოსავლეთხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში ეგვიპტიდან შედიოდა. ევროპაში მათ ძალზე იშვიათად პოულობენ [17, გვ. 157]. ჩვენც ვიზიარებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები საქართველოშიც სწორედ ეგვიპტიდან შემოდიოდა.

ვარიანტი II. აღნიშნულ ვარიანტში გავაერთიანეთ მცხეთის აკლდამაში აღმოჩენილი შემდეგი კოლბისებური სანელსაცხებლეები:

1. სანელსაცხებლე მუქი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა, სქელკედლიანი; დეფორმირებული, უსწოროდ გადმოკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით; მაღალი, მხრებდაქანებული, მსხლისებრი ტანით; ბრტყელი ძირით, რომელზედაც შერჩენილია ჩასაბერი მილის კვალი დმ-ით 1,7 სმ.; ტანი ყელისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი; მსუბუქად ირიზებული; ზედაპირდაზიანებული; სიმაღლე - 11,7 სმ.; პირის დმ - 2,6 სმ.; ძირის დმ - 2,5 სმ. (საველე ნომერია 38) (ტაბ. II_5).

2. სანელსაცხებლე მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა, სქელკედლიანი; პირგადაშლილი, მაღალი ცილინდრული ყელით; მსხლისებრი ტანით; მრგვალი, ბრტყელი ძირით; ირიზებულია. ძირზე შეიმჩნევა ჩასაბერი მილის კვალი. სიმაღლე - 12,0 სმ.; პირის დმ - 3,1 სმ.; ძირის დმ - 3,2 სმ. (საველე ნომერია 39) (ტაბ. II_3).

3. სანელსაცხებლე მწვანე ფერის გამჭვ-

ირვალე მინისა, სქელკედლიანი; გადაშლილი, დაბრტყელებული პირით; მაღალი, დაქანებული ყელით; მსხლისებრი ტანით, მრგვალი, ბრტყელი ძირით; ძირზე შეიმჩნევა ჩასაბერი მილის კვალი (ჭურჭელი დაქანებულია); ირიზებულია. სიმაღლე - 12,9 სმ.; პირის დმ - 2,8 სმ.; ძირის დმ - 2,6 სმ. (საველე ნომერია 40) (ტაბ. II_2).

აღწერილი ჭურჭელი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ისინი ჩვეულებრივი მსხლის ფორმის სანელსაცხებლეებისაგან განსხვავდება ერთი საინტერესო დეტალით - მათ ტანზე ყელთან შეერთების ადგილთან გამოკვეთილი მხრები აქვთ. მსგავსი ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია ურბნისშიც გვიანანტიკური ხანის სამაროვანსა [6, № 143-146] და შემთხვევით გათხრილ სამარხში [7, ტაბ. $XII_{14, 15}$]. ისინი შესწავლილია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ სანელსაცხებლეები ადგილობრივი ნაწარმია [7, გვ. 167]. მათ შემცველ კომპლექსებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ისინი არსებობენ ახ.წ. I ს. და განაგრძობენ არსებობას ახ.წ. II საუკუნეშიც [7, გვ. 167]. მათ ანალოგები მოეძებნათ მხოლოდ კავკასიაში - სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც ისინიც ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული და დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (იხ. [13, № 50-52; 15, გვ. 25, ტაბ. XXXIV]). მიგვაჩნია, რომ მცხეთის აკლდამის სანელსაცხებლეებიც ადგილობრივი ნაწარმია და უნდა დათარიღდეს ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით, დასასრულით.

აკლდამის მსხლისებრ სანელსაცხებლეებთან დაკავშირებით გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საინტერესო დეტალზე. სანელსაცხებლეების აღწერილობისას აღვნიშნეთ, რომ მათ ძირზე შერჩენილი აქვთ ჩასაბერი მილის კვალი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მილის დიამეტრზე. ჩასაბერი მილის კვალი შეინიშნება, აგრეთვე, ურბნისში აღმოჩენილ რამდენიმე მინის ჭურჭელზეც [6, № 143-146; 8, გვ. 168], რასაც თავიდანვე მიექცა ყურადღება. მინის მკვლევართაგან მხოლოდ რამდენიმე ეხება ამ საკითხს; მათ შორის ნ. სოროკინაც. ნ. სოროკინას აზრით, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას, რათა მისმა ანალიზმა შეიძლება მოგვცეს საინტერესო შედეგები მინის საწარმოთა ლოკალური თავისებურებების დასადგენად [19, გვ. 127].

ვარიანტი III. კოლბისებური სანელსაცხებლე მუქი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა, სქელკედლიანი; ბრტყლადდაკეცილი დისკოსებრი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც პირისკენ ვიწროვდება და მკვეთრად გამოიყოფა ტანისაგან ვიწრო ღარით; ტანი მხრებდაქანებულია და ძირისკენ ფართოვდება; აქვს ფართე, ბრტყელი ძირი; ირიზებულია მსუბუქად - ცალ მხარეს ზედაპირი დაზიანებულია; სიმაღლე - 15,0 სმ.; პირის დმ - 3,0 სმ.; ძირის დმ - 2,9 სმ (საველე ნომერია 36) (ტაბ. II_1).

აღწერილი სანელსაცხებლე მინის ფერითა და ხარისხით წინა სამი ჭურჭლის მსგავსია, ისევეა ირიზებულიც. ფორმით კი, როგორც დავინახეთ, განსხვავდება. განსხვავდება ზომითაც - უფრო მაღალია. თუ მხოლოდ მინის ფერითა და ხარისხით ვიმსჯელებთ, ეს ჭურჭელიც შეიძლებოდა ადგილობრივ ნაწარმად მიგვეჩნია; ფორმა კი ამის საშუალებას არ გვაძლევს. ამიტომ, ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ მისი წარმომავლობის დადგენისაგან. რაც შეეხება თარიღს, იგი იმდენად ახლოს დგას ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ კოლბისებურ სანელსაცხებლეებთან [4, გვ. 176, ტაბ. IX_3], რომ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ მასაც ახ.წ. I ს-ით დავათარიღებთ.

ბოლოს შევჩერდებით კიდევ ერთ ჭურჭელზე - ტიპი VI. იგი წარმოადგენს ლურჯი ფერის გამჭვირვალე მინის თხელკედლიან მინიატურულ ჯამს, რომელიც ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი-შემორჩენილია პირისა და ძირის ოთხი ფრაგმენტი. პირი გამოყოფილი აქვს; ძირი მომრგვალებული, ბრტყელი; შედარებით სქელი და უფრო მუქი; ირიზებულია; პირის დმ - 6,5 სმ-ია, ძირის დმ - 3,0 სმ (საველე ნომერია 52) (ტაბ. II_7).

ჩვენთვის ცნობილი მსგავსი მოჭრო ჯამები, ძირითადად, ქუსლიანია და თარიღდება ახ.წ. I საუკუნით. მხედველობაში გვაქვს ტოლედოს მუზეუმში დაცული ქუსლიანი ჯამები, რომლებიც დიდ სიახლოვეს იჩენენ ჩვენ ჭურჭელთან და თარიღდებიან ახ.წ. I ს-ის ადრეული პერიოდით. რაც შეეხება წარმომავლობას, შესაძლებლად მიაჩნიათ მათი იტალიური წარმოშობა [20, გვ. 304-307, №№ 418-419]. ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ აკლდამის ჯამს ქუსლი არა აქვს, იგი ქუსლიან ჯამებთან ერთად უნდა განვიხილოთ და იმავე ხანით უნდა დავათარიღოთ. ჩვენი აზრით, ჯამი დასავლური იმპორტი უნდა იყოს. გარდა ზემოთ აღწერილი ჭურჭლისა, აკლდამაში აღმოჩენილია კიდევ ერთი ჭურჭლის მრავალი წვრილი ფრაგმენტი, რომელთა საშუალებითაც ჭურჭლის ფორმის აღდგენა ვერ მოხერხდა. გ. ლომთათიძე ფრაგმენტებს მინის ხარისხითა და ფერით ამსგავსებს ზემოთ აღწერილ სას-

მისს. ისინი საველე დავთარში გატარებულია ნომრით 35.

როგორც დავინახეთ, მცხეთის აკლდამაში მინის ჭურჭლის ორი ქრონოლოგიური ჯგუფია აღმოჩენილი-ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრისა და I საუკუნის დასასრულისა. ჩანს, აკლდამაში შედარებით ადრეული მინის ჭურჭელი ცოტა მოგვიანო ხანის სამარხშია მოხვედრილი; სამარხში, რომელსაც გამთხრელები, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად, ახ.წ. I საუკუნის დასასრულით ათარიღებენ [2, გვ. 646].

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მცხეთის აკლდამის მინის ჭურჭლის შესწავლის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენს მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში ახ.წ. I საუკუნეში ერთდროულად შემოდიოდა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური პროდუქცია და მას მოიხმარდნენ ადგილობრივ ნაწარმთან ერთად, რომ საქართველოში მინის წარმოება უნდა ვივარაუდოთ ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან, დასასრულიდან მაინც.

ლიტერატურა

1. **ლომთათიძე გ.** მცხეთის აკლდამა. ბუკლეტი, თბ., 1960.

2. **ლომთათიძე გ., ციციშვილი ი.** ახლადაღმოჩნენილი აკლდამა მცხეთაში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 641-648.

3. **ლომთათიძე გ.** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მცხეთაში. - ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა," 1952, I, გვ. 14-16.

4. **მაკალათია ს.** 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. - საქართველოს საეხლმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 161-188.

5. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

6. **საგინაშვილი მ.** ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბ., 1970.

7. **საგინაშვილი მ.** შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ურბნისიდან. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B, თბ., 1982, გვ. 154-169.

8. **უგრელიძე ნ.** მინა ძველ საქართველოში. თბ., 1961.

9. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვნის მინის ჭურჭელი. - არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 184-195.

10. **ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.

11. **ჯინჯიხაშვილი გ.** ძვ.წ. I და ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან. - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 42-59.

12. **Алексеева Е.М.** Юго-восточная часть некрополя Горгиппии. Горгиппия II. - Материалы Анапской археологической экспедиции, Краснодар, 1982, с. 5-116.

13. **Аракелян Б.Н.,** Тирацян Г.А., Хачатрян Ж.Д. Стекло древней Армени (I-IV). - Археологические памятники Армении, 3. Памятники древней эпохи, вып. I, Ереван, 1969.

14. **Иващенко М.М.** Самтаврские погребения первых трех веков н.э. - მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. III, თბ., 1980.

15. **Казиев С.М.** Альбом кувшинных погребении, баку, 1960.

16. **Кунина Н.З.** Атничное Стекло в собрании Эрмитажа. - Гос. Эрмитаж, каталог, Санкт-Петербург, 1997.

16. **Кунина Н.З., Сорокина Н.П.** Стеклянные бальзамарии Боспора. - Труды Государственного Эрмитажа, XIII, Ленинград, 1972, с. 146-177.

17. **Сорокина Н.П.** К вопросу об экономических связах государств Северного Причерноморья в I в. н.э. - МИА, Древности Восточной Европы, М., 1969, с. 217-221.

19. **Сорокина Н.П.** Античные стеклянные сосуды из раскопок некрополя боспорского города Кепы на Таманском полуострове. - Античный мир и археология, вып. 3, Саратов, 1977, с.115-144.

20. **Grose D.F.** The Toledo Museum of Art. Early Ancient Glass. Core-formed, Rod-formed, and Cast Vessels and Objects from the Late Bronze Age the Early Roman Empire, 1600 B.C. to A.D. 50. New-York, 1989.

21. **Harden D.B.** Glass of the Caesars, Milan, 1987.

22. **Isings C.** Roman Glass from Dated Finds, Groningen; Djacarta, 1957.

23. **Jashemski F.** The Flower Industry at Pompeii, Archaeology,1963, v.16, № 2,p.112-121.

24. **Saldern A., Nolte B., La baume P., Haevernick E.** Gläser der Antike. – Sammlung Erwin Oppenländer, Hamburg, 1974.

25. **Simonett Ch.** Tessiner Gräberfelder, Basel, 1941.

26. **Vessberg O.** Roman Glass in Cyprus. - Opuscula Archaeologica, VII, Lund, 1952, p. 109-165.



1



2



3



4

ᲒᲝᲓ. II



ნინო სულავა

ერთწილადი რკალისებური ფიბულები ყაზბეგიდან (საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთი)

ყაზბეგის რაიონში მოპოვებული არქეოლოგიურ მასალას არაერთი მკვლევარი შეხებია. ლ. წითლანაძის ნაშრომში კი, რომელიც „ყაზბეგის განძის" პუბლიკაციას ეძღვნება, ამომწურავად არის გადმოცემული ყაზბეგის რ-ნის ანუ ხევის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია [3].

ამჯერად, ჩვენი ყურადღების საგანია ერთწილადი რკალისებური ფიბულები (13 ცალი) ბრინჯაოსა და რკინის ნივთების იმ კოლექციიდან (სსმ კოლ. № 2-02, №№ 117-375. აქედან ფიბულებია: №№ 227-230, 234-236, 238-243. №№ 225, 226 - მუზეუმში არ არის), რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა ყაზბეგში წარმოებული სამუშაოების შემდეგ [7, გვ. 11-19; 6, გვ. 139]. როგორც ჩანს, მასალა სამაროვნის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს [6, გვ. 152-155]. ამავე კოლექციის სამი ფიბულა (№№ 231, 232, 233) ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ამგვარად, ჩვენს ხელთაა 16 ცალი ერთწილადი რკალისებური ბრინჯაოს ფიბულა. მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსვლა, ვფიქრობ, გარკვეულწილად შეავსებს ფიბულათა იმ სერიას, რომლებიც აღმოჩენილია როგორც „ყაზბეგის განძში," ასევე ყაზბეგის რ-ში; ისინი გაფანტულია სხვადასხვა მუზეუმებში და გამოქვეყნებულია სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში [8, ტაბ. LVI; 6, გვ. 139, 152-155; 7, გვ. 11-19; 4, გვ. 50-57; 10, გვ. 121 და სხვ.].

ყაზბეგის 16-ივე ფიბულა კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულების არსებობის ფინალურ საფეხურს უნდა განეკუთვნებოდეს. ჩვენს მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური სქემის მიხედვით ისინი კავკასიაში გავრცელებული III ტიპის ფიბულებში თავსდებიან [2, გვ. 42, შენ. 5], ანუ მაღალი, ნახევარწრისებური რკალი და განიერი ბუდე აქვთ. ყაზბეგის ფიბულები შეიძლება ორ ქვეტიპად დავყოთ:

I. შემსხვილებულრკალიანი ფიბულები (ტაბ. I_{1-5}).

II. მძივისებურრკალიანი ფიბულები (ტაბ. I_{6-16}).

I ქვეტიპის ანუ შემსხვილებულრკალიანი ფიბულები სხვადასხვა ზომის 5 ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. მათთვის დამახასიათებელია თანაბრადშემსხვილებული, მრგვალგანივკვეთიანი რკალი, რომელიც ან სადაა ან შემკულია ორნამენტით - სიგრძეზე მიმართული წიწვისებური სახე, წრეებით შევსებული სამკუთხედები. ბუდე მკვეთრად განიერია, ნიჩბისებური ფორმის, სადაა ან შემკულია წრეებით შევსებული სამკუთხედებით (ტაბ. I_1). ნემსსაჭერი დაბალი და მომრგვალებულია.

I. 1. სსმ კოლ.2-02, №227 (ტაბ.I_1) [7,გვ.14].

I. 2.სსმ კოლ.2-02, №229 (ტაბ.I_2) [7, გვ.14].

I. 3.სსმ კოლ. 2-02, №230 (ტაბ.I_3) [7,გვ.14].

I. 4.სსმ კოლ.2-02, №233 (ტაბ.I_4) [7,გვ.14].

I. 5.სსმ კოლ.2-02, №236 (ტაბ.I_5) [7,გვ.15].

II ქვეტიპის ანუ მძივისებურრკალიანი (ამ ტიპის ფიბულების შესახებ იხ.: [1, გვ. 58-65]. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად გავარკვიეთ, რომ ქვემოთ აღნიშნულ სტატიაში მოტანილი ფიბულები [1, გვ. 62] არ უნდა ეკუთვნოდეს „ყაზბეგის განძს," ისინი სამაროვნის კულტურული ფენებიდან უნდა მომდინარეობდნენ [6, გვ. 152-155]), ფიბულები სხვადასხვა ზომის 11 ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. მათთვის დამახასიათებელია ტრაპეციის ფორმის ბუდე, დაბალი, მომრგვალებული ნემსაჭერით; რკალი უკანა მხრიდან დაბრტყელებულია. რკალის შემკულობის მიხედვით ისინი შეიძლება 3 ქვეტიპად დავყოთ:

IIა. ფიბულები, რომელთა რკალიც წარმოადგენს დისკოებს შორის მოქცეული სადა ან სიგრძივდაღარული „მძივების" ასხმას.

IIა. 6. სსმ კოლ. 2-02, № 234 (ტაბ. I_6) [7, გვ. 15].

IIა. 7. სსმ კოლ. 2-02, № 238 (ტაბ. I_7) [7, გვ. 15].

IIა. 8. სსმ კოლ. 2-02, № 239 (ტაბ. I_8) [7, გვ. 15].

IIა. 9. სსმ კოლ. 2-02, № 240 (ტაბ. I_9) [7, გვ. 15].

IIა. 10. სსმ კოლ. 2-02, № 241 (ტაბ. I_{10}) [7, გვ. 15].

IIა. 11. სსმ კოლ. 2-02, № 242 (ტაბ. I_{11}) [7, გვ. 15].

IIბ. ფიბულები, რომელთა რკალიც წარმო-

ადგენს ირგვლივ ღარებს შორის მოქცეული სიგრძივ დაღარული „მძივების“ ასხმას.

IIბ. 12. სსმ კოლ. 2-02, № 228 (ტაბ. I_{12}) [7, გვ. 14].

IIბ. 13. სსმ კოლ. 2-02, № 231 (ტაბ. I_{13}) [7, გვ. 14].

IIბ. 14. სსმ კოლ. 2-02, № 232 (ტაბ. I_{14}) [7, გვ. 14].

IIბ. 15. სსმ კოლ. 2-02, № 235 (ტაბ. I_{115}) [7, გვ. 15].

IIგ. ფიბულა, რომლის რკალიც წარმოადგენს სფერული „მძივების“ ასხმას.

IIგ. 16. სსმ კოლ. 2-02, № 243 (ტაბ. I_{16}) [7, გვ. 15].

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ფიბულების ყველა ტიპს პარალელები, უპირველეს ყოვლისა, თვით „ყაზბეგის განძისა“ და ამავე მიდამოებში XIX ს-ის მიწურულის სხვადასხვა წლებში აღმოჩენილ მასალებში ეძებნებათ [3, გვ. 77-80, ტაბ. XXV]. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ხეობის მასალა კარგად გამოკვეთილი ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, ფიბულები გამოირჩევიან დიდი ზომებითა და სიტლანქით. ამ ნიშნების ერთობლიობის კარგი ნიმუშია ყაზბეგის I ტიპის ფიბულათაგან ყველაზე დაცული ეგზემპლარი - № 227, რომელიც განსხვავდება კავკასიის სხვა ფიბულებისაგან დიდი ზომებით, თანაბრად შემსხვილებული რკალით, და მკვეთრად გაგანიერებული, ნიჩბისებური ფორმის ბუდით, რაც მხოლოდ ამ რეგიონის ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი [6, ტაბ. LXVIII_1; 3, ტაბ. XXVI, XXVII]. ანალოგიური ტიპოლოგიური ნიშნების მქონე ფიბულები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიაშიც - ისტი-სუსა და ლუგოვოის სამარხებში [5, გვ. 59, ტაბ. $XXXVII_{6, 7, 8, 11}$].

ყაზბეგის II ტიპის ფიბულები, ანუ მძივისებურრკალიანი ფიბულები მსგავსია ვანის ნაქალაქარზე (სამარხები №№ 6, 11), ბრილის სამაროვანზე (სამარხი № 9, 1960 წ. გათხრები) [დაწვრ. იხ.: 1, გვ. 58-65] და ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის ბერძნული სამაროვნის №№ 49 და 82 სამარხებში აღმოჩენილი ფიბულებისა. ჩამოთვლილ ძეგლებზე აღმოჩენილი ფიბულები, რომლებიც წარმოდგენილია ვერცხლისა (ბრილი, ფიჭვნარი) და ოქროს ნიმუშებით, თავისი შემკულობით (ღარებს შორის ან დისკოებს შორის მოქცეული „მძივები“) იმეორებენ თანადროულ მოდურ მოტივებს [1, გვ. 63], რაც სხვა სამკაულზეც არის გამოყენებული (დიადემები, გვერგვები, სამაჯურები, ქინძისთავები) [1, გვ. 62-63, ტაბ. III]. ვანში, ბრილსა და ფიჭვნარში აღმოჩენილი ფიბულები თავისი დახვეწილი, ფაქიზი ფორმებით რამდენადმე განსხვავდებიან ყაზბეგის ფიბულებისაგან, რომლებსაც, როგორც ავღნიშნეთ, ახასიათებთ მთიანი რეგიონისათვის დამახასიათებელი ნიშნები - მასიურობა, განიერი ბუდე, ტლანქი და უხეში ორნამენტი [1, გვ. 62]. მძივისებურრკალიანი ფიბულა ლუგოვოის სამაროვნის №№ 112, 118 სამარხებიდან და ცავდენოდანაცაა ცნობილი [5, გვ. 59, ტაბ. XXXVII_8].

ვანის, ბრილისა და „ყაზბეგის განძის“ კომპლექსები ზოგადად ძვ.წ. V-IV სს-თაა დათარიღებული [დაწვრ. იხ.: 1, გვ. 58-65]. „ყაზბეგის განძისთვის“ არსებობს უფრო კონკრეტული თარიღიც - არაუადრეს და არაუგვიანეს ძვ.წ. V საუკუნისა [9, გვ.184, შენ. 184].

ამრიგად, ვფიქრობთ, პარალელურ მასალაზე დაყრდნობით, ყაზბეგის ფიბულების (განსაკუთრებით კი II ტიპის ფიბულების) არსებობის ჩარჩოები ძვ.წ. V-IV სს-ით უნდა შემოიფარგლოს.

ლიტერატურა

1. **სულავა ნ.** საქართველოში აღმოჩენილი მძივისებურრკალიანი ფიბულები. - ძიებანი, № 1, 1998, გვ. 58-65.

2. **სულავა ნ.** თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. - ძიებანი, № 6, 2000, გვ. 38-45.

3. **წითლანაძე ლ.** ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.

4. **Калитинский А.** Из истории фибулы на Кавказе. - "Seminarium Kondakovianum," Prague, 1926.

5. **Козенкова В.И.** Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры (Восточный вариант) - САИ, вып. В2-5, М., 1982.

6. **Уварова П.С.** Могильники северного Кавказа. - МАК, VIII, М., 1900.

7. **Уварова П.С.** Коллекции Кавказского музея, т. V, Тиф., 1902.

8. **Chantre E.** Recherches Anthropologiques dans le Caucase, T. II, periode protohistorique, Atlas, Paris-Lion, 1886.

9. **Lordkipanidze O.** The "Akhalgori Hoard." An Attempt of Dating and Historical Interpretation. - AMIT, Band 33, 2001, Berlin, S. 143-190.

10. **Tallgren A.M.** The Kasbek Treasure. - ESA, V, Helsinki, 1930.


1


2

3

4


5

6

7

8

9


10

11


12


13


16


14


15

მარინე ფირცხალავა

საპრალური ინვენტარის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ საკულტო ნივთებს შორის გამოირჩევა თიხის რიტუალური დანიშნულების მცირე ფორმები _ თიხის მაღალფეხიანი თასები და უნიკალური რიტონისმაგვარი ჭურჭელი (ტაბ. I_{1-3}, II, III_1), რომელთა შესაძლებელი ფუნქციის გარკვევამ შესაძლოა მომავალში შუქი მოჰფინოს კოლხეთის რელიგიის საკითხებს და გზა გაუხსნას თვით რიტუალის რეკონსტრუქციას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თიხის ფეხიანი თასები - თიმიატერიონები, რომელთა მსგავსი საქართველოში აქამდე არ ყოფილა აღმოჩენილი. მათთვის დამახასიათებელია დაბალი, არაღრმა თასი-რეზერვუარი, რომელსაც აქვს ბრტყელი, განიერი, თითქმის ჰორიზონტალური პირის კიდე და მაღალი, კონუსური, ღრუ ფეხი (ტაბ. I_{1-3}, III_1).

ვანის ნაქალაქარზე რვა ასეთი თიხის თასი და მისი ნაწილებია ნაპოვნი. ერთი აღმოჩენილია ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გამოვლენილ ხანძრისაგან განადგურებული ნაგებობის ნანგრევებში, ფენაში, რომელიც ძვ.წ. II-I სს. თარიღდება [4, გვ. 96-104, სურ. 1). თასი რესტავრირებულია და მისი მთლიანი ფორმა იკითხება.

მეორე თიმიატერიონი, უფრო ზუსტად მისი ფეხი და რეზერვუარის ნაწილი, აღმოჩენილია ნაქალაქარის კარიბჭის შიდა სივრცეში, გადმონგრეული ალიზის ფენაში [11, გვ. 156, სურ. 112-112ა].

ოთხი თასი ნაპოვნია ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის გვერდით გამოვლენილ შეწირულობათა საცავში და მის გვერდით ალიზის კედლის ნანგრევებთან, რომლებიც ძვ.წ. II-I სს-ით არის დათარიღებული [6, გვ. 67-68, სურ. 53-1]. საგანძურის ერთი ფეხიანი თასი ცეცხლშია ნამყოფი და ძლიერ დეფორმირებული რეზერვუარის სახითაა მოღწეული, რომლის ძირზე ფეხის მიერთების ადგილი შეიმჩნევა. მისი ტიპოლოგიური ნიშნები - განიერი, ჰორიზონტალური პირის კიდე, არაღრმა რეზერვუარი, მკვეთრად მოხრილი კალთა - მის თიმიატერიონად მიჩნევას უცილობელს ხდის.

ამათ გარდა, ორი კონუსური ღრუ ფეხის ფრაგმენტია აღმოჩენილი ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე სატაძრო კომპლექსთან გამართულ შეწირულობათა მოედანზე (ნივთებზე მიმითითა ნ. მათიაშვილმა). ფეხის ფორმის მიხედვით დასაშვებია მათი თიმიატერიონებად განსაზღვრა.

ასე რომ დღეისათვის ვანის ნაქალაქარზე თიხის რვა თიმიატერიონია ნაპოვნი. ყველა ადგილობრივი თიხისგანაა დამზადებული, ყველა ძვ.წ. II-I სს. ფენებშია აღმოჩენილი. მცირეოდენი განსხვავებით ზომებსა და ცალკეულ დეტალებში ისინი სავსებით მსგავსია. საგანძურისა და ალიზყრილის მთელ ნიმუშებს კონუსურ ფეხზე ქვევით ირგვლივი ლილვაკი შემოუყვება (ტაბ. I_1, III_1) ორი სხვა თასისაგან განსხვავებით (ტაბ. I_{2-3}), კარიბჭის ცალზე რეზერვუარის ძირზე წიწვიანი ტოტების გამოსახულებაა დატანილი (ტაბ. I_3), ხოლო საგანძურის სამივე თასი წითელი ზოლებით შედგენილი ბადითა და სარტყლებითაა მოხატული (ტაბ. I_1).

მსგავსი თიმიატერიონები საქართველოს სხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ელინისტურ ხანაში იბერიაში გავრცელებულია ფეხიანი თასები, რომლებიც აქ ძვ.წ. IV ს-დან ჩნდება - სამადლოში [17, გვ. 86; 18, ტაბ. XX_{243}, $XXI_{259-261}$), ციხია-გორაზე [2, გვ. 40, ტაბ. XXXVI_4], და შემდეგ ძვ.წ. II-I სს-შიაც გვხვდება - უფლისციხეში [10, გვ. 85, ტაბ. LI_4, XLIII_7], სამთავროში [2, გვ. 50, ტაბ. XLI_9], დიდუბეში, ზემო ავჭალაში [8, გვ. 48-49, ტაბ. $X_{1-3, 5}$], მაგრამ ამათგან ვანის თიმიატერიონები პრინციპულად განსხვავდებიან: ისინი შემაღლებულ ქუსლზე დგანან და არა მაღალ კონუსურ ფეხზე. განსხვავებული აქვთ რეზერვუარის პროფილიც. ეს სხვაობანი მათი განსხვავებული ფუნქციითაა განპირობებული.

არც ვანის თიმიატერიონებს და არც აღმოსავლეთ საქართველოს ზემოხსენებულ თასებს წინარე ხანის ადგილობრივ ნივთიერ კულტურაში პროტოტიპები არ ეძებნებათ. არ ჩანს კავშირი ვანის ფეხიან თასებსა და

ძვ.წ. IV-III სს. მაღალფეხიან სასმისებს შორის, რომლებიც დაბლაგომის N24 ქვევრსამარხსა [2, გვ.14, ტაბ. VIII] და ვანის N10 სამარხშია [4, სურ. 181] აღმოჩენილი. თიმიატერიონები სასმისებისგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი ფორმაა და მათ სხვა მოდელი უდევს საფუძვლად, რის შესახებაც ქვემოთ იქნება ნათქვამი.

სავსებით ანალოგიური თასები ნაპოვნია ალექსანდრიაში, ე.წ. კომ ეშ შუკაფას კატაკომბებში (ტაბ. III_3), რომელთა ძირითადი კომპლექსი ძვ.წ. II-I სს. თარიღდება. ამ სამარხებში საკმაოდ ხშირია წითელკეციანი თიმიატერიონების ეს ტიპი და მათ მოიხსენიებენ, როგორც მცირე ფორმის ცეცხლის საკურთხეველს, ან კიდევ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ პატარა სამსხვერპლო-სასაკმევლეს [29, გვ. 90, სურ. 68, გვ. 119, გვ. 239, სურ. 175).

მსგავსი კონსტრუქციის, მხოლოდ შედარებით გეომეტრიზებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფორმების წითელკეციანი თიხის ჭურჭელი ცნობილია ტაქსილადან [27, გვ. 421; 28, ტაბ. 125, №№ 130-132ა]. აქ ისინი გვხვდება ფენებში, რომლებიც ძვ.წ. 90 წ-სა და ახ.წ. 25 წელს შორის თავსდება (ტაბ. III_4), ესაა ე.წ. პართული პერიოდი ტაქსილას ქრონოლოგიაში. მათ სასაკმევლე-საკურთხეველებად მოიხსენიებენ და პართელების მიერ შემოტანილ ფორმად მიიჩნევენ [27, გვ. 421]. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ასეთი თიმიატერიონის ფსკერზე ცეცხლის კვალია ფიქსირებული.

მაღალფეხიანი თასები და მათი ფეხის ფრაგმენტები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებიდანაც, სახელდობრ, ახიური ბოსფორის ნაქალაქარ გორგიპიადან [12, ტაბ. LXV_{5-7}] და ნიმფეონიდან, ადრეელინისტური ხანის ფავისადან [20, გვ. 26, ტაბ. 192). გორგიპიის ფეხიანი თასები საოჯახო საკურთხეველებადაა მიჩნეული, ხოლო ნიმფეონში აღმოჩენილი თიმიატერიონები საბოძვრებადაა განსაზღვრული [20, გვ. 26]. ნიმფეონის თიმიატერიონებს შორის ერთს კონუსურ ფეხზე ვანის ნიმუშების ანალოგიურად ლილვაკი შემოუყვება, მაგრამ ნაკლულია და პირის კიდის მოყვანილობაზე ვერ იქმნება წარმოდგენა. არც ნიმფეონის და არც გორგიპიის ფეხიან თასებს-თიმიატერიონებს არ აქვთ განიერი ჰორიზონტალური პირის კიდე, რაც ვანის თასების დამახასიათებელი ნიშანია და რასაც ალექსანდრიისა და ტაქსილას ზემოხსენებულ ნიმუშებზე ვხვდებით (ტაბ. III_{3-4}).

რაც შეეხება ვანის თასების დანიშნულებას, ასეთი სურათია: მაღალფეხიანი თასები, როგორც სამსხვერპლო სადგრები ან თასი-საკურთხევლები ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ეგვიპტესა და ძველბაბილონურ კულტურულ წრეში [26; 31, გვ. 2-13, 16-19]. კურტ გალინგს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ძველაღმოსავლური სამყაროს საკურთხევლების შესახებ მოტანილი აქვს რელიეფებზე დამოწმებული მაღალფეხიანი თასების მთელი წყება (ტაბ. III_5), სადაც მათი საკულტო ფუნქციაა ილუსტრირებული [23, ტაბ. 211; 18, ტაბ. 335; 36, ტაბ. 7]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საცეცხლე ფეხიანი თასების ერთი ტიპი, გადაშლილპირიანი (ტაბ. III_6), რომლის შესახებ ნათქვამია, რომ გადმოკეცილი პირი ელინისტური ხანის ეგვიპტური თიმიატერიონებისთვისაა დამახასიათებელი [23, გვ. 13, ტაბ. 3, 36]. როგორც მასალიდან ჩანს, ელინისტურ ხანაში ეს საერთო ნიშანია ამ ტიპის თიმიატერიონებისათვის მათი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე.

ვანის თიმიატერიონების ზუსტ მოდელს ვხვდებით კუშანის ზოგიერთ მონეტაზე, სადაც გამოსახულია ადამიანის ფიგურა ხელში თასით [15, გვ. 109, სურ. 4-d]. თასი ფეხიანია, მის რეზერვუარში ანთია ცეცხლი (ტაბ. IV_2). ასევე, ბიანაიმანის ოსუარიუმებზე გამოსახულია ფიგურები, რომელთაც ხელში ანთებული ვაზა-საკურთხევლები უპყრიათ [14, გვ.40, ტაბ. III), (ტაბ. IV_3).

მაღალფეხიანი თასების დანიშნულების შესახებ საინტერესო ცნობები იძებნება თანამედროვე პარსის მასალებში, რომლებიც გროპის ნაშრომშია განხილული ცეცხლის სათავსოების რაობის გარკვევის მიზნით [24, გვ. 147]. ამ მონაცემების მიხედვით, ცეცხლისთვის განკუთვნილ სათავსოში ცეცხლი მუდმივად ანთია ლითონის ვაზაში, რომელიც ქვის ბლოკზე დგას. აქ საინტერესო იქნება ვახსენოთ ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილ ელინისტური ხანის საკულტო კომპლექსის ტერიტორიაზე ნაპოვნი ბრინჯაოს თიმიატერიონი [7, გვ. 47, სურ. 29_{1-3}), რომელსაც აქვს ღრუ კონუსური ფეხი, მაღალი, ზარისებრი ბაზისი და ამ სადგარზე დასადები არაღრმა გადასატანი თასი (ტაბ. IV_1). გროპისვე მონაცემებით, სხვა შემთხვევაში ცეცხლიანი ვაზა დგას სამსხვერპლოში,

მაგიდის წინ ამართული ქვის ფილაზე, მაგიდაზე კი სხვადასხვა რიტუალური ჭურჭელია განლაგებული [24, გვ. 147-173). მაშასადამე, ჭურჭლის მთელი კომპლექსი მონაწილეობს ამ რიტუალში.

სრულიად განსაკუთრებულ ინფორმაციას გვაწვდის თიმიატერიონის გამოსახულება აიხანუმის ვერცხლის მოოქრულ დისკოზე, რომელიც ბერძნულ-აღმოსავლური ხასიათის ძეგლადაა მიჩნეული [22, გვ. 93-104, ტაბ. XLI]. აქ უკვე ნათლად ისაზღვრება ამ ტიპის თასების ადგილი საკურთხევლის საერთო სისტემაში (ტაბ. IV_4). დისკოზე გამოსახულია ქალღმერთი კიბელა, რომელიც ორლომშებმული ეტლით გადაკვეთს მთაგორიან ქვეყანას. ეტლს მართავს ნიკე. საფეხურებიანი საკურთხევლის ბაქანზე დგას გალი - კიბელას ქურუმი, მის წინ კი, ბაქანზევე აღმართულ საკურთხეველზე, რომელიც სამი ბლოკისგანაა შედგენილი, მოთავსებულია ფეხიანი თასი. ქურუმი ღვთისმსახურებას ეწევა - მარცხენა გაწვდილი ხელით ის შეწირულობას დებს მცირე თიმიატერიონზე, რომელიც ვანის თიმიატერიონების ზუსტი გამეორებაა. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ დისკოზე მოოქრულია ძირითადი სიმბოლური ნიშნები: ღვთაებანი, ვარსკვლავი, მთვარისა და ჰელიოსის გამოსახულებანი და მათ შორის - თიმიატერიონი. დისკოს კომპოზიციის ყველა დეტალი რელიგიურ თემასაა დამორჩილებული და თვით დისკოც საკულტო დანიშნულებისა იყო [22, გვ. 93-94].

თიმიატერიონის ფუნქციისა და ადგილმდებარეობის შესახებ ზემოთქმულ მოსაზრებათა განსამტკიცებლად ვანის ნიმუშების მიმართ დავუბრუნდეთ მათი აღმოჩენის პირობებს. საგანძურის თასებთან სურათი ნათელია, სამივე ერთადაა ნაპოვნი, გვერდიგვერდ, ძვ.წ. II-I სს. საკურთხეველთან გამართულ ნაგებობა-საცავში, სადაც ერთი ტიპის კერამიკა ჯგუფ-ჯგუფად იყო განლაგებული [6, გვ. 64-72]. საინტერესოა, რომ საგანძურში ფეხიანი თასები ნანგრევების იმ არეში იყო მიკვლეული, სადაც მცირე ფორმის ჭურჭელი იყო თავმოყრილი _ პატარა ქოთანი, კოჭობი, რომლის სარიტუალო დანიშნულება დასაბუთებულია ლიტერატურაში [5, გვ. 191-204], პატარა დოქი, ე.წ. კანთაროსისებური ჭურჭელი, რომელიც ვანში ძვ.წ. I ს. ფენებში გვხვდება, სახელდობრ, კარიბჭის გარეთ, სადაც უამრავი ზემოხსენებული ტიპის კოჭობის ფრაგმენტი იყო აღმოჩენილი და ზოომორფული ორყურა თასი [6, ტაბ. 50_{3-5}, ტაბ. 53_{3-4}). ხაზგასასმელია, რომ თიმიატერიონი კარიბჭის სამლოცველოში, შიგნით, ალიზებს შორის, ასევე ორყურა თასებთან ერთად იყო ნაპოვნი. მთელი ეს მასალა ადგილობრივი ნახელავია. მათი ხშირი გამოჩენა ერთ კონტექსტში გვკარნახობს იდეას, რომ ეს მცირე ზომის ორყურა თასებიც რიტუალში იღებენ მონაწილეობას.

რაც შეეხება ქვედა ტერასას, აქ ფეხიანი თიმიატერიონი ორ კედელს შორის გამოვლენილ გადამწვარ კულტურულ ფენაში იყო ნაპოვნი. აქვე კერამიკის ნატეხებთან ერთად აღმოჩენილია კირქვის მოჩუქურთმებული დეტალი, რომელიც მცირე საკურთხევლის ბაზადაა მიჩნეული [9, გვ. 60, ნახ. 6]. ამ დეტალის თარიღი მისი ორნამენტისა და რეკონსტრუქციით მიღებული ფორმის საფუძველზე ძვ.წ. II-I სს უნდა იყოს [9, გვ. 60]. საკურთხევლის ფრაგმენტისა და თიმიატერიონის ერთად აღმოჩენა ამ ვიწრო არეში, ჯერ გაუშიფრავი ნაგებობის ნანგრევებში, იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ საკულტო ნაგებობის ნაშთებთან გვაქვს საქმე.

კარიბჭესთან თიმიატერიონი ნაგებობის შიგნითაა ნაპოვნი. მისი აღმოჩენა გადმონგრეულ აგურებს შორის, გაცილებით მაღალ დონეზე იატაკიდან, სადაც განლაგებული იყო თიხის ჭურჭელი, შეიძლება იმით აიხსნას, რომ უეცარი კატასტროფის მომენტში ის საკურთხეველზე იმყოფებოდა. მისი სხვა მდებარეობა იმ სიტუაციის მიხედვით, რომელიც გათხრებისას დადასტურდა, ძნელი წარმოსადგენია (გავიხსენოთ თიმიატერიონის ადგილმდებარეობის ეთნოგრაფიული და იკონოგრაფიული ზემომოყვანილი პარალელები).

ამრიგად, ვანის ფეხიანი თასი-თიმიატერიონების რიტუალური დანიშნულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დოკუმენტურად დასტურდება, რომ მის რეზერვუარში ანთია ცეცხლი. მოხერხებული, მცირე ზომის ეს ჭურჭელი შესაძლოა რამდენიმენაირად გამოიყენებოდა კულტმსახურების დროს. ზოგჯერ ის მსხვერპლშეწირვისას ფიგურირებდა, როცა მასში იწვოდა, ვთქვათ, სურნელოვანი ნივთიერებებით შეზავებული სამსხვერპლო ცხოველის ცხიმი [15, გვ. 111, სქ. 11); ან მასში ღვიოდა საკმეველი (თუმცა ამ ხანად სასაკმევლეები ჩამოყალიბებული ფორმაა); დასაშვებია, რომ მას ცეცხლის გადატანის ფუნქციაც ჰქონოდა.

ამ ტიპის თიმიატერიონების გავრცელების

ხანა სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით არის ძვ.წ. III-I და ახ.წ. პირველი საუკუნეები. მართალია, კონკრეტული ნიმუშები ძვ.წ. II-I სს. განეკუთვნება, მაგრამ აიხანუმის დისკო ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლადაა მიჩნეული [22, გვ. 103], ხოლო ღვთაებათა გამოსახულებანი, რომელთაც ხელში ანთებული ფეხიანი თასები უპყრიათ, ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება [14, გვ. 28-39]. სწორედ ელინისტურ ხანაში ჩნდება ეს ფეხიანი თასები, როგორც ჩამოყალიბებული ფორმა და მათი გავრცელების არე საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს: ისინი კარგადაა ცნობილი ელინისტური ხანის ეგვიპტეში, ე.წ. კომ ეშ შუკაფას კატაკომბებში, კოლხეთში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და ე.წ. აღმოსავლურ-ირანულ სამყაროში, ბაქტრიასა და ტაქსილაში - ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში, სადაც ამ ხანად შეინიშნება ძლიერი ირანული გავლენა. ტაქსილაში ამ ტიპის ჭურჭლის გავრცელებას, როგორც ზემოთაც ითქვა, პართულ გავლენას მიაწერენ. ასევე, დასავლურ-ირანულ კულტურულ წრეს უკავშირდება აიხანუმის დისკოს რეპერტუარი, სადაც საფეხურებიანი საკურთხეველი, რომლის ბაქანზეც ქურუმი დგას, ახლო პარალელებს პოულობს ძველ აღმოსავლეთში - აქემენიდურ ირანსა (პასარგადში) და დურა ევროპოსში [22, გვ. 98], ხოლო მსხვერპლშეწირვის სცენა საკურთხეველთან ხელგაწვდილი ქურუმის გამოსახულებით ჩრდილოეთ სირიიდანაა ცნობილი ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს. მონეტებზე, შემდეგ კი ამ სიუჟეტისათვის თვალის გადევნება შეიძლება პართული ეპოქის ძეგლებზე [22, გვ. 103-104].

მიუხედავად იმისა, რომ ფეხიანი თასები ძველი სამყაროს მრავალ კერაშია დამოწმებული, უშუალო პროტოტიპები ელინისტური ხანის ნიმუშებს არ ეძებნებათ. ანატოლიაში ცნობილ მაღალფეხიან ჭურჭლებსა და ელინისტური ხანის თიმიატერიონებს შორის დიდი ქრონოლოგიური შუალედია. ღრუფეხიანი თასი აღმოჩენილია ლურისტანში, ბარდ-ი ბალის ნეკროპოლზე, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [30, გვ. 77, ტაბ. XVI_2; 2, გვ. 52-53). ანალოგიური ფეხიანი თასები ნაპოვნია თეფე სიალკის VI ფენაში, B ნეკროპოლზე, ჰასანლუს IV ფენაში და არგიშთიხინილის გათხრებისას [30, გვ. 41; 19, გვ. 148, სურ. 70]. მაგრამ ამ ჭურჭლებისაგან განსხვავებით, ელინისტური თიმიატერიონებისათვის დამახასიათებელია მდგრადობა, მათი ფუნქციით განპირობებული, რაც ითვალისწინებს თასის მყარად და ხანგრძლივად დგომას საკურთხეველზე. მხოლოდ ფეხის არსებობა არ გამოდგება მსგავსების ეტალონად.

ტიპოლოგიური და ფუნქციონალური თვალსაზრისით ელინისტური ხანის თიხის თიმიატერიონებს საფუძვლად უდევს ქვის საკურთხევლის მოდელი. ამას გვიკარნახებს ვანის მცირე ზომის ქვის საკურთხეველი, აღდგენილი გრაფიკულად გ. ლეჟავას მიერ (ტაბ. III_2). თავისი აგებულებით ეს საკურთხეველი, მისივე განსაზღვრით, ზუსტი ასლია აქემენიდური ცეცხლის ქვის მონოლითური საკურთხევლებისა, რომლებიც კლდოვან სამარხთა რელიეფებზეა გამოსახული [3, გვ. 42].

ყურადღებას იქცევს ერთგვაროვანი აგებულება: ბაზისი, ანუ ლილვაკშემოვლებული ძირი, ტანი ანუ ფეხი და დამაგვირგვინებელი ნაწილი, ანუ თასი-რეზერვუარი (ტაბ. I_1). ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საგანძურის თასების მაგალითზე - მათ ახიდულ ფორმაზე, რომელსაც ბაზისიანი (ირგვლივლილვაკიანი) ფეხი იყრდნობს, ასევე ალექსანდრიის თასებზე (ტაბ. III_3). ასეთ ვითარებაში ტაქსილას ნიმუშები, რომლებშიც ხარისხებად დანაწილება მკვეთრადაა გამოხატული, ერთგვარ ტიპოლოგიურ შუალედს ქმნიან ქვის საკურთხევლის გეომეტრიულ ფორმასა და თასის მომრგვალებულ პროფილს შორის (ტაბ. III_4).

აქვე უნდა დავიმოწმოთ შრაიბერის დაკვირვება, რომ ალექსანდრიული თიმიატერიონები გამეორებაა ალექსანდრიის ერთერთ სამარხში აღმოჩენილი მარმარილოს საკურთხევლის ფორმისა [29, გვ. 238].

რაც შეეხება მათ ფუნქციონალურ ურთიერთსიახლოვეს, გარდა იმისა, რომ ორივეში ანთია ცეცხლი, გვაქვს მონაცემები, რომელთა მიხედვით ერთიცა და მეორეც თავსდება საფეხურებიანი საკურთხევლის ბაქანზე, მის თავზე. ამას მოწმობს პასარგადის გათხრებისას გამოვლენილი სიტუაცია, სადაც ქვის ცეცხლის საკურთხევლის ერთადერთ სწორ ადგილსამყოფელად საკურთხევლის ზედა ბაქანია მიჩნეული [23, ტაბ. 145) და აიხანუმის ვერცხლის დისკოს სიუჟეტი, სადაც, როგორც ვნახეთ, საკურთხევლის ზედა ბლოკზე გამოსახულია თიმიატერიონი (ტაბ. IV_4).

ამრიგად, თუმც ფეხიანი თასის ფორმა

ადრიდანვეა ცნობილი ეგვიპტეში, მესოპოტამიასა და ირანში, ელინისტურ თიმიატერიონებსა და მათ შორის უშუალო მემკვიდრეობითობა არ დასტურდება, და საფიქრებელია, რომ ეს ფორმა ხელახლა აღორძინდა ელინისტურ ხანაში ქვის მცირე ზომის საკურთხევლების გავლენით, იმ საკურთხევლებისა, რომლებიც ზედაპირზე სწორედ თასისებური ჩაღრმავებით ხასიათდებიან.

დიდი შეცდომა არ იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ვანში ეს თიმიატერიონები ელინისტურ ხანაში ჩნდება პართული სამყაროს გავლენის ქვეშ მყოფი კულტურის წრიდან, როგორც სატაძრო სისტემის განვითარებით შექმნილი, ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული აუცილებლობა.

მეორე ფორმა, რომელიც საკულტო ინვენტარად მივიჩნიეთ და რომლის განხილვაც გვსურს, პირველად აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე ზემოხსენებულ თიმიატერიონთან ერთად თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის მიმდებარე ფართობზე, ალიზის აგურის კედლის ნანგრევებთან, ძვ.წ. II-I სს. მასალას შორის. ესაა თიხის მოხრილი რქის ფორმის ჭურჭელი. მას აქვს გადაშლილი პირი, პირს ქვემოთ სამი ირგვლივი ღარია; ტანი თითქმის ცილინდრულია, ბოლოსკენ ოდნავ ვიწროვდება და მოხრილია. მოხრილი ბოლო გადადის მარყუჟისებრ მრგვალგანივკვეთიან ყურზე, რომელიც ტანს ქვედა ნაწილში უერთდება; სადგარი ფორმირებული არა აქვს. დამზადებულია კარგად განლექილი მოყავისფრო თიხისაგან; კორპუსზე, მის შუა ნაწილში, სამ ადგილას ხის ტოტის ვერტიკალური გამოსახულებაა ამოკვეთილი; ყურს ძირზე წიწვსებური ორნამენტი აქვს (ტაბ. II).

ნაპოვნია ორი ნიმუში, ამათგან ერთი, ფრაგმენტირებული- აღდგენილია (ტაბ. II_1), ხოლო მეორე ჭურჭლის მხოლოდ ზედა ნაწილია შემორჩენილი, ის ოდნავ ვიწროა პირველთან შედარებით, პირს ქვემოთ მხოლოდ ორი ირგვლივი ღარი აქვს; ორნამენტის კვალი არ ჩანს (ტაბ.II_2).

ამ ჭურჭელს შეიძლება რიტონისმაგვარი ვუწოდოთ, რადგან მიღებულია, ნამდვილ რიტონად ჩაითვალოს რქის ფორმის ის ჭურჭელი, რომელსაც გამჭოლი ნახვრეტი აქვს [16, გვ. 65-67]. თუმც, არის აზრი, რომ პირობით რიტონი შეიძლება ვუწოდოთ ნებისმიერი მასალის ყველა იმ ჭურჭელს, რომელიც ზოგადად რქის ფორმას ბაძავს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ზოომორფული სახე [25, გვ. 134].

ვანის რიტონისმაგვარ ჭურჭლებს ზუსტი პარალელი ჯერჯერობით არ ეძებნება არც თანადროულ და არც სხვა ხანის ნივთებს შორის. ზოგიერთი ნიშნით - ღარები ყელის ირგვლივ, მოხრილობა, ის, რომ სადგარი ფორმირებული არა აქვს _ ეს ნივთები უფრო ირანული სამყაროს რიტონებთან ავლენს სიახლოვეს. სპარსულ რიტონს არასდროს არ აქვს ფეხი ბერძნულისგან განსხვავებით, ირანული სტილის რიტონები მოხრილია, ირგვლივი ან სიგრძივი ღარები დაუყვება ტანზე, ცხოველის პროტომიანია [25, გვ. 139].

ვცადოთ, რამდენად პერსპექტიულია ვანის რიტონისმაგვარი ჭურჭლის შესაძლებელი მნიშვნელობის ამოცნობა.

რიტონის დანიშნულების თაობაზე აზრები მკვეთრად იმიჯნება: არის მოსაზრება მისი მხოლოდ პრაქტიკული გამოყენების შესახებ, და არის მტკიცება რიტონის წმინდა საკულტო ფუნქციისა [25, გვ. 137, სქ. 33].

ლიტერატურული ტრადიციით, ბერძნები რიტონად წოდებულ სასმისს გმირთა და წინაპართა კულტთან კავშირში ხმარობდნენ მხოლოდ, ასევე ჩანს კერამიკულ ფერწერაში, რიტონი იხმარებოდა ჰეროიკული ლხინის დროს [25, გვ. 134]. ამავე დროს, გამოსახულებების მიხედვით, რიტონი ხშირად შეიცავდა ხილს, რაც გმირთათვის განკუთვნილი საბოძვარი-შეწირულება იყო. აგია-ტრიადას არქივის ფირფიტების ტექსტების მიხედვით ღვინის შეწირვა ხდებოდა ზოომორფული რიტონიდან, რაც გარდაცვლილის უკვდავების საწინდარი იყო. იგივე წესი ყოფილა ძველ ეგვიპტეში [25, გვ. 137].

რაც შეეხება რიტონის პრაქტიკულ დანიშნულებას, არის ცნობა იმის შესახებ, რომ რიტონიდან-ყანწიდან სითხის შესმა ჩრდილოეთის ბარბაროსებისთვისაა დამახასიათებელი [25, გვ. 134]. არქაული ხანის დასასრულისათვის საბერძნეთში ადგილობრივი გმირთა კულტები შეერწყა თრაკიული დიონისეს კულტს, რის მოწმობად მიაჩნიათ ის, რომ ვოტივურ რელიეფებზე გარდაცვლილიც (გმირი) და დიონისეც გამოსახულია ხელში რიტონით [25, გვ. 134]. აქ რიტონით ხაზგასმულია დიონისეს ბარბაროსული (თრაკიული) ასპექტი და გაცხადებულია გარდაცვლილი გმირის ღვთაებრივი ასპექტი; ასე რომ ასეთ შემთხვევაში რიტონი გვევლინება მოკვდავისა და ღვთაებრივის შერწყმის სიმბო-

ლოდ [25, გვ. 134-137].

რიტონის ხმარება ჩვეულებრივი მოვლენაა აქემენიდურ სამყაროში. ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ის, რომ რიტონი ირანსა და თრაკიაში, ყოველთვის თუ არა, ძალიან ხშირად, ფიალასთან ერთად იხმარება [25, გვ. 139]. ვანის რიტონისმაგვარი ორივე ჭურჭელი თიმიატერიონთან და თას-ფიალასთან ერთად იყო ნაპოვნი. თუმც იქ საქმე ეხება ჭეშმარიტ რიტონს - მოხრილ, უფეხო, ბოლოში ღია ჭურჭელს.

მთელი რიტუალური მანიპულაციის აღდგენა ხერხდება მრავალი გამოსახულების საშუალებით, რომლებიც გვხვდება ვაზებზე, გემებსა და სააღაპო ნადიმის ამსახველ რელიეფებზე: როდესაც საგანგებო პირი ღვინოს დოქიდან ასხამს რიტონში, ეს სითხე მოხრილი ნაკადით ჩაედინება თასში. ითვლება, რომ ესაა სიმბოლური სისხლშეწირვა [25, გვ. 141]. სისხლის დენას დიდი ადგილი ეთმობოდა გმირთა და ზოგადად მიცვალებულთა კულტში [25, გვ. 137].

როგორც ვხედავთ, ჭურჭლის მთელი კომპლექსი მონაწილეობს რიტუალში: დოქი, რიტონი, თასი. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ვანში რიტონისმაგვარ ჭურჭლებთან ერთად ალიზის კედლის ნანგრევებთან ნაპოვნი იყო ფეხიანი თიმიატერიონი, თიხის თასი და ე.წ. კანთაროსისებური ჭურჭელი (ტაბ. $I_{2, 4-5}$). ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ კონტექსტში, რადგან არაერთხელაა ხაზგასმული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ რიტონსა და კანთაროსს რიტუალურ ტრადიციაში ერთი წარმომავლობა უნდა ჰქონდეთ, რომ ეს ორი ფორმა ჰეროიკული სტატუსის სიმბოლოებია და რომ რიტონი და კანთაროსი ორ სამყაროს შორის კავშირის სიმბოლოებს წარმოადგენენ [25, გვ. 137].

ასე რომ, რიტონი განიხილება, როგორც რიტუალთან დაკავშირებული ნივთი, რომლის რამდენიმე შესაძლებელი ფუნქცია დგინდება: რიტონი, როგორც სიმბოლური გამოხატულება სისხლის მსხვერპლშეწირვისა; როგორც სიმბოლო ორ სამყაროს შორის კავშირისა; ის მონაწილეობს გარდაცვლილთა და ხთონიურ ღვთაებათათვის სითხის შეწირვის რიტუალში. ხოლო როცა რიტონი სამარხეული კომპლექსის ნაწილია, ის უკავშირდება რიტუალს, რომლის მეშვეობითაც პიროვნული უკვდავების იმედი გამოიხატება [25, გვ. 134-137].

ვანის რიტონისმაგვარი ჭურჭლები შეიძლება საგანგებო, შესაწირავ ნივთებად მივიჩნიოთ, რადგან ერთი შემონახული ნიმუშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ არ აქვთ სადინარი; თუმც, შეიძლება ეს იყოს „ნიშანი" ნამდვილი რიტონისა. ამას გვიკარნახებს აღმოჩენის პირობებიც.

საყურადღებოა, რომ თიხის თავისებური, არაზოომორფული რიტონები აღმოჩენილია ნიმფეონში, ე.წ. კლდის ნაპრალის დემეტრას სამლოცველოში, რომელიც ძვ.წ. VI ს. თარიღდება [20, გვ. 39, ტაბ. 32]. მათ აქვთ მოხრილი ტანი, გვერდითი ყური, და სწორედ „ნამდვილ" რიტონებად უნდა ჩაითვალონ გამჭოლი ხვრელის გამო და აგრეთვე შეზნექილი ნაწილის გასწვრივ ღარის არსებობის მიზეზით - ეს იყო სითხის სადენი. ნიმფეონის რიტონები საკულტო დანიშნულების ნივთებადაა მიჩნეული, რომლებიც ხთონიურ ღვთაებათათვის სითხის შეწირვისათვის იყო განკუთვნილი; აქვე ნაპოვნი იყო ბოლოდახურული, ვანის ნიმუშების მსგავსად, რიტონები, რომლებსაც ვოტივურ ნივთებად თვლიან [20, გვ. 39]. ასეთივე ე.წ. არაცხოველსახოვანი რიტონები ნაპოვნია ოლბიაში, კუნძულ ფერაზე და კორინთოში; ეს უკანასკნელი ლეკითოსის ყელის ფრაგმენტად იყო მიჩნეული, ვიდრე მ. ხუდიაკმა არ განსაზღვრა ის, როგორც რიტონი [20, გვ. 39, სქ. 3].

არსებობს კიდევ ღრუ ნივთები, ე.წ. სამსხვერპლო მილები, რომელთა მსგავსი ვანშიც აღმოჩნდა იმავე ფენაში, სადაც რიტონისმაგვარი ჭურჭლები. თავიდან გაჭირდა მათი ფუნქციის განსაზღვრა - მოკლე, განიერი, თითქმის ცილინდრული, დასრულებული ფორმა, რომელიც არ არის წყალსადენის მილი და ამავე დროს საკულტო კომპლექსის შემადგენლობაშია. ასეთი ნივთები, თითქმის ცილინდრული ფორმისა, ნაპოვნია სამოსსა და როდოსზე [20, გვ. 39]. მართალია, ისინი არქაული ხანისაა, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია ეს მოვლენა, რადგან რიტუალი და სარიტუალო ინვენტარი, ითვლება, რომ კონსერვატულობით ხასიათდება. ეს მილები სითხის მსხვერპლშეწირვისთვის იყო განკუთვნილი [20, გვ. 39].

ჩვენთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ირკვევა ხთონიური ბუნება იმ ღვთაებისა, რომელსაც სწირავენ ამ ნივთს.

რიტონებთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ვანის ნაქალაქარზე, სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი თიხის მცირე ქან-

დაკება ღვთაებისა ხელში ყანწ-რიტონით; ის ადგილობრივ ნახელავადაა მიჩნეული და გამოთქმულია აზრი, რომ გამოსახულია დიონისეს ტიპის ადგილობრივი ღვთაება, რომელიც მეღვინეობის, დოვლათიანობის, ნაყოფიერების, ბუნების აყვავების მფარველ ღვთაებად მოიაზრებოდა [1, გვ. 135-138].

ნიმფეონში ნაპოვნ რიტონებს მიწათმოქმედების ქალღვთაების კულტს უკავშირებენ, რომელმაც ნიმფეონში მიიღო დემეტრას, როგორც ნაყოფიერების ღვთაების, კულტის ნიშნები [20, გვ. 39]. სკვითიაშიც ხომ მიწისმოქმედების ქალღვთაების კულტის რიტუალში ძირითად როლს ასრულებდა რიტონი [20, გვ. 39-40].

ვანში აღმოჩენილ რიტონისმაგვარ ერთ ჭურჭელს, როგორც ითქვა, კორპუსზე, ცენტრალურ არეში, სამი ვერტიკალურად აღმართული ტოტი აქვს დატანილი (ტაბ. II_1). ამ მოტივის შერჩევა რიტუალურ ჭურჭელზე არ უნდა იყოს შემთხვევითი. გამოხატულია ტოტი, რომელსაც კონკრეტული სიმბოლური დატვირთვა აქვს. ამავე დროს, მისი სიმბოლური შინაარსი ძლიერდება ტოტის, როგორც სიცოცხლის ხის დეტერმინანტის, გასამმაგებით. მოცემული გვაქვს სიმბოლოთა კომპლექსი: რიტონი - ტოტი - რიცხვი სამი, რომელთა მნიშვნელობანი ერთ სიმბოლურ სახებაში იყრის თავს. კავშირს ორ სამყაროს შორის აღნიშნავს რიტონი; ხე, როგორც ბუნების ყოველწლიური აღორძინების სიმბოლო, დინამიური სიცოცხლის გამოხატულება, თავის თავში ატარებს დიდი დედის ასპექტს [21, გვ.18-19]; რიცხვი სამი ასახიერებს ერთიანი სამყაროს სამ ასპექტს: დაბადება, სიცოცხლე, სიკვდილი [21, გვ. 219-220].

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ საქართველოს მთის რეგიონთა თანამედროვე სინამდვილეში დაცული წესი რიტუალისა, რომელიც ითვალისწინებს დღესასწაულის წინ სიცოცხლის ხის გამოსახულების შექმნას მარტივი, ან შედარებით რთული ნახატის სახით იქ, სადაც ცერემონიალი მიმდინარეობს. ეს არის ლიფანალის დღესასწაული სვანეთში, რომელიც დაკავშირებული იყო ბუნების აღორძინებასთან და მიცვალებულის კულტთან [13, გვ. 162-163].

ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ვანში, იმავე არქეოლოგიურ კონტექსტში, სადაც რიტონისმაგვარი ჭურჭლები აღმოჩნდა, როგორც ზემოთაც ითქვა, ნაპოვნია თიხის თასის ფრაგმენტი, რომლის ძირზე, წრიული ქუსლის შიგნით და ფსკერზე ტოტია ამოკაწრული მას შემდეგ, რაც ჭურჭელი უკვე დამზადდა (ტაბ. I_4). ტოტის გამოსახულება რამდენიმე ადგილასაა ამოკვეთილი თიხის შედგენილ ნივთზე, რომლის ფორმა და ფუნქცია ბოლომდე გარკვეული არ არის მისი ფრაგმენტულობის გამო და რომელიც აქვეა ნაპოვნი. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თიხის ფეხიანი თიმიატერიონი კარიბჭის კომპლექსიდან, რომლის ფსკერზეც კვლავ ტოტის გამოსახულებაა ამოკვეთილი (ტაბ. I_3). ყოველი ეს თანხვედრა აღძრავს აზრს, რომ ამ ნივთებს ერთი რელიგიური კონტექსტი აერთიანებს.

ყველა ზემოგანხილული ნივთი ვანის ნაქალაქარიდან ვანის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული (გამოფენაზე თუ ფონდებში).

ყოველი მათგანი საკულტო კომპლექსს უკავშირდება: რვიდან ოთხი თიმიატერიონი თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის ტერიტორიაზეა ნაპოვნი, სამი საგანძურში და ერთი ალიზყრილში რიტონისმაგვარ ორ ჭურჭელთან ერთად, სადაც კანთაროსისებური ჭურჭელიცა და ტოტისგამოსახულებიანი თასიც იყო აღმოჩენილი; ტოტის თემას კარიბჭის თიმიატერიონთან მივყავართ და რაოდენ სათუოც არ უნდა ჩანდეს ზემომოტანილი მოსაზრებანი ამ ნივთების ფუნქციისა და სიმბოლური დატვირთვის შესახებ, ძნელია გაუძლო ცდუნებას, როცა მონაცემთა ამდენი თანხვდენა იყრის თავს და არ შეეცადო მოუძებნო ერთ-ერთი დასაშვები ახსნა მოვლენებს, მით უფრო, რომ ისინი მიეკუთვნება ერთ-ერთ იმ ეპოქათაგანს, როცა რწმენა ადამიანისათვის მამოძრავებელი ძალა იყო და აზრობრივი თუ ესთეტიკური მხარე ცხოვრებისა რელიგიურ აზროვნებას იყო დამორჩილებული.

ლიტერატურა

1. **გამყრელიძე გ.** კოლხოლოგიური ნარკვევები, თბ., 2001.

2. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

3. **ლეჟავა გ.** ანტიკური მცირე ფორმის საკურთხეველი. - ძმ., 41, 1976.

4. **ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ.** ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1960-1961 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. _ ვანი, I, თბ., 1972, გვ. 96-110.

5. **რამიშვილი ქ.** ტერაკოტები ვანიდან. - ვანი, II., თბ., 1976, გვ. 194-204.

6. **ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არე). - ვანი, VIII, თბ., 1986, გვ. 52-78.

7. **ფუთურიძე რ.** ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური გათხრები. ვანი- VIII, თბ., 1986, გვ. 34-51.

8. **ქორიძე დ.** თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. II, თბ., 1958.

9. **ყიფიანი გ.** ცალკეული არქიტექტურული დეტალები ვანის ნაქალაქარიდან. - ძმ., 56, 1981.

10. **ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 1, თბ., 1964.

11. **ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ლეჟავა გ.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს. - ვანი, I, თბ., 1972, გვ. 147-174.

12. Античные Города Северного Причерноморья. Археология СССР. М., 1984.

13. **Бардавелидзе В.В.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен. Тб., 1957.

14. **Борисов А.Я**. К истолкованию изображений на Бианайманских оссуариях. ТГЭ, Отдел Востока, т.2 , Л., 1940, с.25-49.

15. **Вишневская О. А.,** Рапопорт Ю.А. Следы почитания огня в Средневековом Хорезмском городе. - Этнография и Археология Средней Азии, М., 1979.

16. **Власова Е.** Сосуды в форме рога из Семибратных и Уляпских курганов. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. ძიებანის დამატებანი, თბ., 1999, გვ. 65-67.

17. **Гагошидзе Ю.М.** Самадло (Археологические раскопки) 1, Тб., 1979.

18. **Гагошидзе Ю.М.** Самадло. Каталог археологического материала. 2, Тб., 1981.

19. **Мартиросян А.А.** Аргиштихинили, Ереван, 1974.

20. **Худяк М.М.** Из истории Нимфея, Л., 1962.

21. **Cooper J. C.** Lexikon alter Symbole. VEB E.A. Seeman Verlag. Leipzig, 1986.

22. **Francfort H.-P.** Le sanctuaire du temple à niches indentées. 2. Les trouvailles. Fouiles d'Ai Khanoum, III. Memoirs de la DAFA. t. XXXII, Paris, 1984.

23. **Galling Kurt.** Der Altar in den Kulturen des alten Orients. Eine archäologische Studie von Kurt Galling, Berlin, 1925.

24. **Gropp G.** Die Function der Feuertempels der Zoroastrier. Archäologische Mitteilungen aus Iran, n.F. Bd 2, Berlin, 1969, S. 147-173.

25. **Hoffmann Herbert.** Rhyta and Kantharoi in Greek Ritual. Greek Vases in the J. Paul Getty Museum, vol. 4, Los Angel, 1989, pp. 131-166.

26. **Hug A.** Thymiaterium. RE, VI,1937, 706-714.

27. **Marshall J.** Taxila,II,1951.

28. **Marshall J.** Taxila, III, 1951.

29. **Schreiber T.** Expedition Ernst von Sieglin. Ausgrabungen in Alexandria. B.I. Die Necropole von Kom esch-Schukafa (T. Schreiber), Leipzig, 1908.

30. **Vanden Berghe L.** Recherches archeologiques dans le Luristan. Sixieme campagne: 1970. Fouilles a Bard-i Bal et Pa-yi Kal. - Iranica Antiqua, v. X.1973. pp.1-79.

31. **Wigand.** Thymiateria. Bonner Jahrbucher, v. 122. Bonn, 1912.

ᲯᲐᲑ. I



1



2



3







4





5


1
0 1 2
10 cm
2

ᲒᲐᲑ. III



1



2

3





4





5





6

2



1

3

4

რუსუდან ფუთურიძე

ამფორების წარმოება კოლხეთში ძვ.წ. IV-I საუკუნეებში

უცხოური ამფორები სათანადო შიგთავსით კოლხეთში ძვ.წ. VI საუკუნიდან შემოდიოდა. აქ ვხვდებით კლაზომენის, ლესბოსის, ქიოსის, თასოსის, სამოსის, ჰერაკლეას, სინოპეს და სხვა ბერძნულ ცენტრებში დამზადებული ამფორების ფრაგმენტებს და ზოგჯერ მთლიან ჭურჭელსაც როგორც ზღვისპირა დასახლებებში, ისე ქვეყნის შიგნით. მას ხმარობს მოსული ბერძნული და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა.

როგორც ცნობილია, ამფორებით ღვინის, ზეთის და სხვა პროდუქტების გადაზიდვა უფრო წყლის ტრანსპორტით იყო ადვილი. კოლხეთის პირობები კი მათ გავრცელებას ხელს უწყობდა, რადგან მისი დიდი ნაწილი არხებით იყო დასერილი და მცხოვრებნი მასზე ნავებით მიმოდიოდნენ [14, გვ. 45]. ამიტომ ბუნებრივად გაჩნდა ამ ჭურჭლის ადგილობრივ წარმოების საჭიროებაც.

ძველ კოლხეთში ამფორების წარმოების შესაძლებლობის შესახებ აზრი პირველად ბ. კუფტინმა გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ კოლხეთში შემოტანილთან ერთად ადგილობრივი მასალისაგან ჩამოსული ბერძენი ხელოსნების მიერ დამზადებული ამფორებიც გვხვდება და აგრეთვე ადგილობრივი პროდუქციაც, რომელიც წარმოადგენს შემოტანილის იმიტაციას და ამავე დროს ადგილობრივი მეთუნის ხერხებსაც გვიჩვენებს. ეს გარემოება ავტორის აზრით, მოწმობს აღნიშნული ტარის სოფლის მეურნეობაში გამოყენების გაზრდილ მოთხოვნილებას [33, გვ. 84, 86]. ბ. კუფტინმა ვარაუდიც გამოთქვა, თუ რომელი ამფორა შეიძლებოდა ყოფილიყო ადგილობრივ დამზადებული. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ამფორა სინოპური იყო [10, გვ. 137, შენიშვნა 3], მაგრამ ისიც გამოირკვა, რომ ადგილობრივი ამფორები სწორედ ამ ცენტრის ამფორებს ბაძავდნენ დასაწყისში.

ქართველ არქეოლოგთა შორის ქეთევან ბერძენიშვილი იყო პირველი, რომელმაც თავის კვლევის საგნად ამფორები გაიხადა. მან შეისწავლა გვიანანტიკური ხანის წელშეზნექილი ამფორები და ისინი კოლხეთში დამზადებულად მიიჩნია. საბუთად მოიტანა მათი აღმოჩენების სიმრავლე კოლხეთის ტერიტორიაზე და ამ ამფორების სხვა ადგილობრივი ჭურჭლის და სუფსის დელტაში გავრცელებული თიხის შემადგენლობის ერთგვარობა. მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ქ. ბერძენიშვილმა თვითონ მოიძია, დანარჩენი დასავლეთ საქართველოს მუზეუმებში აღრიცხა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბათუმის მუზეუმში დაცულ წელშეზნექილ ამფორას და შენიშნა, რომ იგი უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე სხვა წელშეზნექილი ამფორები, რომელთაც მაშინ ახ.წ. IV საუკუნით ათარიღებდნენ. ქ. ბერძენიშვილის აზრით წელშეზნექილ ამფორებს კოლხეთში ბევრად უფრო ადრე ამზადებდნენ, ვიდრე ახ.წ. IV საუკუნეა. შემდეგში მისი ეს აზრიც გამართლდა. მოხსენება სათაურით - „კოლხური ამფორების საკითხისათვის" ქ. ბერძენიშვილმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა 1952 წელს და თანამშრომლებს შორის მხარდაჭერა ვერ ნახა. სამწუხაროდ არც მოხსენება გამოქვეყნებულა.

1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნინო ხოშტარია გვიანანტიკური ხანის წელშეზნექილი ამფორების შესახებ წერდა: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის სუსტად შესწავლილობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია გაირკვეს ეს ამფორები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომელიმე ნაწილთან, მაგალითად, სამხრეთთანაა დაკავშირებული თუ მთელს სანაპიროსთან ყირიმის ჩათვლით, სადაც უკვე აღმოჩნდა ასეთი მასალაო [41, გვ. 61].

1960 წელს ი. ზეესტმა თავის ცნობილ ნაშრომში ბოსფორის კერამიკული ტარის შესახებ, ელინისტური ხანის ამფორებში ერთი ჯგუფი გამოჰყო, რომელთაც ყავისფერკეციანი ამფორები უწოდა და სადღაც სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადებულად მიიჩნია ისინი [30, გვ. 108, ტაბ. $XXVI_{59, 60}$]. ეს ამფორები მაშინ მისთვის მხოლოდ ფრაგმენტებით იყო ცნობილი, საერთო ფორმა კი უცნობი იყო.

ვანში 1960 წელს ელინისტური ხანის ფენაში აღმოჩნდა ი. ზეესტის მიერ ყავისფერ-

კეციან ამფორად სახელდებული ამფორის დიდი ნაწილი, რომელსაც მისთვის ნიშანდობლივი სპირალური ხვია ჰქონდა ძირზე და ტანი კი წელშეზნექილი. ნინო ხოშტარიამ ის ადგილობრივ დამზადებულად მიიჩნია, რადგან მისი თიხა და გამოწვა ძალზე ჰგავდა ადგილობრივი ჭურჭლისას. 1962 წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბნის გათხრის ანგარიშში ოთ. ლორთქიფანიძე დაეთანხმა ნ. ხოშტარიას მიერ ზეპირად გამოთქმულ აზრს ელინისტური ხანის ე.წ. ყავისფერკეციანი ამფორების კოლხეთში დამზადების შესახებ [9, გვ. 39-40]. ეს აზრი გაიზიარა ა. კახიძემაც და ქობულეთ-ფიჭვნარში აღმოჩენილ ამ ტიპის ამფორებში გამოჰყო ორი ჯგუფი - შედარებით მაღალი, ცილინდრულქუსლიანი, ყავისფერკეციანი კოლხური ამფორები და დაბალი, ღილისებურქუსლიანი კოლხური ამფორები [7, გვ. 87-88].

ოთ. ლორთქიფანიძე კვლავ დაუბრუნდა კოლხური ამფორების საკითხს და 1966 წელს გამოცემულ ნაშრომში აღნიშნა, რომ ყავისფერკეციანი ამფორების კოლხურობას მხოლოდ მისი კოლხეთში ფართოდ გავრცელება და ადგილობრივ ჭურჭლის თიხასთან მისი მსგავსება კი არ ამტკიცებს, არამედ მათზე გამოწვამდე გამოყვანილი ნიშნებიც, რომლებიც მსგავსია კოლხურ პითოსებზე გამოყვანილი ნიშნებისა [10, გვ. 137, შენიშვნა 3].

ა. კახიძე შედარებით ვრცლად აღწერს კოლხურ ამფორებს ფიჭვნარში აღმოჩენილ კერამიკული ტარისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში, გვიჩვენებს მათი განვითარების მიმართულებას დროში და იზიარებს აზრს, რომ ელინისტური ხანის ყავისფერკეციანი ამფორების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს გვიანანტიკური ხანის წელშეზნექილი ამფორები [8, გვ. 55-61]. ამავე ნაშრომში ა. კახიძემ ჩამოთვალა საქართველოში კოლხური ამფორების აღმოჩენების ადგილები სათანადო მითითებით: გონიო, მახვილაური, ბათუმი, ციხისძირი, კოხი, ურეკი, ფოთი, ოჩამჩირე, ენგურის ხეობა, სოხუმი და მისი მიდამოები, გურიანთა, ბუკისციხე, დაფნარი, დაბლაგომი, ქუთაისის მიდამოები [8, გვ. 55-56]. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ამფორების დამზადების ერთ-ერთი ცენტრი ფიჭვნარიც უნდა ყოფილიყო [8, გვ. 60]. კიდევ მრავალ სხვა ადგილას არის ეს ამფორები აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში: ქ. სენაკის გარეუბანში [4, გვ. 31-32], სოფ. საგვიჩიოში [4, გვ. 34], რიონის ქვემო წელზე სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით ტყეში [18, გვ. 77], სოფ. მთისძირის ნამოსახლარზე [3, გვ. 96-97], შორაპნის ციხეზე [27, გვ. 4] და სხვაგან.

1967 წელს ი. ზეესტი მასობრივი არქეოლოგიური მასალის შესწავლის მნიშვნელობისა და მეთოდიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში დაეთანხმა ქართველ არქეოლოგებს ყავისფერკეციანი ამფორების კოლხეთში დამზადების შესაძლებლობის შესახებ და აღნიშნა ამ ჯგუფის ლოკალიზაციის დიდი მნიშვნელობა [31, გვ. 13]. მალე კიდევ ერთი ნიშანიც გამოჩნდა ამ ამფორების კოლხურობისა - ვანში აღმოჩნდა წელშეზნექილი ამფორის დიდი ნაწილი, რომლის ზედაპირი დამუშავებული იყო სავარცხლისებური სამარჯვით გამოყვანილი შემხვედრი ზოლებით, როგორც პითოსების ზედაპირი მუშავდებოდა კოლხეთში (ტაბ. III_8) [38, გვ. 68-71].

ჭურჭლის გამოსაწვავი ქურების აღმოჩენებმა, სადაც ყავისფერკეციანი ამფორების ფრაგმენტებიც მრავლად იყო, სხვაგვარ თიხის ჭურჭელთან და კრამიტებთან ერთად, საბოლოოდ დაადასტურა, რომ კოლხეთში ელინისტურ ხანაშიც და შემდგომაც მზადდებოდა ამფორები არაერთ ადგილას და არა ერთგვაროვანი.

1964 წელს უკრაინელი არქეოლოგები ა. ტერენოჟკინი და ვ. ილინსკაია აფხაზეთში დასასვენებლად ყოფნის დროს შემთხვევით წააწყდნენ სოხუმის რაიონის სოფელ გვანდრასთან ზღვის ნაპირზე კერამიკული საწამოს ნაშთებს. მათ იქ რამდენიმე ამფორის დამღიანი ყურიც იპოვნეს და აფხაზეთის დ. გულიას სახელობის კვლევით ინსტიტუტში ჩააბარეს. აღმოჩენის ადგილი მაშინვე ინახულეს მ. ტრაპშმა, მ. გუნბამ და გ. შამბამ და კიდევ რამდენიმე დამღიანი ყური და ამფორის სხვა ფრაგმენტებიც შეაგროვეს. სამწუხაროდ, ქურის შემდგომი შესწავლა ვერ მოხერხდა, იგი ზღვამ წარეცხა [48, გვ. 149, 150]. ეს განსაკუთრებით დასანანია, რადგანაც საქმე გვაქვს კერამიკულ წარმოებასთან, სადაც დამზადებულ ამფორის ყურებზე მოთავსებულ დამღებში იკითხება ორსტრიქონად აღბეჭდილი დიოსკურიის სახელი. აქვე აღმოჩენილი ამფორების პროფილირებული ნატეხები იძლევა ამფორის გრაფიკულ აღდგენის საშუალებას და გვიჩვენებს, რომ ეს ამფორები არაფრით არ ჰგვანან ყავისფერკეციან ამფორებს არც თიხით, არც

გამოწვით, არც ფორმით და არც დამზადების ხერხით. აქ ნაპოვნი 16 ყურის ფრაგმენტიდან ცხრას აქვს დამღა სწორკუთხა ნაჭდევში, სადაც იკითხება ნეგატიურად აღბეჭდილი ორ სტრიქონად განლაგებული ქალაქი დიოსკურიის სახელი. საწარმო აშკარად დიოსკურიას ეკუთვნის და ამფორებიც აქ მცხოვრები ბერძენი ხელოსნების დამზადებულია. საწარმო ძვ.წ. III ს-ით თარიღდება [48, გვ. 149, 160; 35, გვ. 167; 28, გვ. 16, 35].

ამფორას ქუსლი ფოსოიანი აქვს, არა აქვს ფსკერზე სპირალური ხვია და არაფრით არ შეიძლება მისი გაერთიანება ამფორათა იმ ჯგუფთან, რომელსაც ი. ზეესტმა თავის დროზე ყავისფერკეციანი ამფორები უწოდა (ტაბ. I_{1-4}).

სულ სხვა სურათია სოხუმის გარეუბანში, წითელი შუქურის დასახლებაში აღმოჩენილ ქურაში, რომელიც გათხარა და შეისწავლა მ. ტრაპშმა [40, გვ. 225].

ქურა ძლიერ იყო დაზიანებული, მაგრამ აქ კულტურულ ფენაში მრავლად აღმოჩნდა პითოსების, ამფორების, ქოთნების და კრამიტების ფრაგმენტები, პირამიდული საწაფები და წიდად ქცეული სხვადასხვა თიხის ნაკეთობათა ნატეხები, თიხის გუნდები [40, გვ. 225]. აქ აღმოჩენილი ამფორების ფრაგმენტები ისეთი ნიშნების მატარებელია, როგორც ყავისფერკეციან ამფორებს ახასიათებს - დაბალი, ძირმომრგვალებული ფეხი, და სპირალური ხვია ფსკერზე, რაც კორპუსზე ძირის მიძერწვის ხერხს წარმოადგენს. წითელი შუქურის დასახლებაში აღმოჩნდა, აგრეთვე, თითქმის მთელი ამ ტიპის ამფორებიც და მათი ცალკეული ფრაგმენტებიც [40, გვ. 224, ტაბ. $XXVIII_{1, 2}$; 28, გვ. 165, სურ. 31-12]. ზოგი მათგანი აქაც ქვეყნდება (იხ. ტაბ. I_{5-11}).

ძალზე საინტერესო მასალა მოგვცა გულრიფშის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილმა კერამიკული წარმოების ნამთებმა, რომელიც აქ ორი მეტრის სიღრმეზე გათხრილი არხის ფსკერზე აღმოჩნდა. როგორც ი. ვორონოვი მოგვითხრობს, საწარმოო მოედანი წარმოადგენდა გამომწვარი თიხის ნატეხებისაგან და კერამიკული წიდებისაგან მოპირკეთებულ ფართობს. მასზე დაგროვილი იყო დაახლოებით 30 ამფორის პირ-ყელი და ძირი და სხვა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები, მათ შორის არ ერია უსახური ფრაგმენტები. ყველა ისინი დამზადებულია ადგილობრივი თიხისაგან, რომელიც გამოწვის შემდეგ ღებულობს ღია ან მუქ ყავისფერს. მას ბლომად ურევია ქვიშა, კვარცი, ქარსი და წაბლისფერი, რკინანარევი ნაწილაკები. ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება პიროქსენიც. ამფორების უმრავლესობის ყელზე ერთგვაროვანი ნიშანია დასმული (ტაბ. I_{12}), მხოლოდ ერთ ამფორაზეა სხვაგვარი ნიშანი (ტაბ. I_{13}). ამ ამფორების ყელი შებერილია, აქვს მასიური, გადმოკეცილი, ზემოდან დაბრტყელებული ნაპირი, ფსკერზე დამახასიათებელი სპირალური ხვია. მათ ი. ვორონოვი ძვ.წ. II-I სს. ათარიღებს [28, გვ. 66-67]. როგორც ამ ფაქტიდანაც ჩანს, ე.წ. ყავისფერკეციანი ამფორები დასავლეთ საქართველოშიც ბევრ სხვადასხვა ადგილას მზადდებოდა. ისინი მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთოც ბევრი აქვთ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან გ. ცეცხლაძე ძალიან ენერგიულად შეუდგა ყავისფერკეციანი ამფორების შესწავლას. მისი მცდელობით ამ ამფორების მრავალი პეტროგრაფიული ანალიზი გაკეთდა და გარკვეული წილი შეიტანა მათი შესწავლის საქმეში. გ. ცეცხლაძემ არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა მარტომ თუ სხვათა თანაავტორობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ჩრდილო შავიზღვისპირეთის სხვადასხვა პუნქტებში კოლხური ამფორების გამორჩევა და მათი დათარიღება [იხ. 22, 23, 47, 49, 50, 51, 52]. გ. ცეცხლაძის ნაშრომები გარკვეულ წილს შეიტანს ყავისფერკეციანი ამფორების შესწავლაში, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა და ახალ აღმოჩენებსა და უკვე მოპოვებულის სათანადოდ გამოკვლევას ელის. როგორც ჩანს, ეს ამფორები სადღაც ერთ ცენტრში შეიქმნა და ძალიან მალე გავრცელდა შავიზღვისპირეთში და ბევრგან ჩაისახა მისი წარმოება, განსაკუთრებით გვიან- ელინისტურ ხანაში. კოლხეთი მათი დამზადების ერთ-ერთი კერა იყო და აქ როგორც ირკვევა არაერთ ადგილას ხდებოდა მათი დამზადება. მათი საერთო ნიშანი თიხის მსგავსება, საერთო მოყვანილობა და ქუსლის ძირზე მიძერწვის თავისებური ხერხი იყო, რომელიც ჭურჭლის ფსკერზე სპირალურ ხვიას წარმოშობდა. გვიანანტიკურ ხანაში, ვფიქრობთ, მათი არსებობის გაგრძელებაა წელშეზნექილი ამფორები ფსკერზე სპირალური ხვიის გარეშე, რომელთა არსებობა ადრე შუასაუკუნეებამდე გრძელდება.

განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა კოლხური ამფორების შესასწავლად ვანის ნაქალაქარის გათხრებმა, სადაც მათი დათარიღებაც უკეთ ხერხდება აღმოჩენის ადგილებითა და თანმხლები ნივთებით და ბევრი მათგანი მთლიანად არის აღდგენილი. ასე რომ, საკმაოდ ნათელი სურათი გვაქვს მათი ფორმისა და იერის ცვლის შესახებ ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისიდან, ვიდრე ქალაქის დანგრევამდე ძვ.წ. I საუკუნეში.

ვანში 1969 წელს აღმოჩენილი მეომრის სამარხში (სამარხი № 9) ხუთი ამფორა იყო და მათ შორის ორი კოლხური. სამარხი კარგად თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით [11, გვ. 203] და, მაშასადამე, ამფორებიც ამ ხანისაა. ეს ორი ამფორა კიდეც ჰგავს და ოდნავ კიდეც განსხვავდება ერთმანეთისგან.

ერთი მათგანი (სავ. № 3-69/311) მოყავისფროდ გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი თიხისაა, პირლილვაკიანი, ყელი ცილინდრული, ყურები ოვალურგანივკვეთიანი, მხრები დაქანებული, კორპუსი ფართე, ქუსლი არა აქვს, ძირი თითქოს მოხეხილია (ქვიშაში ჩადგმისას?), ყურების ძირში თითო ნაჭდევი აქვს. ფსკერზე ოდნავ გამოხატული სპირალური ხვია შეიმჩნევა. ყელზე გრაფიტო აქვს ამოკაწრული ΔE (ალბათ დემეტრა) და აქვე სხვა გაუგებარი ნიშნები (ტაბ. II_1). ჭურჭლის სიმაღლე 63 სმ-ია. უდიდესი სიგანე მხრებს ქვემოთ 34 სმ. ყელის სიმაღლე 18 სმ. პირის დმ - 10 სმ. ყურის სიგანე - 5 სმ. ამფორის ტევადობა 19 ლიტრი. გაზომილია მარცვლით პირამდე [15, გვ. 210].

მეორე ამფორა (3-69/312) მოყავისფრომოწითალოდაა გამომწვარი. ზედაპირი კარგადა აქვს მოგლუვებული. ძირი ძველადვე მოტეხილი ჰქონია. პირი ამასაც ლილვაკიანი აქვს. ყელი ოდნავ შებერილი, მხრები ყელისაგან მკვეთრად გამოყოფილი, ყურები - ოვალურგანივკვეთიანი, კორპუსი - კვერცხისებური, ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ფსკერზე შეიმჩნევა სპირალური ხვიის ნაშთი. ყურების ძირში თითის ღრმა ნაჭდევი აქვს. საერთო იერით ეს ამფორა უფრო მოხდენილია, ვიდრე პირველი. ზომით მასზე ოდნავ მცირეა: სიმაღლე 60 სმ (ძირის მოტეხილობის გამო ბევრი არ უნდა აკლდეს), ტევადობა 17,5 ლიტრი. გაზომილია მარცვლით პირამდე (ტაბ. II_2). ორივე ამფორა სქელკედლიანია, რაც საერთოდ ახასიათებს ადრეულ ამფორებს [15, გვ. 210].

ეს ორი ამფორა ყველაზე ძველია ვანში აღმოჩენილ კოლხურ ამფორებს შორის. იქ კულტურულ ფენებში გვხვდება კოლხური ამფორების ცალკეული ფრაგმენტები, შესაძლოა დაახლოებით ამავე დროისა, მაგრამ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით მათ თარიღზე. სამაგიეროდ კარგად არის დათარიღებული ვანშივე ცენტრალურ ტერასაზე გათხრილ სამარხში (სამარხი № 15) აღმოჩენილი ამფორა, იგი სამარხთან ერთად თარიღდება ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით [6, გვ. 84]. ამფორა ადგილზე იყო ჩალეწილი და მთლიანად აღდგა. იგი ყავისფერკეციანია, ლილვაკიანი პირი, ცილინდრული ყელი, ოვალურგანივკვეთიანი ყურები, კვერცხისებური ტანი, დაბალცილინდრული, ძირმომრგვალებული ქუსლი, ფსკერზე კი სპირალური ხვია აქვს. ამფორის სიმაღლე 60 სმ-ია, პირის დმ 10 სმ, ყელის სიმაღლე 15 სმ [6, გვ. 88, სურ. 655].

ძვ.წ. III საუკუნის კოლხური ამფორების ძირები და სხვა ფრაგმენტები ხშირად ჩნდება ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში და ცხადყოფს, რომ ისინი მკვიდრად არის შემოსული მცხოვრებთა ყოფაში.

1972 წელს დაბლაგომში გათხრილ მდიდრულ სამარხში სხვა მრავალ ნივთებს შორის სამი კოლხური ამფორაც აღმოჩნდა (ტაბ. II4-6). სამარხი კარგად დათარიღდა ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით [5, გვ. 76 და შემდეგ]. ეს ამფორები გარეგნული სახით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა საერთო ნიშნები - თიხა, გამოწვა, ქუსლი და ფსკერზე სპირალური ხვია ერთნაირი აქვთ. ისინი ან სხვადასხვა ხელოსნის მიერ, ან სულაც სხვადასხვა სახელოსნოშია დამზადებული. ერთი მათგანი დანარჩენ ორზე 5 სმ-ით მაღალია, ერთი ყელის სიგანით გამოირჩევა (10 სმ), მესამე ამფორა ვიწროპირიანია (7 სმ) და ვიწროყელიანი. თხელი ყურები, რომლებიც უშუალოდ პირს ქვემოთ და ყელის ძირშია მიძერწილი, განზეა განზიდული და ამის გამო განსხვავებული იერი აქვს. ქუსლი პატარა და ცილინდრულია (ტაბ. II_6). ამ ეგზემპლარში უკვე ჩანს შემდეგ ხანებში მკვეთრად გამომჟღავნებული ტენდენცია ჭურჭლის შემსუბუქებისაკენ.

უფრო ზოგადად ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება დაბლაგომში შემთხვევით აღმოჩენილი ამფორა, რომელსაც ყელ-ყური აკ-

ლია. კვერცხისებური კორპუსი და შედარებით მაღალი ცილინდრული ქუსლი აქვს [35, გვ. 79, ტაბ. XI_3]. ამავე დროისაა დაფნარში აღმოჩენილი ამფორა (ტაბ. II_7) [34, გვ. 49, ტაბ. XI].

მრავლად აღმოჩნდა კოლხური ამფორების ფრაგმენტები ვანის გარეუბანშიც [12, გვ. 27-35]. ამ დასახლებაში აღმოჩენილ კოლხურ ამფორებს სხვადასხვა რაოდენობით ურევია პიროქსენი, ქარსი, კირქვა, კვარცი, სილა. ზოგში ჭარბობს პიროქსენი, ზოგში - კირქვა ან ქარსი; ყველაზე ნაკლებია კვარცი [12, გვ. 28]. საყანჩიაში მოპოვებულ ამფორებში გამოიყო ორი ტიპი - მაღალყელიანები, რომლებიც ღილისებური ქუსლით ბოლოვდება და დაბალყელიანები, რომელთაც ცილინდრული ან ქვემოთ ოდნავ გაფართოებული ძირი უნდა ჰქონოდა [12, გვ. 28-29]. აქ კოლხური ამფორის სულ 194 ქუსლია აღმოჩენილი. მათში რაოდენობრივად სჭარბობს ცილინდრული ფორმის ქუსლები, თითქმის ყველა მათგანს ფსკერზე აქვს სპირალური ხვია, რაც, როგორც ნათქვამი იყო, ქუსლის კორპუსთან მიერთების წესთან არის დაკავშირებული. ამ ამფორების ქუსლებში ნაწილი (59 ცალი) კონუსურია და მათში სპირალური ხვიები ნაკლებად გვხვდება, თუმცა, ზოგში არის ასეთი ხვია. ამ მასალის მიხედვითაც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს ამფორებიც არაერთგან მზადდებოდა და სხვადასხვა ხელოსნის მიერ, თუმცა, თიხის შემადგენლობა, გამოწვის წესი და ფერი ერთგვარ წარმოშობაზე მიუთითებს.

საინტერესოა, რომ საყანჩიას დასახლებაში მოპოვებული კოლხური ამფორები ერთგვარად განსხვავდება ვანის ნაქალაქარის ამგვარი მასალისაგან. მაგალითად, რამდენიმე ამფორის ყურზე ოთხი თითის ნაჭდევი ისეა გამოყვანილი, რომ შუაში ჯვარი გამოიკვეთება. თითის ნაჭდევებიანი კოლხური ამფორები ბევრი გვაქვს ვანის ნაქალაქარზეც, მაგრამ ასეთი განლაგებით არცერთი [12, გვ. 33, ტაბ. $XVI_{2,4}$]. თიხის ვიზუალურად აღწერის დროსაც იგრძნობა მათი ერთგვარი განსხვავებაც, თუმცა, ამაზე საუბარი საგანგებო ანალიზების გარეშე ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ საყანჩიას დასახლებას საკუთარი სახელოსნოც ჰქონდა.

საყანჩიას დასახლებამ ძვ.წ. II ს-ის ბოლოს შეწყვიტა არსებობა [12, გვ. 89], და ალბათ ამიტომაა მის ადგილობრივ ამფორებზე აგრეიშვიათად გამოწვამდე გამოსახული ნიშნები (სულ რამდენიმე ცალია). ჩვენი დაკვირვებით, ეს ნიშნები ამფორებზე ძვ.წ. II ს-ში ჩნდება და I ს-ში ხშირდება.

შედარებით ადრეულ კოლხურ ამფორებზე ზოგჯერ ანეპიგრაფული დამღის დასმის შემთხვევები გვხვდება, ასეთია, მაგალითად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამფორის ყურზე დატვიფრული მშვილდისრის გამოსახულება (ტაბ. III_1). ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ამფორის ყურის ძირში სხვადასხვაგვარად დაჭდეული თითები. ვანის საშუალო სკოლის მუზეუმში ინახება ერთი ყავისფერკეციანი ამფორის ყური, რომელზედაც შიშველი ფეხის ტერფის გამოსახულებაა დატვიფრული. გ. ცეცხლაძეს უფრო მეტად გამომსახველი დამღაცა აქვს გამოქვეყნებული კოლხურ ამფორაზე ქობულეთ-ფიჭვნარიდან [52, გვ. 106, სურ. 84].

განსაკუთრებით მრავლადაა ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. II-I საუკუნეების ადგილობრივი ამფორები. ძვ.წ. I საუკუნეში კი ისინი თითქმის მთლიანად სდევნიან სხვაგვარ ამფორებს. ეს ამფორები დიდი რაოდენობითაა ქალაქის ნანგრევებში და ბევრი მათგანის მთლიანად აღდგენაც მოხერხდა. მათ შორისაც არის მცირეოდენი განსხვავება და თუ სხვადასხვა ადგილობრივ სახელოსნოში არა, სხვადასხვა ხელოსნის მიერ მაინც უნდა იყოს დამზადებული. გვიანელინისტურ ხანაში ჩნდება ამ ამფორების ყელზე, ყურზე ან უფრო იშვიათად კორპუსზე გამოწვამდე, ნედლ თიხაზე ამოღარული ნიშნები, თუმცა, არა ყველა ეგზემპლარზე. ვანში ამ ამფორებზე გამოყვანილი ნიშნების ორმოცამდე სახეობაა აღმოჩენილი. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ზოგი მათგანია მოტანილი (ტაბ. IV).

ბევრად უფრო ადრე ამგვარი ნიშნები გაჩნდა კოლხურ პითოსებზე (ძვ.წ. IV-III სს.) და კრამიტებზე (ძვ.წ. III ს.). ამ ნიშნებს ქართველი მკვლევარებისაგან ყურადღება არ აკლია, მაგრამ მათი დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ვფიქრობთ, რომ თითოეულ მათ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი, თუმცა, არცერთი არ არის უყოყმანოდ მიღებული.

ბ. კუფტინმა დაბლაგომში სამარხ ურნებად გამოყენებულ პითოსებზე ამგვარი ნიშნების 10 სახეობა აღმოაჩინა და ჩასთვალა, რომ ისინი დაკრძალვის რიტუალთან არ არის დაკავშირებული, რადგან პითოსები უკვე

თავის დანიშნულებით გამოყენების შემდეგ იქცნენ ურნებად. ამიტომ ისინი ჭურჭლის დამამზადებელ ხელოსნებს უნდა მივაკუთვნოთო, აღნიშნა მან [40, გვ. 78-79]. დ. ახვლედიანმა მონოგრაფიულად შეისწავლა ვანში მოპოვებული კრამიტები და მათზე მოთავსებული ნიშნები სრულად გამოაქვეყნა და ხელოსნის ნიშნებად ჩასთვალა ისინი [1, გვ. 9-11 და შემდ.]. უნდა ითქვას, რომ თუმცა ამ ნიშნების მოყვანილობა და მათი გამოწვამდე დატანის წესი ჰგავს ამფორებისას, კრამიტები იმ მხრივ განსხვავდება, რომ მათ თითოეულ ეგზემპლარზე ისმება ნიშანი, ამფორებზე კი მხოლოდ ზოგიერთზე (იხ. [11, გვ. 30-43; 17, გვ. 88]).

ძვ.წ. II-I საუკუნეების კოლხური ამფორები თვალსაჩინოდ განსხვავდება ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნიმუშებისაგან, თუმცა თიხა, გამოწვა და ფსკერზე სპირალური ხვია უცვლელი რჩება. ჭურჭლის კედლები შესამჩნევად თხელდება, დაბლდება ყელი, ჩნდება ტანში შეზნექილობა, ქუსლის სხვადასხვა ვარიანტები (იხ. ტაბ. III), გამოწვამდე ამოღარული ნიშნები.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამფორებიდან, რომელთა მთლიანად აღდგენა მოხერხდა, ორი ზუსტად ერთნაირის შერჩევა გაჭირდება. განსხვავებულია პირის ქობა. ისინი სხვადასხვა ფორმისაა, ზოგი მრგვალგანივკვეთიანი, სხვები - სხვადასხვაგვარად პროფილირებული (იხ. ტაბ. IV), ასევე დეტალებში განსხვავდება ყელის ფორმა და ქუსლისაც. განსხვავდება მათი ტევადობაც. იგი მერყეობს 14-სა და 21 ლიტრს შორის (14; 14,5; 15; 15,7; 17,4; 21). ასე რომ, სტანდარტიზაციაზე საუბარი ჭირს.

ვანის ნაქალაქარის კარიბჭეზე მიშენებულ სამლოცველოში საკურთხეველთან მიტანილ 23 თიხის ჭურჭელში ხუთი კოლხური ამფორა ერია. მათგან სამი მთლიანად აღდგა, ორისა კი მხოლოდ ქვედა ნაწილები მოიძებნა. აღსანიშნავია, რომ აქ არ აღმოჩენილა არცერთი იმპორტული ჭურჭელი. სამი ამფორა საკურთხევლის ჩრდილოეთით სამლოცველოს დასავლეთ კედელთან ეწყო, ორი კი სამლოცველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. კედელთან მიწყობილ სამივე ამფორაში დამწვარი ფეტვი აღმოჩნდა [26, გვ. 156-157]. ხუთივე ამფორა სხვადასხვა ზომისაცაა და სილუეტითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [46, გვ. 70]. მათგან მხოლოდ ერთსა აქვს ნიშანი ყელზე (ტაბ. III_2).

ასევე მხოლოდ ერთია ნიშნიანი ე.წ. მოზაიკურიატაკიან ტაძარში აღმოჩენილ მრავალ ამფორას შორის (ტაბ. III_4).

ბევრი კოლხური ამფორა აღმოჩნდა აგრეთვე ცენტრალურ ტერასაზე გათხრილ საწყობშიც. სწორედ იქ იყო ამფორა, რომელსაც ტანი კოლხური პითოსების მსგავსად ჰქონდა დამუშავებული (ტაბ. IV_8). ამ სამივე ადგილას - კარიბჭესთან, „მოზაიკურიატაკიან" ტაძარში და ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილ საწყობში, სადაც უამრავი კოლხური ამფორა აღმოჩნდა და ყველა ისინი ძვ.წ. I ს-ში ქალაქის მტრისაგან განადგურების დროს არის ნგრევაში მოყოლილი, არცერთი უცხოური ამფორის ნატეხიც არ აღმოჩენილა, რაც ამ დროს ქალაქის ძველ ურთიერთობათა გაწყვეტაზე მიუთითებს.

რამდენიმე კოლხური ამფორა აღმოჩნდა ჩალეწილი ვანის ნაქალაქარზე სასოფლო გზის ნაპირას ჩაჭრილ თირში და ისინიც მარცვლეულით ყოფილა სავსე (ხორბალი, ფეტვი, ქერი, უგრეხელი).

ჩვენ ყოველთვის არა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ თუ რა ინახებოდა ამფორებში, მაგრამ ზოგიერთ მათგანში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ღვინოც. მაგალითად, კარიბჭესთან აღმოჩენილ ცარიელ ამფორებში ღვინოა სავარაუდებელი. თუმცა, მისი კვალი იქ არ დარჩენილა, სამაგიეროდ ზედა ტერასაზე აღმოჩნდა წაქცეული კოლხური ამფორა, რომლის შიდა ზედაპირზე აშკარად შეიმჩნეოდა, რომ თავის დროზე ჭურჭელში ესხა მუქი ფერის სითხე სანახევროდ და როცა ჭურჭელი წაქცეულა, იმ ადგილას, სადაც ეს სითხე გადმოიღვარა, ჭურჭლის შიდა ზედაპირს ფართო ზოლად ისეთივე მუქი ფერი ჰქონდა მიღებული, როგორიც მის ქვედა ნაწილზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში შეამოწმეს და თქვეს - ცხადია, რომ ჭურჭელში წითელი ფერის სითხე ყოფილა, მაგრამ იმის გარკვევა - წითელი საღებავი იყო თუ შავი ღვინო, არ შეგვიძლიაო.

ძვ.წ. II-I საუკუნეებში უკვე თითქმის ყველა კოლხურ ამფორას წელში შეზნექილობა უჩნდება. ვფიქრობ, ეს მათ ხმელეთზე გადაზიდვასთან იყო დაკავშირებული. ასე უფრო ადვილად ჩაეჭიდებოდა თოკი მის ცხენზე ასაკიდად.

ჩვენთვის უცნობია ახ.წ. I-II საუკუნეების კოლხური ამფორები. მაგრამ ისინი კვლავ ჩნდებიან III საუკუნეში და ფორმის გარ-

კვეული ცვლილებებით კიდევ დიდხანს ძლებენ [25].

ლიტერატურა

1. **ახვლედიანი დ.** კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, თბ., 1999.

2. **ბერძენიშვილი ქ.** კოლხური ამფორების საკითხისათვის, თბ., 1952, ხელნაწერი ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ძეგლებისა და პუბლიკაციების განყოფილებაში.

3. **გამყრელიძე გ.** ცენტრალური კოლხეთის ძველი სამოსახლოები, თბ., 1982.

4. **გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ.** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიცია 1966 წელს. - მსკა, ტ. V, თბ., 1973, გვ. 17-38.

5. **ვაშაკიძე ნ.** გურიანთას ანტიკური ხანის ძეგლები. - სდსძ II, თბ., 1971, გვ. 5-21.

6. **თოლორდავა ვ.** მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. - ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-78.

7. **თოლორდავა ვ.** ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები). - ვანი VIII, 1986, გვ. 70-92.

8. **კაჭარავა დ., მეკავანაძე ზ.** ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. - ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 9-33.

9. **კახიძე ა.** მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. - მსკა IV, თბ., 1965, გვ. 67-94.

10. **კახიძე ა.** კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. - სდსძ II, 1971, გვ. 28-66.

11. **ლიჩელი ვ.** დაბლაგომური ასონიშნები. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, თბ., 1989, გვ. 30-43.

12. **ლიჩელი ვ.** ძველი ვანი. სამეურნეო უბანი, თბ., 1991.

13. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1961 წ. ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. - 1961 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1962, გვ. 38-41.

14. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

15. **ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ. - ვანი I, თბ., 1972, გვ. 198-242.

16. **ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ლეჟავა გ., ლორთქიფანიძე გ., მათიაშვილი ნ., ჭყონია ა., მჭედლიშვილი ბ.** 1970-71 წლებში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგები. - ვანი II, თბ., 1976, გვ. 7-31.

17. **მათიაშვილი ნ.** ელინისტური ხანის კოლხეთის კულტურის ისტორიის პრობლემები. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 2002.

18. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.

19. **ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1973-1981 წწ. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები. - ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 52-78.

20. **ყაუხჩიშვილი თ.** ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

21. ჩხაიძე ლ. გონიო-აფსაროსის ელინისტური ხანის მასალები. - სდსძ, XII, თბ., 1983, გვ. 87-93.

22. **ცეცხლაძე გ.** ახალი მასალები ძველი კოლხეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესწავლისათვის. - სდსძ, XIX, თბ., 1991, გვ. 49-57.

23. **ცეცხლაძე გ., იაშვილი გ.** დამღიანი კოლხური ამფორების ფრაგმენტები ჩოლოქიდან. - სდსძ XIX, თბ., 1991, გვ. 58-61.

24. **ჭყონია ა.** არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ნაკვეთები 102-103; 117-119). - ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 83-115.

25. **ხალვაში მ.** კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი, 2002.

26. **ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ლეჟავა გ.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს. - ვანი I, თბ., 1972, გვ. 147-174.

27. **ჯაფარიძე ვ.** ანტიკური ხანის შორაპანისი (სარაპანისი). ახალი არქეოლოგიური მონაცემები. პრეპრინტი, თბ., 1990.

28. **Абрамов А.П.** Античные амфоры, периодизация и хронология. - Боспорский сборник 3, М., 1993, с. 4-135.

29. **Виноградов Ю.Г., Онайко Н.А.** Об экономических связях Гераклей Понтийской

с Северным Причерноморьем. - СА, № 1, 1975, с. 86-93.

30. Внуков С.Ю., Цецхладзе Г.Р. Колхидские амфоры Северо-Западного Крыма. Памятники железного века в окрестностях Евпатории, М., 1991, с. 170-185.

31. Внуков С.Ю. К вопросу о месте производства коричневоглиняных амфор Северного Причерноморья. - Сб. Греческие амфоры, Саратов, 1992, с. 62-89.

32. Воронов Ю.Н. Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969.

33. Воронов Ю.Н. Об Эшерском городище. - СА, № 1, 1972, с. 103-120.

34. Воронов Ю.Н. Гиенос. - СА, № 4, 1976, с. 42-55.

35. Воронов Ю.Н. К изучению керамического производства Диоскуриады. - СА, № 2, 1977, с. 162-171.

36. Гамкрелидзе Г.А. К археологии долины Фасиса (Риони), Тб., 1992.

37. Зеест И.Б. Керамическая тара Боспора. - МИА, 83, 1960.

38. Зеест И.Б. Задача исследования массового античного керамического материала. - КСИА, 109, с. 9-14.

39. Иващенко М.М. Кувшинный могильник в Западной Грузии.- СА, № 13, 1950, с. 320-330.

40. Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, т. 2, Тб., 1950.

41. Кигурадзе Н.Ш. Дапнарский могильник, Тб., 1976.

42. Лордкипанидзе Г.А. К истории древней Колхиды, Тб., 1970.

43. Лордкипанидзе Г.А. Колхида в VI-II вв. до н.э., Тб., 1978.

44. Михлин Б.Ю. Амфоры "коричневой глины" из Северо-Западного Крыма. - СА, № 2, 1974, с. 60-67.

45. Путуридзе Р.В. Колхидские амфоры эллинистического и позднеантичного времени. - Тезисы докладов, посвященных к итогам полевых арх. исследований в 1970 году в СССР, Тб., 1971, с. 197.

46. Путуридзе Р.В. Колхидские амфоры из Вани. - КСИА 151, М., 1977, с. 68-71.

47. Созник В.В., Цецхладзе Г.Р. Колхидские амфоры эллинистического периода в Херсонесе. - ВДИ, № 2, 1991, с. 61-67.

48. Трапш М.М. Древный Сухуми. Труды 2, Сухуми, 1969.

49. Цецхладзе Г.Р., Созник В.В. Колхидский импорт в Херсонесе в Эллинистическую эпоху. - История и культура Херсонеса и Западного Крыма в античную и средневековую эпохи. Тезисы докладов, Севастополь, 1987, с. 18.

50. Цецхладзе Г.Р. Колхидские амфоры эллинистического периода в городах Северного Причерноморья. - Древнее производство, ремесло и торговля по археологическим данным. Тезисы докладов IV конференции молодых ученых АН СССР, М., 1988, с. 72-74.

51. Цецхладзе Г.Р. Клеймо Диоскуриады из Нимфея. - Античный мир и варвары Евразии. - КСИА 204, 1991, с. 95-97.

52. Цецхладзе Г.Р. Производство амфорной тары в Колхиде. Греческие амфоры. - Проблемы развития ремесла и торговли в Античном мире, Саратов, 1992, с. 90-110.

53. Шамба Г.К. Амфорные клейма Диоскуриады. - დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მოამბე V, თბ., 1976, გვ. 149-150.

54. Шамба Г.К. Эшерское городище, Тб., 1980.

55. Хоштария Н.В. Археологическое исследование Уреки. - მსკა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 25-78.

ფაბ. I


1

2

3

4


5


6


7

8

9

10

11

12

13


14

15

16


17


18

ᲒᲐᲑ. II




0 10
0 10
0 10
0 10
0 12
0 10
0 10 20
0 6



გურამ ყიფიანი

მცხეთის სასოფლო-სამეურნეო უბანი (წიწამური)

ქალაქ მცხეთის ცენტრიდან (პირობითად ცენტრად სვეტიცხოვლის ტაძარი მივიჩნიე) ჩრდილო-აღმოსავლეთით, სწორი ხაზით 2 კმ-ის დაშორებით, წიწამურის მინდვრებია განფენილი, დიდი და მცირე ველი. ერთმანეთისაგან მათ კლაკნილი ხევი ჰყოფთ. ჩრდილოეთიდან მათ საგურამოს ნაკრძალის მთაგორიანი ტერიტორია და ძველი საქალაქო დასახლება წიწამურ-სევსამორას ფერდობები ემიჯნება (ტაბ. I_1. სქემატური გენგეგმა) [1, გვ. 131 და შემდ.].

წიწამური და მისი მიმდებარე ტერიტორიები აკად. ანდრია აფაქიძის მონოგრაფიაში დიდი მცხეთის ერთ-ერთ სასოფლო რაიონადაა განსაზღვრული [2, გვ. 159 და შემდ.] და აქ დღესაც მარცვლეული კულტურები ითესება.

წიწამურის მცირე ველის (ტაბ. I_2) ჩრდილო-აღმოსავლეთ არეში 1993 წელს მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (რაზმის ხელმძღვანელი არქეოლოგი ედ. გავაშელი) მიაკვლია და გამოავლინა ალიზით ნაგები შენობის ნაშთი. მრავალ მიზეზთა გამო ნაგებობა ბოლომდე ვერ გაითხარა. 1999 წელს თავიდან მოვახდინეთ მისი გაწმენდა და აზომვა (ტაბ. $II_{1,2}$) [6, გვ. 28-36].

ჩვენამდე ნაგებობის მხოლოდ უკიდურესი ქვედა სტრუქტურა შემორჩა, ანუ 5-10 სმ-ის სიმაღლის რიყის ქვით შედგენილი ცოკოლი ალიზის აგურთა წყობისათვის. გეგმარებითი სქემით ნაგებობა უმარტივესია - კოშკი მინაშენითურთ. კოშკის 1,50 მ-ის სიგანის კედლები ტოლგვერდა რვაკუთხედს შემოსწერს. მინაშენის კედლები 0,9-1 მ-ის სიგანისაა და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ კოშკის სიმაღლეს იგი ვერ გაუტოლდებოდა. მინაშენი კოშკს დასავლეთიდან ებმის, ტრაპეციული მოყვანილობისაა გეგმაში და რამდენადმე უფრო გვიანდელობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ე.ი. „კოშკურა სახლი" ერთიანი გაჯრების შედეგი არა ჩანს.

კოშკის ცოკოლის ზედაპირზე ალიზის აგურთა ნაშთებიც დადასტურდა, თუმც სამწუხაროდ მათი ზომების დადგენა ვერ მოხერხდა. არქეოლოგ ედუარდ გავაშელის ცნობებიდან და ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ოქტოგონის ცენტრში ხის საკმაოდ მასიური ბურჯი ყოფილა აღმართული (ტაბ. III_1). რამდენადაც მისი ნაშთით შეიძლება მსჯელობა იგი 1 მ-ის დიამეტრის მაინც უნდა ყოფილიყო და თანაც შებათქაშებულიც. კოშკის ცენტრში ბურჯის არსებობა პირდაპირი მინიშნებაა სართულშუა გადახურვაზე.

კედლების სიგანიდან გამომდინარე კოშკი ბევრად აღემატებოდა სიმაღლეში მინაშენს და შესაძლოა ოთხი სართულისგანაც კი შედგებოდა. კოშკის გარე კარი ცოკოლის წყობაში ჩრდილოეთიდან გაჭრილი, ხოლო მისი და მინაშენის ურთიერმაკავშირებელი ღიობის საზღვრები ცოკოლის ზედაპირზე ალიზის თხელ ფენაში იკითხება (ტაბ. $II_{1,2}$). კოშკის კარის ჩრდილოეთისაკენ მიმართვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებში იშვიათობაა, სულ რამდენიმე შემთხვევაა ჩემთვის ცნობილი - სიფნოსის მე-16, 23-ე, 32-ე კოშკები [18, გვ. 51-56, სურ.2].

შენობის ნაშთებს და მის მიმდებარე ტერიტორიას კრამიტის ინტენსიური ყრილი ფარავდა. ისინი ტიპიურია ქართლისათვის (როგორც ბრტყელი, ასევე ღარიანი) და ახ.წ. I-II სს-ს განეკუთვნება [7, გვ. 9-14]. ღარიანი კრამიტის უმეტესობა ნიშანიანია. ნიშანი კი მხოლოდ ერთგვაროვანია ↑ [5, გვ. 34-43, ტაბ. XXIV].

კოშკის გარე დიამეტრი 10 მ-ია, ხოლო შიდა 7 მ (ორივე შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული სისტემა, წრეში ჩახაზული ტოლგვერდა რვაკუთხედი) და როგორც თავისი მასებით, ასევე ფორმით, ფრიად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს, რადგან ბერძნულ-რომაული სასოფლო კოშკურა სახლებისათვისაც კი ესოდენ შთამბეჭდავი ზომები იშვიათობაა.

წიწამურის მცირე ველი (უსწორო ტრაპეციის ფორმისა) (ტაბ. $I_{2,3,4}$) დაახლოებით 35 ჰა-ს მოიცავს. არქივში მოძიებულ, 1951 წელს გადაღებულ აეროფოტოსურათზე, იმ სექტორზე, სადაც „მცირე ველია" ასახული, ჩანს მის ჩრდილო-აღმოსავლეთ არეში, ჩვენს მიერ აღწერილი ნაგებობა თეთრი უკონტურო ლაქის სახით (ტაბ. $I_{3,4}$). „ველზე" ნაგებობისათვის განსაზღვრული ადგილი თანხვდება აეროფოტოსურათზე „თეთრი ლაქის" მდებარეობას.

წიწამურის „მცირე ველის" ტერიტორია თავისი მდებარეობითა და ლანდშაფტით არ შეიძლება, რომ ურბანისტულ სისტემას განეკუთვნებოდეს. თვით ნაგებობა არც საფორტიფიკაციო და არც საკულტო ნაგებობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს არ შეიცავს. სამაგიეროდ, თავისი გეგმარებითი სქემით ზუსტად შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო სახლს, რომლის ძირითადი და აუცილებელი ნაწილი სწორედ კოშკია, რომელიც სასოფლო ტერიტორიის კონკრეტულ დანაყოფს, ნაკვეთს აკონტროლებს [14, გვ. 381]. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ანალოგიური დანიშნულების საკ-

მაოდ დიდი რაოდენობის ნიმუშებს შორის, მე რვაკუთხა კოშკს ვერ მივაკვლიე, ასე რომ უშუალო შესადარებელი ნიმუში ხელთ არა მაქვს. სასოფლო სახლებისათვის ძირითადად კვადრატული, სწორკუთხა ან წრიულ ფუძეებზე დაყრდნობილი კოშკებია დამახასიათებელი [10, გვ. 86; 13, გვ. 15-16; 9, გვ. 55-75; 11, გვ. 206-212] (იხ. რეკონსტრუქცია, ტაბ. V).

აეროფოტოსურათზე თეთრი ლაქები, ისეთივენი, როგორითაც „კოშკურა სახლი" აისახა, საკმაოდ მრავლად ჩანს (ტაბ. $I_{3,4}$) და შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ, რომ ანალოგიური ნაგებობა არაერთი იქნებოდა აღმართული ველზე, მაგრამ სურათზე სხვა სახის „ლაქები"-ც შეიმჩნევა, და კერძოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული ურთიერთპარალელური თეთრი ზოლურები (ტაბ. $I_{3,4}$), რამაც ბუნებრივია დაბადა ეჭვი: ხომ არაა ასახული აეროფოტოსურათზე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების საზღვრები. ასეთი საზღვრები ძირითადად სწორედ აეროფოტოგადაღებებით დგინდება [17, ტაბ. VI] (ტაბ. IV_2), თუმც გაურკვეველი რჩება კონკრეტულად რითია გაყოფილი ტერიტორიები ერთმანეთისაგან (წნული ღობით, ყორით - მაგ. ნაკვეთები ჰერაკლეას ნახევარკუნძულზე, და ა.შ.) (ტაბ. IV_1) [8, გვ. 32].

1970-იან წლებში დასრულდა საავტომობილო ტრასის მშენებლობა, რომელიც გარს უვლის ქალაქ მცხეთას აღმოსავლეთის მხრიდან და ამასთანავე მცირედად ჭკვეთს „მცირე ველს" დასავლეთიდან. წარმოიშვა „ველის" ვერტიკალური ჭრილი, სადაც სრულიად ცხადად ჩანს სარწყავი არხების პროფილები ყოველ 80-100 მეტრში (ტაბ. $III_{2,3}$). არხი განივკვეთში ზემოთკენ გაფართოებულია, გადახრილი გვერდებით. რაიმე სხვა მონაცემი საიმისოდ, რომ დავადგინოთ კიდევ რითი იყო ნაკვეთები ერთმანეთისაგან გამიჯნული, არა გვაქვს, მაგრამ არხები ველს ნამდვილად ანაწევრებდა.

კოშკისა და „მინაშენის" ურთიერთდამოკიდებულებისათვის რაიმე კანონიკური ნორმა თითქოსდა არა ჩანს ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებში [16, სურ. 12, 55, 60]. არცთუ იშვიათად კოშკები თავისუფლად მდგომი ნაგებობებია, შემოსაზღვრული სივრცეში, ე.ი. „მინაშენი" მის კედელს არ ეუღლება, მაგრამ უფრო ხშირად სასოფლო სახლი ერთიან „კოშკურა სახლად" წარმოდგება (ტაბ. IV_4) იმ ზოგადი იერით, როგორც ეს ჰერკულანუმის ერთ-ერთ ფრესკაზეა ასახული (ტაბ. IV_3) [16, გვ. 50]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახლის გეგმარებითი სქემის მეტ-ნაკლებად მიახლოებული ნიმუშებიც არსებობს (ტაბ. IV_4, 6, 7) [15, სურ. 1].

წიწამურის „კოშკურა სახლი", ანუ კოშკი მინაშენითურთ აეროფოტოზე დაყრდნობით ისე ჩანს, რომ ნაკვეთის კიდეშია აგებული, რაც თითქოსდა გარკვეულ წესად გამოიყურება - სასოფლო სახლი ნაკვეთის ვიწრო გვერდის საზღვართან, მის ცენტრალურ არეში ან კუთხეში (ტაბ. IV_5) [12, სურ. 1].

ვფიქრობთ, რომ გამოვლენილი ნაგებობის ნაშთებითა და სარწყავი არხებით დაკონკრეტდა დიდი მცხეთის ერთ-ერთი უბნის ფუნქცია, როგორც სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიისა. უკანასკნელ ხანს ფუნდამენტურად იქნა შესწავლილი მცხეთის ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი - კარსნისხევის მეთუნეთა დასახლება [3, გვ. 89-91]. ეს უბნები (გარეუბნები) მთლიანობაში კონტექსტს ქმნიან დედაქალაქისათვის, როგორც ცენტრისათვის, ანუ მის გარშემო შექმნილი იყო სატელიტური ქალაქების ქსელი.

წიწამურის ველს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ის გამაგრებული ტერიტორია (ქალაქი), რომელიც შენიშნეს პომპეუსის ლაშქრობის მონაწილეებმა, ანუ სევსამორა (Σευσάμορα) [4, გვ. 11, 129].

როგორც ჩანს მოგვიანებით, გვიანანტიკურ ხანაში, წიწამურ-სევსამორას სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიითურთ მთლიანად იქვემდებარებს მცხეთა, ისევე როგორც მის სისტემაში შემოდის მასზე უფრო ბევრად ადრეული საქალაქო დასახლება სარკინე, მოგვიანო ლიითონის სახელოსნო უბანი [2, გვ. 206 და შემდ.].

ლიტერატურა:

1. **აფაქიძე ან.** ანტიკური წყაროების Σευσάμορα - წიწამური. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958.
2. **აფაქიძე ან.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
3. **ნიკოლაიშვილი ვ.** კარსნისხევის მეთუნეხელოსანთა დასახლება, თბ., 1993.
4. **ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.
5. **ყიფიანი გ.** ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე, თბ., 1991.
6. **ყიფიანი გ., გაგაშელი ედ.** წიწამურის ველის კოშკურა სახლი. - მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის ანგარიშები, თბ., 2000.
7. **ძნელაძე მ.** საქართველოს ანტიკური ხანის სამშენებლო კერამიკული მასალები (კრამიტი), თბ., 1997.

8. Блаватский В.Д. Природа и античное общество, М., 1976.

9. Гайдукевич В.Ф. Боспорские Города. Эллинистическая усадьба, Л., 1981.

10. Дашевская О.Д. Античная башня на городище Беляус. - КСИА, вып. 116, 1969.

11. Кругликова И.Т. Античная сельскохозяйственная усадьба близ Керчи. - АИКСП, Л., 1968.

12. Кругликова И.Т. Херсонесская усадьба на наделе 10. - КСИА, 174, М., 1983.

13. Натан Д.Д. Типология греческих сельских усадеб классического и эллинистического времени. Автореферат диссертации на соискание степени кандидата исторических наук, Л., 1979.

14. Сорокина И.П. Архитектура загородных усадеб. - ВИА, т. II, М., 1973.

15. Щеглов А.Н. Северо-Западный Крым в Античную эпоху, Л., 1978.

16. Nowicka M. Les Maisons a tour dans le Monde Grec, Wroclaw, Warszava, 1973.

17. Schmiedt G. Metodi dell'impiego e dell utilizzazione della fotografia aerea nella ricerca arrcheologica. Atti del Settimo Congresso Internazionale di archeologia classica, Roma, 1961.

18. Joung J.H. Ancient Towers on the Island of Siphnos. – AJA, 1956, 60, I.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. სურ. 1 - ქალაქი მცხეთა და მისი შემოგარენი, სქემატური გენგეგმა: 1. წიწამურის მცირე ველი; 2. წიწამურის დიდი ველი; 3. სვეტიცხოველი; 4. სამთავროს დედათა მონასტერი; 5. ანტიოქიის ეკლესია; 6. ჯვრის გუმბათოვანი ტაძარი; 7. არმაზციხე; 8. მდინარე არაგვი; 9. მდინარე მტკვარი;. 10. წიწამურის დიდი და მცირე ველების გამყოფი ხევი; 11. მცხეთის საქალაქო ტერიტორია; 12. სასოფლო გზა; 13. საავტომობილო მაგისტრალი; 14. კოშკურა სახლი; 15. სევსამორა-წიწამურის ფერდობები; 16. წიწამურის მცირე ველის დასავლეთიდან გაკვეთის ზოლი, საავტომობილო მაგისტრალის (13) მიერ.

სურ. 2 - წიწამურის მცირე ველი. გადაღებულია სამხრეთ-დასავლეთიდან, არმაზისციხიდან (გენგეგმაზე (№ 7): 1. წიწამურის მცირე ველი;. 2. წიწამურის დიდი ველი; 8. მდინარე არაგვი; 10. წიწამურის დიდი და მცირე ველების გამყოფი ხევი; 14. კოშკურა სახლი; 15. სევსამორა-წიწამურის ფერდობები; 16. წიწამურის მცირე ველის დასავლეთიდან გაკვეთის ზოლი საავტომობილო მაგისტრალის (13) მიერ (ნუმერაცია შეესაბამება სურ. 1-ის ნიშნულებს).

სურ. 3 - წიწამურის მცირე ველი, აეროფოტოსურათი: 1. „კოშკურა სახლი;" 2. სარწყავი არხების კიდეები; 4. სავარაუდო „სასოფლო სახლები."

სურ. 4 - წიწამურის მცირე ველის გრაფიკული ასახულობა: 1. „კოშკურა სახლი"; 2. სარწყავი არხები; 3. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები; 4. სავარაუდო „სასოფლო სახლები" (სურათების 3-სა და 4-ის ნუმერაცია ერთმანეთს შეესაბამება).

ტაბ. II სურ. 1 - „კოშკურა სახლი," გეგმა: 1. კოშკის ჩრდილოეთის კარი; 2. კოშკის შიდა სივრცე; 3. ცენტრალური ბურჯის ნაშთები; 4. კოშკისა და მინაშენის ურთიერთმაკავშირებელი კარი; 5. მინაშენის შიდა სივრცე; 6-7. კოშკისა და მინაშენის კედლები; 8. კოშკისა და მინაშენის ურთიერთშეუღლების არე.

სურ. 2. „კოშკურა სახლი," ფოტო გადაღებულია დასავლეთიდან: 1. კოშკის ჩრდილოეთის კარი; 4. კოშკისა და მინაშენის ურთიერთმაკავშირებელი კარი; 8. კოშკისა და მინაშენის ურთიერთშეულლების არე (ნუმერაცია შეესაბამება სურ. 1-ის ნიშნულებს).

ტაბ. III სურ. 1 - „კოშკურა სახლი," აქსონომეტრიული გეგმა რეკონსტრუქციის ელემენტებით.

სურ. 2 - სარწყავი არხის ვერტიკალური ჭრილი.

სურ. 3 - სარწყავი არხის პროფილი და სტრატიგრაფია: 1. ჰუმუსური ფენა; 2. ალუვიური დაშრევებანი; 3. ქვიშანარევი თიხნარი; 4. არხის კონტური.

ტაბ. IV სურ. 1. სასოფლო ნაკვეთების ხედი ჰერაკლეის ნახევარკუნძულზე.

სურ. 2. გვიანანტიკური ხანის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ჩრდილოეთ აფრიკიდან (აეროფოტოსურათი).

სურ. 3. „სასოფლო სახლი," ფრესკა ჰერკულანუმიდან.

სურ. 4 - სასოფლო კოშკურა სახლები: 1. პეპარეტროსი; 2. სუნიონი; 3. ატიკა; 4. ნაქსოსი; 5. სუნიონი; 6. სიფნოსი; 7. კიონოსი (ჯ. იუნგის მიხედვით); 8. კერკენიტიდა (ბ. ფილონიჩევისა და მ. ნალივკინას მიხედვით); 9. სახლი ჰერაკლეას ნახევარკუნძულზე (ი. კრუგლიკოვას მიხედვით).

სურ. 5. სასოფლო სახლების განლაგების სქემა სამეურნეო ნაკვეთების საზღვრებში კამიშევაია ბუხტაზე (ლაქაშის ყურე) (ი. კრუგლიკოვას მიხედვით).

ტაბ. V - წიწამურის კოშკურა სახლი. რეკონსტრუქციის ცდა.

გრაფიკა - გურამ ყიფიანი.
ფოტოილუსტრაციები
- ირინე მაღრაძე



1



2



3



4

ტაბ. II



2



1



2



3

3



4



5



1



2



ვახტანგ შატბერაშვილი

ძვ.წ. IV-III საუკუნეების საბრძოლო იარაღიანი სამარხები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან

სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო, იგივე ქვემო ქართლი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთითა და ჯავახეთ-სამსარის ქედის აღმოსავლეთით, მდ. ხრამისა და ალგეთის აუზებში. ამ ტერიტორიაზე დღეისათვის მიკვლეული და შესწავლილია ძვ.წ. IV-III სს-ის 22 ძეგლი, რომელთაგან 14-ზე სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად საბრძოლო იარაღიცაა აღმოჩენილი.

აღნიშნულ ძეგლთაგან აღსანიშნავია ეცოს სამაროვანი, რომელიც მდებარეობს თეთრიწყაროდან ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ში, ბედენის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთის ძირში, მდ. ჭივჭავის მარცხენა ნაპირზე. სამაროვანზე გათხრებს აწარმოებდა მარაბდა-ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ზ. შატბერაშვილი), რომელმაც აქ ძვ.წ. IV-I სს-ით დათარიღებული 120 სამარხი შეისწავლა [28, გვ. 63, 64], აქედან 6-ის თარიღი გაურკვეველია, 9 სამარხი ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება, დანარჩენი 105 კი ძვ.წ. IV-III სს-ით [17, გვ. 57-64]. ამ სამარხთა შორის 16-ში საბრძოლო იარაღია აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ № 100 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრისპირი (ტაბ. VI_{10}) მიცვალებულის წვივის ძვლებს შორის დაფიქსირდა, რაც ალბათ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს ადამიანი ამ იარაღით იყო დაჭრილი. შესაბამისად, აღნიშნულ სამარხს შეიარაღებული ადამიანის სამარხად ვერ ჩავთვლით, აქედან გამომდინარე, სამაროვანზე დაკრძალული იყო 15 შეიარაღებული ადამიანი.

ქვემოთ მოგვაქვს ეცოს სამაროვანზე აღმოჩენილი 15 იარაღიანი სამარხისა და მისი ინვენტარის მოკლე აღწერა:

სამარხი № 23. მართკუთხა ქვასამარხია (1,2 0,8 მ), დამხრობილია ჩრდ.დას.დას.-სამხრ.აღ.აღ-ით. სამარხში ორი მიცვალებული ესვენა. ერთის ძვლები აღ. კედელთან იყო მიწეული, მეორე კი იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული. თავი ორივეს ჩრდ-ით ედო. სამარხის ქვის სახურავზე აღმოჩნდა: 1) ჯამი - ჩალისფერი, პირმოყრილი (ტაბ. I_4); 2) ჯამი - ჩალისფერი, პირმოყრილი (ტაბ. I_5); 3) ჯამი - წითლად შეღებილი, პირმოყრილი (ტაბ. I_8); 4) დოქი - წითლად შეღებილი, მრგვალპირიანი, მრგვალმუცლიანი (ტაბ. I_1). სამარხში აღმოჩნდა: 5) ჯამი, წითლად შეღებილი, პირმოყრილი (ტაბ. I_7); 6) დოქი - წითლად შეღებილი, მრგვალპირიანი, მომრგვალებულმუცლიანი (ტაბ. I_3); 7) კათხა - ნაცრისფერი, (ტაბ. I_6); 8) ბეჭდები - რკინის, ფარაკიანი, 2 ც. (ტაბ. I_{11}); 9) რგოლები - ბრინჯაოსი, 3 ც. (ტაბ. I_9); 10) სამაჯური, რკინის (ტაბ. I_{10}); 11) ხელშუბისპირი - რკინის (ტაბ. I_{11}); 12) მძივები - ქარვის მართკუთხა, 2 ც; 13) მძივები - ცისფერი მინის, მრგვალი, 9 ც.; 14) რგოლი - რკინის. სამარხი ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება.

სამარხი № 41. მართკუთხა ქვასამარხია (0,95 0,55 მ), დამხრობა ჩრდ.აღ-დან სამხრ.დას-ით. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდ.აღ-ით. ინვენტარი: 1) დოქი - მოწითალო, წრიულპირიანი, მსხლისებურტანიანი (ტაბ. I_{12}); 2) ჯამი - მოყავისფრო, ბიკონუსურტანიანი (ტაბ. I_{15}); 3) სამაჯური - რკინის (ტაბ. I_{14}); 4) დანა - რკინის, ფრაგმენტი (ტაბ. I_{15}); 5) ხელშუბი - რკინის (ტაბ. I_{13}). სამარხი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით ან IV-III სს. მიჯნით თარიღდება.

სამარხი № 55. მართკუთხა ქვასამარხია (0,1 0,60 მ), დამხრობა ჩრდ.აღ-დან სამხრ.დას-ით. სამარხის თავზე იდო მსხვილფენა საქონლის ძვლები. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდ.აღ-კენ. ინვენტარი: 1) ქოთანი - რუხი, ბრტყელყურიანი (ტაბ. I_{16}); 2) ხელშუბისპირი - რკინის (ტაბ. I_{17}); 3) დანა - რკინის (ტაბ. I_{19}); 4) სამაჯური - რკინის (ტაბ. I_{18}); 5) მძივები - ლურჯი მინის, ბიკონუსური 4 ც., მრგვალი 6 ც.; 6) მძივები - ლურჯი მინის, 1 ც.; 7) მძივები - ყვითელი მინის, 2ც.; 8) მძივები - ცისფერი მინის, ბიკონუსური, 1 ც. სამარხი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება.

სამარხი № 59. მართკუთხა ქვასამარხია (0,98 0,65 მ), დამხრობა ჩრდ.ჩრდ.აღ-დან სამხრ.სამხრ.დას-ით. სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. მამაკაცი იწვა აღმოსავლეთ კედელთან, მოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე. ქალის ძვლები მიწეული იყო დას. კედელთან. თავი ორივეს ჩრდ-ით ედო.

ინვენტარი: 1) ხელადა - ჩალისფერი, შეღებილია მოყავისფროდ, წრიულპირიანი, მსხლისებურტანიანი, ყურის პირთან შეერთების ადგილას ამობურცულია კოპი (ტაბ. II_9); 2) ხელადა - აგურისფერი, შეღებილია წითლად, სფერულმუცლიანი (ტაბ. II_{11}); 3) ჯამი - აგურისფერი, შეღებილია წითლად, პირმოყ-

რილი (ტაბ. II_{12}); 4) ჯამი - აგურისფერი, პირგადაშლილი, ბრტყელბაკიანი (ტაბ. II_{14}); 5) ხელშუბისპირი - რკინის, ძლიერ დაჟანგული და დამტვრეული (ტაბ. II_{18}); 6) სამაჯურები - რკინის, ზურგშეზნექილი, ერთმანეთზე მიჟანგული, 2 ც. (ტაბ. II_{13}); 7) სამაჯურები - რკინის, ოვალური, 2 ც. (ტაბ. II_{10}); 8) ბეჭედი - რკინის, დაჟანგული და დამტვრეული, ბრტყელფარაკიანი (ტაბ. II_{15}); 9) ბეჭედი - ბრინჯაოსი, ბრტყელი და ოვალურფარაკიანი, ფარაკზე ამოკაწრულია მამალი ჯიხვის გამოსახულება (ტაბ. II_{17}); 10) მშვილდსაკინძი - შედგენილია ბრინჯაოს კონუსურქუდა და ბოლომოკაუჭებული რკალისა და რკინის ღეროსაგან (ტაბ. II_{16}); 11) მძივი - სარდიონის, ექვსწახნაგა (ტაბ. II_{19}); 12) მძივი - მოცისფრო დახშული მინის, სფერული; 13) მძივი - თეთრი მინის, ცილინდრული, გრეხილი; 14) მძივი - მწვანე მინის, ბიკონუსური; 15) მძივები - შავი მინის, კასრისებური 2 ც.; 16) მძივები - ლურჯი, შავი და თეთრი მინის, წვრილი, მრგვალი 100 ც.

სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს.

სამარხი № 69. მართკუთხა ქვასამარხია (10,55 მ), დამხრობილია ჩრდ. ჩრდ.აღ-დან სამხრ. სამხრ.დას-ით. სამარხში დაკრძალულია მამაკაცი, მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდილოეთისაკენ. ინვენტარი: 1) ქოთანი - რუხი ფერის, ბრტყელყურიანი (ტაბ. III_5); 2) კოჭობი - რუხი, უყურო (ტაბ. III_3); 3) დანა - რკინის (ტაბ. III_6); 4) ცული - რკინის (ტაბ. III_7). სამარხი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება.

სამარხი № 72. მართკუთხა ქვასამარხია (1 0,7 მ), დამხრობილია ჩრდ.აღ-დან სამხრ. დასით. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდ. აღ-ით. ინვენტარი: 1) დოქი - ჩალისფერი, სამტუჩა (ტაბ. III_1); 2) შუბისპირი - რკინის, მაღალქედიანი (ტაბ. III_4); 3) ცული - რკინის (ტაბ. III_2); 4) დანა - რკინის (ტაბ. III_3); 5) სამაჯური - რკინის, ბურთულებღეროიანი (ფრაგმენტი). სამარხი, სავარაუდოდ ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

სამარხი № 80. მართკუთხა ქვასამარხია (1,2 0,6 მ), დამხრობილია ჩრდ.ჩრდ.აღ-დან სამხრ.სამხრ.დას-ით. სამარხის სახურავის ფილაზე იდო ხარის თავის ქალა, ადამიანის ძვლების ფრაგმენტები, აგრეთვე: 1) ჯამი - წითლად შეღებილი, კალთაწიბოიანი (ტაბ. II_7); 2) ბეჭედი - რკინის, ფარაკიანი; 3) დანა - რკინის, მოხრილი (ტაბ. II_3); 4) სალესი ქვები 2 ც.; 5) კოჭები - ძვლის, გახვრეტილი, 5 ც. სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. მამაკაცის ძვლები მიწეული იყო სამხრ. კედელთან, ქალი იწვა სამარხის ჩრდ. ნაწილში, მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდილოეთისაკენ. ინვენტარი: 6) დოქი - აგურისფერი, სფეროსებურტანიანი, დაფარულია ანგობით, მოხატულია წითლად (ტაბ. II_1); 7) კოჭობი - მოყვითალო, უყურო (ტაბ. II_2); 8) დოქი - რუხი ფერის, ბიკონუსური (ტაბ. II_8); 9) ქოთანი - რუხი ფერის, ბრტყელყურიანი (ტაბ. II_6); 10) ხელშუბისპირი - რკინის (ტაბ. II_4); 11) ბეჭედი - რკინის ფარაკიანი (ტაბ. II_5); 12) კოვზი - ძვლის, სანელსაცხებლე(?); 13) კოჭები - ძვლის, გახვრეტილი; 14) კენჭები - გაპრიალებული, კვერცხის ფორმის. სამარხის სახურავზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით სავარაუდოა, რომ № 80 სამარხის თავზე მოგვიანებით სხვა სამარხი გაუმართავთ, რომელსაც ჩვენამდე დაზიანებული სახით მოუღწევია. უშუალოდ № 80 სამარხი ძვ.წ. III ს-ით, შესაძლოა მისი ბოლოხანებითაც თარიღდება.

სამარხი № 82 მართკუთხა ქვასამარხია (0,95 0,6 მ), დამხრობილია ჩრდ-დან სამხ-ით. აქ დაკრძალული მამაკაცი იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდით. ინვენტარი: 1) დოქი - ვარდისფერი, სამტუჩა, მსხლისებურტანიანი, დაფარულია ანგობით (ტაბ. III_9); 2) ხელშუბისპირი - რკინის (ტაბ. III_{11}); 3) სამაჯური - რკინის, ბურთულებღეროიანი (ტაბ. III_{10}). სამარხი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

სამარხი № 82. მართკუთხა ქვასამარხია (1,25 0,75 მ), დამხრობა ჩრდ.დას-დან სამხრ. აღ-ით. სამარხის თავზე იდო მსხვილფეხა საქონლის ძვლები. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი, თავით ჩრდ. დას.-ით (მამაკაცი). ინვენტარი: 1) ხელშუბისპირი - რკინის, დაჟანგული და დაშლილი (ტაბ. V_{11}); 2) დოქი - ჩალისფერი, ხელით ნაძერწი, მსხლისებურტანიანი, შეზნექილძირიანი. ყური ოდნავ ზემოთაა აწეული. მოხატულია წითლად (ტაბ. V_3); 3) დოქი - აგურისფერი, დაფარულია მოწითალო ანგობით, დაბალყელიანი, ოვალურტანიანი (ტაბ. V_1); 4) ჯამი - აგურისფერი, წითლად შეღებილი, პირმოყრილი (ტაბ. V_4); 5) მძივები - ოქროსი, ფუყე, 9ც.; 6) მძივი - ოქროს ნახევარსფეროებში ჩასმული, სარდიონის, კასრისებური (ტაბ. V_{10}); 7) მძივი - ვერცხლის ნახევარსფეროებში ჩასმული, სარდიონის, ექვსწახნაგა (ტაბ. V_9); 8) მძივი - ვერცხლის, ლილვისებური; 9) მძივი - გიშრის, კასრისებური; 10) მძივები - ყვითელი მინის, სფერული (3 ც); 11) მძივები - ლურჯი მინის, ცილინდრული (1 ც.), მრგვალი (1 ც.); 12) მძივები

- ცისფერი მინის, მრგვალი (1 ც.) და ცილინდრული (1 ც.); 13) მძივები - შავი მინის, მრგვალი (4 ც.); 14) მძივები - თეთრი მინის, მრგვალი, 3 ც.; 15) მძივსაკიდი - სარდიონის, ფიგურული (ტაბ. V_7); 16) საკიდი - ოქროსი, დისკოსებური, მოცვარული (ტაბ. V_6); 17) სამაჯურები - ბრინჯაოსი, ზურგშეზნექილი, ბოლოდაწვრილებული, 2 ც. (ტაბ. $V_{2, 5}$). სამარხის თარიღი შესაძლებელია ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით განისაზღვროს.

სამარხი № 94. მართკუთხა ქვასამარხია (0,8 1,2 მ), დამხრობილია ჩრდ-დან სამხრ-ით. სამარხში დაკრძალულია მამაკაცი, თავით ჩრდ-ით, მოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე. ინვენტარი: 1) დოქი - ჩალისფერი, სამტუჩა, მსხლისებურტანიანი (ტაბ. IV_1); 2) ხელშუბისპირი - რკინის (ტაბ. IV_5); 3) დანა - რკინის (ტაბ. II_6); 4) სამაჯურები - რკინის, ბურთულებღეროიანი, 2 ც. (ტაბ. $IV_{2, 4}$); 5) სამაჯური - რკინის, სადაღეროიანი (ტაბ. II_3); 6) მძივები - ლურჯი მინის, თეთრხალებიანი. სამარხი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

სამარხი № 95. მართკუთხა ქვასამარხია (1,2 0,65 მ), დამხრობილია ჩრდ-დან სამხრ-ით. სამარხის თავზე იდო მსხვილფეხა საქონლის თავის ქალა. სამარხში დაკრძალული მამაკაცი იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდ-ით. ინვენტარი: 1) დოქი - რუხი, ძაბრისებურპირიანი, მსხლისებურტანიანი (ტაბ. IV_{11}); 2) კოჭობი - ყავისფერი, უყურო (ტაბ. IV_7); 3) ცული - რკინის (ტაბ. IV_8); 4) დანა - რკინის (ტაბ. IV_9); 5) სამაჯური - რკინის, ოთხკუთხაგანივკვეთიანი (ტაბ. IV_{10}). სამარხი ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით შეიძლება დათარიღდეს.

სამარხი № 96. მართკუთხა ქვასამარხია (1,25 0,57 მ), დამხრობა ჩრდ-დან სამხრ-ით. სამარხში დაკრძალული მამაკაცი იწვა მარჯვენა გვერდზე მოკრუნჩხული, თავით ჩრდ-ით. ინვენტარი: 1) ხელშუბისპირი - რკინის, მოკლემასრიანი, უქედო, ვიწროპირიანი (ტაბ. VI_8); 2) დანა - რკინის, მოხრილი. სამარხის სავარაუდო თარიღია ძვ.წ. IV-III სს.

სამარხი № 107. მართკუთხა ქვასამარხია (1 0655 მ), დამხრობილია ჩრდ-დან სამხრ-ით. სამარხში დაკრძალული მამაკაცი იწვა თავით ჩრდ-ით, მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხული. ინვენტარი: 1) დოქი - ჩალისფერი, მრგვალპირიანი, მსხლისებურტანიანი (ტაბ. IV_{12}); 2) სამაჯური - რკინის, ბურთულებღეროიანი (ტაბ. IV_{15}); 3) დანა - რკინის (ტაბ. IV_{14}); 4) ცული - რკინის (ტაბ. IV_{13}). სამარხი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით ან ძვ.წ. IV-III სს. მიჯნით თარიღდება.

სამარხი № 118. დეფორმირებული მართკუთხა ქვასამარხია (1,45 1 მ), დამხრობილია ჩრდ-დან სამხრ-ით. სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. ერთის ძვლები აღ. კედლისაკენ იყო მიწეული, მეორე იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდ-ით. ინვენტარი: 1) ჯამი - წითლად შელებილი, პირმოყრილი (ტაბ. V_{13}); 2) კოჭობი - ჩალისფერი, ყურიანი (ტაბ. V_{12}); 3) კოჭობი - შავი, უყურო (ტაბ. V_{14}); 4) ქოთანი - რუხი (ფრაგმენტი); 5) რგოლები - ბრინჯაოსი, 2 ც. (ტაბ. V_{17}); 6) სამაჯური - ბრინჯაოსი, ბოლოებდაწვრილებული (ტაბ. V_{16}); 7) სამაჯური - რკინის, ბურთულებღეროიანი (ტაბ. V_{15}); 8) ისრისპირი - რკინის, ოთხწახნაგა, ყუნწზე ხის ტარის ფრაგმენტი იყო შემორჩენილი (ტაბ. V_{18}); 9) მძივები - ლურჯი მინის, მრგვალი, 8 ც.; 10) მძივები - ცისფერი მინის, მრგვალი, 5 ც. სამარხი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება.

სამარხი № 120. ოვალური ორმოსამარხია (0,9 0,5 მ), გადახურული იყო კირქვის ფილით. დამხრობა ჩრდ-დან სამხრ-ით. სამარხში დაკრძალული იყო მამაკაცი, რომელიც იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდ-ით. ინვენტარი: ხელშუბისპირი - რკინის, ფოთლისებურპირიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი (ტაბ. VI_3). სამარხის სავარაუდო თარიღი ძვ.წ. IV-III სს-ია.

ეცოს სამაროვანზე აღმოჩენილი საბრძოლო იარაღი შედგება შუბების, ხელშუბების, ცულებისა და ისრისპირებისაგან.

შუბისპირი ერთია (სამ. № 72, ტაბ. VI_1), იგი რკინისაა, აქვს მოკლე მასრა და დაკუთხული, ქედიანი, გრძელი პირი. მასთან ერთად აღმოჩენილია რკინის ცულიც. კომპლექსის თარიღი ძვ.წ. IV ს-ით განისაზღვრება.

რკინის ხელშუბისპირები 10 სამარხშია აღმოჩენილი (სამ. №№ 23, 41, 55, 59, 80, 82, 86, 94, 96, 120). მათ შორის შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი: 1) ფოთლისებური, ქედიანი, მასრაგახსნილი (სამ. №№ 80, 120; ტაბ. $VI_{2, 3}$); 2) რომბისებურპირიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი (სამ. №№ 55, 82, 94; ტაბ. $VI_{4, 5}$). აქედან № 55 სამარხში აღმოჩენილ იარაღს დაბალი ქედი აქვს, №№ 82 და 94 სამარხების ხელშუბებს კი მაღალი. 3) ვიწროპირიან ხელშუბებს აქვთ უქედო (სამ. №№ 23, 96, ტაბ. $VI_{7, 8}$), ან ქედიანი (სამ. № 41, ტაბ. VI_6) პირი. ამ უკანასკნელს გრძელი მასრა ახასიათებს. №№ 59 და 86 სამარხებში აღმოჩენილია ძლიერ დაჟანგული და დაშლილი ხელშუბები, რომელთა ფორმის გარკვევა შეუძლებელია.

შუბი და ხელშუბისპირი სამაროვანზე მხოლოდ ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხებშია აღ-

მოჩენილი. სამარხეული კომპლექსებიდან გამომდინარე, ყველაზე გვიანდელია დაზიანებული ხელშუბები №№ 59 და 86 სამარხებიდან, აგრეთვე ფოთლისებური იარაღი № 80 სამარხიდან, თუმცა მათი თარიღი ძვ.წ. III ს-ზე გვიანი ხანით არ უნდა განისაზღვროს. ძვ.წ. IV-III სს-ისაა № № 96 და 120 სამარხებიც, რომლებშიაც სხვა რაიმე დამათარიღებელი ნივთი არ აღმოჩენილა, მათი ასაკი კი მეზობელი სამარხების თარიღით განისაზღვრა (ეცოს სამაროვანზე სამარხები ძალზე მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს და მეზობელი სამარხები, როგორც წესი, ერთი ხნისაა). უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ აღწერილი იარაღის ტიპები არ არის რომელიმე მოკლე პერიოდისათვის დამახასიათებელი. იგი მთელი კავკასიის ტერიტორიაზე, ძვ.წ. VIII-III სს-ის კომპლექსებში გვხვდება, ქართლში ისინი მიკვლეულია წოფის ძვ.წ. VIII-VI დაVI-V სს-ით დათარიღებულ სამარხებში [7, გვ. 41], გუდარეხის, ასურეთის, შავსაყდარას, ჩხიკვთას ძვ.წ. V-IV სს-ის სამარხებში [10, ტაბ. $XXXII_{3, 4}$; XXXIII_{1}; XIV_{5}; XVIII_{5}; XXXIII_{2}; XXIV_{13}; XXVIII_{6}], ბეშთაშენის ძვ.წ. V-IV სს-ის კომპლექსებში [7, გვ. 39-43], აბულმუგში [20, გვ. 54], შავსაყდარა I [26, გვ. 34-36] და შავსაყდარა II-ზე [12, ტაბ. VIII], ყანჩაეთში [4, გვ. 53], კამარახევში [19, გვ. 144], აგრეთვე კახეთში (7, გვ. 43), დასავლეთ საქართველოში [11, გვ. 211; 21, გვ. 36, 199; და სხვ.] ამავე ტიპის იარაღი მიკვლეულია სომხეთშიაც [24, გვ. 70-71]. ჩვენს მიერ აღწერილი იარაღი, ზოგიერთი მოსაზრებით, უკავშირდება ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ.წ. VII-III სს-ით დათარიღებული ყორღანებიდან [23, გვ. 42] მომდინარე შუბისპირებს [7, გვ. 44-45], რაც შეეხება ფოთლისებურპირიან ხელშუბებს, ისინი გენეტიკურადაა დაკავშირებული გვიანბრინჯაოს ხანის ამავე ფორმის იარაღთან [14, გვ. 87; 7, გვ. 45].

ეცოს სამაროვანზე აღმოჩენილია მხოლოდ 4 რკინის ცული (სამ. №№ 69, 72 95, 107; ტაბ. $VI_{11, 12}$). მათ ოვალური სატარე ხვრელი, ჩაქუჩისებური ოთხწახნაგა ყუა და ოვალური პირი აქვთ. ოთხივე სამარხის კომპლექსი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. ამ ცულებს ფორმით უახლოვდება რველის ძვ.წ. VI-IV სს-ით დათარიღებული კომპლექსიდან მომდინარე ცული [16, გვ. 62 ტაბ. II_{7}], ბეშთაშენისა და მანგლისის ძვ.წ. V ს-ის ცულები [7, გვ. 50-51 ტაბ. $VII_{17, 23}$], ასევე გომარეთში [7, გვ. 139], ასურეთში [10, ტაბ. XXIII_{3}], სანთაში [5, გვ. 45, ტაბ. V] მოპოვებული ამავე ტიპის იარაღი.

რკინის წაგრძელებული, რომბისებური ფორმის ნივთი № 118 სამარხიდან (ტაბ. VI_{9}) რომ ნამდვილად ისრისპირია, ამაზე მის ერთ ბოლოზე შემორჩენილი ხის ნაშთიც მიგვანიშნებს. ეს ისრისპირი, როგორც ჩანს, ტარში ერთი წვეტიანი ბოლოთი იყო ჩამაგრებული.

როგორც ზემოთ ითქვა, ეცოს სამაროვანზე ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებული 105 სამარხიდან 15-ში საბრძოლო იარაღი იყო ჩატანებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ 105 სამარხიდან 31-ში მხოლოდ ბავშვები იყვნენ დაკრძალულები. გამოდის, რომ დარჩენილი სამარხებიდან ყოველ მეხუთეში იარაღია აღმოჩენილი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ინფორმაცია ყველა დაკრძალულის სქესის შესახებ, თუმცა, სამაროვანზე დაკრძალულ ზრდასრულთა შორის უმრავლესობა მამაკაცები რომ ყოფილიყვნენ, გამოვა, რომ აქ დაკრძალულ ყოველ მესამე მამაკაცს სამარხში იარაღი ჰქონია ჩატანებული.

მიჩნეული იყო, რომ ძვ.წ. IV ს-დან ქართლის რიგით სამარხებში საბრძოლო იარაღის რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს, რაც მცხეთის გაქალაქებას, იარაღის გაძვირებასა თუ მასზე კერძო საკუთრების გაჩენასა და მის მემკვიდრეობით გადაცემას, აგრეთვე ქართლში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს უკავშირდებოდა [18, გვ. 193-194; 3, გვ. 224; 4, გვ. 9; 7, გვ. 173]. აღმოსავლეთ საქართველოს ელინისტური ხანის რიგით სამარხებში საბრძოლო იარაღის მცირე რაოდენობა დაუპირისპირდა ალბანეთის ტერიტორიაზე ამავე პერიოდის რიგით სამაროვნებში მიკვლეული მრავალრიცხოვანი იარაღ-საჭურვლის არსებობასა და სტრაბონის ცნობას ალბანელთა მიერ მიცვალებულთათვის სამარხებში მთელი საკუთრების ჩატანების შესახებ, რაც ამ უკანასკნელთა შორის კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტის არარსებობითაც იქნა ახსნილი [8, გვ. 59-60]. გამოთქმულია აზრი, რომ ამ პერიოდის ქვევრსამარხებში იარაღის მცირე რაოდენობა, შესაძლებელია, აზოს მიერ ქართლის მცხოვრებთათვის იარაღის ფლობის აკრძალვასაც უკავშირდებოდეს [6, გვ. 52].

აღნიშნული მოსაზრებების საპირისპიროდ, ს. მარგიშვილმა, მის მიერ შესწავლილი სამაროვნების მასალის ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ ალგეთის ხეობის სამაროვნებზე ყოველი მესამე ან მეოთხე მამაკაცი შეიარაღებული იყო (ს. მარგიშვილის მოხსენება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1989 წელს): შავსაყდარა I-ზე შესწავლილი 96 სამარხიდან

რკინის საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა 15-ში, შავსაყდარა II-ზე 13-დან 1-ში, პაპიგორაზე 79-დან 8-ში, ენაგეთში 9-დან 1-ში.

როგორც ზემოთ ითქვა, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შესწავლილია ძვ.წ. IV-III სს-ის 14 სამაროვანი, რომლებშიაც საბრძოლო იარაღია მიკვლეული. ზოგიერთი მათგანი ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე უფრო ადრე იწყებს ფუნქციონირებას. ასეთებია არდასუბნის, ბეშთაშენის, კიკეთისა და ღრმახევისთავის სამაროვნები. აქ ძვ.წ. IV-III სს-ის რამოდენიმე კომპლექსის გამოყოფაცაა შესაძლებელი.

სოფ. არდასუბანში შესწავლილია 3 ქვასამარხი და ერთი ცხენის სამარხი. №№ 1 და 2, აგრეთვე ცხენის სამარხი 0,4-0,5 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა, № 3 კი № 1-ის ქვეშ იყო მოქცეული. ნ. თუშიშვილი ზედა ფენის სამარხებს ძვ.წ. V ს-ით, № 3-ს კი ძვ.წ. VI ს-ით ათარიღებდა [9, გვ. 127-131]. საბრძოლო იარაღი ძეგლზე №№ 1 და 3 სამარხებშია აღმოჩენილი. № 1 სამარხის ინვენტარიდან დამათარიღებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რკინის ბურთულებღეროიან სამაჯურს, რომლის გამოჩენაც ძვ.წ. IV საუკუნეზე უფრო ადრე საეჭვოა. ასეთი სამაჯურები, როგორც წესი, ე.წ. მსხლისებურტანიან დოქებთან და ხელადებთან ერთად გვხვდება, რომელთა გავრცელების პერიოდი ძვ.წ. IV-ძვ.წ. IV-III სს-ის დასაწყისია [25, გვ. 36]. ამგვარად, № 1 სამარხი, ისე როგორც ამავე ფენაში აღმოჩენილი № 2 და ცხენის სამარხები ძვ.წ. IV ს-ით, ან IV-III სს-ის მიჯნით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება № 3 სამარხს, იგი ალბათ ძვ.წ. V ს-ისა უნდა იყოს. როგორც ითქვა, სამაროვანზე შესწავლილ სამარხებში საბრძოლო იარაღია აღმოჩენილი. № 3 სამარხში რკინის შუბისპირის ფრაგმენტებია, № 1-ში კი რკინის დაშლილი სატევარი. ამგვარად, ძვ.წ. V ს-ის 1 სამარხში 1 საბრძოლო იარაღია, ძვ.წ. IV-III სს-ის 3 სამარხში - 1.

სოფ. კიკეთში გათხრილია ანტიკური ხანის 5 ქვაყუთი, რომელთაგანაც 4 ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება [7, გვ. 115]. № 4 სამარხში აღმოჩენილია რკინის ბურთულებღეროიანი სამაჯური, რის საფუძველზეც სამარხი ადრეელინისტური ხანით დათარიღდა [7, გვ. 111]. აღსანიშნავია, რომ № 4 სამარხში რკინის ხელშუბიცაა მოპოვებული.

შესწავლილ სამარხთა რაოდენობის მხრივ აღსანიშნავია ბეშთაშენის ციხის სამხრეთი უბნისა და ღრმახევისთავის სამაროვნები. ბეშთაშენის ციხის სამხრეთ უბანზე გათხრილია 61 სამარხი, რომლებიც ბ. კუფტინმა ძვ.წ. VI-V სს-ით [22, გვ. 41-47], ც. დავლიანიძემ კი ძვ.წ. V ს-ით [7, გვ. 115] დაათარიღა. უნდა ითქვას, რომ №№ 11, 17, 45 და 55 სამარხები [13, გვ. 122, 124, 132, 134] ისეთ ნივთებს შეიცავს, რომელთა ძვ.წ. IV საუკუნეზე ადრე არსებობა საეჭვოა. რკინის ბურთულებღეროიანი სამაჯურები (სამარხი № 17) და მსხლისებურტანიანი დოქები (სამარხები №№ 11, 41, 55) სწორედ ამ ნივთებს მიეკუთვნება. უფრო მეტიც, ისინი ძვ.წ. IV-III საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნივთებია. აქედან გამომდინარე ზემოთნახსენები კომპლექსები სწორედ ძვ.წ. IV-III საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია, რომ №№ 41 და 55 სამარხებში რკინის თითო შუბისპირია აღმოჩენილი. როგორც ვხედავთ, ბეშთაშენის სამხრეთ უბანზე გათხრილი და ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული 4 სამარხიდან 2-ში საბრძოლო იარაღი იყო ჩატანებული. ამავე სამაროვანზე ძვ.წ. V საუკუნის 57 სამარხიდან სხვადასხვა საბრძოლო იარაღი (ცული, შუბისპირები, ისრისპირები) 11-შია მიკვლეული.

ღრმახევისთავის სამაროვანზე ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხების გვერდით გაითხარა ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული 46 სამარხი [1, გვ. 22]. ამ საამრხთა შორის განსხვავებული ინვენტარითაა გამორჩეული №№ 1, 35, 57, 58, 61, 70, 71, 74, 79, 91 და 115, რომელთათვისაც დამახასიათებელია სამტუჩა ან წრიულპირიანი, მსხლისებურტანიანი დოქები და რკინის ბურთულებღეროიანი სამაჯურები, ერთ სამარხში კი წითლად მოხატული ქოცოა აღმოჩენილი [1, გვ. 107, 127, 138-139, 142, 149, 154, 155, 162-164, 186]. როგორც ზემოთ ითქვა, ეს ნივთები ძირითადად ძვ.წ. IV-III სს-ისთვისაა დამახასიათებელი, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპლექსები სწორედ ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია, რომ საბრძოლო იარაღი ძვ.წ. V ს-ით დათარიღებულ 35 სამარხიდან მხოლოდ 3-შია, ძვ.წ. IV-III სს-ის 11 სამარხიდან კი ორში (№№ 71 და 74).

ამგვარად, ბეშთაშენისა და ღრმახევისათავის სამაროვნებზე აღმოჩენილი მასალის ანალიზი ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომ ქართლში ძვ.წ. IV ს-დან სამარხებში ჩატანებული იარაღის მკვეთრი კლება შეინიშნება.

ქვემო ქართლის სხვა, ძვ.წ. V ს-ით დათარიღებულ ძეგლებზე იარაღის რაოდენობა ძალზედ მცირეა: კუმისში 1 შუბისპირია: წოფში 4, ჩხიკვთაში 1, მანგლისსა და

შორში კი თითო რკინის ცულია მოპოვებული [7, გვ. 38-40, 50].

დავუბრუნდეთ ძვ.წ. IV-III სს-ის ძეგლებს. როგორც ითქვა ეცოს სამაროვანზე ყოველი მესამე მამაკაცი იყო შეიარაღებული, ყოველი მესამე ან მეოთხე კი შავსაყდარა I-ზე, პაპიგორაზე და ენაგეთში [იხ. 26, გვ. 34-36; 12, გვ. 10-11, 29-31]. დაახლოებით იგივე სურათია აბულმუგში (27 სამარხიდან 6-ში ცული ან შუბისპირია) [20, გვ. 54] და ასურეთში (32-დან 4-ში) ხ10ჯყ შედარებით მცირე რაოდენობის იარაღია მოპოვებული აბელიას სამაროვანზე (ძვ.წ. IV-III სს-ის 23 სამარხიდან 1-ში) [10], გომარეთში (27-დან 1-ში) [7, გვ. 139], საკრაველზე (23-დან 2-ში) [2, გვ. 15].

ამგვარად, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, რიგით სამარხებში იარაღის რაოდენობის მკვეთრად შემცირებისა და მითუმეტეს მისი სრულიად გაქრობის შესახებ მსჯელობა საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება ძვ.წ. III ს-ის მომდევნო პერიოდს, საბრძოლო იარაღი ქვემო ქართლში ამ პერიოდით დათარიღებული ძეგლებიდან მხოლოდ კაზრეთის „თელებისველის" სამაროვანზეა მოპოვებული, ისიც მხოლოდ 2 ცალი [15, გვ. 34], ამიტომაც, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით იარაღის სამარხში ჩატანების შემცირების ტენდენცია ძვ.წ. II საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ მხოლოდ ქვემო ქართლში მიკვლეულ საბრძოლო იარაღიან სამარხებს. ჩვენი აზრით, იგივე პროცესი უნდა მეორდებოდეს შიდა ქართლშიც, რასაც ალბათ შემდგომი კვლევა დაადასტურებს.

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ.** ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

2. **ამირანაშვილი ჯ.** საკრაველის სამაროვანი, ძმ; № 3(98), თბ., 1997, გვ. 15-17.

3. **აფაქიძე ა.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ. 1963

4. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

5. **გაგოშიძე ი.** თრიალეთის სამაროვნები III, თბ., 1982.

6. **გამყრელიძე გ.** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993.

7. **დავლიანიძე ც.** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983.

8. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

9. **თუშიშვილი ნ.** ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, მაცნე № 3, თბ., 1970.

10. **კვიჟინაძე კ.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, საკანდიდატო დისერტაცია, 1975.

11. **ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 198-242.

12. **მარგიშვილი ს.** აღმოსავლეთ საქართველოს სამარხთა სოციალური დიფერენციაციისათვის, მაცნე № 1, თბ., 1988.

13. **მენაბდე მ., დავლიანიძე ც.** თრიალეთის სამაროვნები, I, თბ., 1968.

14. **სახაროვა ლ.** უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის, მაცნე, № 3, თბ., 1973.

15. **სინაურიძე მ.** კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები; თბ., 1985.

16. **ღამბაშიძე ოთ.** რველის სამაროვანი, ძმ №39, თბ., 1973.

17. **შატბერაშვილი ვ.** ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი; ძიებანი № 3, თბ., 1999, გვ. 57-67.

18. **ჯანაშია ს. შრომები,** ტ. I, თბ., 1949.

19. **ჯღარკავა თ.** კამარახევის სამაროვანი, მცხეთა VI, თბ., 1983, გვ. 139-190.

20. **Кахиани К., Глигвашвили К., Дзнеладзе М., Кереселидзе Г., Цквитинидзе З.** Археологические исследование Машаверского ущелья в 1984-86 гг. - ПАИ в 1986 г., Тб., 1991, с. 51-59.

21. **Куфтин Б.А.** Археолгические раскопки в Триалети, 1. Опыт периодизации памятников, Тб., 1941.

22. **Куфтин Б.А.** Матерьалы к археологии Колхиды, +,Тб., 1949.

23. **Мелюкова А.И.** Вооружение **Скифов, А.С.,** Свод Археологических источников, вып. 1-4, М., 1964.

24. **Мнацаканян Г.А., Тирацян А.О.** Новые данные о материальной культуре древней Армении ИАНА, № 8, 1961.

25. **Нариманишвили Г.К.** Керамика Картли V-I вв. до н.э., Тб., 1990.

26. **Тушишвили Н., Маргишвили С.** Экпедиция Алгетского ущелья. ПАИ в 1986, Тб., 1991, с. 34-40.

27. **Шатберашвили З.Г.** Результаты работ Марабда-Ахалкалакской экспедиции. - ПАИ в 1988, Тб., 1997, с. 63.

ტაბ. I



ტაბ. II



ტაბ. III




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12

ვერა ჩიხლაძე

გვიანანტიკური ხანის მეომრის სამარხი ჟინვალის სამაროვნიდან

მდ. არაგვის ხეობის შუა წელზე, იქ, სადაც დღეს „ჟინვალის ზღვაა," მდებარეობდა სოფელი **ჟინვალი.**

ჟინვალის სამაროვანი მდებარეობდა დუშეთის რაიონში, სოფელ ჟინვალის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაფუძვრებში," მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერასაზე, საქართველოს სამხედრო გზის პირას. ამჟამად იგი ჟინვალის წყალსაცავის ფსკერს წარმოადგენს. სამაროვანს ეკავა დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. გაითხარა 5450 m^2 ფართობი. გამოვლენილ და შესწავლილ იქნა 600-მდე სამარხი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. I-ახ.წ. VIII სს. იქვე, სამაროვნის ფართობზე გაითხარა ნამოსახლარის ნაშთი, ორი მარანი და ექვსი სამეურნეო ორმო. ნამოსახლარი თარიღდება ახ.წ. I-IV სს.

ჟინვალის სამაროვანი მრავალიარუსიანია. სამარხები ერთმანეთზეა განლაგებული, ზოგ შემთხვევაში ოთხ და ხუთ იარუსადაც კი. სამაროვანზე გვხვდება სამარხთა შემდეგი ტიპები: ქვევრსამარხი, ორმოსამარხი (ქვამიწაყრილიანი, ყორეკედლიანი, ხის ძელებით გადახურული, ქვებით შემოწყობილი და ქვის ფილებით გადახურული), კატაკომბა და ქვის სამარხი. სამაროვანზე სამარხთა ტიპების მრავალსახეობა შეიძლება აიხსნას იქ დაკრძალულთა სოციალური ან რელიგიური სხვადასხვაობით, ან დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით [17, გვ. 1].

დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე ყველა ტიპის სამარხში ინჰუმაციურია. წინაქრისტიანულ ხანაში მიცვალებულებს კრძალავენ კიდურებმოკეცილ პოზაში - ინდივიდუალურად, გვხვდება წყვილადი დაკრძალვაც. ქრისტიანული პეროდის სამარხებში კი გაბატონებულია საოჯახო-კოლექტიური დაკრძალვის წესი, თუმცა ინდივიდუალურად დაკრძალულნი აქაც გვხვდება. დაკრძალვის პოზა ქრისტიანულია, მაგრამ ადრეულ ეტაპზე (IV-V სს. მიჯნაზე) თანაარსებობს წარმართული წესით დაკრძალულნი (ძირითადად დედაკაცები).

ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებულია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, მინის ჭურჭელი, რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, მუსიკალური ინსტრუმენტები (წინწილები), ვერცხლის მონეტები (პართული, რომაული და სასანური - სულ 119 ერთეული), მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთ-სამკაული: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინისა და მინის ბეჭდები (637 ც.), რომელთაგან 147 გემა-ინტალიოს წარმოადგენს, ხოლო ოთხ მათგანზე ბერძნული წარწერაა ამოკვეთილი; საკისრე რგოლები, სამაჯურები, მშვილდსაკინძები, საკინძები, გულქანდები, ყელსაბამები, სტილოსები, საყურეები; აბზინდები, ავგაროზები, თილისმები, მძივები (16 000 ერთეული) და მრავალი სხვა.

ჟინვალის ნამოსახლარ ფენებში, სამეურნეო ორმოებში და მარნებში მოპოვებულია დიდძალი კერამიკული მასალა; რომელთაც ჟინვალელები ყოველდღიიურ ყოფაში იყენებდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თიხის რამდენიმე ჭურჭელზე (ქვევრის პირზე, დერგების მუცელზე და ბადიის კალთაზე) სხვადასხვაგვარი ნიშნებია ამოკაწრული. ისინი შესაძლოა ხელოსნის ვინაობას განსაზღვრავდეს, ან ეს ჭურჭელი საწყაოდ იყო გამოყენებული [18, გვ. 3].

ჟინვალის სამაროვანზე და ნამოსახლარ ფენებში მოპოვებული მრავალრიცხოვანი მასალა, განსაკუთრებით მონეტებისა და გემების სიმრავლე, მაღალხარისხოვანი მინისა და თიხის ჭურჭელი, მრავალფეროვანი ნივთსამკაული და დიდი რაოდენობით აღმოჩენილი მძივები თითქოს საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი - ჟინვალში ქალაქური ტიპის დასახლების არსებობის შესახებ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ამ ქალაქური ტიპის დასახლებამ თავისი განვითარების მაღალ დონეს, კულმინაციურ წერტილს III-IV სს-ის მიჯნაზე მიაღწია. აღნიშნული ვითარება ეკონომიურ პირობებთან ერთად, როგორც ჩანს, განაპირობა დიდმა სავაჭრო მაგისტრალმა და აგრეთვე მთისა და ბარის საზღვარზე ჟინვალის ხელსაყრელმა მდებარეობამ.

წარმოდგენა რომ შეგვექმნას III-IV სს. მიჯნაზე მცხოვრებ ჟინვალელთა ყოფაცხოვრებაზე განვიხილოთ ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის

მეომრის სამარხი იქ აღმოჩენილი ინვენტარით.

სამარხი № 525 (ტაბ. I)

წარმოადგენდა ორმოსამარხს. გაუმართავთ მიწის ზედაპირიდან 1,20 მ დონეზე. დამხრობილ იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხი ორმოს ზომები: 1,70x1 მ; სამარხში ორი ჩონჩხი აღმოჩნდა: ერთი ოდნავ კიდურებმოკეცილი მარცხენა გვერდზე, ხელები სახის წინ ჰქონდა დაწყობილი, ხოლო მეორე სამარხის სამხრეთ მხარეს იყო მიხვეტილი, ისე რომ დაკრძალვის პოზა ვერ გავარკვიეთ. ბოლოს დაკრძალული ჩონჩხი, № 1, 35-40 წლის მამაკაცს ეკუთვნოდა, ხოლო მიხვეტილი ჩონჩხიც № 2, 40-50 წლის მამაკაცისა იყო. სამარხში ორივე ჩონჩხზე დადასტურდა შემდეგი ინვენტარი (09 - ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრია, XXV - უბნის ნომერია, 83 - აღმოჩენის წელი, ხოლო 250 - ინვენტარის ნომერი. ინვენტარის ნომერი და ტაბულაზე აღნიშნული ნივთის ნომერი ერთიდაიგივეა):

მახვილი (09-XXV-83-250) - რკინისა, დაჟანგულია, ორპირლესული. ვადა მოტეხილი აქვს. მახვილის პირი თანაბარი ზომისაა 5/6 ნაწილზე და შემდეგ ქმნის მახვილ წვერს. სიგრძე ტარიანად 74 სმ, უტაროდ - 66 სმ, უდიდესი სიგანე 5 სმ; შემორჩენილი ტარის სიგრძე - 8 სმ; აღმოჩნდა მიხვეტილ № 2 ჩონჩხზე. ანალოგიური მახვილი დადასტურებულია კლდეეთში [4, გვ. 132, სურ. 26, ტაბ. 213] II ს-ით დათარიღებულ მესამე სამარხში. ზემო ავჭალაში I ს-ით დათარიღებულ სამარხში [6, გვ. 176], დიღომში III ს-ის დათარიღებულ მეომრის სამარხში [10, გვ. 91-104, ტაბ. 43-12], ჩხოროწყუში ძვ.წ. I ს-ით დათარიღებულ სამარხში [25, გვ. 81, ტაბ. VIII], ლიაში [16, გვ. 66-72], შავიზღვისპირეთში, წებელდის სამაროვანზე [26, ტაბ. V და XXV], ჩრდილო კავკასიაში სარმატულ ძეგლებზე [24, გვ. 41, ტაბ. III], ჩხარში, ოქონის გორის სამაროვანზე [3, გვ. 6-15, ტაბ. X]. ანალოგიური რკინის მახვილები აღმოჩენილია თვით ჟინვალის სამაროვანზე II ს-ით დათარიღებულ 282-ე ყორეკედლიან სამარხში [18, გვ. 58-68, ტაბ. XXIX_{351}] და III ს-ით დათარიღებულ 479-ე ორმოსამარხში [19, გვ. 3].

სატევარი (09-XXV-83-249) - რკინისა, რკინისავე ვადით. დაჟანგულია. ორპირლესული. სატევარს ზედაპირზე შემორჩენილი აქვს ხის (ქარქაშის) ნაშთი. სატევრის პირი თანაბარი სიგანისაა 2/3-ზე, შემდეგ კი ვიწროვდება და ქმნის მახვილ წვერს. ტარის ნაწილი აკლია. სიგრძე ტარიანად 41 სმ; უტაროდ - 32 სმ; უდიდესი სიგანე - 5 სმ; სიგანე ვადასთან - 7 სმ; აღმოჩნდა მიხვეტილ № 2 ჩონჩხზე. ანალოგიური რკინის სატევრები, როგორც ჩანს ინსიგნიები, მოპოვებულია არმაზისხევის პირველ (ასპარუგის) და მესამე (ბერსუმას) სამარხებში. ბერსუმას სატევარს მოთვალული ტარი აქვს ოქროსი, ასპარუგისას კი სატევრის ქარქაშის გარსაკრავი ოქროსი - მოთვალულია [1, გვ. 22-58, ტაბ. I-III]. მსგავსი სატევრები დადასტურებულია ლიაში [16, გვ. 66-72], კლდეეთში [4, ტაბ. XXV_1], მოდინახები [9, გვ. 43-55, ტაბ. $X_{1,2}$], ჩრდილოეთ პართიაში, მეშრეპიტახტინის III-IV სს-ით დათარიღებულ ყორღანულ სამარხებში [22, ტაბ. $V_{2,5}$], აზერბაიჯანში - იარაღის შემცველ ქვევრსამარხებში [21, გვ. 54-62, სურ. 23, 24], სამხრეთ ურალისპირეთში [23, გვ. 80-86, სურ. 30]. ჟინვალის სამაროვანზე დადასტურებულია ოთხი ასეთივე სატევარი: ერთი წარჩინებული მხედრის II ს-ით დათარიღებულ 277-ე ყორეკედლიან სამარხში, ორი 110-ე და 587-ე III ს-ით დათარიღებულ მეომართა სამარხებში, ხოლო მეოთხე - IV ს-ის პირველი მეოთხედით დათარიღებულ მე-15 ორმოსამარხში [19, გვ. 70].

რკინის ნივთების (09-XXV-83-272, 273, 275) ნატეხები, სამი ერთეული. შემორჩენილია სამი დანის ტარის ნატეხი. შესაძლოა მახვილებისა ან სატევრებისა იყოს. აღმოჩნდა რკინის მახვილის ქვემოთ. დანების ნატეხები (09-XXV-83-271-274), რკინისა, დაჟანგული და დამტვრეულია, შემორჩენილია ნაწილობრივ ცალპირლესული დანის პირისა და ტარის ნაწილები, ორი ერთეული. სიგანე პირისა - 2,3 სმ; აღმოჩნდა მახვილის ქვემოთ. ანალოგიური დანები აღმოჩენილია დიღომში მეომრის სამარხში [10, გვ. 91-104], ოთხი ცალი არმაზისხევში ასპარუგის № 1 სამარხში [1, გვ. 22-58], კლდეეთში [4, გვ. 144], მოდინახეში [19, გვ. 144]. ამ ფორმის დანები დადასტურდა წიფრანისძირში - მძივიანამამულების სამაროვანზე [18, გვ. 9, ტაბ. XI], ანალოგიური დანები დადასტურებულია თვით ჟინვალის სამაროვანზე 110-ე და 350-ე მეომართა სამარხებში [20, გვ. 67-70].

სამაჯური (09-XXV-83-253), ვერცხლისა. მასიური. იგი წარმოადგენს მრგვალგა-

ნივკვეთიან სადა რგოლს, რომელსაც თავი ერთ მხარეს მარყუჟისებრად აქვს გადახვეული, ხოლო მეორე მხარეს მოკაუჭებული. მოკაუჭებული თავი მარყუჟშია ჩამჯდარი. რგოლის დმ - 7,6 სმ; წონა - 33 გრ. აღმოჩნდა № 1 ჩონჩხის ხელის მაჯაზე. ანალოგიური სამაჯურები დაადსტურებულია ნეძიხის სამაროვანზე [14, გვ. 11-13], ხოლო ერთი ეგზემპლარი ზუსტად ანალოგიური ვერცხლის სამაჯური აღმოჩენილია ამავე სამაროვანზე VI ს-ით დათარიღებულ 550-ე ქვის სამარხში [27, გვ. 443].

ჟინვალის სამაროვანზე წინაქრისტიანულ-გვიანანტიკურ ხანაში სამაჯურები გვხვდება როგორც დედაკაცთა, ასევე მამაკაცთა (მხედართა) სამარხებში. თუ დედაკაცთათვის ის მხოლოდ სამკაული იყო, მამაკაცთათვის (მხედართათვის) აუცილებელ სამხედრო ატრიბუტს წარმოადგენდა. „ბრძოლის დროს შეკრული მაჯა აუცილებლივ საჭიროა, რათა ძარღვი არ აეყაროს... მაჯაშეკრული მახვილის უფრო ღონივრად შემოჰკრავს [2].

სამარხში ცხრა ბეჭედი აღმოჩნდა. ერთი ვერცხლისა გემიანი № 1 ჩონჩხზე, ხოლო დანარჩენი 8 ც. მიხვეტილი ჩონჩხზე. ბეჭედი (09-XXV-83-254), ვერცხლისა. ოვალურგანივკვეთიანი რკალი მხრებში ფართოვდება და გადადის დაბრტყელებულ ფარაკში, რომელზედაც ოვალური ფორმის დაბალი თვალბუდეა დარჩილული, რომელშიც მინის გემმა-ინტალიოა ჩასმული. ინტალიოს პირზე გამოხატულია ორი წერო ერთმანეთის პირისპირ. ინტალიო ჩამონასხამს წარმოადგენს. თვალბუდის ძირი ოქროს თხელი ფენით ყოფილა დაფარული. რგოლის დმ - 2,6 სმ; თვალის დმ - 1,5 სმ; აღმოჩნდა № 1 ჩონჩხის ხელის ფალანგაზე. ბეჭედი შეისწავლა ხელოვნებათმცოდნემ, გლიპტიკოსმა მარგარიტა ლორთქიფანიძემ. მისი განსაზღვრით ინტალიო რომაულ იმპორტს წარმოადგენს და იგი ბეჭედს III ს-ით ათარიღებს [5, გვ. 11]. ბეჭედი (09-XXV-83-246), ოქროსი, იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან, განივად დაღარულ რგოლს, რომელსაც მხრებთან დარჩილული აქვს რომბისებრი ოქროს თვალბუდე, რომელშიც რომბისებრი ფორმის თხელი ალმანდინის თვალია ჩასმული. თვალბუდეს მხრებთან თითო ცვარა აქვს დარჩილული. რგოლის დმ - 2,1 სმ; საერთო წონა - 2,06 გრ. წონა - 1,7 გრ. სინჯი - 750. ბეჭედი (09-XXV-83-247), ოქროსი. იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან, განივად დაღარულ რგოლს, რომელსაც მხრებთან დარჩილული აქვს ოთხკუთხა ოქროს თვალბუდე, რომელშიც თხელი ალმანდინის თვალია ჩასმული. თვაალბუდეს ცალ მხარეს ერთი ცვარა აქვს დარჩილული. რგოლის დმ - 1,8 სმ; სარეთო წონა - 1,5 გრ. ოქრო - 1,2 გრ. სინჯი - 900. ორივე ოქროს ბეჭედი აღმოჩნდა მიხვეტილი ჩონჩხის (№2) ხელის ფალანგებზე. ანალოგიური ბეჭდები დადასტურებულია სამთავროზე [7, გვ. 156-166], ერწოში [11, გვ. 84, ტაბ. I], არაგვისპირში [12, გვ. 22-24] III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში.

ბეჭდები (09-XXV-83-254ა, 255, 256) ვერცხლისა. 3 ცალი. ისინი წარმოადგენენ ოვალურგანივკვეთიან რგოლებს, რომლებიც მხრებში ფართოვდება და გადადის დაბრტყელებულ ფარაკში. სამივე ბეჭედს თვალბუდე და თვალი აკლია. დმ - 2 სმ; 2,5 სმ; 2,2 სმ; სამივე ბეჭედი აღმოჩნდა № 2 ჩონჩხთან. ბეჭდის ნატეხები (09-XXV-83-259), რკინისა. შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი რგოლისა და თვალბუდის ნაწილები. აღმოჩნდა № 2 ჩონჩხთან. ბეჭდები (09-XXV-83-257, 258), ვერცხლისა. ისინი წარმოადგენს ბრტყელგანივკვეთიან მასიურ რგოლებს, რომლებიც მხრებში შემაღლებულია და გადადის მაღალ წრიულ თვალბუდეში, რომელშიც რკინის (ჰემატიტის) თვალია ჩასმული. თვალბუდეებს რკინის სქელი ჟანგი ფარავს. ორივე რგოლის დმ ერთი ზომისაა 2,4 სმ; თვალბუდის დმ - 1,5 სმ; ერთერთ ბეჭედს მხარზე ცვარა აქვს დარჩილული. ორივე ბეჭედი აღმოჩნდა № 2 მიხვეტილ ჩონჩხზე. ამ ტიპის ბეჭდების ანალოგიები ჩვენთვის უცნობია. მხოლოდ ამავე სამაროვანზე გვაქვს ერთი შემთხვევა ხის ძელებით გადახურულ 307-ე ორმოსამარხში ზუსტად ასეთივე ბეჭდის აღმოჩენისა, რომლის რგოლიც კი იგივე დმ-ისაა. სამარხი დათარიღებულია IV ს-ის პირველი მეოთხედით [20, გვ. 67-70].

მშვილდსაკინძები (09-XXV-83-266, 267), ბრინჯაოსი, ორი ცალი. არბალეტისებურად მოხრილი ბრტყელი მშვილდი ბუდეებმულია. მრგვალგანივკვეთიანი საკინძი ბუდეში ზის. მშვილდი და საკინძი ერთმანეთთან დაკავშირებულია სახსრით, რომელშიც ბრინჯაოსივე ღერაკია გაყრილი. ორივე საკინძი ერთი ზომისაა. სიგრძე - 4 სმ; სიმაღლე - 1,5 სმ. ერთი მშვილდსაკინძი აღმოჩნდა № 1 ჩონჩხის ფეხების ძვლებთან, ხოლო მეორე

№ 2 ჩონჩხზე. მშვილდსაკინძები (09-XXV-83-268, 269), რკინისა. დამტვრეულია. ჟანგის სქელი ფენა ფარავს. ბუდეაბმული, დიდი ზომისა. მშვილდი ბრტყელი ჰქონია, დაფანჯრული. საკინძი კი მრგვალგანივკვეთიანი, რომლის ნატეხებია შემორჩენილი. ერთი აღმოჩნდა № 1 ჩონჩხთან, მეორე კი № 2 ჩონჩხთან. ანალოგიური დიდი ზომის დაფანჯრულმშვილდიანი მშვილდსაკინძები დადასტურებულია ამავე სამაროვნის 307-ე და 541-ე მამაკაცთა (მხედართა) სამარხებში, რომლებიც IV ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება [20, ტაბ. LXXIV], არმაზისხევისა და სამთავროს IV ს-ით დათარიღებულ სამარხებში [15, გვ. 50, სურ. 28], სვანეთში, ჭუბერში IV ს-ის I მეოთხედით დათარიღებულ მხედრის სამარხში, წიფრანისძირისა [8, გვ. 7, ტაბ. V] და ნეძიხის სამაროვანზე [14, გვ. 5, ტაბ. IV].

საყურე (09-XXV-83-245), ოქროსი. იგი წარმოადგენს ოვალურგანივკვეთიან, სადა, თავგაბსნილ რგოლს, რომელსაც მირჩილული აქვს მცირე ზომის ოქროსვე რგოლი. ამავე საყურეს ეკუთვნის ოქროს მცირე ზომის სამი ვარდული და მცირე ზომის მინის მძივი. რგოლის დმ - 1,5 სმ; წონა - 0,75 გრ. სინჯი - 750. საყურეები (09-XXV-83-260, 263), ვერცხლისა. ისინი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან სადა, თავგადასული რგოლს, რომელსაც ვერცხლისავე, მცირე ზომის რგოლი აქვს მირჩილული. რგოლზე მოძრავად ჩამობმულია ვერცხლისვე ღერაკი ორი ვარდულითა და მძივით, რომელიც ბოლოვდება ყურძნის მტევნისაბურად ასხმული მარგალიტებით. ორივეს დმ - 1,6 სმ; ერთ საყურეში № 263-ში გაყრილია ორი ანალოგიური ვერცხლისავე საყურე (№ 264, 265). ხუთივე საყურე აღმოჩნდა № 2 ჩონჩხზე. ვერცხლის საყურეების ანალოგიურია არმაზისხევის მე-19 სამარხში აღმოჩნილი ოქროს წყვილი საყურე, რომელიც IV ს-ით არის დათარიღებული [1, გვ. 107-109, ტაბ. XII5, 6], ნეძიხში [14, გვ. 10] და სხვ. საყურეები (09-XXV-83-261, 263), ვერცხლისა. იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან სადა რგოლს, დმ - 1,4 სმ; აღმოჩნდა № 1 ჩონჩხზე.

მძივები (09-XXV-83-276, 277, 278, 279) აქატისა, სარდიონისა, გიშრისა და მინისა. სულ 100 ც. 1 ც. აქატისა, კვირისტავისებრი. დმ - 2,6 სმ; 25 ცალი სარდიონისა, მრგვალბრტყელი, უხეშად დამუშავებული. 44 ც. გიშრისა - მოგრძო, მილაკისებრი და 30 ც. მინისა - ლურჯი და ცისფერი მრგვალ-ბრტყელი. ყვითელი წვეთისებრი. აღმოჩნდა სამარხის მთელ ფართობზე. ანალოგიური მძივები დადასტურებულია III-IV სს-ით დათარიღებულ სამაროვნებზე.

მონეტა (09-XXV-83-248) ვერცხლისა. პართული. ეკუთვნის არტაბან II (40-51 წწ.), p-18/20; წ-2,30 გრ.

აბზინდა (09-XXV-83-252), ვერცხლისა ბალთითურთ. ბალთა წარმოადგენს ორმაგ ვერცხლის თხელ ბრტყელ, ოთხკუთხა ფირფიტას, რომელიც ტყავზე დამაგრებული ყოფილა ოთხი ვერცხლისავე მანჭვალით. აბზინდა მასიურია. იგი წრიული ფორმისაა, განივკვეთში ოთხკუთხა. აბზინდაზე ბრტყელი მასიური ენაა დამაგრებული. ბალთა აბზინდაზე მოძრავადაა დამაგრებული. სიგრძე ბალთითურთ - 6,5 სმ; აბზინდის დმ - 4,7 სმ; აღმოჩნდა № 2 ჩონჩხზე.

ქამრის ნაწილები (09-XXV-83-251), ვერცხლისა. იგი წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედის ფორმის ბრტყელ, თხელ 12 ცალ ფირფიტას. ისინი ტყავზე დამაგრებული ყოფილან ექვს-ექვსი ცალი ვერცხლისავე მანჭვალით. ფირფიტები სადაა, უორნამენტო. სიგრძე - 4 სმ; სიგანე - 2,5 სმ; სისქე - 0,01 სმ; აღმოჩნდა № 2 ჩონჩხზე. ანალოგიური ვერცხლის ქამარი აღმოჩენილია ქუშანანთგორის № 3 სამარხში, ხოლო ბრინჯაოსი № 4 სამარხში, რომელთაც ავტორი III ს-ის ათარიღებს [11, გვ. 63-83], ახალი ჟინვალის № 5 სამარხში [13, გვ. 168-170, ტაბ. II2], რომელსაც ავტორი III ს-ის II ნახევრით ათარიღებს. ნეძიხში ბრინჯაოს ქამარი [14, გვ. 7, ტაბ. III], დიღომში [10, გვ. 91-104, ტაბ. 44]. თვით ჟინვალის სამაროვანზე III ს-ით დათარიღებულ 586 და 343 ყორეკედლიან სამარხებში დადასტურდა ანალოგიური ბრინჯაოს ქამრის ნაწილები. ჩვენი აზრით, ეს ქამრები ინსიგნიებს უნდა წარმოადგენდეს. რასაც კარგად ადასტურებს მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარი და საბრძოლო იარაღიც.

525-ე სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით მეომართა (მხედართა) კუთვნილებაა, რასაც კარგად ადასტურებს საბრძოლო იარაღი და ინსიგნია ქამარი. ინვენტარის დიდი ნაწილი III ს-ით თარიღდება, მაგრამ ბრინჯაოსა და რკინის დაფანჯრული მშვილდსაკინძები IV საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვანზე. ამიტომ 525 სამარხი IV საუკუნ-

ის პირველი მეოთხედით შეიძლება დათარიღდეს.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა I. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. თბ., 1955.

2. **ალექსი-მესხიშვილი ნ.** ისტორიული პიესების წარდგინების გამო. - გაზ. „ივერია", № 80, 1904.

3. **ბრაგვაძე ზ.** ჩხარის სამაროვანი, თბ., 1997.

4. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი ახ.წ. II საუკუნისა. თბ., 1957.

5. **ლორთქიფანიძე მარ.** არაგვის ხეობის გლიპტიკური ძეგლები. - ხელნაწერი, ინახება მ. ლორთქიფანიძის სახ. კლასიკური არქეოლოგიის კაბინეტში. 1993, გვ. 11.

6. **მაკალათია ს.** 1920-24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. - მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927, გვ. 176.

7. **მანჯგალაძე გ.** სამთავროს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიისათვის. - საქ. აკადემიის მაცნე, № 3, 1988, გვ. 156-166.

8. **მუხიგულავშილი ნ.** წიფრანიძირის სამაროვანი, ანგარიში, 1982 წ. - ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

9. **ნადირაძე ჯ.** ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.

10. **ნიკოლაიშვილი ვ.** ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. - საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, 1978, გვ. 91-104.

11. **რამიშვილი რ.** ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979.

12. **რამიშვილი რ.** არაგვისპირის სამაროვანი 1974-75 წწ. მასალების მიხედვით. - ჟინვალის ექსპედიცია, II სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1981, გვ. 22-24.

13. **რამიშვილი რ.** ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წ. - „მაცნე," № 4, 1971, გვ. 168-170, ტაბ. II2.

14. **რობაქიძე ც.** ნეძიხის სამაროვანი, ანგარიში 1989. - ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

15. **უგრელიძე ნ.** ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

16. **წითლანაძე ლ.** არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ლიაში. - ძეგლის მეგობარი, 33, 1973, გვ. 66-72.

17. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის კატაკომბები. - პრეპრინტი, 1990, გვ. 1.

18. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვნის ყორეკედლიანი სამარხები. - ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1998, გვ. 58-68.

19. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვნის წინაქრისტიანული ხანის სამარხები, კატალოგი, 1996, ხელნაბეჭდი, გვ. 3.

20. **ჩიხლაძე ვ.** არაგვის ხეობა პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში. დისერტაცია, 1999, გვ. 67-70.

21. **Ионе Г.И.** Мингечаурские погребения с оружием. - КСИИМК, 60, 1955.

22. **Мандельштам А.М.** Мешрепитахтиински могильник. - КСИИМК, 128, М., 1971, таб. V2, 5.

23. **Смирнов К.Ф.** Сарматские погребения с оружием. - КСИИМК, XXII, 1948.

24. **Хазанов А.М.** Очерки военного дела Сарматов, М., 1971, с, 40-41.

25. **Хоштария Н.** Чхороцку могильник с трупосожжением (захоронения в урнах) и остатки поселении. - Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. II, Тб., 1941, с. 81.

26. **Шамба С.** Ахачаруху - древний могильник нагорной Абхазии, Сухуми, 1970.

27. **Tschichladze W.** Georgien, Schätze dem land des Golden Vlies. S. 443


250
260
263
262
264
261
254
254ა
253
279
276
277
278
262
256
252
251
249
258
255
257
269
259
271
270
273
274
272
267
266
268
269
272
0 2 4

იზოლდა ცუხიშვილი

აღმოსავლეთ რომის იმპერიის მონეტები საქართველოში (IV-V სს-ში)

აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელისუფლება IV-V სს-ში ცდილობდა ლაზიკაში (დასავლეთ საქართველო) თავისი სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გავრცელებას, კერძოდ, ჯარის ნაწილებით ადგილობრივი სასიმაგრო პუნქტების გამაგრებას.

V ს-ის დასაწყისის მნიშვნელოვანი წერილობითი წყარო, რომელიც ასახავს IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისის ვითარებას აღნიშნულ ტერიტორიაზე, არის ძეგლი-ნუსხა: „ნოტაცია დიგნიტატუმი," სადაც ჩამოთვლილია რომაული სამხედრო ქვედანაყოფები, რომლებიც ექვემდებარებოდა არმენიის დუქსს. ალთა და კოჰორტათა დაბანაკებულ ადგილებად ძეგლში დასახელებულია: Pithae (პითიე), Valentia (ვალენცია), Usiporto (ჰიუსიპორტო), Caene Parembole (კენე პარემბოლე), Sebestopolis (სებასტოპოლისი), Ziganne (ზიგანე) და Moshora (მოხორა) [14, გვ. 173-175].

თუ რამდენად აისახა ეს ვითარება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში თვალი გავადევნოთ ამ პუნქტებში აღმოჩენილ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარის ნაწილების (კუთვნილ სპილენძის მონეტების) ტოპოგრაფიას. ისინი აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სოხუმში, სოფ. გუდავაში (გალის რ-ნი), ფოთში და ციხისძირში.

ბიჭვინტაში (პიტიუნტი) სხვადასხვა დროს აღმოჩენილია IV ს-ის 535 სპილენძის მონეტა. აქედან 310 ც. კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) და მისი ვაჟიშვილების სახელით მოჭრილი მონეტების განძია, საზოგადოებრივ დანიშნულების ნაგებობასთან აღმოჩენილი [18, გვ. 129]. განძის მონეტები ქრონოლოგიურად ასე ჯგუფდება: კონსტანტინე I (306-337 წწ.) - 11, ელენე († 328 წ.) (კონსტანტინე I-ის დედა) - 4, კონსტანტინე I (გარდაცვალების შემდეგ მოჭრილი) - 52, კონსტანტინე II (337-340 წწ.) - 6, კონსტანციუს (337-361 წწ.) - 102, კონსტანტ I (337-350 წწ.) - 75, კონსტანციუს II ან კონსტანტ I - 60.

ზარაფხანის მიხედვით ასეთი სურათია: ანტიოქია - 87, ნიკომედია - 51, ქიზიკი - 31, კონსტანტინოპოლი - 20, ალექსანდრია - 10, სისცია - 9, თესალონიკა - 1. ცუდი დაცულობის გამო 101 მონეტის მოჭრის ადგილი გაურკვეველია [5, გვ. 378-404; 20, გვ. 250-257]. განძის გარდა ბიჭვინტის ნაქალაქარზე ცალკეულად აღმოჩენილია IV ს-ის 230 მონეტა. აქ გვხვდება შემდეგი იმპერატორების სახელით მოჭრილი მონეტები: ლიციინიუსი მამა (307-324 წწ.) - 22; მათგან მხოლოდ 14 ზარაფხანაა გარკვეული (6 - ანტიოქია, 5 - თესალონიკა, 2 - ქიზიკი, 1 - ნიკომედია). კონსტანტინე I (306-337 წწ.) (მისი სიკვდილის შემდეგ მოჭრილი) - 65 (ანტიოქია, კონსტანტინოპოლი), ელენე († 328 წ.) (კონსტანტინე I-ის დედა) - 4, კრისპუსი (317-326 წწ.) - 4 (ანტიოქია, თესალონიკა), კონსტანტინე II (337-340 წწ.) - 14 (4 - კონსტანტინოპოლი, 3 - ნიკომედია, 3 - ქიზიკი, 1 - სისცია), კონსტანტ I (337-350 წწ.) - 57 (ზარაფხანა გაურკვეველია), კონსტანციუს II (337-361 წწ.) - 45 (11 - ანტიოქია, 2 - კონსტანტინოპოლი, 2 - ნიკომედია, 2 - ქიზიკი, 1 - სისცია) [5, გვ. 400-412; 11, გვ. 104]. ამას გარდა, ბიჭვინტის მე-18 კოშკის ე.წ. „დახურულ კომპლექსში" და სამაროვანზე აღმოჩენილია IV ს-ის 13 მონეტა: დიოკლეტიანე (284-305 წწ.) - 2, მაქსიმიანე გალერუსი (292-311 წწ.) - 1, კონსტანტინე I ან მისი ვაჟიშვილი - 1 (სამაროვანი), კონსტანტინე I (306-337 წწ.) - 3, კონსტანციუს II (337-361) - 2 (მე-18 კოშკი), IV ს-ის გაურკვეველი - 4 [11, გვ. 99-105].

IV ს-ის პროვინციული სპილენძის მიხედვით ბიჭვინტა დაკავშირებული ჩანს ანტიოქიასთან და მცირე აზიის სხვა ქალაქებთანაც (კონსტანტინოპოლი, ქიზიკი, ნოკომედია). ბიჭვინტის განძის კლასიფიკაციის შედეგად დადგენილია ზარაფხანები, მონეტების ქრონოლოგიური, ტიპობრივი და მეტროლოგიური მონაცემები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ბიჭვინტაში, IV ს-ის პირველი ნახევრის სპილენძი დიდი რაოდენობით შემოდიოდა.

განძი შეიცავს დროის მცირე მონაკვეთში დაგროვილ კონსტანტინე I-ის და მისი ვაჟიშვილების სახელით მოჭრილ სპილენძის ფულს აღმოსავლეთ პროვინციების სხვადასხვა ზარაფხანებიდან. განძის ასეთი შემადგენლობა და ზარაფხანების სიმრავლე ამ მონეტებს ჯართან აკავშირებს, მითუმეტეს, რომ სპილენძის ფული პირველ რიგში ჯარის საჭიროებისთვის იჭრებოდა.

განძის ყველა მონეტა ერთმანეთისაგან განსხვავებულია - შუბლზე და ზურგზე გამოსახულ დეტალების მიხედვით. ასეთია პორტრეტული გამოსახულებანი, თავსამკაული, ტანსაცმელი, წარწერები. ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ იმ დროს მონეტები დიდი რაოდენობით იჭრება, რაც კარგად ეთანხმება არსებულ ვითარებას დიოკლეტიანეს და კონსტანტინე I-ის დროს რომაული ჯარის კონტინგენტი რვაჯერ გაიზარდა [41, გვ. 331]. ცხადია, ჯარისთვის განკუთვნილი ფულის რაოდენობა შესაბამისად უნდა გაზრდილიყო.

განძში შესული მონეტების ტიპებიც მათ კუთვნილებაზე მიუთითებენ; ე.წ. „არმიის ტიპს" ეკუთვნის 79 მონეტა. მათ რევერსზე გამოსახულია 2 ჯარისკაცი საომარი იარაღით - შუბით და ფარით (ტაბ. № 1, 3). 10 მონეტაზე გამარჯვების ქალღმერთი ვიქტორიაა გამოსახული (ტაბ. № 9, 10) ლეგენდაც არმიას ასხამს ხოტბას („დიდება არმიას").

განძის მონეტების წონითი მაჩვენებლებიც მერყეევია. ერთი მონეტა თუ 7 გრ. იწონის, იგივე ნომინალის მეორე მონეტა - 0,97 გრ. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მონეტები სხვადასხვა არარეგულარულ ემისიებს ეკუთვნის.

IV ს-ის ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მონაპოვარი ძირითადად სპილენძის ფულით არის წარმოდგენილი, რაც ანტიკური ქალაქის ფულადი მეურნეობისთვის არის დამახასიათებელი და ფულადი მიმოქცევისა და საშინაო ვაჭრობის განვითარებაზე მიგვანიშნებს [23, გვ. 54]. ბიჭვინტის IV ს-ის პროვინციული სპილენძი გვიჩვენებს, რომ ბიჭვინტა - მცირე აზიის ეკონომიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტრაპეზუნტს [5, გვ. 290, 322-329]. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ტრაპეზუნტის გზით (საზღვაო გზით) ხდებოდა მცირეაზიული მონეტები ლაზიკის სანაპირო ზოლში [23, გვ. 58]. ამ გზით უნდა შემოსულიყო ბიჭვინტაში პროვინციული სპილენძი IV ს-ში. აღნიშნული ნუმიზმატიკური მასალის გარდა ამ გარემოებას ადასტურებს ვარდციხის (როდოპოლისი) ციხე-ქალაქის არქეოლოგიური შესწავლა, რის შედეგად ირკვევა, რომ ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა და ინტენსიური ცხოვრების დასაწყისი შეიძლება IV საუკუნით და მომდევნო ხანით დათარიღდეს [25, გვ. 13]. მნიშვნელოვანია სწორედ ის გარემოება, რომ ვარდციხის IV ს-ის კულტურულ ფენაში არ ჩანს ამ პერიოდის ნუმიზმატიკური მასალა. არ ჩანს გვიანრომაული პროვინციული სპილენძი ნოქალაქევშიც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია კონსტანტინე I-ის სიკვდილის შემდეგ მოჭრილი მხოლოდ ერთი სპილენძის მონეტა [6, გვ. 105]. ეს ვითარება მიანიშნებს, რომ ლაზიკის შიდა რაიონებში, IV ს-ში, პროვინციული სპილენძი ვერ აღწევს. აღნიშნული ფაქტი საყურადღებოა, რადგან ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომ IV-VI საუკუნეებში აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის ციხეები პონტოს ლიმესის შემადგენლობაში შედის [32, გვ. 93], ხოლო სხვა მოსაზრების თანახმად, მათ ლაზიკის ციხეებად მიიჩნევენ [9, გვ. 58]. ბიჭვინტაში აღმოჩენილი IV ს-ის პროვინციული სპილენძის მონეტები აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ის პუნქტები სადაც არ ჩანს მასობრივად სპილენძის მონეტები (ვარდციხე, ნოქალაქევი) ლაზიკის ციხეებს უნდა ეკუთვნოდეს.

სოხუმი (სებასტოპოლისი).

1. სოხუმის ახლოს ნაპოვნ განძში შედიოდა მაქსიმიანუს ჰერაკლესი (286-305) - 1, მაქსიმიანე დაზას (305-313 წწ.) - 1, ლიციინიუს მამა (307-323 წწ.) - 1 სპილენძის მონეტა.

2. იქვე, რომაულ ციხე-სიმაგრე სებასტოპოლში სხვა რომაულ მონეტებთან ერთად აღმოჩნდა კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) - 1 სპილენძის მონეტა.

3. სინოპში (სოხუმთან) მიკვლეულია კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) - 1 სპილენძის მონეტა.

4. სოხუმშივე სხვადასხვა დროს, აღმოჩენილია დიოკლეტიანე I-ის (282-305 წწ.) - 2 სპილენძის მონეტა, მაქსიმიანუს ჰერაკლესის (286-305 წწ.) - 1, მაქსიმიანუს გალერის (292-311 წწ.) და ლიციინიუს მამის (307-329) - 2 [22, გვ. 68; 39, გვ. 70]. მიგვაჩნია, რომ მონეტების სიმცირე უნდა აიხსნას იქ წარმოებული არასისტემური არქეოლოგიური გათხრებით. აღმოჩენილი მონეტები IV ს-ის I ნახევარს ეკუთვნის. IV ს-ის ბოლოსი და V ს-ის ნუმიზმატიკური მასალა კი სოხუმში არ ჩანს. შესაძლოა, რომ ამ დროს ცხოვრება სებასტოპოლისში თანდთანობით ჩაკვდა და V ს-ის ბოლოს ქალაქს დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა [36, გვ. 253].

სოფ. გუდავა (გალის რ-ნი). ძველ ქართულ ხელნაწერებში სოფ. გუდავა მოხსენიე-

ბულია ზიგანისად [2, გვ. 52]. აქ არქეოლოგიური გათხრებით მიკვლეულია რომაული ციხის ნაშთები და გალავნის ნანგრევები. აღმოჩნდა: ამფორები, წითელლაკიანი კერამიკა, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები და 15 სპილენძის მონეტა [28, გვ. 178].

ცუდი დაცულობის გამო ჭირს ყველა მონეტის ატრიბუციის გარკვევა, მაგრამ ის კი დასტურდება, რომ ისინი IV ს-ის პროვინციული სპილენძის მონეტებია.

მათგან ზუსტად განისაზღვრა: ლიციინიუს მამის (307-323 წწ.) და მაქსიმიანუს გალერუსის (292-311 წწ.) სახელით მოჭრილი თითო მონეტა. დანარჩენი 13 მონეტა ეკუთვნის კონსტანტინე I-ს (306-337 წწ.) ან მის ვაჟიშვილებს [38, გვ. 8-9].

IV-V სს-ში სოფ. გუდავა „ნოტიცია დიგნიტატუმის" მიხედვით ზიგანისი, რომაელთა ჯარის სადგომია [14, გვ. 173-175]. IV ს-ის I ნახევარში აქ ჯარის ნაწილები უნდა მდგარიყო. მასზე მიანიშნებს ამ პუნქტში აღმოჩენილი ჯარის კუთვნილი სპილენძის მონეტები.

ფოთი. ქ. ფოთში შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. გ. გამყრელიძე), პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ადგილ „ნატეხებში," ძველ ნამოსახლარზე, მის დასავლეთ მონაკვეთზე აღმოჩნდა იმპერატორ კონსტანციუს II-ის (336-361 წწ.) სპილენძის მონეტა [3, გვ. 100].

ციხისძირი. 1983 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა მუშაობა ციხისძირში. აკროპოლისად მიჩნეულ ციხის ჩრდილოეთით, ბობოყვათის სანერგე მეურნეობის სამხრეთ ნაწილში, მიკვლეულია გვიანანტიკური ხანის აბანოები. № 1 აბანოს გარეთ აღმოჩნდა 5 სპილენძის მონეტა. მათგან 1 - კონსტანტინე I-ს (306-337 წწ.) ან მის მემკვიდრეს ეკუთვნის, დანარჩენი 4 - დაზიანებულია, მაგრამ წონის, ზომის, ფაქტურის და ტიპის მიხედვით ამავე პერიოდით არის განსაზღვრული. ამ მონეტების გარდა, მოსახლეობიდან შეძენილია ზღვის სანაპიროზე შეგროვილი მონეტები „ე.წ. კოლექცია." მათგან IV ს-ის დასაწყის ეკუთვნის: დიოკლეტიანე (284-305 წწ.) - 2, ლიციინიუსი მამა (308-324 წწ.) - 1, კონსტანციუს I ქლორი (292-306 წწ.) - 1. სულ IV ს-ის პირველი ნახევრის - 9 მონეტა.

ციხისძირის მიდამოებში რომაელთა გამოჩენას დიოკლეტიანეს დროიდან (III ს-ის მიწურული და IV ს-ის დასაწყისი) ვარაუდობენ.

IV საუკუნის პირველ ნახევარში რომაული გარნიზონი ციხისძირში უკვე ფართო სამშენებლო საქმიანობას ეწევა, რაზეც მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ძეგლები. ყველაზე მეტი სპილენძის მონეტა, რომელიც ჯარს ეკუთვნის, სწორედ IV ს-ის პირველ ნახევრისაა. რაც შეეხება IV ს-ის მეორე ნახევარს და V საუკუნეს - ციხისძირის ნუმიზმატიკურ მონაპოვარში ისინი საერთოდ არ ჩანს [7, გვ. 99-101]. ამგვარად, ციხისძირი კიდევ ერთი პუნქტია, სადაც IV ს-ის პირველი ნახევრის პროვინციული სპილენძის მონეტებია აღმოჩენილი, რომელიც ჯარს ეკუთვნის და იქ, ამ დროს, როგორც არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომაული გარნიზონიც უნდა მდგარიყო.

გონიო (აფსაროსი). გონიოში არქეოლოგიური კვლევის შედეგად, გამოვლენილ კასტელუმში, მშენებლობის ორი ეტაპი დადასტურდა: I-III სს. და IV-VI სს. გაითხარა: კასტელუმის კარიბჭისკენ მიმავალი გზის ნაწილი; აბანოსა და სვეტებიანი ნაგებობის ნაშთები. აღმოჩნდა: რომაული მონეტები, ამფორები, წითელლაკიანი კერამიკა და სხვ. ნუმიზმატიკურ მასალაში, აღმოსავლეთ რომის იმპერიის IV-V სს. პროვინციული სპილენძის მონეტები ჯერჯერობით არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიური გათხრები გონიოში ეხლაც გრძელდება [4, გვ. 8-30; 21, გვ. 38].

დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ზოლის პუნქტებში აღმოჩენილი IV ს-ის პირველი ნახევრის ჯარის კუთვნილი სპილენძის მონეტები და მათი ტოპოგრაფია (ბიჭვინტა, სოხუმი, სოფ. გუდავა, ფოთი, ციხისძირი), რომლის უმრავლესობა „ნიტიცია დიგნიტატუმში" ჩამოთვლილ პუნქტებს ემთხვევა, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ IV ს-ის პირველ ნახევარში ჯარის ნაწილები უნდა მდგარიყო აღნიშნულ ტერიტორიაზე.

მიღებულია, რომ IV ს-ის პირველი ნახევრის სპილენძი შავიზღვისპირეთის ზოლში, საშინაო ბაზრისთვის გამოიყენებოდა როგორც ხურდა ფული. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის განვითარებას, არ გვხვდება ოქროს და ვერცხლის მონეტები, რომლებიც იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ფულის მიმოქცევის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა [31, გვ. 17]. აღნიშნული ვითარება რომის იმპერიის პოლიტიკით უნდა აიხსნას, რომელიც ყოველ მხრივ ზღუდავდა პროვინ-

ციებთან ვაჭრობას. კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) დროს სავაჭრო საქმიანობაზე შემოღებული იყო განსაკუთრებული გადასახადი: 1. ხარკს ადებდნენ კაპიტალს, რომელიც სავაჭრო ბრუნვაში იყო [37, გვ. 363]. 2. 354 წლის კანონით მთლიანად აიკრძალა მონეტების ტრანსპორტირება ერთი პროვინციიდან მეორეში ვაჭრობის მიზნით [40, გვ. 239]. 3. 374 წლის კანონით აკრძალული იყო არაბერძნებისათვის გადაეხადათ ოქროთი, რომელიც გადიოდა იმპერიიდან, რაც ქმნიდა ფინანსურ სიძნელეებს [35, გვ. 33].

არგვეთში, მოდინახეს სამაროვანზე (საჩხერის რ-ნი) აღმოჩენილი IV ს-ის ოქროს მონეტები, საინტერესო მასალას იძლევა ოქროს მონეტების მიმოქცევის აკრძალვასა და შეზღუდვასთან დაკავშირებით (ინახება სსხმ. ინვ. №№ 10772, 10785, 10801, 10803, 10828, 10902). სამარხებში აღმოჩენილი კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) და მისი ვაჟიშვილების სახელით მიჭრილი 6 - სოლიდიდან 3 - სუბერატია (სპილენძის მრგვალ ფირფიტას გარედან გადაკრული აქვს ოქრო). № 16 სამარხში, მონეტის ნაცვლად, სოლიდის ზომის და წონის ოქროს ფირფიტაა ჩატანებული. № 17 სამარხში აღმოჩენილ ნახევარსოლიდი (სემისი) გამოყენებული იყო ბეჭდის თვალად. მოტანილი მასალა არ ასახავს ფულადი მიმოქცევის სურათს და არ გამოდგება იმის საბუთად, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში რომაული ვალუტა, დიდ როლს ასრულებდა ლაზიკის ფულად ურთიერთობაში [შდრ. 13, გვ. 72-73].

ჩვენი დაკვირვებით, რაც სხვა ნუმიზმატთა ჯრსაც ემთხვევა, ოქროს მონეტების სიმცირე და მათი სამარხებში მოხვედრის ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ოქროსა და ვერცხლის მონეტების მიმოქცევა ამიერკავკასიაში IV-V სს-ში შენელებულია და ზოგიერთ რ-ში შეწყვეტილია კიდეც [24, გვ. 47; 32, გვ. 36-37].

აღმოსავლეთ რომის იმპერიაში IV საუკუნეში არსებობდა ოქროს და ვერცხლის განძად გადაქცევის ტენდენციაც [29, გვ. 118]. I-III სს-ში ფულადი მიმოქცევის მიხედვით, დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა ორი ძირითადი რაიონი: ზღვისპირა ზოლი - კოლხეთის დასავლეთი ნაწილი და კოლხეთის აღმოსავლეთი - იბერიის მომიჯნავე მხარე. ეს უკანასკნელი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ქართლის სამეფოს უკავშირდებოდა [23, გვ. 56; 9, გვ. 63]. II-III საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი - არგვეთი, იბერიის ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა [17, გვ. 161].

IV ს-ში, სასანური ირანის შემოტევების შედეგად იბერიის სამეფო დასუსტდა და არგვეთი ლაზების ხელში გადავიდა [34, გვ. 383]. მაგრამ, მოდინახეს (არგვეთი) სამარხებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა იდენტური აღმოჩნდა იბერიის (აღმოსავლეთ საქართველოს) რეგიონებში მიკვლეულ სამარხების მონეტებისა. ამას ადასტურებს ამ ტერიტორიაზე მიკვლეული IV ს-ის, 1 ვერცხლის და 4 ოქროს მონეტა, რომელიც ეკუთვნის: ვალენსის (306-337 წწ.) - 1 ვერცხლის, სამთავროსთან (მცხეთა), კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) - 1 ოქრო (სოფ. აღაიანიდან), კონსტანციუს ქლორის (293-306 წწ.) - 1 ოქრო ახალქალაქიდან (კასპის რ-ნი), კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) - 1 ოქრო (არმაზიდან), თეოდოს I-ის (379-395 წწ.) - 1 ბაგინეთიდან (მცხეთის რ-ნი). ყველა მონეტა სამარხებიდან მომდინარეობს [27, გვ. 37; 26, გვ. 11] და ანალოგიურია არგვეთის ერთ-ერთი პუნქტის - მოდინახეს სამარხების სოლიდების, რომლებიც მოჭრილია კონსტანტინე I (306-337 წწ.) და მისი ვაჟიშვილების სახელით. აქვე აღმოჩენილ კონსტანტინე I-ის და კონსტანციუს II-ის ოქროს ნაყალბევ მონეტებსაც პარალელები ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს სამარხებში [30, გვ. 85]. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად არგვეთი IV საუკუნეში ლაზიკის შემადგენლობაში შედის, ნუმიზმატიკურად (ძვირფასი ლითონის აღმოჩენის მხრივ) იგი IV საუკუნეშიც, ისევე როგორც I-III საუკუნეებში, ქართლის სამეფოს უკავშირდება.

V ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ რომის იმპერიას უხდება ვანდალებთან ბრძოლა, ხოლო 30-იანი წლებიდან რომის იმპერიას არბევს ჰუნების დიდი გაერთიანება ატილას მეთაურობით [33, გვ. 272-282].

V საუკუნის ისტორიკოსის პრისკე პანიონელის გადმოცემით, იმპერატორ მარკიანეს (450-458 წწ.) აჯანყებია ლაზიკის მეფე გუბაზი (450-460 წწ.) [16, გვ. 259]. IV საუკუნის დასასრული და V საუკუნის 60-70-იანი წლები არის ლაზიკის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერების ხანა [34, გვ. 385].

უფრო დაწვრილებითი ცნობები ლაზიკის სამეფოს შესახებ. გუბაზ I-ის დროიდან ვიდრე VI საუკუნის 20-იან წლებამდე არ მოიპოვება. ვარაუდობენ, რომ ლაზიკა შემდგომში

სუსტდება და აქ ბიზანტიის ბატონობა მძლავრდება [17, გვ. 167-170].

V საუკუნის პროვინციული სპილენძი: არკადიუსის (395-408 წწ.) - 8, თეოდოს II (408-450 წწ.) - 1, მისი მეუღლის ევდოკიას - 1, აღმოჩენილია ბიჭვინტაში. არკადიუსის (395-408 წწ.) - 1 - სოხუმის ციხეზე. ლეონ I-ის (457-473 წწ.) და ანასტის I-ის (491-518 წწ.) ოქროს თითო მონეტა აღმოჩენილია - სოფ. ცხუმარში (მესტიის რ-ნი). ჰონორიუსის (395-426 წწ.) - 1 ოქროს მონეტა სამაროვანზე გაგრაში [22, გვ. 68; 39, გვ. 70].

ამრიგად, V ს-ში დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია სულ 11 სპილენძის და 2 ოქროს მონეტა.

V ს-ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციული სპილენძის სიმცირე დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ერთგვარად ეხმიანება პროკოფი კესარიელის ცნობას იმის შესახებ, რომ „ისინი (ე.ი. ლაზები) მტკიცედ იცავდნენ იმათ (ე.ი. თავის ციხეებს) ისე, რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან არც ჯარს და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს" [15, გვ. 72-73].

1982 წელს გამოქვეყნებულ წერილში, ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ბიჭვინტაში, V ს-ში არ უნდა მდგარიყო აღმოსავლეთ რომის იმპერიის გარნიზონი, რადგან ამ პერიოდის ჯარის კუთვნილი მონეტები ძლიერ მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი [19, გვ. 443]. შემდგომში ეს მოსაზრება დადასტურდა ბიჭვინტის მე-18 კოშკის „დახურული კომპლექსის" გათხრის შედეგად [11, გვ. 105].

V ს-ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის სპილენძის მონეტები არ ჩანს სოფ. გუდავაში (გალის რ-ნი). ამ პუნქტს ზოგჯერ „ნოტიცია დიგნიტატუმში" მოხსენებულ ზიგანისთან აიგივებენ [2, გვ. 52]. V ს-ის ჯარის კუთვნილი სპილენძის მონეტები არ აღმოჩენილა არქეოლოგიური გათხრების დროს, აფსაროს-გონიოში და პეტრა-ციხისძირში [4, გვ. 8-30; 21, გვ. 14; 7, გვ. 100-101]. ამრიგად, IV ს. ბოლოს და V საუკუნეში ჯარის კუთვნილი მონეტების რიცხვი მკვეთრად კლებულობს, რაც უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ზღვისპირა ზოლის პუნქტებში, IV ს-ის ბოლოს და V საუკუნეში აღარ დგას ჯარის ნაწილები. „ნოტიცია დიგნიტატუმის" შესწავლის შედეგად ლაზიკის ზღვისპირა პუნქტებში IV-V სს. გარნიზონების დგომის საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ ამ ძეგლში მოხსენებული პუნქტები განლაგებულია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში, სადაც უნდა მდგარიყო IV-V სს. აღმოსავლეთ რომის იმპერიის გარნიზონები [14, გვ. 175-178; 32, გვ. 93]. უმრავლესობა კი თვლის, რომ ლაზიკის ზღვისპირა ზოლში არც ერთი სტრატეგიული პუნქტი არ მდებარეობს და ამდენად, IV ს-ის ბოლოს და V ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარი იქ არ უნდა მდგარიყო [8, გვ. 76; 34, გვ. 381-385; 10, გვ. 66-67; 12, გვ. 82; 11, გვ. 69].

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარისთვის განკუთვნილი V ს-ის სპილენძის მონეტების სიმცირე (11 ც.) მხარს უჭერს მოსაზრებას, რომლის მიხედვით IV ს-ის ბოლოს და V ს-ში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა პუნქტებში არ უნდა მდგარიყო ჯარის ნაწილები.

IV ს-ის მიწურულსა და V საუკუნის პირველ ნახევარში იბერია (აღმოსავლეთ საქართველო) ემორჩილებოდა ირანს, მაგრამ იბერიის მმართველ წრეებს აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან მაინც შეუნარჩუნებიათ გარკვეული ურთიერთობა [17, გვ. 77]. ამას ადასტურებს აღმოსავლეთ რომის იმპერიის მონეტების შემოსვლა იბერიაში. მაგრამ დასავლეთ საქართველოსთან (ლაზიკასთან) შედარებით აქ სხვა სურათია. აღმოსავლეთ საქართველოში V ს-ის ოქროს მონეტების შემოსვლამ იმატა. თეოდოს II-ის (408-450 წწ.) თითო სოლიდი აღმოჩენილია: ბაგინეთზე (მცხეთა), თელავში, სოფ. ირაგაში (თეთრიწყაროს რ-ნი), წინანდალში (თელავის რ-ნი), ურბნისში (ქარელის რ-ნი). პულხერიას (450-457 წწ.) მარკიანეს მეუღლის - 1 სოლიდი აღმოჩენილია ყორშიყალაში (დმანისის რ-ნი). ლეონ I-ის (457-474 წწ.) თითო სოლიდი - ბოლნისში, კაზრეთში (ბოლნისის რ-ნი), ხიდისთავში (გორის - რ-ნი), ანდრიაწმინდაში (ახალციხის რ-ნი). ბასილესკუს (476-477 წწ.), სოფ. ომალოში (ახმეტის რ-ნი). არკადიუსის (395-408 წწ.) - 1 ვერცხლის მონეტა სოფ. ოკამში (ახალქალაქის რ-ნი) და თეოდოს II (408-456 წწ.) - 1 სპილენძის მონეტა - დმანისში.

V ს-ის აღმოსავლეთ რომის სოლიდები შემთხვევით ან მიწის დამუშავების დროს არის ნაპოვნი. მხოლოდ სოფ. ანდრიაწმინდაში, ქვაყუთში, აღმოჩენილია ლეონ I-ის

სოლიდი, ოქროს ბეჭედთან და საყურესთან ერთად [1, გვ. 122].

სავარაუდოა, რომ სამარხებში აღმოჩენილ IV საუკუნის სოლიდების მსგავსად, V ს-ის სოლიდებიც, სამარხებიდან მომდინარეობს. V ს-ის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოში შემოდის სასანური ვერცხლის მონეტებიც და მიმოიქცევა აღმოსავლეთ რომის იმპერიის სოლიდებთან ერთად [26, გვ. 13; 1, გვ. 123].

რაც შეეხება აღმოსავლეთ რომის იმპერიის ვერცხლის მონეტებს, ლეონ I-ის 5 ვერცხლის მინაბაძი აღმოჩენილია მცხეთაში, სამთავროს სამაროვანის ქვაყუთებში. ვერცხლის მონეტებიდან ისინი განსხვავდებიან წონით, ტლანქი გამოსახულებით, წარწერების დამახინჯებით [1, გვ. 36-37].

სულ V ს-ის 11 ოქროს, 6 ვერცხლის და 1 სპილენძის მონეტაა აღრიცხული, რაც არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ მათი ფართო მიმოქცევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხშდრ. 26, გვ. 34].

დასკვნა. IV ს-ის პირველი ნახევრის, აღმოსავლეთ რომის იმპერიის სპილენძის მონეტები, მოჭრილი კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) და მისი ვაჟიშვილების სახელით, აღმოჩენილია ლაზიკის ზღვისპირა ზოლის პუნქტებში: ბიჭვინტა (535 ცალი), სოხუმი (12), სოფ. გუდავა (15), ფოთი (1), ციხისძირი (9). სპილენძის მონეტები, რომელიც ჯარს ეკუთვნის, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ IV ს-ის პირველ ნახევარში ჩამოთვლილ პუნქტებში უნდა მდგარიყო აღმოსავლეთ რომის ჯარის ნაწილები.

ლაზიკის შიდა ციხე-ქალაქებში ვარდციხესა და ნოქალაქევში ამ პერიოდის სპილენძის მონეტები არ ჩანს.

კონსტანტინე I-ის და მისი ვაჟიშვილების სახელით მოჭრილი სოლიდები აღმოჩენილია მხოლოდ ლაზიკის შიდა რ-ში მოდინახეს (საჩხერის რ-ნი) სამაროვანზე. 6 სოლიდიდან 3 სუბერატია, 1 სოლიდის ზომის ნამზადია, 1 ბეჭდის ბუდეში ჩასმული ნახევარსოლიდი (სემისი). სამარხებში წარმოდგენილი ნუმიზმატიკური მასალა არ ასახავს ფულადი მიმოქცევის სურათს. IV ს-ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის სპილენძი, რომელიც საშინაო ბაზრისათვის იყო განკუთვნილი, მოდინახეს სამაროვნიდან მომდინარე სოლიდები და სუბერატული მონეტები, ასევე კანონები, რომელიც კრძალავდა მონეტების ტრანსპორტირებას ერთი პროვინციიდან მეორეში ვაჭრობის მიზნით - არ იძლევა საფუძველს IV ს-ში ლაზიკასა და აღმოსავლეთ რომის იმპერიას შორის ვაჭრობის განვითარების.

V ს-ის სპილენძის მონეტები, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიას ეკუთვნის ლაზიკის ზღვისპირა ზოლში მცირეა (ბიჭვინტასა და სოხუმში სულ 11 მონეტა). ისინი არ ჩანს არქეოლოგიური გათხრების დროს სოფ. გუდავაში, ციხისძირში, გონიოში და ლაზიკის შიდა რეგიონებში, რაც მიანიშნებს, რომ ბიჭვინტის გარდა, ლაზიკის ზღვისპირა ზოლის სხვა პუნქტებშიც V საუკუნეში არ დგას ჯარის ნაწილები.

IV-V ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ქართლში) მონეტების გავრცელების სხვა სურათია. IV ს-ის იმპერიის სპილენძი აქ აღმოჩენილი არ არის. IV ს-ის სოლიდები კი მხოლოდ სამარხებში გვხვდება.

V ს-ში სოლიდების შემოსვლის გეოგრაფია თითქოს გაფართოვებულია, მაგრამ სულ V ს-ის 11 ოქროს, 6 ვერცხლის და 1 სპილენძის მონეტაა აღმოჩენილი, რაც არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ მონეტების ფართო მიმოქცევა.

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი თ.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966.

2. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1960.

3. **გამყრელიძე გ.** კოლხოლოგიური ნარკვევები, თბ., 2001.

4. **გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., ინაიშვილი ა.** სამხრეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. - კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები III, თბ., 1973, გვ. 8-30.

5. **დუნდუა გ.** სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II - ახ.წ. IV სს. - დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 280-429.

6. **ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.** ნოქალაქევის ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიში. - სსმაე, V, თბ., 1977, გვ. 103-113.

7. **ინაიშვილი ნ.** ციხისძირის ახ.წ. I-V სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.

8. ლომოური ნ. Notatia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობების გარკვევისათვის. - თსუ შრომები, 162, 1975, გვ. 76-86.

9. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია წარმოქმნიდან ახ.წ. V ს-ის ბოლომდე, თბ., 1968.

10. ლომოური ნ. საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989.

11. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბ., 1991.

12. მუსხელიშვილი დ. საქართველოს გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.

13. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

14. „ნოტაცია დიგნიტატუმი." გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 168-178.

15. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა II, თბ., 1965, გვ. 38-234.

16. პრისკე პანიონელი, გეორგიკა I, თბ., 1961, გვ. 249-263.

17. საქართველოს ისტორიის ნარკვე-ვები. II, თბ., 1973.

18. ფუთურიძე რ. ბიჭვინტაში 1966 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ XVI თხრილში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. - დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 127-159.

19. ცუხიშვილი ი. რომაელთა გარნიზონი IV-V სს-ის ბიჭვინტაში. - სმამ, ტ. 107, № 2, თბ., 1982, გვ. 441-444.

20. ცუხიშვილი ი. გვიანრომაული მონეტების ბიჭვინტის განძი. - დიდი პიტიუნტი II, თბ., 1977, გვ. 250-303.

21. Варшаломидзе И. Монетное обращение в Юго-Запаадной Грузии I в. н.э. - 1453 г. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 2001.

22. Воронов Ю. Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969.

23. Голенко К.В. Денежное обращение Колхиды в римское время, Л., 1964.

24. Голенко К.В. Заметки обращения римской монеты в Закавказье. - ВДИ, IV, М., 1971, с. 47-73.

25. Джапаридзе В.М. Вардцихское городище. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1981.

26. Джалагания И.Л. Иноземная монета в денежном обращении Грузии в IV-XIII вв., Тб., 1979.

27. Дундуа Г.Ф. Монетное дело и монетное обращение в Грузии в античную эпоху (VI в. до н.э.-IV в. н.э.). Автореферат на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1982.

28. Закарая П., Леквинадзе В. Археологические раскопки в Зиганисе. - Тезисы докладов посвященные итогам полевых археологических исследований в 1970 году, Тб., 1971, с. 178-179.

29. История Византии, т. I, М., 1967.

30. Капанадзе Д.Г. Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии. - ВДИ, IV, М., 1970, с. 81-92.

31. Кандураки Э. О натуральной и денежной обращении IV-V вв. - ВВ, XIV, М., 1958, с. 27-37.

32. Леквинадзе В.А. Понтийский лимес. - ВДИ, № 2, М., 1969, с. 75-87.

33. Левченко М.В. История Византии, М., 1944.

34. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959.

35. Пигулевская Н.В. Византия на путях в Индию, М.-Л., 1951.

36. Трапш М.М. Раскопки древнего Себастополиса в р-не Сухумской крепости. - ТАИ, т. 33, 1963, с. 236-252.

37. Успенский Ф.И. История Византии, т. I, СПб., 1901.

38. Цухишвили И.А. Взаимоотношения Восточноримской империи с Западной Грузией в IV-XII вв. (по нумизматическим данным). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ереван, 1987.

39. Шамба М.С. Монетное обращение на территории Абхазии V в. до н.э.-XIII в. н.э., Тб., 1987.

40. Mattingly H. Roman coins from the earlierst times to the fall of Western Empire, London, 1960.

41. Piganiol H. Iempue chretien (325-343), Paris, 1947.

ტაბ. I

იმპერატორები	ციხისძირი	ნოქალაქევი	მოდინახე (საჩხერის რ-ნი)	სოფ. ცხუმარი (მესტიის რ-ნი)	სოფ. გუდავა (გალის რ-ნი)	სოხუმი	გაგრა	ბიჭვინთა					წითონი			
								განძი	ცალკე აღმოჩენა	მე-18 კოშკი	სამაროვანი	IV ს-ის გაურკვეველი	სპილენძი	ვერცხლი	ოქრო	ოქროს მონეტა სამარხიდან
1. დიოკლეტიანე (282-305 წწ.)	2Δ					2Δ					2Δ		6			
2. მაქსიმიანუს ჰერაკლესი (286-305 წწ.)						2Δ							2			
3. კონსტანციუს ქლორი (292-306 წწ.)	1Δ												1			1◊
4. მაქსიმიანუს გალერუსი (292-311 წწ.)					1Δ	2Δ					1Δ		4			
5. მაქსიმიანუს დაზა (305-313 წწ.)						1Δ							1			
6. ლიცინიუსი მამა (307-323 წწ.)	1Δ				1Δ	3Δ			22Δ				27			4◊
7. კონსტანტინე I (306-337 წწ.)	1Δ		3Δ			2Δ		11▲		3Δ			6			1◊
8. კრისპუსი (317-326 წწ.)									4Δ				4			
9. ელენე, კონსტანტინე I დედა (328)								4▲	4Δ				4			
10. კონსტანტინე I-ის გარდაცვალების შემდეგ მოჭრილი		1Δ						52▲	65Δ				66			
11. კონსტანტინე II (337-340 წწ.)	1Δ							6▲	14Δ				15			
12. კონსტანტ I (337-350 წწ.)								75▲	57Δ				57			
13. კონსტანციუს II (337-361 წწ.)	2Δ							102▲	45Δ	2Δ			49			1◊
14. კონსტანციუს II ან კონსტანტ I	4Δ		3Δ		13Δ			60▲			1Δ		17			3◊
15. ვალენსი (364-378 წწ.)														1□		
16. ვალენტინიანე II (375-393 წწ.)									1Δ							
17. არკადიუსი (395-408 წწ.)						1Δ							1	1□		
18. ჰონორიუსი (396-426 წწ.)							1◊									1◊
19. თეოდოსი I (379-395 წწ.).																1◊
20. თეოდოსი II (408-450 წწ.)													1		4○	1◊
21. ევდოკია (თეოდოსი II მეუღლე)									1Δ				1			
22.პულხერია (450-457 წწ.) მარკიანეს მეუღლე															1○	
23. ლეონ I (457-474 წწ.)				1○											5○	
24. ბასილესკუ (476-477 წწ.)															1○	
სულ	12Δ	1Δ	6Δ	1○	15Δ	13Δ	1◊	310▲	217Δ	5Δ	4Δ	4Δ	262	2□	11○	13◊

▲ სპილენძის მონეტების განძი
Δ სპილენძის მონეტების ცალკე აღმოჩენა
□ ვერცხლის მონეტების ცალკე აღმოჩენა
○ ოქროს მონეტების ცალკე აღმოჩენა
◊ ოქროს მონეტები სამარხებიდან

IV-V სს-ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის მონეტების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე

იმპერატორები	არმაზი (მცხეთა)	ბაგინეთი (მცხეთა)	სამთავრო (მცხეთა)	აღაიანი (კახეთი)	ხიდისთავი (გორის რ-ნი)	ურბნისი (ქარელის რ-ნი)	სოფ. ირგა (თეთრიწყაროს)	ბოლნისი	კაზრეთი (ბოლნისის რ-ნი)	დმანისი	ყორშიფალა (დმანისის რ-ნი)	წინანდალი (თელავის რ-ნი)	თელავი	სოფ. ომალო (ახმეტის რ-ნი)	ანდრიაწყნდა (ახალციხის რ-ნი)	ახალქალაქი	სოფ. ოკამი (ახალქალაქის რ-ნი)
1. დიოკლეტიანე (282-305 წწ.)																	
2. მაქსიმიანუს ჰერაკლესი (286-305 წწ.)																	
3. კონსტანციუს ქლორი (292-306 წწ.)																1◊	
4. მაქსიმიანუს გალერუსი (292-311 წწ.)																	
5. მაქსიმიანუს დაზა (305-313 წწ.)																	
6. ლიციინიუსი მამა (307-323 წწ.)																	
7. კონსტანტინე I (306-337 წწ.)				1◊													
8. კრისპუსი (317-326 წწ.)																	
9. ელენე, კონსტანტინე I დედა (328)																	
10. კონსტანტინე I-ის გარდაცვალების შემდეგ მოჭრილი																	
11. კონსტანტინე II (337-340 წწ.)																	
12. კონსტანტ I (337-350 წწ.)																	
13. კონსტანციუს II (337-361 წწ.)	1◊																
14. კონსტანციუს II ან კონსტანტ I																	
15. ვალენსი (364-378 წწ.)			1□														
16. ვალენტინიანე II (375-393 წწ.)																	
17. არკადიუსი (395-408 წწ.)																	1□
18. ჰონორიუსი (396-426 წწ.)																	
19. თეოდოსი I (379-395 წწ.)		1◊															
20. თეოდოსი II (408-450 წწ.)		1◊				1○	1○			1Δ		1○	1○				
21. ევდოკია (თეოდოსი II მეუღლე)											1○						
22. პულხერია (450-457 წწ.) მარკიანეს მეუღლე															1○		
23. ლეონ I (457-474 წწ.)					1○			1○○	1○								
24. ბასილესკუ (476-477 წწ.)														1○			
სულ	1◊	2◊	1□	1◊	1○	1○	1○	1○	1○	1Δ	1○	1○	1○	1○	1○	1◊	1□

IV - V სს აღმოსავლეთ რომის იმპერიის მონეტების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე


გაგრა
ბზიფი
ბიჭვინთა
სოხუმი
კოდორი
ოკუმი
გუდაური
ფსხუ-ბზიფი
რიონი
ბორჯომი
ნოქალაქევი
ფოთი
ცხისწყარი
ფაროლა
ურბნისი
ალიანი
ალაზანი
ბარმაკი
ბაგინეთი
ალაზანი
ალაზანი
ალაზან

აღმოსავლეთ რომის IV-ს სპილენძის მონეტები



ლაშა ძიძიგური

იბერიაში ძვ.წ. I ს. - ახ.წ. II ს. დათარიღებულ რიყიანების ველის სამაროვანზე გამოვლენილი ერთი სამიწათმოქმედო იარაღის შესახებ

იბერიაში, სოფ. აღაიანის (კასპის რ-ნი) მიდამოებში ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის აღაიანის რაზმის მიერ [1, გვ. 1-10] რიყიანების ველის (ძვ. წ. I - ახ. წ. II სს) (სამაროვნის დამათარიღებელი მონეტები: ოროდ II (58/57 - 38/37 წწ.), ფრააატ IV (38/37-32 წწ.), არტაბან IV (38-77 წწ.), ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14 წწ.), ფრააატ III (ძვ.წ. 70-57 წწ.), ტიბერიუსის (ახ.წ. 34-37 წწ.), სინათრუკის (ძვ.წ. 77-7 წწ.), ტიგრან II ტეტრადრაქმა (ძვ.წ. 83-69 წწ.), რომის რესპუბლიკის დენარები (ძვ.წ. 86 წ. 93-92 წწ. 87-60 წწ. 32-21 წწ.) და სხვ.) [1, გვ. 107-110]. N 10 სამარხის ქვეშ, 0,4 მ. სიღრმეში ნაპოვნია სამიწათმოქმედო იარაღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი - სახნისი [1, გვ. 71], უფრო ზუსტად სახნისის ფრაგმენტი (მასრაგახსნილი სატარე მილისი) (ტაბ. I_1).

როგორც ცნობილია, სახვნელი იარაღის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია მის ქუსლზე ლითონის სახნისის დამაგრება. სახნისის შექმნის იდეა სახვნელის დაუცველი ქუსლის ხშირი გაცვეთისა და მისი არამდგრადობის თავიდან აცილების მიზნით უნდა ყოფილიყო გაპირობებული. ამ შემთხვევაში სახნისი უნიკალურ საშუალებას წარმოადგენდა სახვნელი იარაღის სრულყოფისათვის.

ისევე როგორც ყოველი ახლად შექმნილი იარაღი, თავდაპირველად სახნისიც პრიმიტიული ფორმით გამოიჭედებოდა და სახვნელის ქუსლზე მარტივად იქნებოდა დამაგრებული. ამგვარი სახნისი ქუსლის კბილს მთლიანად ფარავდა და ყუნწით იყო მასზე დაკრული ლითონის რგოლებით (ძვ.წ. VI საუკუნის ბერძნული გამოსახულებები) [12, გვ. 122]. სახნისი ქუსლის ფორმის მიხედვით იჭედებოდა და ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს სახნისის მრავალფორმიანობა, რადგანაც ხის სახვნელს მიწათმოქმედი მიწის სპეციფიკიდან გამომდინარე თლიდა: რბილ და ფხვიერ ნიადაგს ფართო სამუშაოპირიანი ქუსლით ამუშავებდა, გრუნტოვან და მკვრივ ნიადაგს - წამახვილებული სამუშაოპირიანი ქუსლით. ამიტომაა რომ სახნისიც მრავალმხრივი და განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი როგორც არქეოლოგიური, ისევე ეთნოგრაფიული მონაცემებით [იხ. 4, გვ. 134-206].

ლითონის სახნისების სრულყოფილი შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, სახვნელი იარაღების ფუნქციონალურ თავისებურებებს განსაზღვრავს და მათი გამოყენების მეთოდებსა და თავისთავად სამუშაო პირობების აგროტექნიკურ შესაძლებლობებს წარმოაჩენს [10, გვ. 98].

სახვნელ იარაღთა ფუნქციონალური თავისებურებანი თავისთავად რთულ ურთიერთკავშირშია მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილების (მხარი, ქუსლი, სახელური) შეკავშირებისა და გამართვის თავისებურებებთან, ე.ი. იმ ნიშან-თვისებებთან, რომლებიც ჩვეულებისამებრ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სახვნელ იარაღთა შესწავლის სრულყოფისათვის. ამ მხრივ კი სახნისის ფორმის ევოლუცია, ახალ ფორმათა გამოჩენა და ცალკეულ სახეობებს შორის გენეტიკური კავშირის დადგენა სწორად განსაზღვრავს სახვნელ იარაღთა ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის დამახასიათებელ აუცილებელ მხარეებს [10, გვ. 98-99]. ამიტომ სახნისის სათანადო შესწავლა და კლასიფიკაცია კარგ საშუალებას იძლევა სახვნელი იარაღების ტიპოლოგიური მხარეების წარმოსაჩენად, რამდენადაც ხის უძველესი სახვნელი იარაღები ჩვენამდე არცთუ ისე ბევრია შემორჩენილი და ძირითადად მათზე მსჯელობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკულპტურული ფიგურებისა და გამოსახულებებიდან გამომდინარეა შესაძლებელი [იხ. 6, გვ. 21-25].

როგორც არქეოლოგიური მასალები ცხადყოფს, ანტიკურ სამყაროში რკინის სახნისები ძვ.წ. VI საუკუნიდან ჩნდება [9, გვ. 100-121]; ევროპის ჩრდილო რეგიონებში წამახვილებულპირიანი ფორმის სახნისები - ჰალშტატის პერიოდში [14, გვ. 52], ხოლო მასრაგახსნილი სახნისები ლატენის ეპოქაში იწყებს გამოჩენას [11, გვ. 68]. ძვ.წ. II საუკუნისათვის სახნისები ჩრდილო შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ხერსონესის მახლობლადაა დადასტურებული [9, გვ. 131]. ახალი წელ-

თაღრიცხვის პერიოდისათვის სამხრეთ ევროპის ტერიტორიაზე გამოჩენას იწყებს თავისებური ფორმის, ყუნწიანი, ბარისებური ფორმის სახნისი, რომლის წარმომავლობასაც თრაკიულს უკავშირებენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაცილებით დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული [8, გვ. 33]. აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ყველაზე უფრო ადრინდელი სახნისი ძვ.წ. II-I სს-ითაა დათარიღებული [10, გვ. 98-101], ხოლო ა.წ. I ათასწლეულში რკინის სახნისები უკვე ფართოდ გამოიყენება ევროპის სამიწათმოქმედო კულტურაში.

მცირე აზიაში რკინის სახნისების გამოჩენა ფრიგიულ ხანას უკავშირდება და თარიღდება ბიუიკელე II (ძვ.წ. VII-VI სს.) და ბიუიკელე I (ძვ.წ. VI-V სს.) პერიოდებით [2, გვ. 76]. ანალოგიური სახნისები სხვა რეგიონებიდან ასევე უძველეს ხანას (ძვ.წ. VIII, VII, VI სს.) განეკუთვნება, ხოლო ერთი მათგანი კიდევ უფრო ძველი, ძვ.წ. IX საუკუნით თარიღდება [2, გვ. 76].

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში სახნისების კლასიფიკაცია ფართოდაა გაშუქებული სხვადასხვა ავტორის მიერ, რომელთა მიხედვითაც უძველესი და შუასაუკუნეების ხანით დათარიღებული სახნისები, რომლებიც შესაბამისი ეპოქებისათვის დამახასიათებელი სახვნელი იარაღებისათვის ყოფილა განკუთვნილი, სამ სახესხვაობად არის გამოკვეთილი: წვერბუდიანი სახნისი - კავებისათვის, ორფრთიანი ანუ მხრებიანი სახნისი - ორხელას ტიპის სახვნელებისათვის, ხოლო ცალფრთიანი (ცალმხრიანი) სახნისი - გუთნისათვის [10, გვ. 28-115].

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტულად შერჩეული სახნისების გაერთიანება ამა თუ იმ ჯგუფში ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით იქნა განხორციელებული, რის დროსაც არ იყო დადგენილი იარაღების შემადგენელი ნიწილების ფორმათა მსგავსებისა და განსხვავების გარკვეული კრიტერიუმი, ამიტომ სახნისების სახეობათა მიკუთვნება სახვნელი იარაღების ამა თუ იმ სახეობისადმი სხვადასხვა ავტორს განსხვავებული მეთოდით ჰქონდა შემუშავებული, ამიტომ ჩვენ ღრმად არ შევიჭრებით კვლევის ამ სფეროში და შევეცდებით აქცენტი ძირითად ასპექტზე გავამახვილოთ.

საგულისხმოა, რომ სახვნელთა ფორმისა და ფუნქციის ერთგვარად სწორი ინტერპრეტაცია და სახნისების კლასიფიკაცია, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს, რისი განხორციელებაც უპირველესად მხოლოდ არქეოლოგიური მასალის საფუძველზეა მიზანშეწონილი. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია სახნისისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებეთა ერთმანეთისადმი სწორი თანამიმართება [10, გვ. 99].

სახნისების კლასიფიკაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ზომებსა და დამახასიათებელ პროპორციებს ენიჭება (მილისის სიგრძე, მილისისა და ღეროს სიგრძე, მილისისა და ღეროს საშუალო სიგანე, უდიდესი სიგანე). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სახნისის საერთო სიგრძის მიმართება მილისის სიგანესთან, სახნისის საერთო სიგრძისა - უდიდეს სიგანესთან, სახნისის საერთო სიგრძის მიმართება - ღეროს ან მილისის სიგრძესთან. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი თითოეული სახნისის წარმოჩენა დამახასიათებელ ფორმათა თავისებურებების გათვალისწინებით და აქედან გამომდინარე, მათი სწორად განსაზღვრა და ერთმანეთთან შედარება [10, გვ. 99].

როგორც აღვნიშნეთ, სახნისის განსხვავებული ზომითა და ფორმით დამზადება სახვნელი იარაღის სამუშაო ქუსლის ფორმის გათვალისწინებით იყო გაპირობებული, რადგან ყოველი ინდივიდი თუ არა, მიწათმოქმედთა გარკვეული ჯგუფი მაინც სახვნელი იარაღის ქუსლს იმ ფორმით თლიდა, როგორსაც ამას დასამუშავებელი ნიადაგი მოითხოვდა. სახნისის ფორმების კლასიფიკაციის დროს გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე მხარე [10, გვ. 99-100]:

1) სახნისის დამაგრების ხასიათი სახვნელის ქუსლზე მილისისა და ყუნწის საშუალებით;

2) მილისის ან ყუნწის და სამუშაო ნიწილის შეფარდებითი სიგანე, რაც გარკვეულად განსაზღვრავს სახვნელ იარაღთა აგროტექნიკურ საშუალებებს;

3) სახნისის სამუშაო ნაწილის სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმა, რაც მუშაობის ხასიათს წარმოაჩენს, ე.ი. განსაზღვრავს სიმეტრიულია თუ ერთმხრივია ხვნა;

4) სამუშაო ნაწილის გრძივი, ხოლო მილისის განივი კვეთის ფორმა, რაც საშუალებას იძლევა გაირკვეს სახნისის მდგომარეობა მუშაობის დროს - კუთხითაა ნიადაგის მიმართ დახრილი თუ ჰორიზონტალურად გაშლილი;

5) სამუშაო პირის ფორმა.

სახნისის მილისისა და სამუშაო პირის სიგანის ერთმანეთისადმი შეფარდების ხასიათის

დადგენისას სახნისის ხუთი ძირითადი სახეობა იკვეთება [10, გვ. 100]:

I - თუ სამუშაო ნაწილისა და მილისის შეერთების მონაკვეთში სიგანე თანაბარია, ე.ი. სამუშაო ნაწილის სიგანე მილისის სიგანეს ემთხვევა გადაკვეთაში და არ არის გამოყოფილი, ასეთი სახნისი ვიწრო სამუშაოპირიანია, რომლის სამუშაო პირი რიგ შემთხვევაში ძლიერ წამახვილებულია, ხშირად კი ოდნივ მომრგვალებული (ტაბ. $I_{3,4,5,8,}$). ასეთი სახნისები ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, ჩრდილო შავიზღვისპირეთში, რომაულ სამყაროში [იხ. 13, გვ. 69-75. სურ. 1,2,3,4, 5,6,7,8,9-11]. სახნისთა ამ კატეგორიას განეკუთვნება ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მუზეუმში დაცული ადრეფეოდალური ხანით დათარიღებული სახნისები (ინვ. A - 236/2; a. 4 650; ინვ. A - 236/2 შ.წ. 5650).

II - თუ სახნისის სამუშაო პირის უდიდესი სიგანე ჭარბობს მილისის სიგანეს შეერთებაში 1 სანტიმეტრით, იარაღზე გამოიკვეთება ოდნავ შესამჩნევი მხრები. ასეთ სახნისებს პატარა მხრებიან სახნისებს უწოდებენ (ტაბ. $I_{6,7}$). მათი სამუშაო პირიც რიგ შემთხვევაში წამახვილებული და ხშირად მომრგვალებულია. ისინი, ისევე როგორც I სახეობის სახნისები, ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის სამხრეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებში, გვხვდება ჩრდილო შავიზღვისპირეთში [10, გვ. 99-100].

III - თუ სახნისის სამუშაო პირის უდიდესი სიგანე მილისთან გადაკვეთაში 1 სანტიმეტრს აღემატება და იარაღზე შესამჩნევად გამოიყოფა განზე გაშვერილი მხრები, ასეთი სახნისი ფართო მხრებიანია. მათაც, ისევე როგორც I და II სახეობის სახნისებს, სამუშაო პირი წამახვილებული და რიგ შემთხვევაში ფართო აქვთ (ტაბ. $I_{9,10,11}$).

მესამე ტიპის სახნისებიც ფართოდ იყო გავრცელებული ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში. ისინი გვხვდება კოლხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში, კერძოდ, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში [7, გვ. 130].

IV - მოკლემილისიანი და გრძელ სამუშაოპირიანი სახნისები (ტაბ. $II_{1,2,3}$). ასეთი სახნისები გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპაში. გვხვდება ისინი კოლხეთშიც [4. ტაბ. VII_8. ტაბ. IX_2]. მსგავსი ფორმები დამოწმებულია პირინეის ნახევარკუნძულზე [13, გვ. 70].

V - მოკლემილისიანი და მასიურ სამუშაოპირიანი სახნისები (ტაბ. $II_{4,5,6}$). ასეთი სახნისები გამოვლენილია აღმოსავლეთ ევროპაში [10, გვ. 105-107], რომაულ სამყაროში [13, გვ. 67-75].

ოსური ლეგენდის მიხედვით, სახვნელი იარაღები ქართველებს გამოუგონიათ [3, გვ. 322, 330]. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ქართველ კაცს ციდან ჩამოვარდნილი გუთნის სურათი უნახავს, რომლის მიხედვითაც მას მსგავსი გუთანი გაუკეთებია, შემდეგ კი მისი გაკეთება სხვებსაც შეუსწავლიათ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის აზრი ჰეროდოტესთან მოხსენიებული სკვითური ლეგენდის მიხედვით ციდან ოქროს გუთნისა და სხვა ნივთების ჩამოცვენის შესახებ [2, გვ. 77]. ლეგენდაში ნათქვამია, რომ ოქროს გუთანი და ნივთები უმცროს შვილს, კოლაქსაოს ერგო, რომლის სახელი ივ. ჯავახიშვილის აზრით, კოლხური ტომის, კორაქსების სახელზეა შექმნილი; კორაქსების კოლხურ წარმოშობას სტეფანე ბიზანტიელიც მიანიშნებს. ფსევდოსკილაქს კორიანდელს „პერიპლესში„ მოხსენიებული ჰყავს კოლხების მეზობლად - კორაქსები, ტომი, რომლის ეთნარქოსად მიიჩნევს ივ. ჯავახიშვილი კოლაქსიას [2, გვ. 77].

საფიქრებელია, რომ მოხსენიებულ ლეგენდებს ერთი საერთო სათავე ჰქონდათ. ამ მხრივ თავისთავად საინტერესოა სახვნელი იარაღის საერთო იდეა ღვთიური წარმოშობის შესახებ, იარაღისა, რომლის გამოყენებაც აღმოსავლურქართულ სამყაროს უკავშირდება, ხოლო სკვითური ლეგენდის მიხედვით - კოლხურს [2, გვ. 77].

ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ლითონის მარტივი სახნისი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კოლხეთში ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში იწყებს გამოჩენას ბრინჯაოს სეგმენტის სახით [5, გვ. 230-239]. რკინის ფართო ათვისების შემდეგ კი მას რკინის სახნისი ცვლის. რკინის სახნისები შედარებით უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, ვიდრე ბრინჯაოს სეგმენტები. რკინის სახნისის ჩამოყალიბება გარკვეულად განიცდის ტექნოლოგიის დახვეწას და იარაღიც სხვადასხვა ფორმისა და ზომის იჭედება. გარკვეულად იცვლება მიწათმოქმედების ხასიათიც. ანტიკურ კოლხეთში, ჩანს, უფრო ფართოდ არის ათვისებული სამიწათმოქმედო ტერიტორიები, აქედან გამომდინარე - შეცვლილია მიწათმოქმედების კულტურაც [იხ. 4, გვ. 134-173].

რაც შეეხება იბერიაში აღმოჩენილ სახნისს,

როგორც ჩანს ეს იარაღი ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციის I სახეობაში უნდა გაერთიანდეს, როდესაც სახნისის სამუშაო პირის სიგანე არ არის მკვეთრად გამოყოფილი სატარისაგან და მათი შეერთების მონაკვეთში სიგანე თანაბარია (იხ. ტაბ. I). ასეთ ვარაუდს მყარ საფუძველს უნდა უქმნიდეს აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე (უკრაინა) ზარუბინცის ნამოსახლარის I-IV სს. ფენებში დამოწმებული მსგავსი ფორმის რკინის სახნისის რამდენიმე მილისის კონფიგურაცია, რომელთა რეკონსტრუქციის დროს [9, გვ. 165-166. სურ. 47] ბარისებურად წამახული სამუშაო პირი იკვეთება (ტაბ. I_2). გვხვდება მსგავსი სატარემილისიანი სახნისები, რომელთა სამუშაო პირი ბრტყელ ფორმას ქმნის (ტაბ. II_7). ასეთი ფორმის სახნისი აღმოჩენილია საირხეში, წყაროსთავის გორის II ფენაში, რომელიც წითლად მოხატული ჭურჭლებით, ქუსლიანი ჯამებით და შავპრიალა კერამიკით ძვ.წ. III-II სს. თარიღდება [იხ. 4, გვ. 144-146 სქოლიო №513, №520].

არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები მკვეთრად წარმოაჩენს ელინისტური ხანის იბერიის ეკონომიკას, რომლის ძირითად საყრდენსაც, როგორც ჩანს სოფლის მეურნეობა ქმნიდა [4, გვ. 173-184]. დანახშირებული მარცვლის სოლიდური რაოდენობაა აღმოჩენილი ციხიაგორაზე გამოვლენილ ბელელში (ძვ.წ. IV-III სს.). მელვინეობის განვითარებას და მის დიდ მნიშვნელობას მიგვანიშნებს მარნის აღმოჩენის ფაქტები. იმავე ციხიაგორაზე ტაძრის დასავლეთით გამოვლენილია ალიზით ნაგები მარანი. სათავსოს ჩრდილო დასავლეთით ძელებით ნაგები საწნახელია დამოწმებული, სადაც საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწები ეყარა. აქვეა გამოვლენილი წისქვილი და მასთან მიმდებარე ერთმანეთის მიჯრით მდებარე ოთხი თონე. რამდენიმე მარანი დამოწმებულია ნასატაკისშიც (ძვ.წ. IV-III სს.) [4, გვ. 181-182]. შესაბამისი ლიტერატურით]. აღაიანში სახნისის გარდა აღმოჩენილია რკინის წალდი და დანები [1, გვ. 18-43]. კავთისხევსა და დიღომში გამოვლენილია მარცვლეული კულტურები: T. dicoccum (ორმარცვალა ხორბალი), T. monococcum (ცალმარცვალა ხორბალი), T. macha (ხორბალი მახა), T. boeaticum (ერთმარცვალა ველური ხორბალი), T. aestivo-compactum (რბილი ქონდარა ხორბალი) და სხვა [იხ. 4, გვ. 180-181].

ამდენად, აღაიანში აღმოჩენილი სახნისი, (ქარელის რაიონში, დედოფლის გორის სასახლის გათხრების დროს, ძვ.წ. I ს. - ახ.წ. I ს. დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა რკინის რამდენიმე ცული, ხერხი, სახნისები, ბარი და ნიჩაბი (ი. გაგოშიძის და თ. თოდუას ინფორმაცია, პუბლიკაცია იბეჭდება) იბერიაში გამოვლენილ სხვა სამეურნეო იარაღებთან ერთად (ცული, თოხი, თოხ-ეჩო, წალდი, ნამგალი, დანა) [იხ. 4, გვ. 177-184] ნათლად წამოაჩენს სოფლის მეურნეობის დონეს, რომელსაც მყარ საფუძველს შეუქმნიდა მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, მიწათმოქმედების აღმავლობა.

ლიტერატურა

1. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983

2. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985

3. **ჩიტაია გ.** ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში. - სსმმ. IV. თბილისი, 1928.

4. **ძიძიგური ლ.** სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის, თბილისი, 2002.

5. **ძიძიგური ლ.** ეგრეთ წოდებული სეგმენტური იარაღის ფუნქციის გარკვევისათვის. - სმამ. ისტ. სერია, №2, 1985.

6. **ძიძიგური ლ.** ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა, თბილისი, 2000.

7. **ჯალაბაძე გ.** მემინდვრეობა იმერეთში. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1978.

8. **Вижарова Х.** О происхождении болгарских пахотных орудии, М., 1956.

9. **Возникновение и развитие замледелия,** М., 1967.

10. **Краснов Ю.** Опыт построения классификации наконечников пахотных орудии, СА № 4, М., 1978.

11. **Краснов Ю.** Древние и средневековые рала Восточной Европы, СА, № 3, М., 1982.

12. **Сергеенко М.** Пахота в древней Италии. - СА, VII, М., 1941.

13. **Juan Caro Baroja.** Tecnologia Popular Espanola: Madrid, 1983.

14. **Wiershausen D.** Tellac. Ferrae-Mannus, B.34, N 1-2, 1952.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
0 5 10

ტაბ. II















თინათინ ჭანიშვილი

ფარი კამარახევის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხიდან

კამარახევის სამაროვანი მდებარეობს შიდა ქართლში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, მდ. არაგვისა და მისი შენაკადის დიდი კამარახევის შესართავთან, მცხეთის რ-ნში, სოფ. წიწამურის სამხრეთით. იგი წარმოადგენს ვაკეს, რომელიც „პირდაპირების მინდორის" სახელით არის ცნობილი. ეს მიდამოები მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, რაზეც მეტყველებს არქეოლოგიურად მეტად საინტერესო მასალა, რომელიც ჯერ კიდევ XX ს-ის 20-იან წლებში ჩნდებოდა. საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებმა გ. ჩიტაიამ და ს. იორდანიშვილმა გათხარეს ქვებით გადახურული ორმოსამარხები. ერთ სამარხში მიცვალებულთან ერთად ცხენიც დაუკრძალავთ („მეომრის სამარხი"). ინვენტარის მიხედვით სამარხი ძვ.წ. VII ს-ით დათარიღდა. შემდგომ მტკვრისა და არაგვის შესართავიდან 1,6 კმ-ზე, მდ. კამარახევის მარცხენა ნაპირას გ. ნიორაძემ გვიანანტიკური ხანის 5 ქვისსამარხი აღმოაჩინა [12, გვ. 6]; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ე.წ. პირდაპირების მინდორზე სამაროვანი გათხარა, რომელიც კამარახევის სახელით არის ცნობილი. შემდგომ წლებში გათხრები განახლდა იმავე ადგილას. გამოვლინდა 130 სამარხი, რომელთაგან 20 ქვისსამარხია, ხოლო 110 ორმოსამარხი. სამაროვანი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღდა (კამარახევის სამაროვნის გათხრებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია - ხელმძღვ. ა. აფაქიძე, რაზმის უფრ. თ. ჯღარკავა).

სამარხებში ადრეანტიკური და ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი, რკინის იარაღი და ბრინჯაოსა და რკინის სამკაული აღმოჩნდა. ერთ-ერთ იარაღიან სამარხში (№ 27) კი ბრინჯაოს ფარი დაფიქსირდა, რამაც სამარხისადმი ჩვენი ინტერესი გამოიწვია (ტაბ. I_1).

ფარი, კამარახევის სამაროვნის № 27 სამარხში დადასტურდა მიცვალებულის ტერფებთან. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს თხელფირფიტოვან (სისქე - 2 მმ.), წრიული ფორმის დისკოს (დიამეტრი 27 სმ), რომელსაც შუაში ნახევარსფერულად ამობურცული უმბონი აქვს (დიამეტრი 5 სმ). ფარის კიდე შემკულია წვრილი, მძივისებური, ამოტვიფრული ორნამენტით. ფარს კიდეზე 1,5 სმ-ის დაშორებით ორი ხელოვნური ნახვრეტი აქვს. ფარი დაზიანებულია (ტაბ. I_8). მსგავსი ფარის აღმოჩენის მეორე შემთხვევა საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურდა ვარსიმაანკარის (ქ. დუშეთიდან სამხერთ-დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. ვარსიმაანთკარში) № 65 და № 18 სამარხებში [22, გვ. 60, ტაბ. LXXXIV; 10, გვ. 67-75, ტაბ. II]. ფარები ტიპოლოგიურად მრგვალი ფორმის ფარებს განეკუთვნება. № 65 სამარხის ფარს (დმ - 30 სმ.) შუაში დეკორატიული რელიეფური სხივისებური ხაზები ამკობს. სამარხი № 65 ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება. ვარსიმაანთკარის ორივე ფარი დაზიანებულია. გამთხრელის ვარაუდით, აქ ფარების საგანგებო დაზიანებასთან გვაქვს საქმე, რაც დაკრძალვის რიტუალთან იყო დაკავშირებული შესაძლო გაძარცვის თავიდან აცილების მიზნით [10, გვ. 71]. ასევე ხელოვნურად დაზიანებული ჩანს კამარახევის ფარიც, რაც ამ ვარაუდის შესაძლებლობას ადასტურებს.

ფარი სამხედრო შეიარაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ თითქმის ყველა დროისა და ქვეყნის მეომრები, როგორც შეიარაღების ერთ-ერთ თავდაცვით საშუალებას. საქართველოს ტერიტორიაზე ფარი ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან; ბრინჯაოს ფარის ფრაგმენტები აღმოჩნდა სამთავროს ძვ.წ. XII-XI სს-ით დათარიღებულ № 87 სამარხში [8, გვ. 40, სურ. 158], სოფ. ბადიაურში ძვ.წ. XI-X სს-ის შემთხვევით აღმოჩენილ ნივთებთან (ფარის დიამეტრი 40 სმ-ს უდრიდა) [13, გვ. 177]. საერთოდ, ფარის აღმოჩენის ფაქტები ცოტაა; ფარის უმბონების (ლითონის გული)

კი, შედარებით ხშირი. ისინი გვხვდება: ლილოში, მელაანში, ვანთაში, ურეკში, წებელდაში, ეშერაში და სხვ. ფარები ხის ან ტყავის იყო. ამიტომ მიწაში ვერ ინახებოდა. რჩებოდა მხოლოდ ფარის ლითონის ნაწილიუმბონი. ასეთივე ფარის უმბონებად მიაჩნია გ. გამყრელიძეს კამარახევის და ვარსიმაანთკარის ფარებიც [4, გვ. 42]. ეს მოსაზრება, მართლაც, გასათვალისწინებელია, თუ გავიხსენებთ ამ ფარების ზომებს (დიამეტრი 27-30 სმ). ფარებისათვის ეს ზომები შესაძლოა მცირე იყოს და ისინი დიდი ზომის ხის ან ტყავის ფარის უმბონებად გაიაზრებოდეს; თუმცა, თუ შევადარებთ ზომებით საქართველოს ტერიტორიიდან აქამდე ცნობილ უმბონებს (დიამეტრი 4-8 სმ), განსხვავება მათ შორის დიდი გამოდის. ამასთანავე, წერილობით წყაროებს თუ გავიხსენებთ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მოსხების, იბერების, კოლხების და სხვ. ქართველური ტომების ფარები მცირე ზომისა იყო. კერძოდ, ჰეროდოტე აღნიშნავს: „მოსხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ, პატარა ფარები და შუბები ჰქონდათ, ხოლო შუბისპირები გრძელი იყო ... კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები. ამას გარდა დანები" [18, VII, 78, 79]. საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც ცნობილია მცირე ზომის ფარები [15, გვ. 227-253]. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით კამარახევის ფარს გააჩნია უმბონისებური გული. ასე რომ, შესაძლებლად მიგვაჩნია კამარახევის და ვარსიმაანთკარის ეს დისკოები პირობითად მაინც ლითონის მცირე ზომის, წრიული ფორმის ფარებად აღვიქვათ.

ფარი განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ანტიკური ხანის ქვეყნებში. კლასიკური ხანის ბერძნულ სამყაროში ფარები წრიული ფორმის იყო; ხისგან დამზადებული, რომელზედაც ზემოდან სხვადასხვა გამოსახულებიან ლითონის ფირფიტებს აჭედებდნენ. მთლიანად ლითონისაგან დამზადებულ ფარებს იშვიათად ხმარობდნენ [23, გვ. 14]. საქართველოს ტერიტორიაზე მრგვალი ბერძნული ფარები (ჰოპლიტური) აღმოჩნდა ჩრდილო შავიზღვისპირეთში: ახულ-აბაასის ძვ.წ. II ს-ის დასასრულით და წითელი შუქურას სამაროვნის ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ (№ 7) სამარხებში [9, გვ. 32-33]. დაახლ. ძვ.წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა ფარები [4, გვ. 41]. ფარის აღმოჩენის ფაქტები ანტიკური ხანის სამარხებში მეტად მცირეა [24, გვ. 99]. იგივე სურათი ჩანს ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზეც. ამასთან, უკვე ელინისტურ ხანაში საომარი იარაღი იშვიათად ან სრულიად არ ჩანს კომპლექსებში [2, გვ. 79-80]. ამ მხრივ გამონაკლისია კამარახევის (კამარახევის სამაროვანზე 130 სამარხიდან 27 სამარხში სხვადასხვა სახის იარაღი და მათ შორის ფარიც დადასტურდა) და ვარსიმაანთკარის სამაროვნები, სადაც იმ დროისათვის ცნობილი საომარი იარაღის თითქმის ყველა სახეობით არის წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ფარის აღმოჩენის ფაქტები იშვიათია კომპლექსებში, ფარის გამოსახულებები ხშირად ჩანს ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვადასხვა მატერიალურ ძეგლებზე: თიხის ჭურჭელზე, გემებზე, რელიეფზე და სხვ. ეს საშუალებას იძლევა თვალი გაედევნოს ანტიკურ ხანაში ამ იარაღის განვითარების პროცესებს. ყოველივე ეს ნაკლებად აისახა საქართველოს ძეგლებზე. ჯერჯერობით ფარის გამოსახულების შემთხვევები გვაქვს სამადლოს თიხის ჭურჭელზე [19, გვ. 88] და ახლახან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსულ სოფ. გომის ყანწრიტონზე [4, გვ. 39-49].

სამადლოს ნაქალაქარის ელინისტური ფენის პირველ სამშენებლო ჰორიზონტში (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული - ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი) აღმოჩენილ თიხის სამ ჭურჭელზე: კრატერზე, პითოსზე და პითოსის ნატეხებზე მოცემულია ნადირობის, ბრძოლისა და მამაკაცთა ფერხულის სცენები. კრატერისებურ ჭურჭელზე მამაკაცთა ფერხულისა და ქვეით მეომრების ბრძოლის სცენებია გამოსახული. მეომრები შეიარაღებულნი არიან ფარებითა და სატევრებით [20, გვ. 19, სურ. 227]; პითოსზე (სიმაღლე - 170 სმ.) სამი წითლად მოხატული ფრიზია. პირველ ფრიზზე ნადირობისა და ბრძოლის სცენებია მოცემული: ორი შუბით შეიარაღებული მხედარი და ორი სატევრითა და ფარით შეიარაღებული ქვეითი ებრძვის ერთმანეთს [20, გვ. 20, სურ. 233]; ხოლო პითოსის ნატეხებზე ასევე ნადირობისა და ბრძოლის სცენაა გამოსახული: მუზარადიანი, ხელშუბოსანი სამი მხედარი და ფარითა და შუბით შეიარაღებული ქვეითი მეომარი უტევს შუბით დაჭრილ და დაცემულ მეომარს, რომელსაც ხელში უჭი-

რავს ფარი და მახვილი [20, გვ. 20, სურ. 234]. ამრიგად, ამ ჭურჭლებზე სულ 5 ფარია გამოსახული. ნახატები სტილიზებულია. ფარების გამოსახულებაც სტილიზებულია. ორი რამ მაინც შეიმჩნევა: ფარები ტიპოლოგიურად წრიული ფორმისაა და ზომებით მოზრდილი (მეომრებს თავს და ტანს უფარავს).

განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. გომის ყანწ-რიტონზე გამოსახული ბრძოლის სცენა, სადაც მეომრებს ოთხკუთხა ფარები უჭირავთ. სასმისის მხატვრულ-სტილისტური, სიუჟეტური კომპოზიციისა და მეომართა აღჭურვილობის დეტალური ანალიზის შედეგად გ. გამყრელიძე ყანწ-რიტონს გვიანელინისტურ-გვიანანტიკურ ხანაში ადგილობრივ დამზადებულ ნაწარმად მიიჩნევს. მეომრების ოთხკუთხა ფარებს მარჯვენა კუთხე ამოჭრილი აქვთ (გამოსახედი); ფარი განსხვავებულია აქამდე ცნობილ გამოსახედიან ფარებისგან და ავტორის აზრით, საბრძოლო აღჭურვილობის განვითარების ადგილობრივ ნოვაციას წარმოადგენს [4, გვ. 41-45]. ამრიგად, ანტიკურ ხანაში ფარის კიდევ ერთი საინტერესო სახეობა ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე. და ბოლოს, კამარახევის ფარის თარიღის დადგენისათვის, საჭიროა სამარხეული კომპლექსის ანალიზი. სამარხი № 27 გაითხარა 1976 წ. იგი აღმოჩნდა სამაროვნის მე-5 და მე-6 კვადრატების საზღვარზე. სამარხი კომბინირებულია; ნაგებია ქვიშაქვის ფილებითა და რიყის ქვებით (ზ. 1,75x0,85 მ). სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული (მამაკაცი) დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. მიცვალებულს თავი რიყის ქვის „სასთუმალზე" ედო. მიცვალებულის ფეხებთან დაფიქსირდა აღაპის ნაშთი. სამარხში აღმოჩნდა თიხის 2 დოქი, ბრინჯაოს მანჭვლებით შეერთებული ბრინჯაოს მუზარადი (?), ბრინჯაოს ფარი, რკინის ერთმანეთზე მიდებული 2 შუბისპირი; დანა მოხრილი; ბეჭედი ოვალური ბუდით - 2 ცალი და კაურები - 27 ცალი [1, გვ. 106-107, სურ. 473-476; 17, გვ. 150, სურ. 1022-1029] (ტაბ. I_{2-8}).

სამარხში აღმოჩენილ დოქებიდან, ერთი წერნაქითაა წითლად შეღებილი (სიმაღლე - 12,7 სმ., დმ. პირის - 5,2 სმ., მუცლის - 10,1 სმ-ის, ძირის - 4,5 სმ.) (ტაბ. I_2). დოქები ცალყურაა, მსხლისებურტანიანი. ისინი მიეკუთვნება ადრეელინისტური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე დოქების შედარებით გავრცელებულ ტიპს, რომლებიც გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, კავთისხევში [11, გვ. 31-33, ტაბ. $XXXI_{4,5}$], უფლისციხეში [16, გვ. 77, ტაბ. XLV_5], ეცოში [14, გვ. 58, ტაბ. I, 74-1, 87-12], კუშჩში [3, გვ. 50, ტაბ. VI1], ვანში [6, გვ. 91, სურ. 77,4], დაბლაგომში [7, გვ. 16, ტაბ. IX_2] და სხვ. ამ დოქების გავრცელების ადრეული ხანაა ძვ.წ. V-IV სს-ის პირველი ნახევარი; მისი ფართო გავრცელება ხდება ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ის დასაწყისში [21, გვ. 36, სურ. 470-472, 475]. ასევე ძვ.წ. IV ს. და III ს-ის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს № 27 სამარხის დოქები. სამარხში აღმოჩენილი რკინის შუბისპირები (სიგრძე 30-32 სმ.) (ტაბ. I_6) ერთმანეთზე მირჩილული და დაჟანგულია. ამიტომ შუბისპირების ტიპის დაზუსტება გაძნელდა. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი მიეკუთვნებიან შუბისპირების იმ ტიპს, რომელიც ძირითადად გავრცელებულია თვით კამარახევის სამაროვანზე: მასრაგახსნილი, გრძელმასრიანი, ფოთლისებურპირიანი [17, სურ. 1096, 1267]. პარალელები ასეთ შუბისპირებს საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ ძვ.წ. VII-V სს-ის მასალებში. ისინი გვხვდება: ქვემო ქართლის (ბეშთაშენი) ძვ.წ. V ს-ის სამაროვანზე, წოფის ძვ.წ. VIII-VI სს. და VI-V სს-ით დათარიღებულ სამარხებში, შავსაყდარას ძვ.წ. VI-IV სს-ის სამარხებში და სხვ. საერთოდ, ანალოგიური შუბისპირები გავრცელებულია საქართველოს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ეს სახეობა „... არსებობას ინარჩუნებს ელინისტური ხანის მასალებს შორისაც, მაგრამ ერთეული და გამონაკლისის სახით" [5, გვ. 45, ტაბ. VI12]. ასევე ფართოდ გავრცელებულია სამარხში აღმოჩენილი რკინის მცირე, მოხრილი დანის (სიგრძე - 10 სმ.) ანალოგები, რომლებიც ჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VII ს-დან და გვიანანტიკურ ხანაშიც არსებობენ [5, გვ. 47-49]. სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მანჭვლებით შეერთებული ბრინჯაოს ფირფიტები (სიგანე - 3-4 სმ.), რომელთაც შიდა მხარეს ქსოვილის ნაშთები ემჩნეოდა, გამთხრელის ვარაუდით მუზარადის ფრაგმენტებს წარმო-

ადგენს [17, გვ. 150] და ბოლოს, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს წრიული ფარი.

ამრიგად, კამარახევის სამარხი № 27, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV ს-ით წარმოდგენილი იყო მეომრის შეიარაღების თითქმის მთელი კომპლექსით.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., ჯღარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ.** მცხეთა, 1976, მცხეთა II, თბ., 1978, გვ. 81-156.

2. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.

3. **გაგოშიძე ი.** თრიალეთის სამაროვნები. თბ., 1982.

4. **გამყრელიძე გ.** ვერსია ბრძოლის სიუჟეტიანი ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან. - ძიებანი, № 10, 2002, გვ. 39-49.

5. **დავლიანიძე ც.** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.

6. **თოლორდავა ვ.** ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის გათხრების შედეგები. - ვანი, VIII. თბ., 1986, გვ. 72-92.

7. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.

8. **კალანდაძე ალ.** სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. - მცხეთა, ტ. V. თბ., 1981, გვ. 7-119.

9. **კვირკველია გ.** ჰოპლიტური ფარები კოლხეთში. - ძიებანი, № 7, 2001, გვ. 32-40.

10. **მუხიგულაშვილი ნ.** ვაარსიმაანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ფარები. - არქეოლოგიური ძიებანი. თბ., 1986, გვ. 67-75.

11. **ნაკაიძე ნ.** ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების" სამაროვნიდან. - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.

12. **რამიშვილი რ.** კამარახევის სამაროვანი. - მსკა, II. თბ., 1959, გვ. 5-53.

13. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

14. **შატბერაშვილი ვ.** ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხები. - ძიებანი, № 3, 1999, გვ. 57-67.

15. **ჩოლოყაშვილი კ.** ქართული საბრძოლო იარაღები. ფარი. - სსმმ, XVIII-, 1954, გვ. 227-253.

16. **ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე, ტ. I. თბ., 1964.

17. **ჯღარკავა თ.** კამარახევის სამაროვანი. - მცხეთა VI, თბ., 1982, გვ. 139-181.

18. **ჰეროდოტე.** ისტორია, ტ. II. თბ., 1976.

19. **Гагошидзе Ю.М.** Самадло (археологические раскопки). Тб., 1979.

20. **Гагошидзе Ю.М.** Самадло. Каталог археологического материала. Тб., 1981.

21. **Нариманишвили Г.К.** Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб., 1991.

22. **Рамишвили Р.М., Джорбенадзе В.А., Глонти М.Г., Мухигулашвили Н.З., Робакидзе Ц.Ш., Чихладзе В.В., Циклаури Д.К., Маргвелашвили М.Г., Рчеулишвили Г.М., Ломидзе Ц.Ш., Циклаури И.Д., Церетели К.Б.** Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции. - ПАИ в 1981 году, Тб., 1984, с. 59-68.

23. **Сокольский Н.И.** О боспорских шитах. - КСИИМК, 1955, вып. 58, с. 14-24.

24. **Черненко Е.В.** Скифский доспех. Киев. 1968.

ᲡᲣᲠ. I



ანა ჭყონია

ოქროს საყურე ძეგვიდან (მცხეთის რაიონი)

საქართველოს კონტაქტები გარე სამყაროსთან, უცხო კულტურული არეალიდან მოღწეული ინოვაციები თუ იმპულსები, მათი ანარეკლი ადგილობრივ მხატვრულ აზროვნებაზე ფართო ქრონოლოგიურ საზღვრებსა და მატერიალური კულტურის მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს. ამ საკითხების კვლევისას მნიშვნელოვანი ადგილი ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებს მიეკუთვნება. ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა ოქროს ერთი საყურე, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა სოფელ ძეგვის მიდამოებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, მის მცირე შენაკად - ციხედიდისხევის მარცხენა ნაპირზე (მცხეთის რაიონი). საყურე ნაპოვნი იყო ადგილობრივი მოსახლის - ეფრემ ლუკას ძე კვახაძის მიერ, ხოლო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შევიდა ნიკოლოზ ღამბაშიძის მეშვეობით [16, გვ. 22; 15, გვ. 89]. აქვე საგანგებოდ აღსანიშნავია ამ გამორჩეული პიროვნების, განათლებით ტოპოგრაფის, განსაკუთრებული დამსახურება „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების გადარჩენისა და დაცვის საქმეში; მისი არქეოლოგიურ-ტოპოგრაფიული დაზვერვების შედეგად შეკრებილმა არაერთმა საინტერესო ნიმუშმა, მათ შორის ძეგვის საყურემ (ინვ. № 1-46:1), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამუდამოდ დაიდო ბინა.

საყურე მთლიანად ოქროსგანაა დამზადებული (წონა - 5,36 გ); მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტებია რგოლი, საკიდი, რგოლისა და საკიდის დამაკავშირებელი ყუნწიმილაკი: რგოლზე მოძრავად-ყუნწით შეკიდულია შიშველი მამაკაცის მოცულობითი გამოსახულება (სურ. 1-2. რგოლი ორივე შემთხვევაში ფიქსირებულია en face, ხოლო საკიდი - en face და პროფილში; მისი მდგომარეობა შეცვლილია მოძრავი ყუნწის მეშვეობით). რგოლი წრიულია (წრიულს მიახლოებული), გახსნილი-ბოლოები ერთმანეთთან მიჯრითაა მისული, სადა; მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი მავთულისგან (ბოლოებისკენ თანდათან მცირედ შესქელებულია). საკიდი - მამაკაცის ფიგურა - ჩამოსხმულია, ზედაპირი გაპრიალებულია (ჩანს მცირე ზომის ღრმულები, ღრუა?); დამატებით დამაგრებულია ფირფიტისგან გამოჭრილი ხელის მტევნები - სქელი, მოკლე, გაშლილი თითებით, რომლებშიც მოქცეულია ასევე ფირფიტისგან გამოყვანილი სფერული საგანი (ჩვეულებრივ, მოცულობითი ფიგურების დამზადება ხდებოდა ორი ხერხით: გამოტვიფრული ნაწილების ერთმანეთთან შეერთებით ან ჩამოსხმით და ზოგიერთი დეტალის შემდგომ დამატებით [60, ტაბ. 52, № 62, ტაბ. 60, № 60; 57, №№ 59, 62, 63; 20, გვ. 53-54]). ფიგურა მოცემულია მოძრაობაში: მოკლე, მსხვილი ფეხები მუხლებში მოხრილია ასიმეტრიულად, ორივე ხელი იდაყვშია მოღუნული და სფერულ საგანთან ერთად წინ გაშვერილი. შიშველი, მსუქანი - თითქოს ბავშვური სხეული კარგადაა მოდელირებული. სხეულზე აღინიშნება ჭიპი მრგვალი ჩაღრმავების სახით, ფეხებზე თითები - მოკლე ღარების საშუალებით. თავი არაპროპორციულად დიდია. კისერი დაბალია - თავი თითქმის პირდაპირ, კისრის გარეშე, შეერთებულია სხეულთან. სახის ნაკვთები მსხვილია, გადმოცემულია დეტალურად: გამოკვეთილი ნიკაპი, ოდნავ გაღებული პირი, სწორი ცხვირი, დიდი წაგრძელებული თვალები, ასევე დიდი ზომის ყურები; შუბლი დაბალია, ნაწილობრივ დაფარულია ლილვაკისებური ფორმის, ჭდეებით შემკული დიადემით (თუ ბაფთით); ვარცხნილობა სადაა - თმები გადმოცემულია სწორხაზოვნად მიმართული ღარებით. სახის ნაკვთები შემდეგ დამატებით დამუშავებულია. თავზე, ზემოდან, დარჩილულია ყუნწი (ნახვრეტით პრო-



ფილში). მილაკი - ყუნწი მიღებულია ფირფიტის წრიულად დაკეცვის შედეგად; შუა ნაწილი მკვეთრად ჩაღრმავებულია, შემკულია ირგვლივი გრეხილი მავთულებით - სამი მავთული ერთმანეთთან მიჯრითაა განლაგებული და წნულს ემსგავსება; კიდეები ჩაკეცილია. ყუნწისა და რგოლის ღეროს დიამეტრების სხვაობა (რგოლის ღეროს უდ. დმ - 2,5 მმ; ყუნწის დმ - 5 მმ) რგოლზე საკიდის თავისუფლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. საყურის საერთო სიმაღლე 40 მმ-ს აღწევს, საკიდის სიმაღლე, ყუნწიანად 27 მმ-ია, რგოლის უდ. დმ - 15,5 მმ. საყურე სრულია; რგოლი მცირედ დეფორმირებულია, სფერული საგანი დაზიანებულია - მცირედ ჩახეულია და დეფორმირებული.

ძეგვის საყურე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სპეციალისტთა ყურადღების მიღმა დარჩა. „მცხეთა I-ში", მცხეთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურ ძეგლთა მოკლე მიმოხილვისას მხოლოდ დასახელებულია მტკვრის პირას, სოფ. ძეგვის ჩრდილოეთით ე.წ. ბარგიყარიას მინდორზე შემთხვევით ნაპოვნი „ოქროს მინიატურული ქანდაკება (ადამიანისა თუ ღვთაების)" ან „ოქროს პაწია ქანდაკება-საკიდი" [1, გვ. 4, 13]. 1968 წელს გამოცემულ ბ-ნ ლ. ჭილაშვილის ნაშრომში დადასტურებულია ძეგვში შემთხვევითი აღმოჩენების სიმრავლე [12, გვ. 103], მაგრამ კონკრეტულ ნიმუშებზე, მათ შორის ოქროს საყურეზე, მითითება არ არის.

ძეგვში აღმოჩენილი სამკაული მოიხსენია ბ-მა ი. გაგოშიძემ თავის გამოკვლევებში სამადლოს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მეცნიერი არ ისახავს მიზნად ამ საყურის სპეციალურ შესწავლას - მხოლოდ აღნიშნავს აღმოჩენის ფაქტს და თარიღს (ძვ.წ. I საუკუნე) [16, გვ. 22-23]; სამადლოს ოქროს საყურის განხილვისას კი ასახელებს მას, როგორც ერთ-ერთ მაგალითს ელინისტურ ხანაში გავრცელებული მოძრავსაკიდიანი საყურეებისა, და კვლავ მიუთითებს თარიღს - ძვ.წ. I საუკუნეს [2, გვ. 59; 16, გვ. 75].

ამ საყურეზე შედარებით დაწვრილებითაა საუბარი ბ-ნ გ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში და ფაქტიურად ესაა პირველი ცდა მისი შესწავლისა [15, გვ. 89-90, ტაბ. XXIII_{62}]. მკვლევარი ძეგვის სამკაულს განიხილავს მხოლოდ ერთი კუთხით, კერძოდ, როგორც ანთროპომორფული პლასტიკის საინტერესო ნიმუშს; ადარებს მას ყაზბეგის განძის ბრინჯაოს ანთროპომორფულ ფიგურებს, რომლებიც ჯაჭვებზე ყოფილა შეკიდული; ამასთან დაასკვნის, რომ ძეგვის ოქროს ფიგურა წარმოადგენს არქაული სახის და გვიანანტიკურ ხანაში დამკვიდრებული ახალი, უფრო რეალისტური ფორმის ნაერთს. ე.ი. საყურე ზოგადად გვიანანტიკური ხანის ძეგლადაა მიჩნეული, როგორც ჩანს, იმ ვითარების გამოც, რომ ის აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის დანგრეული სამარხის მიდამოებში. აქ აუცილებლად მხედველობაშია მისაღები აღმოჩენის შემთხვევითი ხასიათი, ამიტომ დათარიღებისთვის აღმოჩენის პირობებზე დაყრდნობა ალბათ გამოსარიცხია.

ამჟამად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ძეგვის საყურის განხილვა, გამომდინარე საიუველირო ხელოვნების სპეციფიკიდან, მრავალრიცხოვანი მასალისა და გამოკვლევის გათვალისწინებით. საიუველირო ხელოვნების ეს ერთი მცირე ნიმუში მეტად საინტერესო და საგულისხმო ინფორმაციის შემცველია; მისი ტიპოლოგიური, მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, გამოსახულების ატრიბუცია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევას შეუწყობს ხელს.

სამკაული განეკუთვნება ე.წ. მოძრავსაკიდიან საყურეთა ტიპს, რომლის ფართოდ გავრცელება ელინისტურ ხანას უკავშირდება. მოძრავი ელემენტების არსებობა ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების - ელინისტური კოინეს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია (საიუველირო ხელოვნებაში κοινή ნიშნავს მხატვრული სტილისა და ტექნიკური საშუალებების უნიფიკაციას [20, გვ. 41]; სამკაულთა რეპერტუარში ეს გამოიხატა ზოგადი ტიპების ჩამოყალიბებით. ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების შესახებ იხ.:[32, გვ. 63-70; 40, გვ. 154-177; 41, გვ. 1-16; 34, გვ. 200-296]).

ძვ.წ. III საუკუნიდან დინამიკური სტილის განვითარების ტენდენცია თავს იჩენს საქართველოს საიუველირო ხელოვნების ძეგლებშიც. ძვ.წ. III-I სს-ებით დათარიღებული მოძრავსაკიდიან საყურეებში დადასტურებულია ძირითადად ერთი ტიპი - ე.წ. მოძრავბურთულიანი საყურეები [16, გვ. 75; 13, გვ. 68-69]. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ცნობილია მცხეთა-სამთავროდან [4, გვ. 52, ტაბ. XLVIII_{10}], მარტყოფისხევიდან [13, გვ. 68, შენიშვნა 85], სამადლოდან [17, გვ. 44, ტაბ. LX_2], ციხიაგორიდან [11, გვ. 41, სურ. 32], უფლისციხიდან [14, გვ. 76, ტაბ. XLIV_4, გვ. 82, ტაბ. XLVIII_{10}; 8, სურ. 30; 10, გვ. 79, სურ. 31; 9, გვ. 88, ტაბ. LXV_5], დასავლეთ საქართველოში - ვანიდან [13, გვ. 113-

114, კატ. №№ 79-81, სურ. 42], დაბლაგომიდან [6, გვ. 70, № 9, სურ. 99], სამხრეთაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონიდან (ცნობა მოგვაწოდა ბ-ნმა ა. კახიძემ). ამ ტიპის საყურეების საკიდები - „ბურთულები" სხვადასხვაგვარია: სადა, მავთულშემოვლებული ცვარათი ან მხოლოდ ცვარათი შემკული, პოლიქრომიული. ყველა ნიმუშზე გამოკვეთილად ჩანს ელინისტური ხანისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მოძრავი საკიდების, შემკულობის სისტემისა და კანონიკური ელემენტების სახით მჟღავნდება. ამასთან ერთად, ისინი ელინისტური ხანის მრავალსახოვანი საყურეების ფონზე მაინც თავისებურად გამოიყურება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა საყურეთა ტიპური ფორმები, ფართოდ გავრცელებული მთელ ელინისტურ სამყაროში (ელინისტური ხანის საყურეების დახასიათება და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ იხ.: [39, გვ. 37-45; 40, გვ. 160-168; 34, გვ. 222-232, 258-265, 286-292]). როგორც ჩანს, სამკაულის ეს სახეობა ჩამოყალიბდა ძირითადად ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე [26, გვ. 521-522, სურ. 4-5; 30, გვ. 49, სურ. 8-9].

ბოლო ხანების გამოკვლევებმა ერთგვარი კორექტივი შეიტანა ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების ცენტრების დადგენის საქმეში. ელინისტური კოინეს საყოველთაოდ გავრცელების მიუხედავად, ამჟამად უკვე შესაძლებელი ხდება მრავალრიცხოვანი მასალის შესწავლისა და მხატვრულ-სტილისტური შედარებითი ანალიზის საფუძველზე ლოკალური სტილისა და რეგიონალური განსხვავებების გამოყოფა ([51, გვ. 2 და შმდ.] შდრ.: [40, გვ. 156; 41, გვ. 15; 56, გვ. 102-104; 20, გვ. 40-41]). ამ „რეგიონალურ თავისებურებათა" საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ზემოაღნიშნული საყურეებიც [31, გვ. 68-70].

მოძრავსაკიდიანი საყურეები - მათი აგებულების პრინციპი, როდესაც მოძრავსაკიდიანობა დამყარებულია ყუნწისა და რგოლის მავთულის დიამეტრების სხვაობაზე, - სხვა სახის მოძრავსაკიდიან საყურეებთან ერთად, საქართველოში არსებობას განაგრძობს ახ.წ. I-III საუკუნეებშიც. ბორში [22, გვ. 98, № 8, ტაბ. II_{10}], კლდეეთში [7, გვ. 41-42, ტაბ. I_1, XVI_1] აღმოჩენილია მოძრავბურთულებიანი საყურეები (განსხვავებით ელინისტური ხანის მოძრავბურთულიანისა), რომლებიც ყურძნის მტევანს ემსგავსება.

ძეგვის საყურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია წრიული, გახსნილი, სადა რგოლი. მსგავსი სამკაული, როგორც დამოუკიდებელი ფუნქციის მატარებელი ან როგორც რთული შედგენილობის საყურის ელემენტი, კარგადაა ცნობილი ძვ.წ. IV ს.-ის ბოლოდან ახ.წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით (სამადლო [2, გვ. 58-59; 16, გვ. 74], სამთავრო [5, გვ. 149-150], ვანი [13, გვ. 69] და სხვ.). ის ენაცვლება ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღებულ ასევე წრიულ და გახსნილ, მაგრამ ბოლოებგაფართოებულ და გახვრეტილ საყურე რგოლებს [13, გვ. 70]. გამოთქმულია მოსაზრება საყურე რგოლის მრავალჯერადი გამოყენების შესახებ [2, გვ. 59; 16, გვ. 74], ე.ი. რგოლი იხმარებოდა მუდმივად, ალბათ ზოგჯერ საკიდის გარეშეც, ხოლო მასზე შეკიდული საკიდი იცვლებოდა. ამის ერთ-ერთი მაგალითი უნდა იყოს ვანის ნაქალაქარზე შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს საყურე [13, გვ. 67-68, 113-114, კატ. № 80, სურ. 42]: რგოლი და საკიდი - მავთულშემოვლებული ცვარათი შემკული ბურთულა - სხვადასხვა ხარისხის, ვიზუალური დაკვირვების თანახმად, სხვადასხვა ფერის ოქროსგანაა დამზადებული. აქ, ალბათ, უნდა გამოირიცხოს ფერთა შეხამებით მიღებული მხატვრული ეფექტი, რადგან ფერთა სხვაობა თვალშისაცემი არ არის. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში რგოლზე საკიდის მონაცვლეობას აქვს ადგილი.

საქართველოში გავრცელებული ელინისტური ხანის მოძრავსაკიდიან საყურეებთან შედარებისას ძეგვის სამკაული თავისებურად გამოიყურება. ამ ნიმუშებთან მას აერთიანებს სადა გახსნილი რგოლი, მოძრავსაკიდიანობა და საკიდის რგოლთან დაკავშირების პრინციპი. ძეგვის საყურის გამორჩეულობა და უნიკალურობა გამოიხატება მის საკიდში, რომელიც გაფორმებულია შიშველი მამაკაცის მოცულობითი ფიგურის სახით: საქართველოში ელინისტური ხანის, ასევე წინა პერიოდის და შემდგომი - ახ.წ. პირველი საუკუნეების საიუველირო ხელოვნების ძეგლებს შორის მსგავსი ფიგურულსაკიდიანი ოქროს საყურე ჯერჯერობით უცნობია.

ფიგურულსაკიდიანი საყურეების, როგორც გარკვეული სახეობის, ჩამოყალიბებას ანტიკურ სამყაროში საფუძველი ეყრება ე.წ. კლასიკურ ხანაში, უფრო ზუსტად, კლასიკური ხანის დასასრულს. საერთოდ, ელინისტური ხანისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმა თუ ორნამენტული სახე თავს იჩენს გვიანკლასიკური ხანის ოქრომჭედლობის ბოლო ფაზაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ფიგურულსაკიდიანი საყურეები და „მინიატურული

პლასტიკა“ [34, გვ. 204]. ფიგურულსაკიდიანი საყურეების თვალსაჩინო ნიმუშები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან, მცირე აზიიდან, კრეტადან, საბერძნეთიდან, იტალიიდან [35, გვ. 112; 39, გვ. 37 და შმდ.; 47, №№ 1655, 1672; 34, გვ. 180-188; 46, გვ. 12; 21, გვ. 62-66; 51, გვ. 197 და შმდ., ტაბ. 27-28, 31 და სხვ.]. ფიგურულსაკიდიანი საყურეები (სასაფეთქლეები) აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარსა [13, გვ. 27-30, 104, კატ. № 16, სურ. 8-9] და ახალგორში [24, გვ. 23-29, ტაბ. III_{26}; 3, გვ. 6-7, 30, ტაბ. VI; 37, გვ. 124, ტაბ. 231-3; 45, გვ. 148 და შმდ., სურ. 22, 32]; ისინი ძვ.წ. IV საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნებიან და ელინისტური ხანის საყურეთა ერთ-ერთ წინამორბედებად გვესახებიან, რომლებშიც შერწყმულია ახალი მხატვრული ტენდენციები წინა პერიოდის ტრადიციულ ელემენტებთან.

ელინისტურ სამყაროში ფიგურულსაკიდიანი საყურეები ფართოდაა გავრცელებული და წარმოდგენილია მრავალფეროვანი ჯგუფებით. დადასტურებულია ცხოველთა თუ ცხოველთა თავების, ფრინველების - განსაკუთრებით ხშირად გედისა და მტრედის, ეტლში შებმული ცხენების, ღვთაებების - ნიკეს, სირენების, ჰანიმედის, ეროტების ... გამოსახულებები. ანტიკურმა მწერლობამ შემოგვინახა საკიდების მიხედვით სამკაულთა სხვადასხვა სახელწოდებაც კი (Pollux, V, 16, 97) [53, გვ. 445; 29, ტაბ. CIV-CIX; 32, გვ. 63-64; 40, გვ. 165-168, ტაბ. 48]. ღვთაებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეროსი-ეროტის (᾽Ερως, ᾽Ερωτος) - აფროდიტეს ძის, მისი თანმხლებისა და თანაშემწის (ὁ πάρεδρος), სიყვარულის ღმერთის [36, გვ. 1342-1343] ფიგურას; ელინიტური ხანის საიუველირო ხელოვნებაში ეროტის გამოსახულება ერთ-ერთი პოპულარული მოტივია [39, გვ. 41-44; 47, №№ 1889-1890, 1914 და სხვ. ტაბ. XXXII-XXXIII; 28, გვ. 141, №№ 290-291; 29, №№ 402-403; 23, გვ. 14, სურ. 1; 50, გვ. 278; 54, გვ. 269; 52, ტაბ. XXIX5; 55, გვ. 52, 54, №№ 44ი, 45 ი; 38, გვ. 36; 20, გვ. 52-54, სურ. 8; 48, გვ. 31, ტაბ. 17; 49, გვ. 22; 44, გვ. 413-414, 420-422, სურ. 113-114, 125-126; 40, გვ. 166; 33, გვ. 66; 34, გვ. 203-204, 216, 226, 230, 242, სურ. 152, 166; 42, გვ. 175-176, №№ 95-97; 51, გვ. 187-193]. მიუხედავად ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლებს შორის ამან სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა. ჯერჯერობით ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება მიჩნეული იყოს ძეგვის საყურე, რომლის საკიდი - მამაკაცის სხეული ზედმიწევნით ემსგავსება თითქოს ჰაერში მფრინავ ეროტის გამოსახულებას. ძვ.წ. III საუკუნიდან ეროტები წარმოდგენილია სწორედ ასეთი ბავშვური ჩასუქებული სხეულით და მსგავს პოზაში (განსხვავებით უფრო ადრეული ხანის - ძვ.წ. IV ს. - ფიგურებისგან, როდესაც ეროტი ზრდასრული მამაკაცის სახით, გრძელი გამხდარი სხეულით არის გამოსახული. მაგალითად, იხ. ათენის აგორაზე ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი ოქროს საკიდი [34, გვ. 203-204]).

ეროტების გამოსახვის ეს სქემა ელინისტურ სამყაროში მყარად დამკვიდრდა და ერთგვარად კანონიკური ფორმა შეიძინა. საერთოდ, ეროტის იკონოგრაფიული ნიშნების ჩამოყალიბებაზე თვალის გადევნება მთელი ელინისტური ხანის განმავლობაში, სამი საუკუნის მანძილზე მაინც, შესაძლებელი გახდა ტერაკოტების, აგრეთვე, ქანდაკების, მხატვრობის შესწავლის საფუძველზე [43, გვ. 170; 59, გვ. 129; 19, გვ. 14, 16-18, 52-53, 81-82, 91-98, 108, 111, 118; 18, გვ. 32, 68-70]. გაირკვა, რომ ეროტების ატრიბუტები საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია: კეტი, ჩირაღდანი, გვირგვინი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ნიღაბი, მშვილდი, ფარი... აგრეთვე სხვადასხვა ჭურჭელი - ფიალა, დახურული ჭურჭელი (ἡ πρόχους), ალაბასტრონი და სხვ. დამახასიათებელი ელემენტია ეროტის თავზე (შუბლზე) დიადემა ან ბაფთა. გავრცელებული მოდელია - ეროტი ფიალასთან ერთად აწეული ხელით (ეს მოდელი პრაქსიტელის სახელს უკავშირდება). ჩვეულებრივ, მიჩნეულია, რომ ჭურჭელთან ერთად, უფრო ხშირად, ფიალით ხელში გამოსახული ეროტი გარკვეული რიტუალის - ლიბაციის (ἡ σπονδή) - სითხის, ზედაშეს დაღვრის მომენტშია წარმოდგენილი. ეროტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ხომ სწორედ ამ რიტუალის ჩატარებაა: ეროტი აფროდიტესი და, საერთოდ, ყველა შეყვარებულის σπονδοφόρος-ია [25, გვ. 113-114, 143, 145-146, 148, 154, 159-160].

ეროტის გამოსახულების ცნობილი სქემა ძეგვის საყურეზე გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის. ამ მოდელიდან შემორჩენილია მხოლოდ ბავშვური მსუქანი სხეული, თითქოს მფრინავ მდგომარეობაში, და ატრიბუ-

ტები - ხელში სფეროსებური საგანი - ალბათ, ჭურჭელი (ἡ πρόχους) და შუბლზე - დიადემა თუ ბაფთა. სრულიად განსხვავებულია ფიგურის თავი: ხუჭუჭთმიანი, ბავშვური იერსახის ეროტის ნაცვლად დიდი ადამიანის ჯმუხი გამომეტყველების მქონე თავია მოცემული, რაც ადგილობრივი ბრინჯაოს პლასტიკის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ ფიგურა ფრთების გარეშეა (ეროტის ეს იკონოგრაფიული სახე, ანუ უფრთო ეროტი, იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს, განსაკუთრებით ე.წ. პერიფერიაში; მაგალითად, სირიის ხელოვნებაში და სხვ. [51, გვ. 89, ტაბ. 5, 9; 58, გვ. 47, კატ. № 142, ტაბ. 129b; 27, გვ. 42, შენიშვნა 6]).

ამრიგად, ძეგვში აღმოჩენილი სამკაული, ელინისტურ სამყაროში გავრცელებული საყურეების ფონზე, მარტივი აგებულებითა და სისადავით გამოირჩევა (შედგება მხოლოდ სამი ელემენტისგან, შემკულია მხოლოდ ყუნწი, მონოქრომიულია); უცხო გარემოდან მოღწეული მოდელი - ეროტის ფიგურა თავის პირვანდელ სახეს საკმაოდ დაშორებულია და თავისებურადაა გაზრდილი. მიუხედავად ამისა, საყურე ძირითადი მახასიათებლებით ყველაზე მეტად მაინც ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების ძეგლებთან ამჟღავნებს სიახლოვეს და მისი დათარიღება ძვ.წ. I საუკუნით [16, გვ. 22-23, 75] სავსებით დასაშვებია. თუმცა, „არქეოლოგიური კონტექსტი" ანუ ის ნივთები (ვერცხლის თასი, ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის „სამტუჩა" დოქი, ტყვიის (?) საკინძი), რომლებიც საყურესთან ერთად შევიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, გამომდინარე მათი აღმოჩენის ვითარებიდან (შემთხვევითი ხასიათი), დათარიღებისთვის მყარ დასაყრდენს არ იძლევა. ძეგვის საყურეზე დადასტურებულია ელინისტური და ადგილობრივი ტრადიციების თანაარსებობა. ის წარმოადგენს კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს იმ მნიშვნელოვანი მოვლენისა, როდესაც ადგილობრივ ოქრომჭედლობას, თავისი ჩამოყალიბებული ნიშნებით, შეერწყმის ახალი ნაკადი, შემოსული უცხო კულტურული არეალიდან და განპირობებული გარკვეული ისტორიული სიტუაციით: ახალი მხატვრული ნაკადი ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მას, ხდება მისი ნაწილი, მისივე საფუძველზე გაზრდილი და განზოგადოებული.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, თბ., 1955.

2. გაგოშიძე ი. ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან. - სსმმ, ტ. XXVII-D, თბ., 1967, გვ. 53-93.

3. გაგოშიძე ი. მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის. - სსმმ, ტ. XXXII-B, თბ., 1976, გვ. 5-32.

4. თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

5. თოლორდავა ვ. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. - მსკა, ტ. III, თბ., 1963, გვ. 137-167.

6. თოლორდავა ვ. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. - ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-78.

7. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა, თბ., 1957.

8. სანიკიძე თ. უფლისციხე, თბ., 1987.

9. ყიფიანი გ. უფლისციხე, თბ., 2002.

10. ყიფიანი გ. უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები). - აე. ტ. I, თბ., 2000, გვ. 74-95.

11. ცქიტიშვილი გ. მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან. - ძიებანი, № 7, თბ., 2001, გვ. 41-46.

12. ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. I, თბ., 1968.

13. ჭყონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI. არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1981.

14. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, ტ. I, თბ., 1964.

15. ჯავახიშვილი გ. ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ., 1984.

16. Гагошидзе Ю.М. Самадло (археологические раскопки), Тб., 1979.

17. Гагошидзе Ю.М. Самадло. Каталог археологического материала, Тб., 1981.

18. Денисова В.И. Коропластика Боспора, Л., 1981.

19. Кобылина М.М. Терракотовые статуэтки Пантикапея и Фанагории, М., 1961.

20. Максимова М.И. Артюховский курган, Л., 1979.

21. Максимова М.И. Миниатюрная группа на Феодосийских серьгах. - ТГЭ, т.

II, Л.-М., 1958, с. 62-66.

22. Придик Е. Новые кавказские клады. - МАР, № 34, Пг., 1914, с. 94-110.

23. Пятышева Н.В. Ювелирные изделия Херсонеса, М., 1956.

24. Смирнов Я.И. Ахалгорийский клад, Тифлис, 1934.

25. Стефани Л. Объяснение нескольких вазовых рисунков Императорского Эрмитажа. - ОАК за 1873 год, СПб., 1876, с. 71-252.

26. Чкониа А.М. Ювелирное искусство Колхиды в IV-II вв. до н.э. (вопросы инноваций). - Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного Симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо - 1982, Тб., 1985, с. 519-526.

27. Шауб И.Ю. Пантикапейский Эрот-Геракл. - КСИА, вып. 168, М., 1981, с. 41-42.

28. Amandry P. Collection Hélène Stathatos, I. Les Bijoux antiques, Strasbourg, 1953.

29. Becatti G. Oreficerie Antiche dalle minoiche alle barbariche, Roma, 1955.

30. Chqonia A. Colchian Jewelry from the Vani City Site. – Ancient jewelry and Archaeology. Bloomington and Indianapolis, 1996, pp. 45-50.

31. Čqonia A. Kolchis und die Hellenistische Koine im Entwicklungskontext der Goldschmiedenkunst. – Phasis. Greek and Roman Studies. Volume 2-3, 2000, S. 68-72.

32. Coche de la Ferté E. Les bijoux antiques, Paris, 1956.

33. Davidson P., Oliver A. Ancient Greek and Roman Gold Jewelry in the Brooklyn Museum, Brooklyn, 1984, pp. VII-XXII, 7-95.

34. Deppert-Lippitz B. Griechischer Goldschmuck, Mainz am Rhein, 1985.

35. Fonteney E. Les bijoux anciens et modernes, Paris, 1887.

36. Furtwängler A. Eros. – Roschers Ausführliches Lexicon der griechische und römische Mythologie, Bd. I, Leipzig, 1884, S. 1342-1345.

37. Gagoschidze J. Materialien zur Geschichte der Goldschmiedekunst im alten Georgien. – Boreas. Münstersche Beiträge zur Archäologie, Bd. 20, Münster, 1997, S. 123-136.

38. Greifenhagen A. Schmuck der Alten Welt, Berlin, 1979.

39. Hadaczek K. Der Ohrschmuck der Griechen und Etrusker, Wien, 1903.

40. Higgins R. Greek and Roman Jewellery, London, 1961.

41. Hoffmann H., Davidson P.F. Greek Gold. Jewelry from the Age of Alexander, Mainz am Rhein, 1965.

42. Juliis M. De (Ettore). Gli Ori di Taranto in Età Ellenistica, Milano, 1989.

43. Kleiner G. Tanagrafiguren. Untersuchungen zur hellenistischen Kunst und Geschichte. – Jd I, 1942, 15, S. 160-170.

44. Laffineur R. Collection Paul Canellopoulos (XV). Bijoux en or grecs et romains. - BCH, CIV-1980, I, Études, Paris, 1980, p. 345-457.

45. Lordkipanidze O. The "Akhalgori Hoard." An Attempt at Dating and Historical Interpretation. – AMIT, Bd. 33, Berlin, 2001, pp. 143-190.

46. Manzewitsch A. Ein Grabfund aus Chersonnes, L., 1932.

47. Marshall F.H. Catalogue of the Jewellery, Greek, Etruscan, and Roman, in the Departments of Antiquities, British Museum, London, 1911.

48. Miller S.G. Two Groups of Thessalian Gold. – University of California Publications in Classical Studies, Vol. 18, Berkeley, Los Angeles, London, 1979.

49. Naumann F. Antiker Schmuck. Kataloge der Staatlichen Kunstsammlungen Kassel, N 10, [Melsungen, 1980].

50. Oliver A. Greek, Roman, and Etruscan Jewelry. – The Metropolitan Museum of Art Bulletin. Vol. XXIV, N 9, New-York, 1966, pp. 269-284.

51. Pfrommer M. Untersuchungen zur Chronologie Früh- und Hochhellenistischen Goldschmucks. - Istanbuler Forschungen, Bd. 37, Tübingen, 1990.

52. Pierides A. Jewellery in the Cyprus Museum, Nicosia, 1971.

53. Pottier E. Inaures. – DAGR, fasc. 25, Paris, 1898, p. 440-445.

54. Richter G. Handbook of the Greek collection, Cambridge, 1953.

55. Rudolph W., Rudolph E. Ancient Jewelry from The Collection of Burton Y. Berry, Bloomington, Indiana, 1973.

56. Ruxer M.S., Kubczak J. Naszyjnik grecki w okresach hellenistycznym i rzymskim, Warszawa-Poznań, 1972.

57. Segall B. Museum Benaki. Katalog der Goldschmiedearbeiten, Athen, 1938.

58. Siviero R. Gli ori e le ambre del Museo Nazionale di Napoli, [Firenze], 1954.

59. Thompson D.B. Three centuries of Hellenistic terracottas. II. The altar well. – Hesperia, 1959, Vol. 28, N 2, pp. 127-152.

60. Zahn R. Sammlung Baurats Schiller, Berlin, 1929.

სულხან ხარაბაძე

ახ.წ. I-II სს-ის სამარხი სოფელ ზედა გორადან (ვანის რ-ნი)

სოფელ ზედა გორას ტერიტორიაზე (ვანის რაიონი, ქალაქ ვანიდან აღმოსავლეთით 15 კმ-ის დაცილებით), 2003 წლის 10 თებერვალს, მთავარანგელოზის ეკლესიის დასავლეთით 150 მეტრის დაშორებით, პაატა გაჩეჩილაძის საკარმიდამო ნაკვეთში, მიწის სამუშაოების დროს მიკვლეულ იქნა სამარხი.

ნაშრომის მიზანია აღმოჩენილი მასალა შემოვიტანოთ სამეცნიერო მიმოქცევაში და განვსაზღვროთ ამ კომპლექსის თარიღი, რადგანაც დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და თვით ვანის რაიონში ამ პერიოდის მასალა მცირე რაოდენობით არის მოპოვებული.

სამარხისთვის თირში - კლდოვან დედაქანში - ამოკვეთილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ორმო (1,9 x 0,8მ), მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,8 მ-ის სიღრმეზე (ტაბ. I_8).

სამარხი ინჰუმაციურია. მასში ერთი მიცვალებული იყო დასაფლავებული გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალა ძალიანაა დაზიანებული, გადარჩენილი იყო ქალას ექვსი ფრაგმენტი, ზედა და ქვედა ყბის ნახევარი კბილებიანად, მარჯვენა ლავიწის ძვალი, ზედა კიდურების ძვლები მაჯამდე, ერთი ხელის თითის ფალანგა, მენჯის ძვლის ფრაგმენტები, ქვედა კიდურები; ხერხემლის მალები დაშლილი იყო, მხოლოდ მათი ანაბეჭდი იყო შემორჩენილი, ნეკნების კვალი კი საერთოდ არ ჩანდა. ზოგიერთი მომენტი, კერძოდ, ზედა კიდურის ძვლების მიმართულება, ორივე ზედა კიდურის სხივის ძვლებზე მაჯასთან მწვანე ფერი ბრინჯაოს პატინისაგან (განსაკუთრებით კი მარჯვენა სხივის ძვლის ბოლოზე), მენჯის არეში სამაჯურისა და ხელის თითის ფალანგის ძვლის მდებარეობა, აგრეთვე სატევრის ტარზე ბრინჯაოს პატინის კვალი, გვაფიქრებინებს, რომ ხელები მიცვალებულს დაკრეფილი ჰქონდა სატევრის ტარზე და რომ მარჯვენა ხელზე სამაჯური ეკეთა.

სამარხში ინვენტარის ასეთი განლაგება დაფიქსირდა: თავთან სამხრეთით თიხის დოქი და ჯამი იდო, თანაც დოქი ჯამში იყო ჩადგმული; მარჯვენა მხართან წვერით დასავლეთისაკენ რკინის მოკლე შუბისპირი აღმოჩნდა, მარჯვენა მხარესვე წელთან - რკინის ცული, მარცხენა მხართან, წვერით დასავლეთისაკენ რკინის გრძელი შუბისპირი იდო, მენჯის არეში _ ბრინჯაოს სამაჯური, წელის არეში კი - რკინის სატევარი წვერით აღმოსავლეთისაკენ.

სამარხეული ინვენტარი:

1. სამაჯური, ბრინჯაოსი (ტაბ. I_5); ბოლოებგადახვეული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული. დმ - 7,3 სმ, განივკვეთი - 0,3 სმ.

2. სატევარი, რკინისა; ორპირლესული, ტარრგოლიანი (ტაბ. I_3); ტარის ღერო სწორია, ბრტყელი, განივკვეთში ოთხკუთხა. მასზე რკინისავე მანჭვლით დამაგრებული იყო ხის გარსაკრავი; ვადა სწორია; პირი სიგრძის ბოლო მესამედში ვიწროვდება, განივკვეთში რომბისებურია. ორივე მხარეს შემორჩენილი იყო ხის ანაბეჭდები. როგორც ჩანს, სატევარს ხის ქარქაში ჰქონდა. სიგრძე - 66,5 სმ, უდ. სიგანე მხრებთან - 5,6 სმ, ტარის სიგრძე - 12 სმ, რგოლის დმ - 4,3 სმ, ვადის სიგრძე - 6,6 სმ.

3. შუბისპირი, რკინისა (ტაბ. I_1); მასრა კონუსურია, შეკრული; პირი მომრგვალებულმხრებიანია, ქედიანი; ქედი მასრის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და პირის წვერამდე გრძელდება. სიგრძე 40,5 სმ; უდ. სიგანე მხრებთან - 5,6 სმ; მასრის სიგრძე - 9,3 სმ; მასრის უდიდესი დმ - 2,4 სმ, უმცირესი - 1,5 სმ.

4. შუბისპირი, რკინისა (ტაბ. I_2); მასრა კონუსურია, შეკრული; პირი მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი. ქედი წვერამდე გამოიკვეთება. სიგრძე - 20,5 სმ; სიგანე მხრებთან - 3,1 სმ; მასრის სიგრძე - 8,7 სმ, მასრის უდიდესი დმ - 2,3 სმ., უმცირესი - 1,2 სმ.

5. ცული, რკინისა (ტაბ. I_4); ყუა დაბალია, ოთხკუთხაგანივკვეთიანი. ყუის თავი დაბრტყელებულია; სატარე ხვრელი ოვალურია, პირი - ასიმეტრიული; გარეთა მხარე (შუბლი)

სწორია, შიგნითა კი - მორკალული. სიგრძე - 14,4 სმ; პირის სიგრძე - 7,1 სმ; ყუის სიგანე - 3,1 სმ; სიგანე სატარესთან - 3,7 სმ; სატარე ხვრელის სიგრძე - 2,95 სმ, სიგანე - 2,5 სმ; პირის უდიდესი სისქე - 1,5 სმ.

6. დოქი, თიხისა (ტაბ. I_6); ღიაყავისფერკეციანი; პირი სწორია, გარეთ გადახრილი; ყელი შეზნექილპროფილიანია; ტანი - სფერული; ძირი ბრტყელია; ოვალურგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირზე და ტანის ზედა ნაწილზე, შემკულია ირიბი ნაჭდევებით და წითელი საღებავით; ტანი შემკულია წითელი საღებავის თარაზული ზოლებით. ორნამენტი ძლიერ გადაშლილია და ყველგან არ ჩანს. სიმაღლე - 26 სმ, პირის დმ - 2,8 სმ, მუცლის უდიდესი დმ - 22 სმ, ძირის დმ - 11,4 სმ, კეცის სისქე - 0,6 სმ.

7. ჯამი, თიხისა (ტაბ. I_7); ყავისფერკეციანი, რუხზედაპირიანი; პირი მორკალულია, შიგნით გადახრილი; კალთა პროფილირებულია. მისი ზედა ნაწილი შვეულია, გამობერილპროფილიანი, ქვედა კი _ ძირისაკენ დახრილი; ძირი ბრტყელია, ცუდად გამოყვანილი (თითქმის ოვალური), კალთის სიმაღლე არათანაბარია. კალთას გარედან ნათითურები ეტყობა. სიმაღლე - 5,4 სმ, პირის დმ - 17,7 სმ, პირიდან კალთაზე გადასვლის ადგილის დმ - 19,8 სმ, ძირის დმ - 11,2 სმ, კეცის სისქე - 1 სმ.

დასავლეთ საქართველოში ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის მიცვალებულის ორმოსამარხში, გაშოტილ პოზაში, თიხის ჭურჭლითა და საბრძოლო იარაღით დაკრძალვა ყველაზე მეტად გავრცელებული წესია [8, გვ. 264-265]. ჩვენს მიერ აღწერილი სამარხეული ინვენტარი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ახ. წ. I-III სს. სამარხეულ ინვენტართან.

სამარხში აღმოჩენილი რკინის ნივთების შესახებ შემდეგი შეიძლება ითქვას:

განსაკუთრებით საინტერესოა ტარრგოლიანი მახვილი. ამ ტიპის მახვილებს სარმატული ტიპის მახვილებს უწოდებენ. ეს მახვილები პირველად სარმატულ სამარხებში ჩნდებიან, იმიერვოლგისპირეთში ძვ. წ. III ს-ში და ფართოდ ვრცელდებიან სარმატული ტომების გავრცელებასთან ერთად, მთელ აღმოსავლეთ ევროპის სტეპების ზოლში [38, გვ. 6-12, ტაბ. I57, II-VI, VII1-5]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მათი მასიური გავრცელება ხდება ახ. წ. I-II სს-ში, II ს-ის ბოლოსთვის კი ტარრგოლიანი მახვილები ქრება [38, გვ. 9-12]. ასეთი სატევრები ცნობილია სოჭის მიდამოებიდან [26, სურ. 3412, 5], აზერბაიჯანიდან [29, გვ. 25, ტაბ. XXXV_{15}]. ჩვენში ტარრგოლიანი მახვილები მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია დადასტურებული: ბორში (ახ. წ. I ს.) [35, გვ. 14], ძევრში (ახ. წ. II ს.) [17, ტაბ. V_{12}], ლიაში (ახ. წ. I-II სს.) [18, გვ. 70; 19, გვ. 154-173], ძევრის მიდამოებში [32, გვ. 198-199, სურ. 536], ჩხოროწყუს რაიონში (სოფ. ხაბუმე) [19, გვ. 157]; ასეთი მახვილი დაცულია ჩხარის სასკოლო მუზეუმში (ტაბ. II_{2-5}). ტარრგოლიანი მახვილი აღმოჩენილია აგრეთვე ინაშაურში (ტაბ. II_1).

ვანის რაიონის სოფ. ზედა გორიდან 3 კმ-ის დაცილებით, 1958 წ. ინაშაურში შემთხვევით უპოვნიათ სამარხი, სადაც ადამიანის ძვლებთან ერთად ყოფილა: „ტარრგოლიანი სატევარი, შუბისპირი, დიდი; შუბისპირი, პატარა; ცული, ქამრის ბალთის ფრაგმენტი, მორკალული დანა, ქვის მძივი, თიხის ჯამი, თიხის ქოთანი, თიხის დოქის ფრაგმენტები, მჭედლის იარაღი (წალკატი), მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რგოლის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ფული ერთი ცალი.“ ამ კომპლექსიდან შემორჩა მხოლოდ სატევარი, რომელიც დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში (ინვ. № 2281).

სოფ. გორას სამარხში აღმოჩენილი შუბისპირების მსგავსი ნიმუშები ნაპოვნია ფერეთაში (ახ. წ. I-II სს.) [20, ტაბ. I_{13}], ბორში (ახ. წ. I ს.) [35, გვ. 14], ძევრში (ახ. წ. II ს.) [17, ტაბ. $V_{10, 11}$], ძევრის მიდამოებში [32, გვ. 198-199, სურ. 535], ბანძაში (ახ. წ. II ს.) [10, ტაბ. IX_{21}], კლდეეთში (ახ. წ. II ს.) [7, სურ. 29ა-გ], ჩხოროწყუში (II-III სს.) [39, VIII_3], ყაზბეგში [31, გვ. 16, № 306-308, ტაბ. III].

რკინის ცულს ზუსტი ანალოგი არ ეძებნება. მაგრამ მეტ-ნაკლებად ამგვარი ცულები ნაპოვნია ფერეთაში (ახ. წ. I-II სს.) [20, ტაბ. I_{13}], ბორში (ახ. წ. I ს.) [35, გვ. 14], ლიაში (ახ. წ. I-II სს.) [19, ტაბ. CXXXVIII], კლდეეთში (ახ. წ. II ს.) [7, სურ. 2], ტაბ. XXI_1გ], წებელდაში (III-IV სს.) [27, სურ. 925], გერზეულში (III-IV სს.) [25, სურ. 98], ფიჭვნარში (ახ. წ. IV ს.) [6, სურ. 34], ურეკში [40, გვ. 63, სურ. 20], ძევრის მიდამოებში [32, გვ. 198-199, სურ. 537], არმაზისხევში (II ს.) [1, გვ. 130, ტაბ. $CVIII_3$].

თიხის ჭურჭელი მსგავსებას ავლენს ძვ. წ.

მიწურულისა და ახ. წ. პირველი საუკუნეების კერამიკასთან. განსაკუთრებით საინტერესოა დოქი, რომლის ხაოიანი ზედაპირი მოხატულია წითელი საღებავის ზოლებით. მსგავსი ტექნიკით მოხატული კერამიკა ცნობილია დასავლეთ საქართველოდან: ვანში (ძვ. წ. II-I სს.) [9, გვ. 54-55, ტაბ. I4, 5; ტაბ. $III_{1-4, 7-9}$], ზემოფარცხმაში [5, გვ. 30-31, ტაბ. $XXII_{1,2}$], ლიაში (ახ. წ. I-II სს.) [19, 154-173], ფერეთაში (ახ. წ. I-II სს.) [20, გვ. 83, № 25]. აღმოსავლეთ საქართველოში კი ამგვარი კერამიკა ძვ. წ. I- ახ. წ. I საუკუნეებითაა დათარიღებული [13, გვ. 53-54].

თავგადახვეული სამაჯურები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი: ბორში (ახ. წ. I ს.) [35, ტაბ. $II_{3, 14}$], ლიაში (ახ. წ. I ს.) [19, გვ. 154-173], ჩხოროწყუში (II-III სს.) [39, ტაბ. I, $IV_{2, 4}$, V_{1-3}], ახაჩარხუში (II-IV სს.) [41, გვ. 75], აბგიძრახუში (II-IV სს.) [36, გვ. 22-60, ტაბ. $I_{3, 7}$; II_7; XVII_{13}, 16], წებელდაში (III ს.) [27, სურ. 159, 452, 623, 27, 99, 10], ჩხარში (II-III სს.) [3, ტაბ. XVI_5, XXIV_3], რგანში (III ს-ის მიწურული-IV ს-ის პირველი ნახევარი) [2, სურ. 33, 85], ცხეთაში (III-IV სს.) [16, გვ. 47, ტაბ. $IV_{14,15}$, ტაბ. $V_{16,17}$], ურეკში [40, გვ. 66, სურ. 131], ყაზბეგში [31, გვ. 15, № 269, ტაბ. III], აღაიანში (I ს.) [13, ტაბ. Iბ, სურ. 80, 82; 4, გვ. 24, ტაბ. XXXVII_2], არმაზისხევში (II ს.) [1, ტაბ. LXXXVII_3, სურ. 1396], მოგვთაკარში (I-III სს.) [15, სურ. 653-654], ზღუდერში (II-III სს.) [33, გვ. 110], ჭერემში (III-IV სს.) [11, ტაბ. $XXXIV_{33, 34}$, XXXVI_{75}, XLIII182], არაგვის ხეობაში (III-IV სს.) [14, გვ. 13; 40, სურ. 2], სამთავროში (III-IV სს.) [12, სურ. 236, 239, 337, 577], მუხათგვერდში (III-IV სს.) [21, სურ. 873, 917]. ასეთი სამაჯურები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი საქართველოს გარეთაც [26, სურ. 417; 30, სურ. 7, 17a; 42, გვ. 75, ტაბ. XXXVIII_4; 43, გვ. ტაბ. XV_3; 22, გვ. 138-139; 37, ტაბ. LXXII_{10}, CXX_5, $CXXV_2$; 24, გვ. 143; 34, გვ. 185, სურ. 248; 28, გვ. 94, სურ. 61, 1-7; 23, გვ. 239].

რაც შეეხება სამარხის თარიღს, შეიძლება ითქვას, რომ სამარხის ინვენტარი ძირითადად პარალელებს პოულობს დასავლეთ საქართველოს ახ. წ. I-II სს-ის მასალებთან, ყველაზე მეტად კი ლიას სამაროვნის ახ. წ. I-II სს-ის სამარხებთან) [19, გვ. 154-173], რაც გამოიხატება დაკრძალვის წესის და ინვენტარის ერთგვაროვნებაში. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს სამარხი ზოგადად ახ. წ. I-II სს-ით დათარიღდეს.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა I, თბ., 1955, გვ. 98-102.

2. **ბრაგვაძე ზ.** რგანის სამაროვანი. - ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ჟურნალი, I, თბ., 2000, გვ. 107-151.

3. **ბრაგვაძე ზ.** ჩხარის სამაროვანი, თბ., 1997.

4. **ბოხოჩაძე ა.** არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, თბ., 1981.

5. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

6. **კახიძე ა., ვიკერსი მ., მამულაძე შ.** ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000, გვ. 70-89.

7. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

8. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

9. **მათიაშვილი ნ.** ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან. - მსკა, 1973, ტ. 5, გვ. 52-70.

10. **მაკალათია ს.** 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. - სსმმ, ტ. IV, 1928, გვ. 161-188.

11. **მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ.** ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი. - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, თბ., 1984, გვ. 77-107.

12. **მანჯგალაძე გ.** სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. - მცხეთა VII, თბ., 1985, გვ. 43-108.

13. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983.

14. **რამიშვილი რ.** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში. - ძმ, № 39, თბ., 1975, გვ. 7-15.

15. **სიხარულიძე ა., აბუთიძე ა.** მოგვთაკარის სამაროვანი. - მცხეთა VII, თბ., 1985, გვ. 109-131.

16. **სულავა ნ.** მთიანი კოლხეთი ანტი-

კურ ხანაში, თბ., 1996.

17. ფუთურიძე რ. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. - მსკა, ტ. II. თბ., 1959, გვ. 54-94.

18. წითლანაძე ლ. არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ლიაში. - ძმ, № 33, თბ., 1973, გვ. 66-72.

19. ჯაფარიძე ვ. ეგრისის მატერიალური კულტურა ახ. წ. I-VII სს., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

20. ხარაბაძე ს. გვიანანტიკური ხანის სამარხი სოფელ ფერეთადან. - ძიებანი, №9, 2002, გვ. 81-87.

21. ხეცურიანი ლ. მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი. - მცხეთა VII, თბ., 1985, გვ. 151-162.

22. Арсеньева Т. М. Могильник у деревни Ново-Отрадное. - МИА, 1970, 155, Москва, с. 138-142.

23. Алиев К. О. О неопубликованных сырцовых гробницах раскопанных Я. И. Гуммелем в 1938 г. - МКА, т. VII, 1973, Баку, с. 238-242.

24. Богданова Н. А., Гушина И. И., Лобода И. И. Могильник Скалистое Ш в юго-западном Крыму (I-III вв.). - СА, №4, 1976, с. 140-145.

25. Воронов Ю. Н. Тайна Цебельдинской долины, Москва, 1975.

26. Воронов Ю. Н. Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979.

27. Воронов Ю. Н., Юшин В. А. Ранний горизонт (II-IV вв. н. э.) могильников Цебельдинской культуры. - СА, 1, 1979, с. 181-198.

28. Зубарь В. М. Некрополь Херсонеса Таврического I-IV вв. н. э., Киев, 1982.

29. Казиев С.М. Археологические раскопки в Мингечауре, Баку, 1960.

30. Книпович Т.Н. Танаис, Москва-Ленинград, 1949.

31. Коллекции Кавказского музея, Тифлисъ, 1902.

32. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950.

33. Немсадзе Г. М. Погребения Иберской знати. - КСИА, № 151, Москва, 1977, с. 108-114.

34. Отчеть археологической комиссии за 1908 год. Санкт-Петербург, 1912.

35. Придикъ М.М. Новые кавказские клады. - МАР, 54, Петроград, 1914, с. 94-110.

36. Трапш М.М. Культура Цебельдинских некрополей. - Труды, 3, Тб., 1971.

37. Уварова А.С. Могильники Северного Кавказа. - МАК, вып. VIII, Москва, 1900.

38. Хазанов А. М. Очерки военного дела сарматов, Москва, 1971.

39. Хоштария Н.В. Чхороцку - могильник с трупосожжением (захоронения в урнах). - მსკი, ნაკვ. II, თბ., 1941, გვ. 67-95.

40. Хоштария Н.В. Археологические исследования Уреки. - მსკა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 25-78.

41. Шамба Г. К. Ахаччарху - древний могильник нагорной Абхазии, Сухуми, 1970.

42. Шелов Д. Б. Некрополь Танаиса, Москва, 1961.

43. Шульц П. Н. Мавзолей Некрополя Скифского, Москва, 1953.


– ხეს
ფაფარი
1
2
3
4
5
6
7
8
0 2 4
0 4 8


1
2
3
4
5
0 1 2 3 4

გელა გამყრელიძე

ქალაქ ფასისის (Φᾶσις Phasis) ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის

ქალაქ ფასისის შესწავლის ისტორია საუკუნე-ნახევარს ითვლის; მაგრამ ჯერჯერობით, წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების სიმცირის გამო, მისი ისტორიის რიგი საკითხების სრული გაშუქება შეუძლებელია [იხ. 2, გვ. 3-21; 3; 19, გვ. 17-36; 42, გვ. 271-281; 71; 70; 68, გვ. 223; 9; 10, გვ. 70-110; 14, გვ. 505; 12, გვ. 36-55].

ზოგადად დღევანდელ ქ. ფოთთან და მის შემოგარენში ლოკალიზდება ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ძველი ქალაქი ფასისი//ფაზისი. ბერძნული წერილობითი წყაროების ტოპონიმ ფასისს ქართველური ენების საფუძველზე მიღებულ ფოთის სახელწოდებად მიიჩნევენ - ფოთ//ფათ//ფას [11, გვ. 181-185; 24, გვ. 96]. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად მხარს უმაგრებს ფოთში აღმოჩენილი გრაფიტო (φω), რომელიც VI ს-ის ამფორაზეა [6, გვ. 115].

ქ. ფასისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ფსევდო-სკილაქსი (ძვ. წ. IV ს), აზია, 81 [34, გვ. 48]; არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.), ფრაგმენტები 46 [35, გვ. 73]; პლატონი (ძვ. წ. 427-347 წწ.), „ფედონი" 109 (ბ) [63, გვ. 83]; ჰერაკლიდე ლემბოსი (ძვ. წ. II ს.), „ფასისელთა პოლიტია," XVIII [36, გვ. 195]; ჰიპოკრატე (ძვ. წ. IV ს.), „ჰაერთა, წყალთა და ადამიანთა შესახებ," 15 [33, გვ. 45]; თეოკრიტე (ძვ. წ. IV ს.), „იდილია," სქოლიოები, XIII, 24 [23, გვ. 316]; სტრაბონი (I ს.), „გეოგრაფია", XI, 2 თ., 16, 17; 3 თ., 4 [32, გვ. 122, 123, 128]; ფსევდოპლუტარქე, „მდინარეების და მთების სახელების შესახებ...", ფასისი, V, 1 [57, გვ. 223]; პლინიუსი გაიუს სეკუნდუსი (უფროსი) (I ს.), „ნატურალური ისტორია", VI, 1, 13, 52, [56, გვ. 178, 179, 185]; პომპონიუს მელა (I ს.), „ქვეყნიერების აღწერილობა," I, 108 [5, გვ. 29]; ფლავიუს არიანე (II ს.), „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო", 9, 10 ხ1, გვ. 40]; კლავდიოს პტოლემაიოსი (II ს.), „გეოგრაფიული სახელმძღვანელო," V, 9 თ., 2 [17, გვ. 45]; ფსევდო-ორფევსი (III ს.), „არგონავტიკა," გვ. 3 [20, გვ. 89]; თემისტიოსი (IV ს) „სიტყვები," XXVII [23, გვ. 470]; კასტორიუსი (IV ს.), ე. წ. ტაბულა პევტინგერისა, X-XI [18, გვ. 109, ტაბ. 2]; ამიანე მარცელინუსი (IVს.), „ისტორია" XXII, 8 თ., 24 [4, გვ. 112]; ანონიმი ავტორი (V ს.), „ევქსინის პონტოს პერიპლუსი...," 44 (3), [57, გვ. 229]; ზოსიმე (VI ს.), „ახალი ისტორია," I, 32 [29, გვ. 268]; სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.), „ეთნიკა", ფასისი [25, გვ. 286]; აგათია (VI ს.) „იუსტინიანეს მეფობის შესახებ", III , 19, 20, 21; IV, 23 [25, გვ. 97, 98, 102, 179]; მენანდრე (VI ს.), „ისტორია," ფრაგმენტი 3 ხ25, გვ. 209]; ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.), „ანდრიას ცხოვრება," თავი - „სვანეთი, ფუსტა, აბაზგია, ჯიქეთი" [26, გვ. 58]; თეოფანე ქრონოგრაფი (IX ს.), „ქრონოგრაფია...", ფასისის ეპისკოპოს კვიროსის შესახებ [26, გვ. 101]; გიორგი კედრენე (XI ს.), „ისტორიული მიმოხილვა...", ფასისის ეპისკოპოს კვიროსის შესახებ [27, გვ. 28]; ბასილი სოფენელი (XI ს.), „უწმინდესი პატრიარქების ნუსხა," 27 [28, გვ. 128, 130, 139]; ნიკიტა ხონიატე (XII ს.), „ქრონიკა...", ფასისი სანავსადგურო ქალაქი [30, გვ. 132]; ამბროზიო კონტარინი (XV ს.), „მოგზაურობა კავკასიაში...", გვ. 2-3 (მოამბე, 1894, გვ. 49, 50); არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.), სამეგრელოს აღწერა [16, გვ. 172]; ჟან შარდენი (XVII ს.), „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში [38, გვ. 108, 258].

ქალაქ ფასისის შესახებ უძველესი საყურადღებო წერილობითი ცნობა შემონახულია ძვ. წ. IV ს. ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსში - „აზია", 81. უმნიშვნელოვანესი ცნობა ქ. ფასისის ადგილმდებარეობის შესახებ დაცულია ძვ. წ. I და ახ. წ. I სს. მიჯნის გეოგრაფოსის სტრაბონის „გეოგრაფიაში": „ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით (რიონი - გ.გ.), ტბით (პალიასტომი - გ.გ.) და ზღვით" (სტრაბონი, XI, 2, 17). როგორც ვხედავთ ეს აღწერილობა ზედმიწევნით ესადაგება დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას. საყურადღებოა აგრეთვე ქ. ფასისის თვითმხილველის, რომის იმპერიის მაღალი რანგის მო-

ხელის, II ს. ავტორის ფლავიუს არიანეს საინსპექციო აღწერაში - „პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო“ შემონახული ცნობა: „ფასისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება“... „თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს, ორივე ფართოა, წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. ხოლო, რადგან ნავსადგური უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით“ (არიანე, „პერიპლუსი...“, 9).

ქ. ფასისიდანაა ძვ. წ. IV ს. ბერძნულ წარწერიანი ვერცხლის ფიალა (წარწერის შესახებ იხ. ქვემოთ). ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წერილობითი წყაროები ქალაქ ფასისს ხშირად ახსენებენ, მაგრამ მათში გადმოცემული მონაცემები წინააღმდეგობრივია; ხშირად, ცნობები ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს. წერილობითი წყაროების ტრადიციის გამარტივებული სქემის მიხედვით ფასისი ძველთაგანვე ქართველური მოსახლეობით დასახლებულ მიწა-წყალზეა იონიიდან გამოსული მილეთელების მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონტაქტოდ, სავაჭრო ცენტრად - ემპორიონად დაფუძნებული [შეადარე, 59, გვ. 187-256; 60, გვ. 322-326; 13, გვ. 119-124; 46, გვ. 256-274].

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარებიდან - ნამარნუ, ძიგური, სირიაჩქონის ოხოჯე, ნანდევუ, საგვიჩიო (ზურგანი, კონშა), ნაღმიპიჯი, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფული, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა და სხვ. (იხ. ტაბ. I) [იხ. 44, გვ. 34-38 და რუკა] ალბათ ფასისი უფრო დაწინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა (კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა) და ურბანისტულ ცენტრად განვითარდა.

სახელგანთქმული მეცნიერი ჰიპოკრატე (ძვ.წ. 460-336 წწ.), ზოგი მკვლევარის მიხედვით, ნამყოფია და თვითმხილველია მდ. ფასისის მიდამოების [33, გვ. 8]. ის თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის შესახებ (იხ. ტაბ. III). კერძოდ - „... ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ მოგითხრობთ: ეს მხარე ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტენიანი.“ „... ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ; ხისა და ლერწმის სახლები აქვეა აგებული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქსა (ალბათ ქ. ფასისში - გ.გ.) [71, გვ. 37-42] და სავაჭრო (ემპორიონში) პუნქტებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ... ნავებით, რადგან არხები ბევრია“ (ჰიპოკრატე, „ჰაერთა ...“ 15) [33, გვ. 45]. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელის მოსახლეობა სპეციალურ სავაჭრო პუნქტში, ფასისის ემპორიონში დადიოდა. ჰიპოკრატეს ამ ნაწერიდან აგრეთვე, თითქოს, ისიც ჩანს, რომ ფასისის დელტაში მდებარე ადგილი (თუკი ის ქ. ფასისია) ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო პუნქტია (წყაროში - ἐμπόριον) და არა ბერძნული ტიპის ქალაქი, პოლისი. საერთოდ კი ვაჭრობის კონცენტრირება სპეციალურ ადგილებში პროტოურბანისტულ ცენტრზე მიგვანიშნებს. შესაძლოა, რომ ბერძნების მოსვლის შემდეგ, აქედან სავაჭრო საქონლის დისტრიბუციაც ხდებოდა (მაგ. სიმაგრის და საერთოდ მდ. რიონის გაყოლებით ნამოსახლარებზე დადასტურებული ანტიკური, იმპორტული ნაწარმი), რაც მეტნაკლებად მუდმივმოქმედი ბაზრის გაჩენას გულისხმობს. ეს კი ქალაქური დასახლების ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანია.

საფიქრებელია, რომ როცა ბერძნები გამოჩნდნენ მდ. ფასისის შესართავთან, აქ პროტოურბანისტული ცენტრი ფასისი უკვე იყო (გავიხსენოთ, აქ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები იხ. ტაბ. I). ბერძნებმა ეს პუნქტი აღიქვეს როგორც ქალაქი და სავაჭრო ცენტრი (ემპორიონი). ბერძნებმა ამ სავაჭრო დასახლებასთან დაამყარეს კონტაქტი და დროთა განმავლობაში აქვე გაჩნდა ბერძნული დასახლებაც. ადგილობრივ მოსახლეობასთან ამ კონტაქტების ძირითადი მიზანი ადგილობრივი ნედლეუ-

ლის გატანა იყო; სანაცვლოდ კოლხეთში სხვადასხვა ფუფუნების საგნები (ნატიფი კერამიკა, სამკაულები, ლითონის ჭურჭელი, ნელსაცხებლები და ა.შ.) შემოჰქონდათ. ეს კი ძვ.წ. V ს-ის შემდგომი წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით დასტურდება. ამდენად, ზღვის სანაპიროზე ემპორიონების წარმოქმნა უცხოელების და ადგილობრივების საერთო ინტერესებში შედიოდა. ფასისში გახსნილი და დაარსებული ბერძნების ახალშენი დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების შედეგად სიმბიოზს და ცვლილებებს განიცდიდა. ეს ცვლილებები დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივ ბიოგეოგარემოზე და სოციოგარემოზე [7, გვ. 3-45].

ძვ.წ. III ს-დან, კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე ქ. ფასისი თანდათან ანტიკურ ქვეყნებსა და შიდა კოლხეთს შორის ბუფერულ, ეთნიკურად შერეულ, პოლისური ტიპის ქალაქად ტრანსფორმირდა, რომელსაც ალბათ თავისი სასოფლო ტერიტორიაც ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქ. ფასისის შესახებ ძვ.წ. II ს-ის ავტორის ჰერაკლიდეს ცნობა ფასისის პოლიტიკაზე, რომელიც აქ გარკვეული წესწყობილების არსებობას გულისხმობს [7, გვ. 46-87].

მნიშვნელოვანია აგრეთვე შედარებით გვიანდელი ანონიმი ავტორის „პერიპლუსში" დაცული ცნობები, სადაც ფასისთან ერთად, კონტექსტში, ნახსენებია კავკასიის იბერები. შემდგომ აღნიშნულია: „მდინარის შესასვლელთან, ფასისის მარცხენა ნაპირზე, მოთავსებულია მილეტელთა მიერ დაფუძნებული ელინური ქალაქი ეგრეთ წოდებული ფასისი, რომელშიაც, როგორც ამბობენ, თავს იყრის სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. მათ რიცხვში, გადმოცემით, იმყოფებიან ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსულებიც" (V ს. ანონიმი, 3).

მაგრამ, ქ. ფასისის შესახებ ეს რამდენადმე შემაჯამებელი წერილობითი წყარო, ეტყობა ძვ.წ. III ს-ის შემდგომ პერიოდს ეხება. ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. VIII-VII სს-ში ქ. ფასისს არ შეხებია [შეადარე, 3, გვ. 7-21; 13; 59, გვ. 187-256; 60, გვ. 25-33; 74]. მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი ნამოსახლარები (ჩამონათვალი იხ. ზემოთ) ამას მოწმობს. აქ უცხოური ნაწარმი „კოლონიზაციის" ეპოქაში არ ჩანს, ხოლო ძვ.წ. VI-V სს. იმპორტული ნაწარმი მცირეა და სულ, დაახლოებით ასი ერთეულით (კერამიკის ნატეხები) განისაზღვრება. ამიტომ აქ რაღაც ინტენსიურ ბერძნულ „საკოლონიზაციო" მოქმედებებზე საუბარი ჯერჯერობით სრულიად უსაფუძვლოა. რაც შეეხება წერილობით წყაროებს, ალბათ შესაძლებელია, რომ ძვ.წ. V ს-ში ადგილობრივ ქ. ფასისთან ან ფასისში, მდ. რიონის დელტაში, ბერძნების მცირე სავაჭრო დასახლება (ემპორიონის მსგავსი) ვიგულისხმოთ. დაახლოებით ისეთი როგორიც, შემდგომ XIV-XV სს-ში ფოთ-ფასისში გენუის სავაჭრო ფაქტორია იყო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ძვ.წ. VIII-VI და გნებავთ IV ს-მდე ფასის-ფოთის მიდამოებში და მთელ კოლხეთში რაიმე დიდი ცვლილება არქეოლოგიურ კულტურაში (კერამიკულ და მეტალურგიულ წარმოებაში, არქიტექტურაში, იდეოლოგიაში, დაკრძალვის წესში და სხვ.) არ შეიმჩნევა. ხსენებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი სოციუმი როგორც ცხოვრობდა ისევ ისე ცხოვრობს; არ ჩანს ბერძნული კულტურის რაიმე ზეგავლენა მოსახლეობის ყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ფასისის ადგილმდებარეობა ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით ზოგადად განსაზღვრულია (იხ. სტრაბონი, არიანე), დღეისათვის მეცნიერების წინაშე ისევ დგას მისი ზუსტი ლოკალიზების პრობლემა, რადგან კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქი არქეოლოგიურად არ არის დადასტურებული. სამაგიეროდ აღმოჩენილია ადრებიზანტიური ხანის ფასისის ნაშთები (იხ. ქვემოთ) [6, გვ. 97-117; 10, გვ. 101].

ფასისის ლოკალიზება-ტოპოგრაფიის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: პირველი - ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეთვლის, რომ რომაული ხანის ფასისი მდებარეობდა სოფ. ჭალადიდსა და ფოთს შორის. კერძოდ, ხსენებულ მონაკვეთზე, ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე) მან აღმოაჩინა ნაციხარის ნაშთები, რომელიც არიანესეულ ფასისად მიიჩნია [72, გვ. 63-80]. მეორე - თ. ბრუნის აზრით ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარეობდა [47, გვ. 250]. მესამე - ნ. შაფრანოვის მოსაზრებით ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაპირზე, მდ. სუფსის შესართავთან იყო განლაგებული [65, გვ. 3]. მეოთხე - ლ. ელინიცკის აზრით ფასისი უნდა მდებარეობდეს მდ. რიონის შესართავის მარცხენა ნაპირზე დაახ-

ლოებით იქ, სადაც დღეს საზღვაო პორტი მდებარეობს [53, გვ. 319]. მეხუთე - მ. ბერძნიშვილის მოსაზრებით ფასისი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე პატარა ფოთთან, ხოლო არიანეს დროინდელი კი იქ, სადაც დიუბუა დე მონპერე მიუთითებს [2, გვ. 19-20]. მეექვსე - ბ. კუფტინის აზრით არიანეს დროინდელი ფასისი მდებარეობდა პალიასტომის ტბის შენაკადის მდ. ფიჩორის ნაპირებზე [55, გვ. 116]. მეშვიდე - ნ. ხოშტარია თვლიდა, რომ ძველი და რომაულ-ბიზანტიური ხანის ფასისი დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე მდებარეობდა [41, გვ. 33]. მერვე - ნ. ლომოური იზიარებს დიუბუა დე მონპერეს მოსაზრებას ოღონდ თვლის, რომ ის აგათიას (ახ. წ. VI ს.) დროინდელი ნაქალაქარია [58, გვ. 96-99]. მეცხრე - გ. გრიგოლია ფიქრობს, რომ ფასისი საძებნელია პალიასტომის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მდ. ფიჩორი ერთვის ტბას [12, გვ. 54]. მეათე - პალეოგეოგრაფ ჯ. ჯანელიძის აზრით ქ. ფასისი მდ. რიონის ხეობის გასწვრივ, ზღვიდან 6 კმ-ზე, პატარა ფოთის და სოფ. ჭალადიდის ირგვლივ ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ [43, გვ. 5-16]. მეთერთმეტე - ოთ. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ფასისის სახელით ცნობილი სხვადასხვა ეპოქის ქალაქები უნდა ვიკვლიოთ იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის გზით, რომლებიც განლაგებულია მდ. რიონის შესართავის აუზში ქვემო-ჭალადიდს და ზღვის სანაპიროზე გრიგოლეთ-ყულევს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე" [19, გვ. 33]. მეთორმეტე - გ. გამყრელიძის მოსაზრებით III-VII სს. ფასისია ე. წ. „ნატეხების" ნამოსახლარი, რომელიც აღმოჩნდა ქ. ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის დასავლეთ მონაკვეთში. ვთვლით, რომ ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო, ყულევის მდ. რიონის, ფიჩორის და სუფსას შორის მდებარე მონაკვეთში ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში (ან ტორფიან ჭაობში); ამიტომ ქალაქი, მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა [6, გვ. 97-117; 9, გვ. 22; 10, გვ. 101].

ქ. ფასისი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო [3, გვ. 99-119; 48, გვ. 7-8]. ქ. ფასისის საშუალებით უცხოეთში გადიოდა ოქრო, რკინა, საამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ღვინო, მოგვიანებით ნავთიც და სხვ. [3, გვ. 53-59; 8, გვ. 26-32]. ფასისის სახელით არის ევროპულ ენებში ცნობილი „ფასისური ხოხობი" (ფაზანი), რომელიც აგრეთვე დიდი რაოდენობით გაჰყავდათ ქალაქის სანახებიდან. ელინისტურ და რომაულ ხანაში გაიზარდა ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა.

ძვ. წ. 66 წ. ფასისთან შეხვდნენ ერთმანეთს იბერიიდან გადმოსული პომპეუსი და რომაელების სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელი სერვილიუსი, რომლის ფლოტიც ზღვიდან კეტავდა და აკონტროლებდა ქალაქს. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში რომაელების გავლენის გაძლიერების შემდეგ ფასისში ჩადგა რომაული სამხედრო გარნიზონი. სწორედ ამ გარნიზონის სამხედრო-საფორტიფიკაციო მზადყოფნას ფასისში აღწერს 134 წ. იმპერატორ ადრიანეს ინსპექტორი ფლავიუს არიანე. ამ მხრივ საყურადღებოა ლათინური დამღა, რომელიც ფასისში განლაგებული სამხედრო ნაწილისა უნდა იყოს [39, გვ. 134-140]. ციხე-სიმაგრე ფასისი, იმპერატორ კონსტანტინე I-ის ადმინისტრაციული მოღვაწეობისას იხსენიება. IV ს. ფასისში უმაღლესი რიტორიკული სკოლა იყო განლაგებული. IV საუკუნისათვის ფასისი ლაზიკის (ახალი კოლხური სამეფოს) შემადგენლობაში შედიოდა. 542-562 წწ. ბიზანტია ირანის ომის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ ფასისთან მოხდა, რომელშიაც ბიზანტია-ლაზიკის გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა ირანელები. VI-VIII სს-ში ფასისში იყო კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებული საეპისკოპოსო. ფასისელ ეპისკოპოს თეოდორეს ხელმოწერა შემორჩენილია 553 წ. მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე. ერთ-ერთი ფასისელი ეპისკოპოსი კვიროსი დაწინაურებულ იქნა ალექსანდრიის პატრიარქად. შემდგომში ფასისში რეზიდენცია ჰქონდა ლაზიკის მიტროპოლიტს. XIV-XV სს-ში ფასისში მდებარეობდა გენუის სავაჭრო ფაქტორია (დაწვრ. იხ. ზემოთ ჩამოთვლილი წერილობითი წყაროები).

ფოთი-ფასისის და მისი მიდამოების არქეოლოგიურ კვლევას კარგა ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ 1834 წ. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე),

ადგილ „ნაჯიხურთან“ ციხე-სიმაგრის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არიანეს დროინდელ ფასისად მიიჩნია. მან ამ ციხის ნახაზიც შეადგინა [61, გვ. 63-80]. 1953 წ. ნ. ხოშტარიამ მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ქ. ფოთის მიდამოებში [41, გვ. 30-33]. 1961-65 წწ-ში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მიქელაძე) იკვლევდა ქ. ფოთის შემოგარენს; არქეოლოგიურთან ერთად ჩატარდა გეოლოგიური ბურღვებიც. 1969 წ. ამავე ინსტიტუტის დასავლეთ საქ. საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები აწარმოვა ადგილ ნაჯიხურის ახლოს (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია). 1971 - 1980 წწ. ფასისის არქეოლოგიის საკითხებს იკვლევდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მიქელაძე). 1985 წლიდან ფოთში კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე), რომელმაც პალიასტომში III-VII სს. ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია.

დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ ნატეხებთან პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა (ტაბ. II). აქ აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს-ის ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული ამფორის ძვ. წ. III ს. ძირი [48, გვ. 35, სურ. 5, 6]. ქ. ფოთის მიდამოებში (ზუსტი ტოპოგრაფია უცნობია) აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. კოლხური თეთრის 2 ცალი დიდრაქმა (II ტიპის) და რამდენიმე სხვა უფრო მცირე ნომინალი (ინახება საქ. სახ. მუზეუმში) [62, გვ. 37; 52, გვ. 14-15]. ქ. ფოთში, პირველი მაისის და კავკასიის ქუჩების გადაკვეთაზე გეოლოგიური ბურღვის შედეგად 6 მ-მდე სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის მსგავსი ძვ. წ. II-I სს კერამიკის ნაშთები [21, გვ. 18-19]. მალთაყვასთან და სუფსასთან, ზღვაში ძვ.წ. IV ს-ის პონტოს ჰერაკლეის და სინოპის ამფორები აღმოჩნდა.

ფოთის შემოგარენში სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიდში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით), ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ნ. ყიფიანის ნაკვეთში. ბორცვის ფართობი 1800 კვ. მ; აქ გაითხარა შემდეგი ფენები: მოყვითალო ქვიშანარევი თიხნარი; მოყვითალო თიხნარი; დამწვარი ბათქაშიანი და ძელებიანი ნაგებობების ნაშთები. ნამოსახლარის შუა და ქვედა ფენა განისაზღვრა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით. ნამოსახლარზე ძირითადად აღმოჩნდა კერამიკა: ქოთნები, ჯამები, თასები. ისინი უმეტესად შემკულია შვერილებიანი დამახასიათებელი ყურებით. კერამიკა ძირითადად მოშაობა. ისინი შემკულია ირიბ ჭდეებიანი, ტალღოვანი რომბისებური ორნამენტით. აქვე აღმოჩნდა ყალიბი, ქვის ხელსაფქვავი, კვირისთავი, ნამგლის კაჟის ჩასართავები და სხვ. სოფ. ქვემო ჭალადიდის „საბაჟოს“ მონაკვეთზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ა. ბერიძის კარმიდამოშიც. ნამოსახლარებზე, განათხარში აღმოჩნდა ნაგებობების დამწვარი ძელების და ბათქაშების ნატეხები. კერამიკის გარდა აღმოჩნდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და ყალიბი [21, გვ. 33-40].

მეორე სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქ. ფასისის სასოფლო გარეშემორტყმად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში, „სიმაგრეს“ სახელწოდებით ცნობილ მონაკვეთში, ფ. ფაციას საკარმიდამოსთან, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. „სიმაგრეს“ ბორცვი 3300 კვ. მ-ს მოიცავს. აქედან ჯერჯერობით არქეოლოგიურად შესწავლილია 200 კვ. მ. ბორცვის ქვემო მოშაო ფენაში (60 სმ.) აღმოჩნდა ხის ნაგებობები. აქ რამდენიმე სამშენებლო დონეა. „სიმაგრის“ ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VI-V სს. თარიღდება. „სიმაგრის“ ნაგებობები ოთხკუთხაა და ძელების წყობითაა ჯარგვალურად ნაგები. დადასტურებულია წნული ღობეების ნაშთები. აღმოჩნდა ნაგებობების იატაკები. ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები 112 კვ.მ. მასში არის ტიხრები. ნაგებობის კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები. აღმოჩნდა ასეთი კედლის ძელების ექვსი რიგი.

სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ძვ. წ. VI-V სს კერამიკა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი დიდად სჭარბობს უცხოურ არქეოლოგიურ მასალას. აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკა ყველა არქეოლოგიურ ფენაში ტიპოლოგიურად ერთნაირია. კერამიკა დამახასიათებელია VI-V სს კოლხეთისა-

თვის. აღმოჩნდა - სამეურნეო: ქვევრები, დერგები; სამზარეულო: ქოთნები, ქოთნის სარქველები, სასმისები, ყურმილიანი ხელადები, კოჭბები, ლანგრები, ჯამები. დადასტურდა - კონუსური ფორმის კვირისთავები; ბრინჯაოს დანები; რკინის შუბისპირები; რკინის თოხები; რკინის დანები; ანკესები; რკინის ლაგმები; წაგრძელებული ფორმის ქვის ხელსაფქვავები; ხის ციცხვები; სარდიონის და გიშრის მძივები; ოქროს სამკუთხა საკიდი, რომელზედაც ცვარათი შესრულებულია მეანდრის ორნამენტი. უცხოური კერამიკიდან: ამფორები - ქიოსური, ლესბოსური, სამოსური; სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია იონური კერამიკით - ჯამები, ჭრაქები და კილიკები; შავლაკიანი და შავფიგურული ატიკური ჭურჭელი - კილიკები. მდ. რიონის მარცხენა ტერასის გაყოლებით ზღვიდან დაახლოებით 9 კმ-ზე, აღმოჩნდა ძვ. წ. V-IV სს ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობები. არქეოლოგიური მასალა აქ წარმოდგენილია კოლხური კერამიკით - ქოთნები, კოჭბები, სარქველები, ყურმილიანი დოქები და სხვ. ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით. აქ ზედა ფენაში დადასტურდა ქედებიანი ქვევრების და კოლხური ამფორების ნატეხები. აღმოჩნდა აგრეთვე სინოპური ამფორის ძირები [21, გვ. 50-78].

ქ. ფოთის სანერგის ნაკვეთზე, რომელიც ფოთის აეროპორტის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის, აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების ორი წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორა. აქვე დადასტურდა ოთხკუთხა, დიაგონალურად ურთიერთმკვეთი, ორღარიანი აგურები. არქეოლოგიური მასალა ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. აქვე, ფოთის აეროდრომის მიდამოებში, ადგილ ნაჯიხურის ჩრდილოეთით გაჭრილ თხრილში აღმოჩნდა: აგურის და კრამიტის ფრაგმენტები; გოფრირებულ ზედაპირიანი ამფორის ნატეხები; იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ) სახელით ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლის დიდრაქმა [12, გვ. 44].

სიმაგრის ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მ-ზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა სამაროვნის ნაშთები. აქვე დადასტურდა ქვით, აგურით და კირხსნარით აგებული შენობის ნაშთები. აღმოჩნდა ურთიერთმკვეთ ღარებიანი აგურები, ცალყურა ხელადები, კათხები, ორყურა ქილები, ჯამები. ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და ღია მოყავისფროდაა გამომწვარი. არქეოლოგიური მასალა ადრეული შუა საუკუნეებისაა.

ქ. ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, პალიასტომის ტბასთან, ქალაქის შემოსავლელი გზის, კაპარჭინაზე ახალი ხიდის მშენებლობის ადგილზე, აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრის წვეტიანი ძირები, ჯამები, წელშეზნექილი ამფორების ნატეხები). პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთ შენაკადის თხორინას შესართავთან ნაპოვნია გოფრირებული ამფორა. ადრეული შუა საუკუნეების ამფორების ნატეხები ნაპოვნია, აგრეთვე, მდ. ფიჩორის პალიასტომთან შერთვის მონაკვეთშიც [6, გვ. 98-104; 48, გვ. 33-34]. ადრეული შუა საუკუნეების კერამიკა აღმოჩნდა ქ. ფოთის დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე, ადგილ „ნაჯიხურში" (დიუბუა დე მონპერეს მიკვლეული). კერძოდ: ურთიერთგადამკვეთ ღარიანი აგურები, გოფრირებული კერამიკის ნატეხები. „ნაჯიხურიდან" სამხრეთ-დასავლეთით მდ. შავის პალიასტომთან შესართავთან, აგრეთვე, აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრები, გოფრირებული ამფორები და სხვ.).

ფასისთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია შემორჩენილი: ბერძნულ წარწერიანი ვერცხლის ფიალა, რომელიც აღმოჩნდა ყუბანში, ე.წ. ზუბოვის ყორღანში (ინახება ს.-პეტერბურგში, „ერმიტაჟში"). ფიალის დიამ. 21 სმ-ია; ფსკერი ამობურცულია; გამოსახულია გველი და ირმის თავები; პირზე აქვს წარწერა - ΄ΑΠΟΛΛΩΝΟΣ · ΄ΗΓΕΜΟΝΟΣ · ΄ΕΙΜΙ · ΤΟΜ · ΦΑΣΙ „აპოლონ წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფასისშია". შესრულებულია ბერძნული ენის იონიურ დიალექტზე, პალეოგრაფიულად IV სს-ით თარიღდება [37, გვ. 235-236; 71, სურ. 7-11; 73, გვ. 199-216]. ლათინურ წარწერიანი დამღა ფილაზე აღმოჩნდა სოფ. ციხისძირის ნაციხარზე (ინახება საქ. სახ. მუზეუმში) „VEX.FA", „VEX[illatio]FA[siana] „ვექსილაციო ფასიანა", რომელსაც ქ. ფასისში II ს-ში მდგარი სამხედრო ნაწილისათვის დამზადებულად მიიჩნევენ [39, გვ. 134-140]. ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ადგილ „ნატეხებში" აღმოჩნდა წელშეზნექილი ამფორა, რომელზეც ბერძნულ ასოებიანი გრაფიტოა - „φω". ამფორა VI ს. თარიღდება. ინახება ფოთის

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში [6, გვ. 115]. ზღვაში სუფსის კანიონთან აღმოჩნდა სინოპური გრაფიტოიანი (BIK) ამფორა. ფოთიდან, პალიასტომის ტბის მიდამოებიდან, არის ქართულ (მხედრულ) წარწერიანი ბარძიმი, რომელიც ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება (ინვ. № 3788).

1985 წელს საქართველოს მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შეიქმნა შავიზღვისპირეთის შემსწავლელი ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. გ. გამყრელიძე). ექსპედიციას პირველ რიგში დაევალა საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა. ამისათვის საჭირო შეიქმნა ჰიდროარქეოლოგიის თვალთახედვით წერილობითი წყაროების, პალეოგეოგრაფიულ-გეომორფოლოგიური მონაცემების ხელახალი გადასინჯვა-შეჯერება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთი საინტერესო უბანია ქალაქი ფოთი და მისი შემოგარენი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჰიდროარქეოლოგიური სამუშაოების ფოთში დაწყება. პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში, „კაპარჭინას" ბოლოში, ადგილ „ნაეკლესიარზე" რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთები აღმოჩნდა. კედელთან აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით კედლის თარიღზე რაიმეს თქმა ძნელია.

პალიასტომში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) ნახევარ კილომეტრზე, ტბის დასავლეთ ნაწილში დადასტურდა III-VIII სს. ნამოსახლარის ნაშთები. ხსენებულ პუნქტში (ტოპ. „ნატეხები") ტბა ქმნის მცირე ყურეს. პალიასტომის ადგილი - „ნატეხების" არქეოლოგიური შესწავლის დაწყებისთანავე წამოიჭრა საკითხი: ეს კერამიკა აქ შემოტანილ-ჩამორეცხილია მდინარე რიონის მიერ (წინათ მდ. რიონის ნაწილი პალიასტომის ტბას ერთვოდა), თუ ნამოსახლარის ნაშთებთან გვაქვს საქმე. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პუნქტ „ნატეხებში" ძველი ნამოსახლარია. ამას მოწმობს: პირველი - აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კერამიკის ნაშთები ერთ გარკვეულ ფართობზე; მეორე - ვერტიკალურად ჩადგმული რამოდენიმე ამფორა; მესამე - აღმოჩნდა სამარხის ნაშთი; მეოთხე - ნაპირზე გაჭრილ ხუთ საადაზვერვო თხრილში დაფიქსირდა ისეთივე სახის კერამიკა, როგორიც ტბის ფსკერზე.

„ნატეხების" ძველი ნამოსახლარის ნაშთები დაახლოებით ცხრაას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. ტბის ფსკერი ქვიშიანი და თიხიან-ტორფიანია. მოცემულ მონაკვეთში ნაპირიდან ცენტრისკენ, დაახლოებით სამასი მეტრი სილა-ქვიშნარია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. ზოგან ტორფის ფენა ქვიშის ფენის ქვეშაა. გამორიცხული არ არის, რომ თიხა-ტორფიან ქვედა ფენებში უფრო ძველი პერიოდის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდეს. პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტი კვადრატული კილომეტრია. ზღვისა და ტბის დონე თანაბარია. პალიასტომს დაჭაობებული შემოგარენიდან მომდინარე მდინარეები ერთვის. ამათგან ყველაზე წყალუხვია მდ. ფიჩორი.

გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდ. რიონის ლიმანი იყო [54, გვ. 57-59; 40, გვ. 25-33]. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავთსაყუდელი მდებარეობდა, გემები შემოსულიყვნენ. გემები შემდეგ პალიასტომის გავლით მდ. რიონზე აღმა აგრძელებდნენ სვლას, რომელიც მაშინ ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო (სტრაბონი, XI, VII § 3).

აგათია ფასის-პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება; აი, ეს ტბა არხის საშუალებით გადმოუშვეს აქ და სწრაფად აავსეს წყლით (შესაძლოა „კაპარჭინა" - გ.გ.). სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად" [25, გვ. 102].

ტოპონიმ პალიასტომის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, რომელიც პალიასტომის სახელს ძველი ბერძნულის მოშველიებით შემდეგნაირად ხსნის - ძველი შესართავი (πάλαιός-στόμα) [72, გვ. 71] (მდ. რიონის?). იგივე აზრისაა კარლ კოხი [15, გვ. 173]. საყურადღებოა, რომ სტრაბონი მდ. ფასისის შესართავის მიმართ უმეტეს შემთხვევაში ხმარობს λίμνη -ს (დამდგარი წყალი, ჭაობი, წყალსაცავი, ლიმანი, ტბა, ზღვის ყურე). მაგრამ იგი ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს στόμα -საც (στόματος) [32, გვ. 86], რომელიც შესართავს, ყურეს, შესასვლელსაც ნიშნავს. ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ ამ ორ სიტყვას ერთად ხმარობენ - στόμα - λιμνον (ლიმანი, ყურე) [51, გვ.

1508, 1509]. ამდენად, ისინი რამდენადმე სინონიმური მნიშვნელობის არიან. საინტერესოა აგრეთვე, რომ სიტყვა στόμωμα-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა არის ციხე-სიმაგრე. ამ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო πᾶλαίος -στόμωμα (ძველი ციხე-სიმაგრე) პალიასტომი // პალიასტომომა.

პალიასტომის ტბაში ადგილ „ნატეხების" ნამოსახლარზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვნად წარმოდგენილია კერამიკული ნაწარმი. იგი სხვა სახის არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად (არქეოტოპოგრაფია; მინა, ლითონი და სხვ.) წარმოდგენას გვიქმნის „ნატეხების" ძველი მოსახლეობის ცხოვრებაზე, სავაჭრო ურთიერთობაზე. პალიასტომში („ნატეხებში") აღმოჩენილი კერამიკა დანიშნულების მიხედვით ნაწილდება - სამშენებლო, კერამიკული ტარა და სამეურნეო-საოჯახო.

სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია კრამიტით და აგურით. ნამოსახლარზე დადასტურებული აგური ოთხკუთხაა და სისქე 3 სმ-დან 5 სმ-მდეა; აგურები ზომებით ისეთივეა, როგორიც დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე - ბიჭვინტა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, ნოქალაქევი, მთისძირი, ვაშნარი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო და სხვ. ნამოსახლარზე დადასტურდა ბრტყელი გვერდებაკეცილი (სოლენისებური) კრამიტი. გადანაკეცის სიმაღლე 3,5 სმ-დან 5 სმ-მდეა, სისქე კი 1,5 სმ-დან 2,5 სმ-მდე. კრამიტის თიხა მოწითალო-მოყავისფროა და ეტყობა მინარევები (კირქვა, კვარცი). აქ ადგილობრივის გარდა აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი კრამიტის ნატეხებიც. ამ კრამიტების თიხა სინოპურს ჰგავს. სამშენებლო მასალიდან აგურის და კრამიტის გარდა ნამოსახლარზე ხის ძელების და დამწვარი თიხის (ბათქაში) ნაშთები აღმოჩნდა. გამორიცხული არ არის, რომ აქ აგურით ნაგებ პირველ სართულზე ძელებიანი თიხით შელესილი და კრამიტით დახურული ნაგებობები იდგა. ფლავიუს არიანე აღნიშნავს, რომ ფასისში „წინათ კედელები თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული" [1, გვ. 40].

ძველი „ნატეხების" ჭურჭლის უმეტეს, შეიძლება ითქვას, ძირითად ნაწილს შეადგენს ე.წ. კერამიკული ტარა ამფორების სახით. „ნატეხების" წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორები ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენს ნოქალაქევში გათხრილებთან. საერთოდ ამ სახის ამფორები დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის - ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე: სოფ. განთიადი, ბიჭვინტა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, მთისძირი, ციხისძირი, ვარდციხე, ქობულეთ-ფიჭვნარი.

სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერიებით და დოქებით. ქოთნები სადა, მუცელგამობერილი და მოკლეყელიანია. მათ პირი გადაშლილი აქვთ. კედლის სისქე 6 მმ-დან 8 მმ-მდეა; ძირის დიამეტრი 7 სმ-დან 10 სმ-მდეა. ქოთნებს ფსკერზე ეტყობა წრიული ღარები. ძველი „ნატეხების" სამზარეულო კერამიკაში მეორე ჯგუფს რაოდენობის მხრივ შეადგენენ ჯამები. აქ ძირითადად გვხვდება კალთამომრგვალებული ბრტყელძირა დაბალი ჯამები. ნამოსახლარზევე აღმოჩნდა ლუთერიის ტუჩ-კედლის ფრაგმენტები კეცის სისქე 8 მმ-დან 10 მმ-მდეა. თიხა მოყავისფროა, მინარევებიანი (კირქვა, ქარსი, კვარცი). თიხის მიხედვით ადგილობრივი ნახელავია. ადგილობრივი წარმოების ლუთერიები ნანახია - ვარდციხეში, ვანში, ბიჭვინტაში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ნოქალაქევში, მთისძირში და სხვ. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებით. კედლებზე შეიმჩნევა კონცენტრული რელიეფური ხაზები. ქვევრების თიხა მუქი ყავისფერია. ქვევრის ძირები ბრტყელია და მათი დიამეტრი 12 სმ-დან - 16 სმ-მდეა. კედლის სისქე 16-19 მმ-მდეა.

პალიასტომის ტბის ადგილ „ნატეხების" არქეოლოგიური შესწავლის შედეგად აღმოჩენილი მასალის ერთი ნაწილი, კერძოდ, უცხოური კერამიკა (მთელი არქეოლოგიური მასალის დაახლოებით 25%) ზოგად წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის საგარეო ურთიერთკავშირზე. ეს უცხოური ნაწარმი წარმოდგენილია პირველ რიგში ამფორებით, საოჯახო მოხმარებისათვის განკუთვნილი წითელლაკიანი ჯამების ნატეხებით და მინის ჭურჭლით. ამფორის ნატეხებიდან უმრავლესობა სინოპური თიხის მსგავსია. მათი თიხა ღია მონაცრისფროა და თან ოდნავ იისფერი დაჰკრავს. ამგვარი თიხის ამფორები ძირითადად წარმოდგენილია ძირების, კედლების და ყურების სახით. უმეტესობისათვის დამახასიათებელია ტანის დაღარულობა. სინოპურის მსგავსი თიხის ამფორებში ფორმის მიხედვით გამოიყოფა რამოდენიმე ჯგუფი. ზემოხსენებული თიხისნაირი ამფორები აღმო-

ჩენილია - ბიჭვინტაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ციხისძირში, წებელდაში და სხვ. ნამოსახლარზე ცალკე გამოიყოფა ღია მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ამფორები, რომლებსაც კარგად განლექილი თიხა აქვთ. ისინი საშუალო ზომის ამფორებს მიეკუთვნებიან. ამნაირი ამფორები ნანახია ბიჭვინტაში, ციხისძირში. მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ათენის აგორაზე. არ არის გამორიცხული მათი ხმელთაშუაზღვური წარმოშობა. მივაკვლიეთ გოფრირებული ამფორების ნახევარსფეროსებურ ძირებს, რომლებსაც წვერზე პატარა ბურცობები აქვთ. მათი თიხა ძირითადად მოყავისფრო-მოწითალოა. ამგვარი ძირები ბიჭვინტაში, წებელდაში, სოხუმში და ციხისძირშიც არის ნაპოვნი. ყურადღებას იპყრობს სამოსური ამფორების ძირები. დასავლეთ საქართველოში სამოსური ამფორები დადასტურებულია ბიჭვინტაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ციხისძირში, წებელდაში, ნოქალაქევში და ზღვის სანაპიროდან დიდი მანძილით დაცილებულ ვარდციხეშიც.

„ნატეხების" კერამიკულ ტარაში ცალკე გამოიყოფა მოყავისფროდ გამომწვარი ამფორები; შეიმჩნევა ქარსის უწვრილესი მინარევები. ამგვარ ამფორებს გრძელი და ვიწრო ყელი აქვს; პირის კიდეზე ლილვისებური წიბო დაუყვება. ყურები პირის კიდესთან ახლოა და ჰორიზონტალურად არის მიმაგრებული. ხსენებული სახის ამფორები ფორმით ძალიან ჰგავს ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე II-III საუკუნის ფენებში ნანახ ამფორებს. საქართველოს შავიზღვისპირეთში ისინი ჯერჯერობით ნაკლებად არის გამოვლენილი. სამოსახლოზე წითელლაკიანი კერამიკის რამოდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. მათი პირის კიდე შიგნით არის გადახრილი, სადაა, კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული. თიხა თანაბრადაა გამომწვარი და ბაცი მოყავისფროა. მასში შეიმჩნევა ქარსის უმცირესი მინარევები. წითელი ლაკი საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. ამნაირი ჭურჭელი დასავლეთ საქართველოს IV-V სს-ის ფენებში გვხვდება: გონიოში, ციხისძირში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ბიჭვინტაში, ვაშნარში, ნოქალაქევში, ქუთაისში, წებელდაში, მთისძირში და ა.შ. საყურადღებოა, რომ ასეთი კერამიკა დიდი რაოდენობით არის ზღვისპირეთში (მაგ. სოხუმი, ბიჭვინტა და ა.შ.).

ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნაწარმი, რომელიც ძირითადად ფეხიანი სასმისებით არის წარმოდგენილი. ე.წ. მინისფეხიანი სასმისების გარდა აქ აღმოჩენილია რაღაც სხვა ჭურჭლების (მათი ფორმების განსაზღვრა ჭირს) და სასარკმლე მინის ნატეხები. მინა ძირითადად გამჭვირვალეა და ღია-მომწვანო ელფერისაა, მაგრამ მოცისფრო ფრაგმენტებიც გვხვდება. ასეთი მინის ნატეხები გათხრილია წებელდაში, გუდავაში, მთისძირში, სოხუმში, ნოქალაქევში და სხვ. მსგავსი ფეხიანი სასმისები IV-VIII სს-ით თარიღდება და ბევრია ნაპოვნი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა და შავიზღვისპირა ნამოსახლარებზე. ისინი, აგრეთვე, ნანახია სანაპიროდან დაცილებულ მცირე აზიის, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონებში. მინის ფეხიანი სასმისები საქართველოში დადასტურებულია მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში, ჟინვალში, თბილისში; ბიჭვინტაში, სოხუმში, წებელდაში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ციხისძირში, ვაშნარში, მთისძირში, ვარდციხეში და სხვა ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარებზე. მათ ფერში და ფორმაში შეიმჩნევა განსხვავებები. შედარებით უფრო მსგავსია საქართველოს ზღვისპირეთის სამოსახლოების მინის სასმისები.

„ნატეხების" წყალში მოქცეული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ორმოსამარხის ნაშთებია. აქ დადასტურდა წელშეზნექილი ამფორა, რომელსაც თავი წატეხილი და ზემოდან მეორე ღარებიანი ამფორის ქვედა ნაწილი ჰქონდა დამხობილი. ამფორაში ფრინველის და ღორის დამწვარი ძვლები იყო. ამფორასთან ადამიანის ძვლები აღმოჩნდა. სამარხში დადასტურდა შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს ქინძისთავი; სიგრძე - 7,7 სმ; ბრინჯაოს მშვილდსაკინძი; სიგრძე - 4,3 სმ; ბრინჯაოს მშვილდსაკინძი; სიგრძე - 4,3 სმ; ბრინჯაოს მშვილდსაკინძი; სიგრძე - 5,2 სმ. ამგვარი ფიბულები, რომლებსაც ჭვინტიანებს ეძახიან VI ს-ით თარიღდება; ტყვიის ბრტყელი ოთხკუთხა ფილა. მინის ფეხიანი სასმისი, ქუსლის დმ - 4,3 სმ. ბიზანტიური 20 ნუმიანი სპილენძის მონეტა; ზურგზე გამოსახული აქვს „K", შუბლის მხარე არ იკითხება. მონეტა იუსტინე II (565-578 წწ.) დროს არის მოჭრილი. „ნატეხების" დასავლეთ მონაკვეთზე იმპერატორ კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) სპილენძის მონეტაც აღმოჩნდა (მონეტები განსაზღვრა ნუმიზმატმა პროფ. გ. დუნდუამ). „ნატეხების" არქეოლოგიური მასალა ინახება ქ. ფოთის მხარეთმ-

ცოდნეობის მუზეუმში (ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის შესახებ დაწვრილებით იხ. [6, გვ. 97-117; 9; 10, გვ. 70-110; 48, გვ. 30-48; 69, გვ. 101-119]).

პალიასტომში აღმოჩენილი „ნატეხების" ნამოსახლარის თარიღი ჯერჯერობით III-VIII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს, ხოლო იქვე აღმოჩენილი სამარხი - VI საუკუნით. ნამოსახლარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ახლო დგას დასავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან (ქუთაისი, მთისძირი, ვაშნარი, წებელდა და სხვ.). იგი გამორჩეულ სიახლოვეს იჩენს ბიჭვინტის, სოხუმის, ოჩამჩირის, გუდავის და ნოქალაქევის არქეოლოგიურ მონაპოვართან. შესაძლოა, რომ პალიასტომის ტბის „ნატეხების" ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბიზანტიური ხანის, პროკოფი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილი ფასისის ნაშთებთან, რომელიც განლაგებული იყო მდ. ფიჩორის, შავის და კაპარჭინას შესართავებთან და ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო ადგილმონაცვლეობდა [დაწვრილებით იხ. 6, გვ. 97-117; 48, გვ. 30-48; 69, გვ. 101-119; 68, გვ. 223-236].

ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით ქ. ფასისის ადგილმდებარეობა თითქოს ზუსტად არის განსაზღვრული. ქალაქი განლაგებული იყო მდ. ფასისის დელტის მარცხენა მხარეს; აქვე სახელდება ტბაც (ალბათ პალიასტომი). ამგვარი განსაზღვრა ზედმიწევნით მიესადაგება დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას. ამის გამო მეცნიერები ერთსულოვნად მიანიშნებენ, რომ ძველი ფასისი ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა საძებნელი [იხ. 2, გვ. 3-21; 19, გვ. 17-36; 12, გვ. 36-55; 9]. ამის მიუხედავად კლასიკურ-ელინისტური ხანის ფასისი მაინც მიკვლეული არ არის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ხსენებულ მონაკვეთში ურთულესი პალეოგეომორფოლოგიური სიტუაციაა [43, გვ. 5-16; 54, გვ. 21-33; 40; 64, გვ. 8-12; 50, გვ. 21-64]. გეომორფოლოგიური მდგომარეობის მხრივ ყულევ-ფოთი-ურეკის ზღვისპირეთი თითქოს ამოვარდნილია საქართველოს ზღვისპირეთის (330 კმ.) საერთო კონტექსტიდან. აქ ბუნდოვანია გლობალური, შავი ზღვის რეგრესიის და ტრანსგრესიის ფაქტი ფასისთან მიმართებაში. გაურკვეველია ზღვის სანაპირო შელფის ლოკალური დინამიკის საკითხიც. ხშირად გეომორფოლოგები არქეოლოგების მონაცემებს ეყრდნობიან და სანაპიროზე ნამოსახლარების განლაგების მიხედვით გამოაქვთ ზოგადი დასკვნები. ჩვენი აზრით საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოს. ოღონდ, სასურველია, რომ ჯერ გეომორფოლოგებმა გაგვცენ პასუხი თუ როგორი იყო სანაპიროს დინამიკა და ძველად სად ერთვოდა რიონი ზღვას. მათ უნდა გაითვალისწინონ გლობალური (ზღვის რეგრესია-ტრანგრესია) და ლოკალური (მდინარეების გამონატანი ნაშალი მასალა; მდინარეების რიონის, ფიჩორის, ხობის, სუფსის ძველი კალაპოტები; რეგიონის ჭაობიანობა და ტორფიანობა და სხვ.) მონაცემები.

სასურველია, რომ პალეოგეომორფოლოგიური კვლევისას გამოყენებული იყოს კოსმოსური გადაღებები სათანადო კომპიუტერული დეშიფრირებით. ეს იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს თუ წინათ მდ. რიონ-ფასისი სად უერთდებოდა ზღვას და რა მიმართებაშია გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარები მასთან (იხ. ტაბ. I). სამწუხაროდ, ხსენებულ რეგიონში მხოლოდ აეროფოტოგადაღებებმა სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. საყურადღებოა, რომ აქ ერთის მხრივ ხდება რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი ნაშალი მასალის გამოტანა, რაც ალბათ დელტის ზღვაში გაწევას იწვევდა; ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა ზღვის დონის აწევა, რასაც სანაპიროს მიტაცება მოყვა.

დღეისათვის ყულევ-ფოთი-ურეკის სანაპიროზე, ზღვასთან ძველი ნამოსახლარები აღმოჩენილია - გვიანბრინჯაო-ადრერკინის - ფოთის ჩრდილოეთით სოფ. ყულევში, მდ. ხობის შესართავთან; აგრეთვე მდ. ცივასთან ძვ.წ. VI-IV სს. (არქ. ექსპედიციის ხელმძღვანელი ი.მ.კ. რ. პაპუაშვილი); ფოთიდან სამხრეთით მდ. სუფსის შესართავთან; აგრეთვე ფოთში, პალიასტომის ტბის „ნატეხების" ნამოსახლარის ტორფიან ფენებში აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს. შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხი და როდოსული ამფორის ქუსლი (იხ. ზემოთ).

საყურადღებო ფაქტია, რომ მარტო 1872 წლიდან 1965 წლამდე ფოთის მიდამოებში ზღვამ მიიტაცა 200 მ-მდე სიგანის მიწის მონაკვეთი [14, გვ. 505-508]. ამ მონაცემებით გამოდის, რომ ფასისი ზღვაში უნდა იყოს დაძირული. ამის დასტურია აგრეთვე მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემები, რომლის მიხედვითაც შავ ზღვაში ე.წ. ფანაგორიული

რეგრესიის დამთავრების მერე დაახლოებით ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დაიწყო ზღვის ტრანსგრესია [43, გვ. 5-16; 50, გვ. 148-159, 37; 64, გვ. 12, 53]. შედეგად, დღევანდლამდე ზღვის დონემ სამ მეტრამდე აიწია. შესაბამისად ძველი ნამოსახლარები ზღვის ქვეშ უნდა მოყოლილიყვნენ [43, გვ. 16; 66, გვ. 17]. კერძოდ, ამგვარი პროცესები განვითარდა ჩრდილოეთ [45, გვ. 15-27; 66, გვ. 13-24] და სამხრეთ (მაგ. სინოპი) შავიზღვისპირეთში, სადაც მთელი რიგი ანტიკური ხანის ნაქალაქარები მოექცნენ წყალქვეშ.

ფოთი-გრიგოლეთის ზღვის შელფში ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ი.მ.დ. გ. გამყრელიძე) [6; 48; 69] კვლევა-ძიებისას ზღვის ფსკერზე გეომორფოლოგიური მდგომარეობა ფრიად რთულია. მდ. რიონის სამხრეთი შტოს შესართავთან ზღვა ხშირად მღვრიეა და ხილვადობა ცუდია. მდინარეს დიდი რაოდენობით შლამი გამოაქვს და ზღვის ღელვის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვიშის დიუნები. შესაბამისად თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაშინ უნდა ვიფიქროთ - ფასისის ნაშთები ქვიშის სქელი ფენით არის დაფარული. ჰიდროარქეოლოგიური კვლევისას გრიგოლეთის გასწვრივ პალიასტომის გადმოღმა ზღვაში 25 მ სიღრმეში აღმოჩნდა ე.წ. წელშეზნექილი ამფორების მოზრდილი ნატეხები. ადრეული სინოპური ამფორა (პირის დმ-12 სმ.; ცილინდრული ყელის სიმაღლე - 15 სმ.; ყურები მასიურია და ჭრილში ოვალური), რომელსაც მხარზე ბერძნული გრაფიტო აქვს - BIK აღმოჩნდა ზღვაში სუფსის კანიონის მახლობლად. პონტოს ჰერაკლეის ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის ამფორა აღმოჩნდა მალთაყვასთან ზღვაში (ტაბ. II).

ამრიგად, დღევანდელი გეომორფოლოგიური და ტოპოარქეოლოგიური მონაცემების შეჯერების მიხედვით, კლასიკური და ელინისტური ხანის ფასისი საძებნელია ქ. ფოთიდან დაახლოებით 12 კმ. რადიუსის ფარგლებში - ხმელეთზე და ზღვაში. უფრო კონკრეტულად კი ყულევ-ფოთი-სუფსის და ჭალადიდ-საქორქიოს შორის მდებარე სამკუთხედში. ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო - მდინარეების მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის აკუმულაცია ზღვისპირეთში; ტორფის შრეების მოძრაობა; ნიადაგის ჭარბტენიანობა; ზღვის დონის ცვალებადობა და სხვ. საფიქრებელია, რომ ქ. ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში. ამიტომ ქალაქი ფასისი ხსენებული სამკუთხედის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა.

ლიტერატურა:

1. არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961.

2. ბერძნიშვილი მ. ქ. ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXIII, თბ., 1942, გვ. 3-21.

3. ბერძნიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორისათვის, თბ., 1969.

4. გამყრელიძე ალ. ამიანე მარცელინი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, I ტ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, თბ., 1961, გვ. 75-165.

5. გამყრელიძე ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებ. I, თბ., 1965, გვ. 11-47.

6. გამყრელიძე გ. წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, საქ. მეც. აკად. მაცნე (სერია ისტ. არქ...). თბ., 1987, №1, გვ. 97-117.

7. გამყრელიძე გ. ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993.

8. გამყრელიძე გ. ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), კრებ. ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, ჟურ. ძიებანის დამატება IV, თბ., 2001, გვ. 26-32.

9. გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის, თბ., 1998.

10. გამყრელიძე გ. კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევები), გამ. „ლოგოსი," 2002.

11. გორდეზიანი რ. ფაზისის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, B 2(140) თბ., 1971, გვ. 181-185.

12. გრიგოლია გ. ფასისის ლოკალიზაციისათვის, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებები, თბ., 1973 გვ. 36-55.

13. ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982, გვ. 119-124.

14. კეკელია ჯ. ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტების შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1981 №2, (102), გვ. 505-508.

15. კოხი კ., სპენსერი ო. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გამოსცა ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

16. ლამბერტი არქანჯელო. სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ, თბ., 1938.

17. ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქ. და კავკასიის ისორიისათვის, 32 ნაკვ., თბ., 1955.

18. ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტრიის ინსტ. შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 99-119.

19. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ. ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1973, გვ. 17-36.

20. მელაშვილი ნ. ორფიკული არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმანი, თბ., 1977.

21. მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.

22. მიქელაძე თ. ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ, 1964 წ. არქ. კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი თეზისები, XIV, თბ., 1965, გვ. 48-51.

23. ურუშაძე აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

24. ფოგტი ჰ. შენიშვნები ქართველური ენების წინაისტორიის შესახებ, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, 2-3, თბ., 1964, გვ. 92-97.

25. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, III ტ., ტფილისი, 1936.

26. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, IV ტ., I ნაკვ., მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1941.

27. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით , V ტ., თბ., 1963.

28. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით , IV ტ., II ნაკვ., თბ., 1952.

29. ყაუხჩიშვილი ს., გამყრელიძე ალ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანით , I ტ., თბ., 1961.

30. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული, VI ტ., თბ., 1966.

31. ყაუხჩიშვილმა თ. ბერძნული წარწერები საქართველოში., თბ., 1951.

32. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ., თბ., 1957.

33. ყაუხჩიშვილი თ. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

34. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967.

35. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქარველოს შესახებ, II, თბ., 1969.

36. ყაუხჩიშვილი თ. ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1969.

37. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

38. შარდენი ჟან. მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

39. შპაიდელი მ. კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ. არქ. ... სერია), თბ., 1985, № 1, გვ. 134-140.

40. ძველაია მ. კოლხეთის დაბლობი (გეოლოგია), თბ., 1973.

41. ხოშტარია ნ. პალიასტომის ტბის ისტორიისათვის, ჟურ. მეცნიერება და ტექნიკა, თბ., 1953, №9, გვ. 28-33.

42. ჯანაშია ს. ფასიდი, შრომები, II ტ., თბ., 1952, გვ. 271-281.

43. ჯანელიძე ჭ. ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტები, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1973, გვ. 5-16.

44. ჯიბლაძე ლ. დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა, არქ. კც-ის ძიებანი, 2001, № 8, გვ. 34-38.

45. Благоволин Н., Щеглов А.,

Колебания уровня Черного морья по данным археолого-геоморфологических исследований в Юго-Западном Крыму. Известия АН СССР, сер. географ., М., 1968, №2, с. 15-27.

46. Болтунова А. Эллинские апоикии и местное население Колхиды. Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1979, Тб., 1979, с. 256-274.

47. Брун Ф. Восточный берег Черного моря по древним периплам и по компасным картам. - Черноморье, т. II, Одесса, 1880.

48. Гамкрелидзе Г. К археологии долины Фасиса, Тб., 1992.

49. Гамкрелидзе Г. Гидроархеологические работы в зоне предполагаемого расположения древнего Фасиса. Причерноморье в VII-V вв. до н.э. - Материалы V симпозиума по древней истории Причерноморья, Тб., 1990, с. 215-219.

50. Джанелидзе Ч. Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980.

51. Древнегреческо-русский словарь (сост. Н. Дворецкий), М., 1958.

52. Дундуа Г. Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.

53. Ельницкий Л. Из исторической географии древней Колхиды. - ВДИ, № 2, 1938, с. 315-320.

54. Колхидская низменность. Палеография; Береговая зона морья, М., 1990, с. 29-37.

55. Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, т. I., Тб., 1950.

56. Латышев В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. - Записки классического отделения императорского русского археологического общества, т. II, вып. I, Санкт Петербург, 1904.

57. Латышев В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. - ВДИ, № 1(23), М., 1948, с. 223-315.

58. Ломоури Н. Из исторической географии древней Колхиды. - ВДИ, № 4, М., 1957, с. 96-110.

59. Лордкипанидзе О. К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды). - Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1977, Тб., 1979, с. 187-256.

60. Лордкипанидзе Г. О характере колхо-греческих взаимоотношений в VI-IV вв. до н.э. - Материалы I симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1977, Тб., 1979, с.25-33.

61. Монперэ Фредерик Дюбуа. Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937.

62. Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и Закавказья, Баку, 1926.

63. Платон. Сочинения, т. 2, М., 1970.

64. Хачапуридзе Я. Инжинерная геология Черного морья и охрана среды, Тб., 1990.

65. Шафранов Н. Где была греческая колония Фазис? - "Кавказ," № 71, Тифлис, 1880, с. 3.

66. Щеглов А. Северо-Западный Крым в античную эпоху, Л., 1978.

67. Braund D. Georgia in Antiquity, Clarendon press, Oxford, 1994.

68. Gamkrelidze G. Travaux hydroarheologiques de localisation de l ancienne Phasis, Le Pont-Euxin vu par les Grecs, Universite de Besancon, Paris, 1990, p. 223-236.

69. Gamkrelidze Gela. Hydroarchaeology in the Georgien Republic (the Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, London, New York, 1992, vol. 21, №2, p. 101-119.

70. Kacharava D. The town of Phasis as described in Graeco-Roman and Byzantine literary sources, Tbilisi, 1991, p. 1-14.

71. Lordkipanidze O. Phasis, The river and City in Colchis, Stuttgart, 2000.

72. Montpereux Frederic Dubois. Voyage autour du Caucase, v. III, Paris, 1839.

73. Tsetskladze G. The Silver Phiale Mesomphalos from the Kuban, Oxford journal of Archaeology 1994, 13, p. 199-216.

74. Tsetskladze G. Die Griechen in der Kolchis (historisch-archäologischer Abriß), Amsterdam, 1998.



გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები:
1. ნამარნუ; 2. ძიგური; 3. ნოსირი; 4. წყემი; 5. სირიაჩქონნის ოხოჯე; 6. ნანდევუ; 7. საგვიჩიო (ზურგანი კონშა); 8. ნაღმიპიჯი; 9. ჭალადიდი; (ზურგა, საბაკო, ჩხარი);10. ჭოღა I,II; 11. ოჩხომური; 12. ბეთლები; 13. ეკი; 14. ხორში-ლომურა; 15. გურიფული; 16. ნაოხვამუ (სოფ.რეკა); 17. ქვალონის დიხა-გუძუბა; 18. გეჯეთი; 19. ნოქო; 20. საკირე; 21. სენაკთან; (ცემენტის ქარხანასთან); 22. ბატნაოხურე; 23. ყულევი I; 24. ყულევი II; 25. ფიჩორისპირა ბორცვები; 26. ცივა; 27. ურეკი; 28. ანაკლია; 29. ერგეტა; 30. ჭოპოლა; 31. მუხურჩა; 32. ნიგვზიანი. X - ძვ.წ. VI ს. შემდგომი პერიოდის უცხოური კერამიკის ფრაგმენტები: სიმაგრე (სოფ.საქორქიო); ზურგა (სოფ. ჭალადიდი); საგვიჩიო; ნამარნუ; ყულევი; სუფსასთან (ზღვაში); პალიასტომი (ნატეხებთან); მალთაყვასთან (ზღვაში).



▲ ნამოსახლარები

● კერამიკა



ᲰᲘᲞᲝᲙᲠᲐᲢᲔᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ

ᲭᲐᲝᲑᲘ

საქართველოს ანტიკური ხანის (იბერიულ-კოლხური) არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა 1990-2002 წწ. სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია

შეადგინეს ელ. გიგოლაშვილმა და თ. ჭანიშვილმა

წიგნები და ბროშურები:

ახვლედიანი დიმიტრი. კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, გამ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ., 1999, 74გვ.

გამყრელიძე გელა. ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, გამ. „მეცნიერება," თბ., 1993, 88 გვ., 2 ტაბ.

გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან (ორგანიზაციული განვითარების გზა), გამ. „ბერსუმა," თბ., 1996, 35 გვ.

გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის, გამ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ., 1998, 30 გვ., 2 ტაბ.

გამყრელიძე გ. კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევები), გამ. „ლოგოსი," თბ., 2002, 264 გვ. 30 ტაბ. (რეზ. ინგლ. ენაზე).

Гамкрелидзе Г.А. К археологии долины Фасиса, изд. "Мецниереба," Тб., 1992, 240 с., 71 таб.

თოდუა თემურ. რომაული სამყარო და კოლხეთი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ., თბ., 2003, 226 გვ.

Тодуа Т.Т. Колхида в составе Понтийского царства, изд. Тбилисского гос. Университета, Тб., 1990, 122 с.

Качарава Дареджан, Квирквелия Гурам. Города и поселения Причерноморья античной эпохи, изд. "Мецниереба," Тб., 1991, 645 с.

ლორთქიფანიძე გურამ. ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ., თბ., 1991, 212 გვ. 78 ტაბ. (რეზ. რუსულ, ინგლ. და გერმ. ენ.).

ლორთქიფანიძე ოთარ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისის უნივერსიტეტის გამ., თბ., 2002, 338 გვ. (სრული ბიბლიოგრაფია იხ. - ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, აკც-ს ჟურ. ძიებანი, დამატება IV, თბ., 2001).

Lordkipanidze Ot. Vani, une Pempei géorgienne, Paris, 1995, 149 p.

Lordkipanidze O. Das Alte Georgien (Kolchis und Iberien) in Strabons Geographie, Amsterdam, 1996, 199 S.

Lordkipanidze O. Phasis. The river and city in Colchis. "Geographica Historica," 15, Stuttgart, 2000, 137 p.

მარგიშვილი სოსო. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბ., 1992, 114 გვ. (რეზ. რუს. ენ.).

Нариманишвили Годердзи. Керамика Картли V-I вв. до н.э., изд. "Мецниереба," Тб., 1991, 188 с. (რეზ. ინგლ. ენ.).

Нонешвили Александр. Погребальные обряды народов Закавказья (VII в. до н.э. - VII н.э. кувшинные погребения), изд. "Мецниереба," Тб., 1990, 172 с. (რეზ. ინგლ. ენ.).

Odisheli Manana. Spätantike und frühchristliche Mosaiken in Georgien.Österreichische Akademie des Wissenschaften. – Vienna, 1995, 69 S. (რეზ. ქართ. ენ.).

სულავა ნინო. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი), გამ. „მეცნიერება," თბ., 1996, 157 გვ., 37 ტაბ. (რეზიუმე რუს. და გერმ. ენ.).

ყიფიანი გურამ. ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ., თბ., 1991, 82 გვ., 32 ტაბ.

ყიფიანი გ. საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა. არქიტექტურული დეტალები, გამ. „ხელოვნება," თბ., 1993, 95 გვ. 44 ტაბ. (რეზ. რუს. ენ.).

ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ. „კოლხური" და „ფრიგიული" სახლები, VITRUVIUS II, I, 4,5, გამ. „ცისარტყელა," თბ., 1995, 24 გვ.

ყიფიანი გ. სატაძრო თემატიკა ძველ ქართულ ოქრომჭედლობის ნიმუშებში, გამ. „ნაკადული," თბ., 1998, 38 გვ.

Kipiani G., Amashukeli N. The Ancient cite of Vani, Tbilisi, 1995, 32 p.

ძიძიგური ლაშა. სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის (ადრერკინის ხანა - ანტიკური ხანა), გამ. „უნივერსალი," თბ., 2002, 244გვ.

ძიძიგური ლ. ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994, 176 გვ. (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

სამეცნიერო სტატიები:

Amashukeli Nodar, Kipiani Guram. Problemes de restauration et de conservation des monuments de Vani. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 287-288.

Амашукели Н.С., Кипиани Г.Г. Проблемы реконструкции и консервации архитектурных памятников Ванского городища. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, изд. "Мецниереба," Тб., 1990, с. 321-323.

აფაქიძე ანდრია, ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., დავლიანიძე რ. მცხეთა - 82. 1982 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, „მცხეთა," ტ. X, თბ., 1995, გვ. 6-57 (რეზ. რუს. ენ.).

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ჯ.წ. III საუკუნისა - აკლდამა 905, „მცხეთა,"

ტ. XI, თბ., 1996, გვ. 7-60 (რეზ. რუს. ენ.).
Apakidze A., Nikolaishvili V. An aristocratic Tomb of the Roman period from Mtskheta, Georgia. The Antiquaries Journal, LXXIV. London, 1994, pp. 16-54.
ახვლედიანი დიმიტრი. კოლხეთში აღმოჩენილი სინოპური დამღიანი კრამიტი. (პრეპრინტი). თბ., 1990, 7 გვ. (რეზ. რუს. ენ.).
ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური კერამიკული დამღები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 50-56, (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსული კერამიკული დამღები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 47-52, (რეზ. ინგლ. ენ.).
ახვლედიანი დ., გაბუნია ო., კალაძე ნ., ვაშაყმაძე მ. ვანის მუზეუმი - ეროვნული მემკვიდრეობის პროგრამა. საანგარიშო კრებული 1998, (ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო"), თბ., 1999, გვ. 126 (რეზ. ინგლ. ენ.).
ახვლედიანი დ. ძვ.წ. V-III სს-ის კოლხეთის მდიდრული სამარხების სოციალური დეფინიცია, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 21-25 (რეზ. ინგლ. ენ.).
ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჰერაკლეურ, თასოსურ, ქიოსურ და კნიდურ ამფორათა დამღები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 10, თბ., 2002, გვ. 50-51, (რეზ. ინგლ. ენ.).
Akhvlediani D. Les tuiles estampillées de Vani. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 283-285.
Ахвледиани Д.В. Клейменная черепица Ванского городища. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, изд. "Мецниереба," Тб., 1990, с. 324-326.
Berdzenishvili David, Kvirkvelia Guram, Lancava Omar. De nouveaux materiels pour l'histoire ancienne de Kutaissi. Sur les traces des Argonautes. Actes du 6ème symposium de Vani – 1990. Paris, 1996, pp. 337-339.
გამყრელიძე გელა. ღვთაების ქანდაკება ვანიდან, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," თბ., 1990, გვ. 52-59, (რეზ. ინგლ. ენ.).
გამყრელიძე გ. საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1991, გვ. 12-48.
გამყრელიძე გ. ებრაული მენორას გამოსახულება საქართველოდან, ჟურ. „ხელოვნება" №1-3, თბ., 1995, გვ. 124-139.
გამყრელიძე გ. ჰიდროარქეოლოგიური კვლევა პალიასტომის ტბაზე და შავ ზღვაში, კრებ. „გურია," თბ., 1996, გვ. 148-169, (რეზ. რუს. ენ.).
გამყრელიძე გ. კოლხურ-მოსუინიკური კოშკის რეკონსტრუირების ცდა, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 1(92), თბ., 1996, გვ. 25-29, (რეზ. ინგლ. ენ.).
გამყრელიძე გ. კოლხი მედეას სახე სოხუმის სტელიდან, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 4, თბ., 1997, გვ. 3-15, (რეზ. ინგლ. ენ.).
გამყრელიძე გ. დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი (1815-1878), ანტიკური ხანის უფლისციხის პირველი გათხრები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 4, თბ., 1999 (ახალ აღმოჩენილი დ. მელვინეთუხუცესიშვილის სურათით), გვ. 91-93, (რეზ. ინგლ. ენ.).
გამყრელიძე გ. ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ისტორიაზე, კრებ. „სამეგრელო-კოლხეთი," თბ., 1999, გვ. 12-21.
გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ისტორიისათვის, კრებ. „სამეგრელო-კოლხეთი," თბ., 1999, გვ. 122-138.
გამყრელიძე გ. ერთი კერამიკული ნივთის ინტერპრეტაციისათვის ადეიშვილების გორის ნაგებობიდან (სანათი), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 6, თბ., 2000, გვ. 54-59, (რეზ. ინგლ. ენ.).
გამყრელიძე გ. ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი, IV, თბ., 2001, გვ. 26-32 (რეზ. ინგლ. ენ.).
გამყრელიძე გ. ვერსია ბრძოლის სიუჟეტიანი ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 10, თბ., 2002, გვ. 39-49 (რეზ. ინგლ. ენ.).
Gamkrelidze G. From Colchian mythology. (Preprinter), Tbilisi, 1990, 7 p.
Gamkrelidze G. On the history of the inception and development of archaeology in Georgia (Preprinter), Tb., 1990, 12 p.
Gamkrelidze G. Underwater archaeology in the Colchian littoral, (Preprinter), Tb., 1990, 12 p.
Gamkrelidze G. Travaux hydroarchéologiques de localisation de l'ancienne Phasis. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 223-229.
Gamkrelidze G. Hydroarchaeology in Georgian Republic (the Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, vol. 21, N 2, London-New-York, 1992, pp. 101-109.
Gamkrelidze G. Ein Rhyton mit Götterdarstellung aus der Kolchis; Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan; Dietrich Reimer Verlag, Band 30, Berlin, 1998, S. 211-219.
Gamkrelidze G. Zur Identifikation der Kolcherin Medea auf einem Stelenrelief von Suchumi; Amirani; Mitteilungsblatt des Internationalen kaukasiologischen Forschungsinstitutes, VI, Montreal-Tbilisi, 2002, S. 20-31.
Гамкрелидзе Г.А. Гидроархеологические работы в зоне предполагаемого расположения древнего Фасиса, сб. Причерноморье в VIII-V вв. до н.э.; Материалы V симпозиума в Вани, Тб., 1990, с. 215-229.
Гамкрелидзе Г.А., Личели В.Т., Миндиашвили Г.М. Рекомендации по составлению отчетов. Полевые археологические исследования в 1986 г., Тб., 1991, с. 112-128.

Гамкрелидзе Г.А., Личели В.Т., Миндиашвили Г.М. Указатель археологических памятников на территории Грузии. Полевые археологические исследования в 1986 г., Тб., 1991, с. 114-128.

გვეტაძე ჯემალ. ქალაქ კასპის გენეზისი, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 1, 1992, გვ. 48-50 (რეზ. რუს. ენ.).

გვინჩიძე გიორგი. ახალწარმოჩენილი თავდაპირველი ქართული ქრისტიანული დამწერლობა, ექსპრეს-ინფორმაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბ., 1994, 5 გვ.

გვინჩიძე გ. ციხე-გოჯი, მასალები „ქართლის ცხოვრების" ტოპო-არქეოლოგიური ლექსიკონის სტატიისათვის, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება," თბ., 1995, 6 გვ.

გვინჩიძე გ. ციხისძირის ციხე-ქალაქის სახელწოდების წარმომავლობისათვის, „ძეგლის მეგობარი," № 1(104), 1999 გვ. 6-8 (რეზ. ინგ. ენ.).

გიგოლაშვილი ელენე. ვერცხლის სიტულები ვანიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 4, 1999, გვ. 53-55 (რეზ. რუს და ინგლ. ენ.).

გიგოლაშვილი ელ. ომფალოსიანი ფიალები ვანის ძვ.წ. IV ს-ის მდიდრული სამარხიდან. ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი, IV, 2001, გვ. 33-36 (რეზ. ინგლ. ენ.).

გიგოლაშვილი ელ. ვერცხლის არიბალოსი ვანიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი № 8, 2001, გვ. 49-52, (რეზ. ინგლ. ენ.).

Gigolashvili E. Les coupes en argent de Vani. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 279-281.

Gigolaschwili E. Katalog der Funde. Unterwegs zum Goldenes Vlies. Archäologische Funde aus Georgien. Herausgegeben von A. Miron und W. Orthmann. Saarbrücken, 1995, S. 296-302, № 273-277, № 279-283, № 288-289.

Gigolashvili E. A propos de l'inscription sur une Phiale D'Argent provenant de Phasis. La Mer Noire zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994. Paris, 1999, pp. 149-150.

Gigolashvili E. The silver aryballos from Vani. Ancient Greeks West and East, Brill, Leiden-Boston-Köln, 1999, pp. 605-613.

Гиголашвили Е.Г. Серебряные кубки из Вани. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, изд. "Мецниереба," Тб., 1990, с. 316-320.

დუნდუა გიორგი. გურიის ნუმიზმატიკური მასალა, კრებ. „გურია," I, თბ., 1996, გვ. 100-117 (რეზ. რუს. ენ.).

დუნდუა გ. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს.), კრებ. „გურია" II, თბ., 1997, გვ. 80-107 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

დუნდუა გ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანანტიკურ-ადრებიზანტიურ ხანაში ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მასალების ფონზე, კრებ. „გურია" III, თბ., 2001, გვ. 73-106 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

დუნდუა გ. სავლაკი თუ სავმაკი? კრებ. „ოჩხარი," თბ., 2002, გვ. 160-169 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

Dundua G. Georgie antique. A survey of numismatic research 1985-1990. International Association of Professional Numismatics. Special Publication N 12, Brussels, 1991, pp. 161-164.

Dundua G., Dundua T. The Colchian Tetri. Letters from Georgia 1-2, 1995, p. 75.

Dundua G., Lordkipanidze G. Das numismatische Material von Pityunt (2 Jh. v. Chr.-5 Jh.n. Chr.). Georgica -18, Konstanz, 1995, pp. 32-38.

Dundua G.T., Dundua T.G. Les relations économiques de la Colchide aux époques archaïque et classique d'après le matériel numismatique. La Mer Noire zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994, Paris, 1999, pp. 107-115.

Dundua G. Numismatic Materials from Bichvinta-Pitiunt, Bulletin of the AGIBAS, American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies, N 1, Tb., 2003, p. 31-37.

თოდუა თემურ. არიანეს „პერიპლუსის" ὅρμος და λεμήν ტერმინების განმარტებისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბ., 1991, გვ. 120-127 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

თოდუა თ. „დიდი პიტიუნტის" პანთეონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, № 10(393), 1992, გვ. 144-151 (რეზ. ინგლ. ენ.).

თოდუა თ. საბრძოლო და სამეურნეო იარაღი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან, (პრეპრინტი), თბ., 1992, 23 გვ. (რეზ. ინგლ. ენ.).

თოდუა თ. ვერცხლის სამკაული ბიჭვინტის სამაროვნიდან, „ხელოვნება," № 3-4, 1993, გვ. 9-12.

თოდუა თ. რომაული კოლონიზაცია და საქართველოს შავიზღვისპირეთი, ჟურ. „საქართველო, ევროპა-ამერიკა," № 1, 1997, გვ. 19-25.

თოდუა თ., მურვანიძე ბ. რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური სოფ. მოედნიდან, კრებ. „გურია," ტ. II, თბ., 1997, გვ. 108-114 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

თოდუა თ. საქართველოს შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახ.წ. II-IV სს. სამარხეული ძეგლების მიხედვით, კრებ. „საისტორიო ძიებანი," III, თბ., 2000, გვ. 189-204.

თოდუა თ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ბიზანტიური სამყაროს სისტემაში (ახ.წ. VI ს.), „კავკასიის მაცნე," № 3, 2001, გვ. 56-59.

თოდუა თ. საკიდი-მედალიონი და ოქროს ვარდულიანი საყურე ბიჭვინტის სამაროვნიდან, კრებ. „საისტორიო ძიებანი," IV, თბ., 2001, გვ. 214-218.

თოდუა თ. საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრების სტატუსი (ახ.წ. V-VI სს.), ჟურ. „ამირანი," VI, თბ., 2002, გვ. 32-40.
თოდუა თ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებების ხასიათის საკითხისათვის (კანაბე თუ ვიკუსი), კრებ. „ძველი ისტორია," II, თბ., 2002, გვ. 74-87.
თოდუა თ. რომაული თავდაცვითი სისტემა საქართველოში, კრებ. „ძველი ისტორია," III, თბ., 2003, გვ. 87-98.
თოდუა თ. ეგრისი ბიზანტიური სამყაროს სისტემაში, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VI, თბ., 2003, გვ. 56-66.
თოლორდავა ვერა. ვანის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების საკულტო კომპლექსი (ქრონოლოგიისათვის), ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 37-42, (რეზ. ინგლ. ენ.).
Tolordava V. Un complexe cultuel des VIIIème VIIème siecles à Vani. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 243-249.
Tolordava V. Katalog der Funde. Unterwegs zum Goldenes Vlies. Archäologische Funde aus Georgien. Herausgegeben von A. Miron und W. Orthmann, Saarbrücken, 1995, S. 296, № 271.
Толордава В. Культовый комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба", с. 261-275.
Inauri George. Le territoire de Vani. Un compte rendu des recherches archéologiques. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, p. 249-251.
Инаури Г. Археологические разведки в с. Сулори. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 276-279.
Kacharava Darejan. L'importation de céramique pointe et de céramique noire lustre à Vani (VIème-IVème siècles). Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 275-288.
Kacharava D. The town of Phasis as described in Graeco-Roman and Byzantine literary sources. (Preprinter), Tb., 1991, 14 p.
Kacharava D. Greek imports of Archaic and Classical Times in Colchis, Archäologischer Anzeiger, Heft I, Berlin-New-York, 1995, pp. 63-73.
Качарава Д.Д. Привозная расписная и чернолаковая керамика VI-IV вв. до н.э. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 309-315.
კვირკველია გურამ. არქეოლოგიური ახროვნების ისტორიიდან: 1. პროცესუალური არქეოლოგია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 93-110 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
Kvirkvelia G. La région de Vani aux VIIIème-Vème siècles. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 253-256.
Kvirkvelia G. On the Early Hellenistic burials of North-Western Colchis. Archäologischer Anzeiger, Heft I, Berlin-New-York, 1995, p. 75-82.
Квирквелия Г.Т. Ванский регион в VII-V вв. до н.э. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 280-283.
კიღურაძე ნინო. ოსტეოლოგიური მასალა რომაული ხანის ბიჭვინტის ნაქალაქარიდან (ახ. წ. II-IV სს.), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, III, თბ., 1997, გვ. 125-128.
კიღურაძე ნ., თოდუა თ. ვერცხლის სარკე ბიჭვინტის სამაროვნიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 8, თბ., 2001, გვ. 76-78 (რეზ. ინგლ. ენ.).
Lordkipanidze Guram. Pitiunt und "Pontos Limes," (Preprinter), Tb., 1991, 8 S.
Lordkipanidse G., Qipiani G. Die Kampfwagen des alten Georgien Caucasica. The Journal of Caucasian Studies, Vol. 3, 1999, p. 86-92.
Лордкипанидзе Г.А., Кигурадзе Н.Ш., Тодуа Т.Т. Раннехристианская стелла из Пицунды, Вестник древней истории, № 3, М., 1990, с. 63-67 (რეზ. ინგლ. ენ.).
Лордкипанидзе Г.А., Киппани Г.Г. Боевые колесницы древней Грузии. Российская археология, № 4, 1999, с. 195-199.
ლორთქიფანიძე მარგარიტა. სკარაბეოიდი ვანიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 63-67 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
ლორთქიფანიძე ოთარ. ქუთაისი უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნემდე - ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბილისი-ქუთაისი, 1994, გვ. 5-59.
ლორთქიფანიძე ოთ. მდინარე-ღვთაება ფასისი („კოლხური დიდრაქმების" I ტიპის იკონოგრაფიისთვის), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 66-75 (რეზ. რუს. და ინგლ ენ.).
ლორთქიფანიძე ოთ. „კოლხური დიდრაქმის II ტიპის" იკონოგრაფიისათვის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 45-49 (რეზ. რუს. და ინგლ ენ.).
ლორთქიფანიძე ოთ. „ოქრომრავალი კოლხეთი" (მითი და რეალობა), სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები), თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 37-91.
ლორთქიფანიძე ოთ. ოქროს საწმისი: მითი, ევჰემერისტული დეფინიცია და არქეოლოგია. Μνημη. ეძღვნება ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნას, თბ., 2000, გვ. 147-157.
ლორთქიფანიძე ოთ. ევმელოს კორინთელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, X, თბ., 2001, გვ. 223-234 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
Lordkipanidze O. On the cult of Heracles in Colchis, Mélanges P. Lévêque, 4, Religion, Paris, 1990, pp. 277-288.

Lordkipanidze O. Vani dans la structure du royaume Colchidien, Le Pont-Euxin vu par les grecs, Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987, Paris, 1990, pp. 289-318.
Lordkipanidze O. The Greeks in Colchis, The Greecks in the Black Sea from the Bronze Age to the Early Twentieth Century, Athens, 1991, pp. 190-197.
Lordkipanidze O. Vani-Bericht über die Ausgrabungen einer antiken Stadt, Nürnberger Blätter zur Archäologie, Heft 8, Nürnberg, 1991-1992, S. 10-14.
Lordkipanidze O. A bronze statue from Vani, Georgia, Ancient Civilizations from Scythia to Siberia, vol. I, N 2, September, Leiden, 1994, pp. 230-234.
Lordkipanidze O. Das Königreich Kolchis, Unterwegs zum Goldenes Vlies, Archäologische Funde aus Georgien, Saarbrücken, 1995, S. 129-138.
Lordkipanidze O. Georgian Goldwork in the Classical Period. National Treasures of Georgia, London, 1999, p. 68-73.
Lordkipanidze O. Königliche Administration im Kaukasischen Iberien. Bürgersinn und staatliche Macht in Antike und Gegenwart. Festschrift für Wolfgang Schuller zum 65. Geburtstag, Konstanz, 2000, S.171-180.
Lordkipanidze O. Phasis. The River and City in Colchis, Geographica Historica, Bd. 15, Stuttgart, 2000, 145 p.
Lordkipanidze O. The Golden Fleece: myth, euhemeristic explanation and archaeology, Oxford Journal of archaeology, - vol. 20, N 1, Oxford-Boston, 2001, pp. 1-38.
Лордкипанидзе От. Городище Вани в общеколхидском контексте, Вестник древней истории, № 1, 1992, с. 184-208.
Лордкипанидзе От. Божества города Фасиса (Аполлон или Аполлонарная Триада?), Вестник древней истории, № 1, 1997, с. 15-34.
Лордкипанидзе О.Д., Мусхелишвили Д.Л. Закавказье в международной торговле Востока и Запада (с древнейших времен до XIII в. н.э.). Историко-филологические изыскания, Тб., 2001, с. 384-397.
მათიაშვილი ნანული. კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის, (პრეპრინტი), თბ., 1993, 11 გვ.
მათიაშვილი ნ. კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 70-73 (რეზ. ინგლ. ენ.).
Matiashvili N. Contribution à l'étude des croyances religieuses des Colches à l'époque pre-hellénistique, Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 269-272.
Matiaschvili N. Die Kultische Architektur in der Kolchis in Hellenistischer Zeit, Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Berlin, 2000, S. 159-175.
Матиашвили Н. К изучению религиозных верований доэллинистической эпохи, Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 299-305.
მირიანაშვილი ნინო. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია, კრებ. „მილსადენის არქეოლოგია," 1999, გვ. 39-54.
ნარიმანიშვილი გოდერძი. ნასტაკისის ანტიკური ხანის სამაროვანი, არქეოლოგიური ძიებანი № 5. ახალგაზრდა მკვლევართა VII-VIII სამეცნიერო სესიების მასალები, თბ., 1990, გვ. 85-110 (რეზ. რუს. ენ.).
ნარიმანიშვილი გ., ხიმშიაშვილი კ. იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი, ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება," № 1, თბ., 1993, გვ. 102-119.
ნარიმანიშვილი გ. ქართლში წითლად გამომწვარი კერამიკის გავრცელების შესახებ, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XLII-B, თბ., 1997, გვ. 180-182 (რეზ. რუს. ენ.).
ნარიმანიშვილი გ. ანტიკური ხანის სამარხი პატარძეულიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 68-70 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
ნარიმანიშვილი გ. ანტიკური ხანის სამარხი პატარძეულიდან, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 3, თბ., 1999, გვ. 94-97 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. ძვ.წ. V-I სს-ის წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგიის საკითხი), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 9, თბ., 2002, გვ. 54-70 (რეზ. ინგლ. ენ.).
Narimanischwili G. Die Keramik Kartlis (Iberiens) in achaimenidischer und postachaimenidischer Zeit, Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 32, Berlin, 2000, S. 227-242.
ნიკოლაიშვილი ვახტანგ. ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქზე. (პრეპრინტი), თბილისი, 1990, 10 გვ. 2 ტაბ. (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
ოდიშელი მანანა. შუხუთის აბანოს მოზაიკა, კრებ. „გურია," II, თბ., 1997, გვ. 115-124 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).
რამიშვილი ქეთევან, შატბერაშვილი ვახტანგ. ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები ეცოს სამაროვნიდან, „ძეგლის მეგობარი," № 3(98), თბ., 1997, გვ. 20-23.
რამიშვილი ქ. მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 6, თბ., 2000, გვ. 60-67 (რეზ. ინგლ ენ.).
საგინაშვილი მარიამ. გვიანრომაული მინის ფიალა ჭერემიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 68-71 (რეზ. ინგლ. ენ.).
საგინაშვილი მ., მახარაძე გ. აქემენიდური ხანის მინის ფიალა საირხიდან, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნარკვევები, V, თბ., 1999, გვ. 47-50.
საგინაშვილი მ. მინის სანელსაცხებლეების - Kohl-Tube-ების გავრცელება საქართველოში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 5, თბ., 2000, გვ. 72-76 (რეზ. ინგლ. ენ.).
Saginashvili M., Makharadze G. An Achaemenian Glass Bowl from Sairkhe, Georgia. Journal of Glass Studies, vol. 41,

New York, 1999, pp. 11-17.

სადრაძე ვაჟა, ძნელაძე მ., გოგუაძე ენვ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კალანდაძე კ., კალანდაძე ზ., კახიანი კ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ. გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1995 წელი, კრებ. „გურია," II, თბ., 1997, გვ. 15-28 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

სადრაძე ვ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კახიანი კ., ჭანიშვილი თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1997, კრებ. „გურია," III, თბ., 2001, გვ. 7-31 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

სულავა ნინო. საქართველოში აღმოჩენილი მძივისებურრკალიანი ფიბულები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 58-65 (რეზ. რუს. ენ.).

სულავა ნ. სამთავროს ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 5, თბ., 2000, გვ. 65-71.

სულავა ნ. თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 6, თბ., 2000, გვ. 38-45 (რეზ. ინგლ. ენ.).

სულავა ნ. კიდევ ერთი ნავისებური ფიბულა აფხაზეთის სანაპიროდან, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 74-76 (რეზ. ინგლ. ენ.).

სულავა ნ. ურარტული ფიბულები საქართველოში, ACADEMIA (ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი), № 1, თბ., 2001, გვ. 56-61 (რეზ. ინგლ. ენ.).

სულავა ნ. ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 10, თბ., 2003, გვ. 31-34 (რეზ. ინგლ. ენ.).

Sulava N. Letschchumi – eine bedentende frühe Metallurgie – Region in der Kolchis, "Schätze aus dem Land des Goldenen Vlies," Bochum, 2001, S. 186-187.

ფირცხალავა მარინე. საქართველოს ე.წ. სკვითურინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 77-82, (რეზ. ინგლ. ენ.).

Pirtskhalava M. Monuments of Scythian Culture in Georgia, Archäologischer Anzeiger, Heft I, Berlin-New-York, 1995, pp. 53-62.

Пирцхалава М.С. Колхидская керамика VI-IV вв. до н.э. из Вани, Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 284-289.

ფუთურიძე რუსუდან. გვიანანტიკური-ადრე შუასაუკუნეების წებელდური ამფორები, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 87-90 (რეზ. ინგლ ენ.).

Puturidze R. Les vases céramiques de Vani aux Vème-IVème siècles. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 273-274.

Puturidze R. Les amphores importées VIIe-Ve siècles av. n. è. trouvées en Géorgie occidentale. La Mer Noire zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994. Paris, 1999, p. 143-146.

Путуридзе Р. Керамическая тара V-IV вв. до н.э. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 306-308.

ყიფიანი გურამ. უფლისციხის „ორსვეტიანი დარბაზის" ხუროთმოძღვრული კომპლექსი, (პრეპრინტი), თბ., 1990, 11 გვ. (რეზ. რუს. ენ.).

ყიფიანი გ. უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა, (პრეპრინტი), თბ., 1990, 2 გვ. (რეზ. რუს. ენ.).

ყიფიანი გ. ანტითეზური გამოსახულებანი, ნარკვევები I, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შრომები და პუბლიკაციები, თბ., 1995, გვ. 10-21 (რეზ. რუს. ენ.).

ყიფიანი გ. ძველი ვანის ხუროთმოძღვრება, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 2, თბ., 1996, გვ. 43-53.

ყიფიანი გ. აღმოჩენა უფლისციხიდან, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 3, თბ., 1996, გვ. 10-15.

ყიფიანი გ. ძველი ვანის ხუროთმოძღვრება (II), ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 1, თბ., 1997, გვ. 54-61.

ყიფიანი გ. კედლის ბურჯთა კორინთული კაპიტელები სვეტიცხოვლის ეზოდან, „ნარკვევები" III, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შრომების კრებული, თბ., 1997, გვ. 61-64.

ყიფიანი გ. ქუმბათი და სარი-თეფე, „ნარკვევები" IV, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შრომების (საიუბილეო) კრებული, თბ., 1998, გვ. 31-47.

ყიფიანი გ. უფლისციხის განადგურებული ქვაბულები, „ნარკვევები" V, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შრომების კრებული, თბ., 1999, გვ. 7-18.

Kipiani G. L'architecture des Vème-IVème siècles à Vani. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 267-268.

Kipiani G. La maquette en or d'un sanctuaire trouvée à Khaiši. La Mer Noire zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994. Paris, 1999, p. 151-154.

Кипиани Г.Г. Архитектурные памятники V-IV вв. до н.э. на Ванском городище, Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с. 296-298.

შატბერაშვილი ვახტანგ. ეცოს სამაროვანი, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 3(98), 1997, გვ. 18-19.

შატბერაშვილი ვ. ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 3, 1999, გვ. 57-68 (რეზ. რუს. და ინგლ ენ.).

ცუხიშვილი იზოლდა, ლანჩავა ომარ. ბიზანტიური სპილენძის მონეტები ქუთაისიდან. ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 1 (35), ქუთაისი, 1999, გვ. 82-92 (რეზ. ინგლ. ენ.).

Tsukhishvili I. On the relationship between Western Georgia and the Eastern Roman Empire in 4 th. -6 th. centuries (Numismatic data), (Preprinter), Tbilisi, 1991, 13 p.

Цухишвили И.А. К взаимоотношению Западной Грузии с Восточно-Римской империей в IV-VI веках (по нумизматическим данным), (Препринт), Тб., 9с.

ძიძიგური ლაშა. ვაზი და კოლხური სამყარო, კრებ. „გურია," III, თბ., 2001, გვ. 62-72 (რეზ. რუს. და ინგლ ენ.).

ძნელაძე მერაბ. საქართველოს ანტიკური ხანის კრამიტის შესწავლისათვის, არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა VII და VIII სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1990, გვ. 168-183 (რეზ. რუს. ენ.).

Dsneladze M., Chubuluri N. Das frühellinistische neuentdeckte Denkmal aus Kwemo Kartli (Grabstaette von Abulmugi), (Preprinter), Tb., 1990, 4 S.

Dsneladze M., Chubuluri N. Das frühellinistische neuentdeckte Denkmal aus Kwemo Kartli, (Preprinter), Tb., 1990, 12 S.

Дзнеладзе М.С. К изучению черепиц античной Иберии-Картли, (Препринт), Тб., 1990, 8 с.

Дзнеладзе М.С. К изучению черепиц античной Иберии-Картли, (Препринт), Тб., 1991, 12 с.

ჭანიშვილი თინათინ., სადრაძე ვაჟა. მასალები გურიის მხარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის, კრებ. „გურია," I, თბ., 1996, გვ. 41-54 (რეზ. რუს. ენაზე).

ჭანიშვილი თ. თიხის სანელსაცხებლეები დედოფლის გორის სასახლიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 5, თბ., 2000, გვ. 77-80 (რეზ. ინგლ. ენ.).

ჭყონია ანა. რელიგიური ასპექტი კოლხურ ოქრომჭედლობაში, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 97-105 (რეზ. რუს. და ინგლ. ენ.).

Chqonia A. L'orfèvrerie de la Colchide antique sur le site de Vani, Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – 1987. Paris, 1990, pp. 261-265, 303-307.

Chqonia A. A propos des bracelets en or trouvés à Vani, La Mer Noire zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994. Paris, 1999, p. 165-167.

Chqonia A. Les diadèmes en argent. Traditions et emprunts dans l'orfèvrerie colchidienne, La Mer Noire zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994. Paris, 1999, p. 159-164.

Chqonia A. Le culte de la Grande Déesse dans l'orfèvrerie colchidienne, Religions Du Pont-Euxin. Actes du VIIIe Symposium de Vani-1996. Paris, 1999, pp. 115-128.

Chqonia A. Colchian Jewelry from the Vani City Site, Ancient Jewelry and Archaeology, Bloomington-Indianapolis, 1996, p. 45-50.

Chqonia A. Units in Colchian Goldsmithery, Units in Text and Language: An Interdisciplinary Approach, II, Bochum, 1998, p. 112-119.

Chqonia A. Kolchis und die Hellenistische Koine im Entwicklungskontext der Goldschmiedenkunst, Phasis. Greek and Roman Studies, Vol. 2-3, 2000, Tbilisi, pp. 68-72.

Tschkonia A. Edelmetalle. 5.-3. Jahrhundert v. Chr. – Georgien. Schätze aus dem Land des Goldenen Vlies, Bochum, 2001, გვ. 418-425, №№ 394-402, 405-408, 410.

Чкония А.М. Златокузнечество древней Колхиды в свете археологических открытий древнего Вани. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани - 1987, Тб., 1990, изд. "Мецниереба," с& 290-295&

ხარაბაძე სულხან. მასალები „ვანის ქვეყნის" არქეოლოგიური რუკისათვის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 7, თბ., 2001, გვ. 91-98 (რეზ. ინგლ. ენ.).

ხარაბაძე ს. გვიანანტიკური ხანის სამარხი სოფელ ფერეთადან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 9, თბ., 2002, გვ. 81-87 (რეზ. ინგლ. ენ.).

ჯაფარიძე ვახტანგ. ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) ახალი არქეოლოგიური მონაცემები, (პრეპრინტი), თბ., 1990, 12 გვ.

ჯაფარიძე ვ., ჭელიძე ზ., კვირიკაძე მ., წერეთელი მ., ნამგალაური ნ. საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების არქეომაგნიტური გამოკვლევის შედეგები, (პრეპრინტი), თბ., 1990, 10 გვ., 2 ნახ.

ჯაფარიძე ვ., კალანდაძე კ., გვინჩიძე გ. არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის ტრასაზე აღმოსავლეთ კოლხეთში, კრებ. „მილსადენის არქეოლოგია," 1999, გვ. 82-92.

ჯაფარიძე ვ. დიმი-დიმნა, ჟურ. „ძეგლის მეგობარი," № 3(110), თბ., 2000, გვ. 3-6.

ჯაფარიძე ვ. აღმოსავლეთ კოლხეთის გზების საკითხი (ახალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. ძიებანი, № 8, 2001, გვ. 79-91 (რეზ. ინგლ. ენ.).

ჯაფარიძე ვ. საქართველოში (კოლხეთში) სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და ახალი არქეოლოგიური მონაცემები. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თბ., 2001, გვ. 142-165.

Djaparidze V. Early mediavel Shorapani (in Byzantine sources-Sarapanis) according to the latest excavation finds, (Preprinter), Tbilisi, 1991, 10 p.

Dshaparidse V. Byzanz an der Grenze Georgiens. Phasis, Greek and Roman Studies. Vol. 2-3, Tbilisi, 2000, pp. 98-101.

Джапаридзе В.М. Раннесредневековый Шорапани (Сарапанис византийских источнииков) по данным новейших раскопок. (Препринт), Тб., 1991, 9 с.

Jinjikhashvili Gulnara. Types of burials and burial customs in the Late Classical period (1st -3rd centuries A.D.) in Eastern Georgia. (Preprinter), Tbilisi, 1991, 5 p.

შემოკლებათა განმარტება
ABBREVIATIONS

აჟ - არქეოლოგიური ჟურნალი.

თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაცნე - ისტორიის ... სერია - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.

მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი - მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.

სდსძ - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

სიკძა - საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.

სმამ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.

სმმ – საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტფილისი.

სსმე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

ძიებანი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბილისი.

ძმ - ძეგლის მეგობარი.

АИКСП – Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья.

ВВ – Византийский временник.

ВДИ – Вестник древней истории. Москва.

ВИА – Всеобщая история архитектуры.

ГАИМК – Государственная Академия истории материальной культуры.

ИАК – Известия Археологической комиссии.

ИАН Арм. ССР – Известия Академии наук Армянской ССР.

КСИА – Краткие сообщения Института археологии АН СССР. Москва.

КСИИМК – Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва.

МАК – Материалы по археологии Кавказа. Тифлис.

МАР – Материалы по археологии России.

МИА – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.

НЭ – Нумизматика и Эпиграфика.

ОАК – Отчеты археологической комиссии.

ПАИ – Полевые археологические исследования. Тбилиси.

СА – Советская археология. Москва.

САИ – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.

ТГУ – Тбилисский Государственный Университет. Тбилиси.

ТГЭ – Труды Государственного Эрмитажа. Ленинград.

ТОВЕ – Труды отдела Востока Государственого Эрмитажа. Ленинград.

ТОНГЭ – Труды отдела нумизматики Государственного Эрмитажа. Ленинград.

AMIT – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan.

AJA – American Journal of Archaeology.

BAR – British Archaeological Reports.

BCH – Bulletin de Correspondance Hellénique.

DAGR – Ch. Daremberg, E. Saglio, Dictionnaire des antiquités grecques et romaines.

ESA –Eurasia Septentrionalis Antiqua. Helsinki.

JdI – Jahrbuch des Deutschen Archäologischen Instituts.

Iberia-Colchis: Researches on the Archaeology of Georgia in the Classical Period

The present volume brings together papers of the collaborators of the Archaeology Department of Georgia's Classical Period (Iberia, Colchis) of the Centre for Archaeological Studies of the Georgian Academy of Sciences. We plan to impart systematic character to the publication of the collected papers of the Department.

In 1959 a Department of Georgian Archaeology of the Classical Period was established at the Archaeological Section of the I. Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography of the Georgian Academy of Sciences. Since 1977 the Department has carried on archaeological studies under the aegis of the Centre for Archaeological Studies. The universally known successes of Georgia's Classical period archaeology – one of the trends of Georgian archaeology – are the result of the contribution of all generations of the Department staff. Archaeological sections of the Classical period were directed over the years by Prof. A. Apakidze, Prof. O. Lordkipanidze and Prof. G. Dundua. Their efforts were marked from the start by significant discoveries (in Mtskheta, Vani, v. Dablagomi, v. Bakurtsikhe, Kutaisi, Bichvinta, v. Ureki, Sukhumi, v. Qulevi, Kobuleti, v. Bori, v. Kldeeti, etc.).

The fact is noteworthy that as far back as in 1852 the first archaeological excavations were carried out on the Classical period city site of Uplistsikhe. These excavations were conducted by Dimitri Meghvinetukhutsesishvili (1815-1878), the pioneer of Georgian archaeology.

Today the Archaeology Department of Georgia's Classical Period (Iberia and Colchis) has a staff of 21 scientific collaborators, of whom 5 are Doctors of Historical Sciences, 10 Candidates of Science (Ph. D.), 5 scientific workers and 1 laboratory assistant. Since 1997 the Department has been headed by Gela Gamkrelidze, Doctor of Historical Sciences.

Expeditions of the Department conduct field archaeological studies of Classical period sites throughout the territory of Georgia. Numerous archaeological sites have been brought to light and studied (settlements, fortifications and cult structures, burial grounds, sites of metallurgical and ceramic manufacture), viz. in Ureki, Ochamchire, v. Sulori, v. Dapnari, v. Mtisdziri, Vani, Kobuleti, v. Dablagomi, v. Sakorkio, v. Partskhanaqanevi, v. Tagiloni, v. Shuamta, v. Maghlaki, v. Kvitiri, v. Godogani, v. Banoja, Bichvinta, Poti-Paliastomi, v. Anaklia, Nastakisi, Tsikhiagora, Kaspi, Sarkine, v. Aghaiani, Algeti, Aragvispiri, Dzalisa, Etso, etc.

The main research subject of the staff of the Department is: statistic-typological description and classification of Georgia's Classical period sites; questions of palaeourbanistics; the genesis of early states (politogenesis) on Georgian territory (Iberia, Colchis); archaeological culture and socio-economic structures; relations with the Classical and Iranian worlds; burial customs in Georgia in Classical times; handicrafts and trade; money circulation in Classical period Georgia; Classical import in Colchis and Iberia, and so on.

Complex study of individual archaeological artefacts is under way in the Department: local and foreign pottery; ceramic containers; specimens of toreutics and terracotta; glassware; gold and silver ornaments; weapons (spears, daggers, battle axes, bows and arrows, stone

missiles, helmets, coats of mail and armour, shields, horse harness); architecture (building materials, structures), mosaic; glyptic and numismatic remains, etc.

Collaborators of the Department take part in the work planned under the direction of the Centre for Archaeological Studies, namely: in the compilation of a multi-volume edition of Georgian archaeology, a list of archaeological sites, an archaeological atlas, an archaeological explanatory dictionary, bibliographic references, and development of systems of study of archaeological artefacts. Work has been planned at the Department and is under way on the compilation of a topoarchaeological dictionary of *Kartlis Tskhovreba* (the narrative of Georgian history).

A Bibliography of the scholarly works published by the collaborators of the Archaeology Department of Georgia's Classical period (Iberia, Colchis) (1990-2002) is appended.

***

The following papers are printed in the Collection:

Akhvlediani D. Ballistas from the Vani city site. The paper deals with the study of the ballistas discovered on the Vani city site. The fortification system of Vani of the Hellenistic period met the demands for ballistas to ensure the defense of the city.

Gvetadze J. New evidence from the environs of Kavtiskhevi Tsikhiagora (6th–4th cent. B.C.). The paper discusses new evidence from the environs of Kavtiskhevi (6th-4th cent. B.C.). The former village site of Tsikhiagora is situated in v. Kavtiskhevi, Kaspi district. The site is dated to the 6th–4th cent. B.C.

Gvinchidze G. Burials of the 4th cent. B.C.-6th cent. A.D. of the Tekhuri river basin. The paper deals with burials of the 4th cent. B.C.-6th cent. A.D. discovered at 6 points of the Tekhuri basin (Nokalakevi, Nanepish Chale, Opachapu, Kodori, Batnaokhoru, Bandza).

Gigolashvili E. Strainers from Western Georgia (from the burials of Tsiteli Shukura, Pichvnari and Vani). The paper discusses four specimens of bronze strainers brought to light at Classical-period archaeological points of Colchis. Of the four strainers three are of Etruscan manufacture, dating from the 5th cent. B.C.; the handle of the Vani strainer is Greek, dated to the first half of the 4th cent. B.C.

Dundua G. The Colchian tetri (general review). All types and denominations of the so-called Colchian tetri ("kolkhidka") are described: the so-called tetradrachm, three types of didrachm, two types of hemidrachm and hemitetartemorion. The end of the 6th cent. B.C. and the 4th cent. B.C. are considered to be the chronological limit of the emission of these coins. However, their circulation continued in the 3rd cent. B.C. too. Questions of the iconography of Colchian tetri are also discussed in general. In the author's view, the so-called Colchian tetri was minted in Phasis.

Todua T. Amphora burials from Bichvinta (Pityus). The paper deals with 65 amphora burials unearthed at Bichvinta, in the north-western region of Georgia. The bulk of the amphorae are dated to the 3rd–4th cent. A.D.

Kighuradze N. A legionary's burial (No 345) from Pityus-Bichvinta. The paper deals with burial 345 unearthed at a cemetery of the 2nd–4th cent. A.D. of Pityus-Bichvinta. The grave goods are represented by three silver items: a so-called T-type fibula, a belt buckle, an *armillae*,

an official award of military merit of a Roman legionary. The burial is dated to the 3rd cent. A.D.

Matiashvili N. Parts of a gold head ornament from the Vani city site. The paper discusses parts of the head ornament discovered in the temple complex excavated on the lower terrace of the Vani city site. The find is dated to the 2nd cent. B.C.

Ramishvili K.I. Sasanian portrait on the Sartichala signet-ring. The paper deals with the metal signet-ring discovered in v. Sartichala, Sagarejo district. It features a man's carved portrait which may belong to official Sasanian portraits. According to analogues, the signet-ring must date from the second half of the 4th cent. A.D.

Ramishvili K.R. Representations of the wolf from the Aragvi valley. The paper discusses the representations of a wolf's head, discovered archaeologically in the Aragvi valley. Representations of the wolf or wolf-dog in Georgia are linked to ancient beliefs and notions, in particular to the god-patron of hunting. The find is dated to the 3rd–4th cent. B.C.

Saginashvili M. Glassware from a 1st cent. A.D. vault in Mtskheta. The paper deals with a vault excavated near the railway station in Mtskheta. Glassware was brought to light here according to which the vault is dated to the end of the 1st cent. A.D.

Sulava N. One-piece arch-shaped fibulae from Qazbegi (eastern mountain region of Georgia). The paper deals with arch-shaped fibulae, found in the past in the hamlet of Qazbegi. The fibulae are of two types and are dated to the 5th-4th cent. B.C.

Pirtskhalava M. A group of sacred inventory from the city site of Vani. The paper discusses clay items of ritual purpose of local manufacture, unearthed on the Vani city site: eight thymiateria and rhyton-like vessels. The context of their discovery is linked to 2nd-1st cent. B.C. cultic complexes.

Puturidze R. Manufacture of amphorae in the 4th-1st cent. B.C. Colchis. The paper reviews the genesis and manufacture of Colchian amphorae at the end of the 4th-1st cent. B.C.

Kipiani G. The agricultural chora of Mtskheta (Tsitsamuri). The paper is devoted to a tower-like structure traced on the Tsitsamuri plain, to the north-west of Mtskheta. By its planning and situation, the structure must have been a house. According to its archaeological context, the site should be dated to the 1st–2nd cent. A.D.

Shatberashvili V. Burials of the 4th-3rd cent. B.C. with weapons. The paper discusses the weapons found in Kvemo Kartli 4th-3rd cent. B.C. burial grounds.

Chikhladze V. Late Classical burial of a warrior from the Zhinvali burial ground. The paper is devoted to the burial ground of v. Zhinvali, Dusheti district. Here a burial was uncovered which, according to the grave goods, belonged to a warrior. The burial is datable to the end of the 3rd cent. and beginning of the 4th cent. A.D.

Tsukhishvili I. Coins of the Eastern Roman Empire in Georgia (4th-5th cent.). The paper reviews the copper coins of the 4th-5th centuries of the Eastern Roman Empire, discovered on Georgian territory (Bichvinta, 535 pieces; Sukhumi, 12; v. Gudava, 15; Tsikhisdziri, 9).

Dzidziguri L. About an agricultural implement, dated to the 1st cent. B.C.-2nd cent. A.D., brought to light at the burial ground of the Riqianebi veli (Iberia). The paper deals with a coulter found in a burial of the so-called Riqianebis veli burial ground in the environs of v. Aghaiani, Kaspi district.

Chanishvili T. A shield from one of the burials of the Kamarakhevi burial ground. The paper deals with the bronze shield discovered in a burial (No 27), dated to the 4th cent. B.C., and excavated near v. Tsitsamuri, on the left bank of the Aragvi.

Chqonia A. A gold ear-ring from Dzegvi, Mtskheta district. The paper deals with the gold ear-ring found in the environs of v. Dzegvi, Mtskheta district. It belongs to ear-rings of bead-pendant type. The pendant is represented in the shape of a man with a diadem on his head and vessel in his hand (modification of the canonical scheme of Eros). Coexistence of Hellenistic *koine* and local traditions is in evidence. The ear-ring is dated to the 1st century B.C.

Kharabadze S. Burial of the 1st-2nd cent. A.D. from Zedagora, Vani district. The paper discusses the burial traced on the territory of Zedagora, Vani distrrict, dated to the 1st-2nd cent. A.D.

Gamkrelidze G. Towards the location and definition of the city of Phasis. The paper discusses the problem of the location of the city of Phasis which, according to Greco-Latin written sources was situated at the estuary of the Rioni (ancient Phasis), on Georgia's coast. New views are expressed on the localization and status of Phasis.

It is our wish to have the Collected papers of the Department translated into English, provided a sponsor comes forth.

Editor: Gela Gamkrelidze

address: Centre for Archaeological Studies
14, D. Uznadze str.
Tbilisi, 0102,
GEORGIA

აიწყო და დაკაბადონდა
არქეოლოგიური კვლევის ცენტრში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
თბილისი 380002
დ. უზნაძის ქ. № 14
ტელ: 995-32 952-920
ფაქსი: +995-32 966-768

Academy of Sciences of Georgia
Centre for Archaeological Studies
14, D. Uznadze str.
Tbilisi 380002
Tel.: 995-32 952-920
Fax: +995-32 966-768